ნადირაძე ქეთევან

თედო ჟორდანია – საქართველოს ისტორიის მკვლევარი

(ისტორიოგრაფიული ნარკვევი)

შინაარსი

წინასიტყვაობა;

თავი პირველი

თედო ჟორდანიას ცხოვრება და მოღვაწეობა;

თავი მეორე

თედო ჟორდანია – როგორც წყაროთმცოდნე და არქეოგრაფი;

ა) თედო ჟორდანია - “ქართლის ცხოვრების” შესახებ;

თავი მესამე

თედო ჟორდანია – ეკლესიის ისტორიის მკვლევარი;

თავი მეოთხე

XVIII საუკუნის ქართველი მოღვაწეები თედო ჟორდანიას შემოქმედებაში;

წინასიტყვაობა

XIX საუკუნის ქართული ისტორიული აზროვნების განვითარების სრულყოფილი შესწავლა, ისტორიოგრაფიის საგანგებო კვლევას მოითხოვს. ამისათვის აუცილებელია წარმოვაჩინოთ ისტორიკოსი – თედო ჟორდანიას (1853-1916 წ.წ.) დამსახურება მეცნიერების წინაშე, რადგან მისი შემოქმედების გათვალისწინების გარეშე, ვფიქრობ, XIX საუკუნის ისტორიული აზრის შესწავლა ვერასოდეს იქნება სრულყოფილი. თუ ისტორიის კვლევის საგანი ახლის მოძიება და განსხვავებული დანახვაა, თ. ჟორდანიას ნააზრევი ნამდვილად იმსახურებს დიდ ყურადღებას. აუცილებელია განიმარტოს, რატომ არის საჭირო ქართული ისტორიოგრაფია, საისტორიო მეცნიერება, კარგად იცნობდეს თ. ჟორდანიას მეცნიერულ მემკვიდრეობას; გარკვეულ იქნას მისი კვლევის მეთოდები, დასაბუთებულად უნდა ითქვას, დღევანდელობის გადასახედიდან მკვლევრის მიერ მიღებული მეცნიერული დასკვნების აქტუალობის შესახებ, განისაზღვროს თ. ჟორდანიას როლი ისტორიული მეცნიერების განვითარების საქმეში. წინამდებარე ნაშრომი სწორედ ამ მიზანს ემსახურება.

იგი პირველი ცდაა, შეისწავლოს თ. ჟორდანიას, როგორც საქართველოს ისტორიის მკვლევრის მემკვიდრეობა, რომელიც განხილული იქნება იმ საკითხების ისტორიოგრაფიის ფონზე, რომელი საკითხებითაც დაინტერესებული იყო თ.ჟორდანია. პიროვნების მემკვიდრეობისა და საკითხის ისტორიოგრაფიის შესწავლა საშუალებას იძლევა კარგად წარმოჩინდეს აზრის განვითარება. აზრის განვითარების წარმოჩენა აუცილებელია, რადგან მეცნიერული კვლევა მხოლოდ გამოცდილების გათვალისწინებით შეიძლება იყოს წარმატებული. კვლევის წარმატებულობა კი მეცნიერების წინსვლის გარანტიაა.

თ. ჟორდანიას შესახებ ცოდნა დღემდე, მხოლოდ საგაზეთო და საჟურნალო სტატიებით ამოიწურება[1]. თუ მხედველობაში არ მივიღებთ ლ. ძოწენიძის ნარკვევს "თედო ჟორდანია და ძველი ქართული მწერლობა", ჩვენ ვერსად შევხვდებით მკვლევრის მდიდარი და მნიშვნელოვანი მემკვიდრეობის მეცნიერულ შეფასებას.

წარმოდგენილი ნაშრომი - "თედო ჟორდანია – საქართველოს ისტორიის მკვლევარი" - შედგება ოთხი თავის, ერთი ქვეთავისა და დასკვნისაგან.

თავი პირველი: თედო ჟორდანიას ცხოვრება და მოღვაწეობა. თედო ჟორდანიას პირადი ფონდის მასალებზე დაყრდნობით, რომელიც აკად. კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტში ინახება; ქუთაისის სახელმწიფო არქივისა და XIX ს. პერიოდული პრესის საფუძველზე მოთხრობილია მეცნიერის ცხოვრება და მოღვაწეობა.

თავი მეორე: თედო ჟორდანია – როგორც წყაროთმცოდნე და არქეოგრაფი. მოცემულია თ. ჟორდანიას დამსახურება ისტორიის წყაროთმცოდნეობითი ბაზის შექმნაში. გარკვეულია მისი წყაროთმცოდნეობითი კვლევის მეთოდები, განსაზღვრულია მისი როლი ამ დარგის განვითარებაში.

ამავე თავის შემადგენელი ნაწილია: თედო ჟორდანია "ქართლის ცხოვრების" მკვლევარი. უდიდესია თ. ჟორდანიას ღვაწლი "ქართლის

---

[1] ა) ცაიშვილი ს. თედო ჟორდანია "სახალხო განათლება", გაზ. 1946, N53.
ბ) ცაიშვილი ს. თევდორე ჟორდანია, "სახალხო განათლების ქართველი მოღვაწეები და სახალხო მასწავლებლები", კრ. 1. თბ. 1953 წ.
გ) კიკვიძე ალ., თედო ჟორდანია. "ლიტერატურა და ხელოვნება", გაზ. 1946 წ. N46.
დ) ხანთაძე შ. თედო ჟორდანია როგორ ისტორიკოსი, თსუ ასპირანტთა სამეცნიერო შრომების კრებული, 1950 წ. N1.
ე) ხანთაძე შ., ბადრიძე შ. საქართველოს წარსულის შესწავლის ერთ-ერთი ფუძემდებელი. ჟურნ. "მნათობი", 1964 წ. N12.
ვ) ცინცაძე დ. თედო ჟორდანია, "ახალგაზრდა კომუნისტი", გაზ. 1964 წ. N2.
ზ) გაგუა ვ. ფოთი ცნობილი ისტორიკოსის შრომებში. "მგზნებარე კოლხიდელი", გაზ. 1959 წ. 27 მაისი.
თ) ძოწენიძე ლ. თედო ჟორდანია და ძველი ქართული მწერლობა, "ძველი ქართული მწერლობის საკითხები", 1962 წ. კრ. 1.
ი) ვართაგავა იპ. მოგონებები, თბ. 1956 წ.

ცხოვრების” შედგენილობის, შექმნის თარიღისა და სხვა მრავალი პრობლემის დამუშავებაში. მისი ნააზრევი განხილულია “ქართლის ცხოვრების” შესახებ არსებული სამეცნიერო ლიტერატურის ფონზე.

თავი მესამე: თედო ჟორდანია – საქართველოს ეკლესიის ისტორიის მკვლევარი. მეცნიერმა ამ დარგში შექმნა დიდი წყაროთმცოდნეობითი ბაზა, ასევე საყურადღებოა ნაშრომები, საეკლესიო ისტორიის შესახებ არსებული სამეცნიერო ლიტერატურის განხილვის საფუძველზე შეიძლება ითქვას: თ.ჟორდანიას მიერ დასმული საკითხები დღესაც აქტუალურია, ხოლო დასკვნები – გაუხუნარი.

თავი მეოთხე: XVIII საუკუნის ქართველი მოღვაწეები თედო ჟორდანიას შემოქმედებაში. აღნიშნული თავი ეძღვნება XVIII ს. უდიდეს მოღვაწეებს, მათი ადგილის განსაზღვრას საქართველოს პოლიტიკურ და კულტურულ ისტორიაში. ესენი არიან: ვახტანგ VI, ანტონ I (კათალიკოსი), დავით გურამიშვილი, იოსებ სამებელი. ეს ისტორიული პორტრეტები ამოზიდულია იმ საერთო ფონიდან, რომელთაც ისტორიული კოლიზიების სიმრავლე ახასიათებთ. ეს თავი პარალელურად ისტორიული აზრის განვითარებას ასახავს თედო ჟორდანიას დროიდან დღემდე, 2002 წლით დამთავრებული.

დასკვნა: წარმოდგენილია მოკლედ კვლევის შედეგები.

თავი პირველი

თედო ჟორდანიას ცხოვრება და მოღვაწეობა

XIX საუკუნის ქართული ისტორიოგრაფია, სათანადო მეცნიერების განვითარების დაბალი მდგომარეობის გამო, დიდად ჩამორჩებოდა ევროპული ისტორიოგრაფიის განვითარების დონეს. ამ აზრს სრულიად ადასტურებს აკად. ივ. ჯავახიშვილის ასეთი განმარტება: "აუცილებლად გასათვალისწინებელია იმდროისათვის ისეთი დამხმარე მეცნიერების ძალზე სუსტი განვითარება, როგორიცაა პალეოგრაფია, დიპლომატიკა, ლინგვისტიკა, არქეოლოგია და ეთნოგრაფია."[1] არ არსებობდა მყარი წყაროთმცოდნეობითი ბაზა, რაც აუცილებელი პირობაა ქვეყნის წარსულის მეცნიერულად დასაბუთებული გააზრებისათვის. თ. ჟორდანიას დაკვირვებისა და შესწავლის საგანი იყო დამწერლობის, ნუმიზმატიკის, პალეოგრაფიის, ქართული ენისა და მწერლობის საკითხები. საქართველოს პოლიტიკური, სოციალური, საეკლესიო ისტორიის პრობლემები. მან უაღრესად დიდი შრომა გასწია ქართული საბუთების, სიგელ-გუჯრების, სხვადასხვა ხელნაწერებისა და თხზულებების შეგროვება-გამოცემის საქმეში. თ. ჟორდანიას მოღვაწეობა მიმართული იყო იქითკენ, რომ ძველი ქართული კულტურული მემკვიდრეობის ღრმა, საფუძვლიანი მეცნიერული შესწავლით პოპულარიზაცია გაეწია და დაეცვა ქართველი ერის მდიდარი ისტორიული წარსული, რასაც დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა ეროვნული თვითშეგნების გაღვივებასა და შენარჩუნებაში. გასაგებია, ამგვარი მოქალაქეობრივი პოზიცია რამდენად აუცილებელ პირობას წარმოადგენდა სახელმწიფოებრიობადაკარგული

[1] ჯავახიშვილი ივ., მამულიშვილობა და მეცნიერება, 1904 წ.

ქვეყნისთვის. თ. ჟორდანია თავისი მოღვაწეობით ხელს უწყობდა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის აღორძინებას. ილია ჭავჭავაძე დიდად აფასებდა მის თავდადებულ შრომას. თ. ჟორდანია ნაყოფიერად თანამშრომლობდა ილიას რედაქტორობით გამომავალ "ივერიაში".

თევდორე დავითის ძე ჟორდანია დაიბადა მღვდლის ოჯახში. მისი დაბადების თარიღად, როგორც ძველ, ასევე თანამედროვე პერიოდიკაში დაბეჭდილ სტატიებში[2] მიჩნეულია 1854 წ. 20 ივლისი, ხოლო პასპორტში, რომელიც გაცემულია 1908 წელს და ინახება ჟორდანიას პირად არქივში,[3] მითითებულია 1853 წელი, რაც შეეხება დაბადების ადგილს, მართალია, ხშირ შემთხვევაში წერენ სოფ. მოქვს (აფხაზეთი), მაგრამ რიგ წერილებში, მის გარდაცვალებასთან დაკავშირებით დაბეჭდილ სტატიებში, განსაკუთრებით რუსულ გაზეთებში, მითითებულია სოფ. მარტვილი, სენაკის მაზრა (ქუთაისის გუბერნია). თედოს მამა, დავითი, სოფ. მარტვილის მკვიდრი, აფხაზეთში მღვდლად მსახურობდა. მეუღლის გარდაცვალების შემდეგ ბერად აღიკვეცა ათანასეს სახელით (თედო მაშინ ორი წლის იყო). იგი ქრისტიანობის სასარგებლოდ მისიონერულ მოღვაწეობას ეწეოდა აფხაზ მოსახლეობაში. ამის გამო მაჰმადიანი სამღვდელოება გადაემტერა და მოწამლეს[4], თედოს პაპა, ოქროპირიც, სასულიერო წრეს ეკუთვნოდა და სოფ. მარტვილში დეკანოზად იყო.

პირად არქივში არ არის საბუთი, სადაც თ. ჟორდანიას დაბადების ადგილი იყოს აღნიშნული, მაგრამ არის მის მიერ მთავრობისადმი გაგზავნილი მიმართვები მოთხოვნით, აღიარონ აფხაზეთის მკვიდრ მოსახლედ იმ

---

[2] გაზ. "თეატრი და ცხოვრება", 1915წ. "საქართველო" 1916წ. N238, გაზ. "ლიტ. საქართველო", 1984წ. 20 ივლისი.

[3] კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტი, ფონდი 55, საქმე N33.

[4] კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტი, ფონდი 55, საქმე N166

მოტივით, რომ მისი მამა 50 წელი მსახურობდა იქ.[5] ჩნდება კითხვა, თუ იგი აფხაზეთშია დაბადებული _ ამის საფუძველზე რატომ არ ითხოვს მკვიდრის უფლებას; თუმცა გასათვალისწინებელია ერთიც: მკვიდრი მოსახლის სტატუსი მან მიიღო 1881 წელს, რის საფუძველზეც ჟორდანიების ოჯახს კუთვნილი 15 დესეტინა მიწა 30 დესეტინამდე გაუზარდეს.[6] თედო 1881 წელს 28 წლის იქნებოდა, და თუ ამ დროისათვის მამამისს აფხაზეთში 50 წელი ჰქონდა ნამსახურები, როგორც თვითონ მიუთითებს, სავსებით შესაძლებელია, რომ იგი მოქვში იყოს დაბადებული.

თ. ჟორდანიამ დაწყებითი განათლება სოფ. მოქვის სამრევლო სკოლაში მიიღო. შემდეგ ძმასთან, იოსებთან, ერთად სწავლა განაგრძო ქუთაისის სასულიერო სასწავლებელში, გვიან კი ორივემ თბილისის სასულიერო სემინარიაში ჩააბარა. როგორც თ. ჟორდანიას შვილიშვილი წერს: “თედოს აქ არ იღებდნენ, რადგან პატარა იყო სემინარიაში შესასვლელად, მაგრამ საგნებში რომ გამოსცადეს და ნახეს მისი იშვიათი ცოდნა, როგორც იყო მიიღეს”.[7] თ. ჟორდანია სასულიერო სემინარიაში სწავლის დროს განსაკუთრებული ნიჭით გამოირჩეოდა. აი რას წერს ამის თაობაზე ისტორიკოსი მოსე ჯანაშვილი: “მე რომ სემინარიის პირველ კლასში შევედი (1873წ) თ. ჟორდანია მეოთხე კლასში იყო. მაშინ სემინარიის უფროს კლასელებს შორის იმართებოდა პაექრობა სხვადასხვა თემაზე. კამათის საგნად გახდებოდა ხოლმე რომელიმე ფილოსოფოსის ან გამოჩენილი კაცის ნაწარმოები. გაცხოველდებოდა რა ბაასი და პაექრობა ერთისა და მეორის მხრიდამ გადმოდიოდა კანტი, ფიხტე, დარვინი, სპენსერი, არისტოტელე, ჩერნიშევსკი, დობროლიუბოვი... ილია, აკაკი, შოთა და სხვა. მოზარდთა შეყოლა სწეწავდა და ჰპენტავდა ამისთანა დიდ-დიდ სახელებს, ავტორიტეტებს. ამ პაექრობის დროს შორიდან გავიცანი თედო. იგი იშვიათად პაექრობდა, მაგრამ ყოველთვის სიმხნით, გაბედულად,

[5] კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტი, ფონდი 55, საქმე N1
[6] კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტი, ფონდი 55, საქმე N7
[7] კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტი, ფონდი 55, საქმე N166

ყველანი აქებდნენ მას როგორც არაჩვეულებრივად განვითარებულს ახალგაზრდას, და კარგ მოპაექრეს.”[8]

1875 წელს, თბილისის სემინარიის დამთავრების შემდეგ, იოსები მღვდლად ეკურთხა, ხოლო თედო სახელმწიფო ხარჯით, როგორც წარჩინებული მოსწავლე, მოსკოვის სასულიერო აკადემიაში გაემგზავრა სასწავლებლად. მან აკადემია 1879 წელს დაამთავრა ღვთისმეტყველების კანდიდატის ხარისხით “и правом получить степень магистра.”[9] იგი სტუდენტობის დროს ნაყოფიერად მუშაობდა.[10] მისი სამეცნიერო ნაშრომი პირველად მოსკოვში დაიბეჭდა “Государственные сановники при вселенских соборах (к вопросу об отношение церкви к государству)”.

სასულიერო აკადემიაში თ. ჟორდანიას სამეცნიერო ხელმძღვანელი იყო ცნობილი ისტორიკოსი ვ.ო. კლუჩევსკი (1841-1911წ.), რომლის შემოქმედებაც რუსულ ისტორიოგრაფიაში შეფასებულია შემდეგნაირად: "его творческое наследие в настоящее время представляет огромный интерес не только как яркая страница истории отечественной исторической науки, но и как явление русской и мировой культуры"[11]. თედო, როგორც ნიჭიერი სტუდენტი, მისი განსაკუთრებული მზრუნველობის ქვეშ მოექცა. ხელმძღვანელმა[12] მას მოსკოვში დარჩენა და სამეცნიერო მუშაობის გაგრძელება შესთავაზა, რაზეც

---

[8] მოსე ჯანაშვილი. “თედო ჟორდანია”, გაზ. “საქართველო”, 1916 წ. 28ღვინობისთვე, N240.

[9] ЦГА г. Кутаиси, фонд 21, дело №24124

[10] სტუდენტური პერიოდის ნამუშევრები: “К барьбе классов в древном Риме”, “Обшественные классы времён “ Русской правды”; “Взгляд Платона на философию и суждение о нём”; “Бедствия Грузинской церкви”, “История Египетского царства в первых веках христианство”, “Синод при Пётре великом, в его отношении к правительствующему Синоду”.

[11] Киреева Р.А. “В.О. Ключевский, Как историк Русской исторической науки”, изд. “Наука” М. 1966. в.5.

[12] თ. ჟორდანიას სასულიერო აკადემიაში სწავლის პერიოდში კლუჩევსკის პრივატ-დოცენტის თანამდებობა ეკავა, მხოლოდ 1882 წლიდან დაიკავა მან პროფესორის ადგილი, როგორც აკადემიაში, ასევე მოსკოვის უნივერსიტეტში. 1900 წელს კი იგი მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრად აირჩიეს.

უარი განაცხადა და სამშობლოში დაბრუნდა. კლუჩევსკი თედოს შესახებ ამბობდა _ "он как-то неудержимо рвался на родину"

კლუჩევსკიმ ცნობილი ისტორიკოსის სოლოვიოვისადმი მიძღვნილ სიტყვაში მეცნიერის ცხოვრებისეული კრედო შემდეგი სიტყვებით გამოხატა: "Главные биографические факты-книги, важнейшие события – мысли."[13] ამ აზრით იცხოვრა თვითონ და როგორც ჩანს, ასეთივე სულისკვეთებით აღზარდა სტუდენტები. რადგან თედო ჟორდანია მიუხედავად მძიმე ცხოვრებისეული პირობებისა, თავისი საქმის თავდადებული მუშაკი იყო. ავადმყოფი მეცნიერი 1913წ. შვილს, გიორგის წერს: "ერთი თვეა რაც მოუსვენრად ვმუშაობ ისტორიაზე და უკეთ გავხდი _ შრომა მარგებს. ეგებ ჩემი ავადმყოფობა გააქროს ჩემმა ტრფიალებამ ქართული ისტორიისადმი. ეგებ მის გამოც ავად ვარ, რომ გული მტკივა უსაქმურობით, რომ გარემოებამ გამომაკლო საისტორიო შრომიდან, რომელიც ჩემი სფეროა, ჩემი სტიქია, ჩემი სულთქმა".[14]

თ. ჟორდანია, წმინდა სინოდის განკარგულებით, 1879 წელს დაინიშნა თბილისის სასულიერო სასწავლებელში გეოგრაფიისა და არითმეტიკის მასწავლებლად, ხოლო 1880 წელს ამავე სასწავლებლის ზედამხედველად გადაიყვანეს. ამ თანამდებობაზე დასანიშნად თბილისის გუბერნიის სამღვდელოების კრებაზე კენჭისყრა ჩატარდა, რასაც ესწრებოდა 14 მღვდელი. წარდგენილი იყო ექვსი კანდიდატი, მათ შორის ნ. ლომოური. თ. ჟორდანიამ 12 ხმა მიიღო და გაიმარჯვა. გაზეთი "დროება"[15] სიხარულით შეხვდა ამ ფაქტს და იმედს გამოთქვამდა, რომ ახლად არჩეული ზედამხედველი ამ "შავ-ბედითი" სასწავლებლის მდგომარეობას უკეთესობისაკენ წაიყვანდა. საზოგადოების მხრიდან თ. ჟორდანიას კანდიდატურას მხარი დაუჭირეს იონა მეუნარგიამ და ნიკო ნიკოლაძემ. თ. ჟორდანიამ მოლოდინი გაამართლა. 1882 წელს მას საქართველოს ეგზარქოსმა, პავლემ, პროექტის შედგენა დაავალა _ "об

---

[13] Ключевский В.О. Очерки и речи 2-ой сб. стат. М. 1913. გვ. 22.

[14] კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტი, ფონდი 55, საქმე N530

[15] გაზ. "დროება", 1880წ. V.16. N 103

изменении постановки учебного дела в духовных училищах Грузиснкого экзархата"[16]

თ. ჟორდანია, ბუნებრივია, როგორც “ჩინოვნიკი”, შეზღუდული იქნებოდა თავის ქმედებებში და მაინც ეგზარქოსის დავალება კარგად გამოიყენა ქართული ინტერესების სასარგებლოდ. მან შეადგინა პროექტი, რის საფუძველზეც ყველა სასულიერო სასწავლებელში დაარსებული იქნა ქართული ენის კათედრა. ამ ფაქტს დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, რადგან სასწავლებლებში სწავლება რუსულ ენაზე მიმდინარეობდა და მშობლიური ენა და ლიტერატურა შტატგარეშე დისციპლინებად ითვლებოდა; კათედრის გახსნით კი მათი სწავლების მნიშვნელობა გაიზარდა.[17]

1883 წელს ამ გამარჯვებისათვის თ. ჟორდანიამ ზედამხედველის თანამდებობა დაკარგა და მისი თხოვნის საფუძველზე თბილისის სასულიერო სემინარიის რიგით მასწავლებლად გადაიყვანეს, სადაც ეკლესიის ისტორიის ზოგად კურსსა და რუსეთის ეკლესიის ისტორიას კითხულობდა.[18] ამავე წელს იგი დაქორწინდა გადამდგარი პოლკოვნიკის, თავად დავით ტარსაიძის ასულ ელენეზე. მოწმედ იონა მეუნარგია ესწრებოდა.[19] რადგან სემინარიაში საქართველოს ისტორია და ქართული ეკლესიის ისტორია არ იკითხებოდა, მან გადაწყვიტა ეკლესიის ისტორიის ზოგადი კურსის პროგრამებში საქართველოს ისტორიის საკითხების ჩართვა. ამის თქმის საფუძველს გვაძლევს მის პირად არქივში შემონახული გეგმები, სადაც შეტანილია შემდეგი საკითხები: 1. ქრისტიანობის მიღება მეფე მირიანის დროს, ნინოს ცხოვრება; 2. ქართული ანბანის შექმნის ისტორია; 3. ახალი აღთქმის ქართული თარგმანი; 4. კათა-ლიკოს ანტონ I მოღვაწეობა და სხვა.[20] თ. ჟორდანია ამით არ დაკმაყოფილდა. მან დაიწყო ბრძოლა სემინარიაში ქართული ენისა და ქართული ეკლესიის

[16] ЦГА г. Кутаиси, фонд 21, дело №24124
[17] თ. ჟორდანია “ქართული ენისათვის ბრძოლა 1882-1910 წ.”, ქ. ქუთაისი, 1913წ.
[18] ЦГА г. Кутаиси, фонд 21, док №24124
[19] კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტი, ფონდი 55, საქმე N31
[20] კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტი, ფონდი 55, საქმე N299, 300, 301.

ისტორიის კათედრის შესაქმნელად. თავდაპირველად მან სემინარიაში შემოაღებინა ქართულ ენაში შვიდი გაკვეთილი სახელმწიფო ხარჯით და სავალდებულო საგნად აქცია, შემდეგ გაკვეთილები 11-მდე გააზრდევინა, ხოლო 11 გაკვეთილის საფუძველზე კათედრის გახსნა მოითხოვა. 1885 წელს ასეთი კათედრა მართლაც დაარსდა, რომლის ხელმძღვანელიც თვითონ გახდა. ამის შემდეგ ქართული ენის მასწავლებელს თანასწორი უფლებები მიენიჭა და სრული ჯამაგირი დაენიშნა. მან სემინარიაში მუშაობის დროს დაამთავრა "ქართული ენის გრამატიკა", რომელიც საშურ საქმედ მიაჩნდა.

თ. ჟორდანიამ მოხსენებითი ბარათით მიმართა საქართველოს საეგზარქოსოს, სადაც ითხოვს სემინარიაში ქართული ენის სრული კურსით სწავლებას და შესაბამისად პროგრამის გაფართოებას. იგი წერს: "Это я считаю прямым своим долгом, так как уже около семи лет преподаю в семинарии церковно-грузинский язык"[21] და მოითხოვს აღნიშნული "გრამატიკის" სახელმძღვანელოდ დამტკიცებას. თ. ჟორდანიას წინადადება საეგზარქოსომ მიიღო. მთავრობამ დაადგინა, რომ კავკასიის ოლქის ყველა საშუალო სასწავლებელში იხელმძღვანელებდნენ ამ წიგნით.[22] "ქართული გრამატიკის" სახელმძღვანელოს შედგენას სხვა დადებითი მხარეც გააჩნდა. რუსი მოხელეების მიერ მშობლიურ ენაზე სწავლების შეზღუდვის ერთ-ერთი საბაბი ქართულ ენაზე სახელმძღვანელოების სიმწირე იყო.

თ. ჟორდანია სემინარიაში ასწავლიდა შემდგომში ცნობილ მოღვაწეებს: არქიმანდრიტ ლეონიდეს, დავით და ანტონ ეპისკოპოსებს, ნოე ჟორდანიას, თედო სახოკიას, იპოლიტე ვართაგავას, სერგი გორგაძეს, ფილიპე გოგიჩაიშვილს და სხვ. თ. ჟორდანიას შესახებ მისი ნამოწაფარი[23] წერს: "მან

---

[21] კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტი, ფონდი 55, საქმე N185.

[22] გაზ. "ივერია", 1890წ. 29 აგვისტო N85, გვ.1-2.

[23] ვფიქრობ სტატიის ავტორია ცნობილი ქართველი კრიტიკოსი, ლიტერატურათმცოდნე, პედაგოგი ი. ვართაგავა (1872-1967)

თავისი მოსწავლეების ნდობა და სიყვარული დაიმსახურა. გული ერთბაშად გადაუშალა მოსწავლეებს, თავისი კეთილი გრძნობა დაანახა. მოსწავლეები ადვილად დარწმუნდნენ, რომ თურმე შესაძლებელი ყოფილა მასწავლებელიც კარგი კაცი იყვეს, კარგი მეგობარი და კარგი აღმზრდელი... თ. ჟორდანიას სწავლების მეთოდი და სისტემაც ახალი გამოდგა. იშვიათი იქნებოდა ისეთი შეგირდი, რომელსაც მისი გაკვეთილი კლასშივე არ დაესწავლა. გაკვეთილს ყველა სიამოვნებით ელოდნენ... თხზულების წერაში მან სრული თავისუფლება მისცა შეგირდებს... ხდებოდა თხზულების დაცვა და შეგირდი ცდილობდა კარგად შეიარაღებული გამოსულიყო თავისი აზრის დასაცავად... თხზულებების ასე წერამ და გარჩევამ ყურადღება მიიპყრო სემინარიის რექტორის არქიმანდრიტ ჩუდეცკისა და როგორც ვიცით, მის გამო თ. ჟორდანიამ საყვედური მიიღო... იმ დროს სემინარიის ეკლესიაში იმართებოდა კვირა-უქმე დღეობითი მოძღვრება (ე.წ. "собеседование"- ქ.ნ.) სემინარიის ყველა მასწავლებელი ვალდებული იყო ამა თუ იმ თემაზე მოძღვრება წარმოეთქვა. თემები რელიგიურ-ზნეობრივი შინაარსის, ისტორიული ფაქტებისა და ლოგიკურ დასკვნებზე დამყარებული იყო. თ. ჟორდანია, როდესაც გამოდიოდა ხალხით იჭედებოდა ეკლესია და ყველა მოსწავლე ცდილობდა დასწრებოდა, თუ კი ეკლესიაში ადგილს იპოვიდა. არა მარტო შეგირდებისთვის, არამედ ყველა დამსწრეთათვის დიდი პედაგოგიური, ზნეობრივი მნიშვნელობა ჰქონდა თ. ჟორდანიას ფრიად შინაარსიან და მჭერმეტყველურად წარმოთქმულ მოძღვრებას".[24]

ეს ვრცელი ამონარიდი საგანგებოდ მოვიყვანეთ, რადგან 1883-1893 წლებში სემინარიაში ძალიან რთული ვითარება იდგა _ პედაგოგების მიერ მოსწავლეთა დაბეზღება, ადმინისტრაციის მხრიდან მათი ჯგუფური გარიცხვები, ლიტერატურის აკრძალვა. სემინარიელებისათვის დანაშაულს

[24] "ნაშეგირდალი", "თ. ჟორდანია როგორც მასწავლებელი", გაზ. "საქართველო", 1916წ. 29 ღვინობისთვე, N241.

წარმოადგენდა არა მხოლოდ ცენზურის მიერ აკრძალული ლიტერატურის გაცნობა, არამედ მათ არ ჰქონდათ უფლება წაეკითხათ მიმოქცევაში ნებადართული ყველა წიგნი. თვით სემინარიის ბიბლიოთეკაზეც კი კონტროლი იქნა დაწესებული. ასეთ რეჟიმს სტუდენტები პასუხობდნენ ურჩობით, ინდივიდუალური და ჯგუფური პროტესტით, ადმინისტრაციისა და მასწავლებლების შეურაცხყოფით, მასიური გამოსვლებით რაც, როგორც ცნობილია, სემინარიის რექტორის, ჩუდეცკის მკვლელობით დაგვირგვინდა. ბუნებრივია, ამგვარ ვითარებაში თ. ჟორდანიას, როგორც პედაგოგის პოზიცია ფასდაუდებელია. ვფიქრობ, მარტივი ჭეშმარიტებაა – მოსწავლე მასწავლებლის საუკეთესო მსაჯულია.

თ. ჟორდანია მხოლოდ ლექციების კითხვით არ იფარგლებოდა. როგორც უკვე აღნიშნული გვქონდა, იგი აქტიურად თანამშრომლობდა ილ.ჭავჭავაძის “ივერიაში”; “ეგრის” ფსევდონიმით აქვეყნებდა წერილებს ისტორიულ თემებზე. ქვეყნის ისტორიის შესწავლაში ხედავდა ახალი თაობის პატრიოტული სულისკვეთებით აღზრდის საუკეთესო საშუალებას. ქვეყნის ისტორიის გაცნობა კი იმდროინდელი ახალგაზრდობისათვის დიდ ფუფუნებას წარმოადგენდა, ქვეყანაში არსებული კოლონიური რეჟიმის გამო. თუნდაც ქვემოთ გადმოცემული განათლების სისტემის მცირე მიმოხილვიდანაც კარგად ჩანს, რა იდეოლოგიური მნიშვნელობა ჰქონდა თ. ჟორდანიას ასეთ მოქალაქეობრივ პოზიციას.

თ. ჟორდანიას წერილებს მხატვრულობის ელფერი დაკრავს და მათში ჰეროიზმის ნოტები ისმის. ეს გასაგებია, რადგან ავტორის მიზანია ფართო საზოგადოებას გააცნოს და შეაყვაროს სამშობლოს ისტორია. არა მხოლოდ შეაყვაროს, არამედ დაანახოს, რომ ნებისმიერ ადამიანს, განურჩევლად წარმომავლობისა და სოციალური მდგომარეობისა, აქვს უნარი ქვეყნისათვის დიდი საქმეები აკეთოს. ამისათვის შეურიგებლობა და თავგანწირვაა საჭირო. თ. ჟორდანიას კარგად ესმის თავგანწირვის სიძნელე და ამიტომაც განმარტავს

გმირის მნიშვნელობას: “გმირთა შარავანდედით გარემოცული სახელები მთვარე - ვარსკვლავებრ ანათებენ და აცისკროვნებენ იმ ბნელს ცის კამარას, რომელიც ზედ გადაჰკარებია წყვდიადით მოცულს წარსულთა დროთა: “ერი, კაცობრიობა, დიდების ძეგლს უდგამს თავის გმირებს, კურთხევით იხსენიებს მათს სახელსა, მოდგმა მოდგმასა, საუკუნე საუკუნესა გადასცემს იმათს ხსენებას და აი, ამისათვის არიან უკვდავნი ასეთნი გმირნი.”[25]

თ. ჟორდანია ერთნაირი გატაცებით წერს დავით აღმაშენებელსა და თევდორე მღვდელზე, ერეკლე II, დათუკი ქვეშპირიშვილზე, ცოტნე დადიანზე. იგი ერთნაირი რუდუნებით გადმოსცემს იმ ადამიანთა ცხოვრებას, რომელთაც ქვეყნის კეთილდღეობას მოახმარეს და შესწირეს სიცოცხლე. თ. ჟორდანია არ არის ფანტაზიასაყოლილი მწერალი და ზუსტად აღწერს იმ ისტორიულ ფაქტებს, რომელსაც ფლობს ამა თუ იმ საკითხის გადმოცემისას.

წერილში დავით აღმაშენებლის შესახებ, იმდროინდელი მსოფლიოს პოლიტიკური ვითარების ფონზე მკვლევარი აშუქებს დავითის მოღვაწეობას და მას წარმოაჩენს არა მხოლოდ, როგორც საქართველოს ისტორიის მნიშვნელოვან ფიგურას, არამედ მთელი აღმოსავლეთის ქრისტიანული სამყაროს დამცველს. “სიყრმიდანვე სარწმუნოებაში გაზრდილი და ღვთისმეტყველურად განათლებული მეფე აღჭურვილი იყო ქრისტეს და ერის სიყვარულით. ამ ზეციერმა გრძნობამ გასაოცარი ძლიერების სული შთაბერა გოლიათსა მის გვამს საბრძოლველად წინააღმდეგ ქრისტიანობის და ერის მტერის მაჰმადიანთა”.[26]

თ. ჟორდანია, იწყებს რა თხრობას თევდორე მღვდელზე, რომელმაც ლუარსაბ მეფე (1603-1616) ოსმალთა უეცარი თავდასხმის და სიკვდილისაგან გადაარჩინა, წერს: “ერის და მეფისათვის თავის გაწირვა ისეთი იშვიათი და თან

---

[25] “ეგრი”, “მღვდელი თევდორე კველეთელი, ერთი მაგალითი მეფისა და ქვეყნისათვის თავდადების”, “ივერია”, 1887წ. 4 აპრილი, N70, გვ.3-4.

[26] “ეგრი”, “სახსოვრად წმიდისა საქართველოს მეფის დავით აღმაშენებლისა”, “ივერია”, 1886წ. 28/I. N21, გვ. 2-3.

სამაგალითო რამ ღვაწლი არის, რომ კაცობრიობის ისტორიაში თითით ჩამოსათვლელია.” იგი არა მხოლოდ ზნეობრივ შეფასებას აძლევს მღვდლის საქციელს, არამედ მნიშვნელოვან პოლიტიკურ დატვირთვასაც: “მე-XVIII ს. დამდეგს ცოტას გაწყდა საქართველო თათრებმა არ იგდეს ხელში და უსათუოდ დაიმორჩილებდნენ კიდეც, რომ თევდორე კველეთელს თავი არ შეეწირა ქვეყნისათვის”.[27] თ. ჟორდანია გამოთქვამს სინანულს, რომ ეკლესიამ ეს ნეტარი, ღირსი მამა წმინდანად არ შერაცხა.[28]

ცოტნე დადიანისადმი მიძღვნილ წერილში თ. ჟორდანიას აღწერილი აქვს მის მიერ მიგნებული ხობის მონასტერი და ამ მონასტრის სამხრეთის კედელზე მოხატული ფრესკა, წარწერებით. იგი კვლევის შედეგად მიდის დასკვნამდე, რომ ფრესკაზე გამოსახულია ცოტნე დადიანი მშობლებით. წარწერების მიხედვით წარმოდგენილი აქვს XII-XIII ს.ს. დადიანთა ძირითადი შტოს ქრონოლოგიური რიგი. მკვლევარი წერს: “საზოგადოდ დადიანების გვართა შტო ან დაკარგულია, ან მეტად არეულია მე-XIV საუკუნემდე. ჩვენ ვიპოვეთ რამდენიმე წარწერა, რომელთაგან თითქმის დაჭეშმარიტებით აღსდგა უმთავრესი შტო დადიანებისა XII-XIII ს-ს.”.[29] თ. ჟორდანიასთვის ყველაფერი ძვირფასია, რაც კი საქართველოს ისტორიულ წარსულს ეკუთვნის. მას სურს იგივე მკითხველსაც შთააგონოს: “ზემოხსენებული სურათი მეტად საყურადღებო და ძვირფასი უნდა იყოს ყველასათვის, ვინც აფასებს წარსულს და გონივრულის თვალით უყურებს აწმყოს. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ამ ჩვენის ისტორიის მოღვაწეთა სურათებს და სხვათაცა, რომელნიც მრავლად მოიპოვება საქართველოში, ჩვენი საზოგადოება არ დაჰკარგავს.”[30]

---

[27] “ეგრი”, “მღვდელი თევდორე კველეთელი”, “ივერია”, 1887 N70. 12/IV. გვ.3-4.

[28] მართალია ბერი ეგნატაშვილი მიუთითებს, რომ იგი მაშინვე იქნა შერაცხული წმიდანად, მაგრამ ოფიციალურად წმინდანთა სიაში შეტანილი არ იყო. ალბათ ამას გულისხმობს მკვლევარი.

[29] “ეგრი”, “დადიანი ცოტნე და მისი ვინაობა”, “ივერია”, 1891 N248, 21/XI. გვ.1-3.

[30] “ეგრი”, “დადიანი ცოტნე და მისი ვინაობა”, “ივერია”, 1891 N248, 21/XI. გვ.1-3.

თ. ჟორდანიას მიერ საოცარი ექსპრესიით არის გადმოცემული მეფე ერეკლეს შეტაკება აჯი-ჩელებთან (1750წ.) და გლეხის, დათუკი ქვეშპირიშვილის მეფისადმი თავდადება: “ცხენი მოუკლეს მეფეს და დააქვეითეს. გალომებული, შეუმდრკალი ხმალ-ამოწვდილი მეფე მოსდევს ჯარს, თანდათან უკან რჩება, იღლება, მუხლი ეკვეთება. ოსმალ-სპარს-ლეკების პასუხის გამცემი ტყვედ უნდა დარჩეს ვიღაც ჯაბანს, უძლურ ხანსა და “წუნკალ” ლეკებს... მაგრამ ამ დროს “თითქოს ცით ჩამოგზავნილა”, მეფის წინ გაჩნდება დათუკი ქვეშპირიშვილი, ჩამოფრინდება ცხენიდან და მიართმევს მეფეს. ერეკლე გადარჩენილია.”[31]

თ. ჟორდანიას მსოფლმხედველობის განმსაზღვრელი მშობლიური ნიადაგია. მის ნაღვაწს დიდ ზემოქმედებით ძალას ანიჭებს სამშობლოს წარსული ისტორიის, თავისი ხალხის ტრადიციების ცოდნა. მისთვის უცხოა პარტიულობა. მისი ყველაზე მაღალი იდეალი სამშობლოს ინტერესებია, რომლის დასაცავად საკუთარი პროგრამა გააჩნია. იგი წერს: “როდესაც ჩვენს თვალწინ საშინელი ტრაგედია სწარმოებს, ჩვენი ეროვნება იღუპება, მიწა-წყალი ჩვენს მტრებს მიაქვთ და საქართველოს უკეთესი ტერიტორია სხვა სჯულის ხელში გადადის, როდესაც ჩვენს ენას და კულტურას ათასნაირი მახე დაუგეს, ამასაც რომ არ ჯერდებიან და ისტორიულ უფლებასაც გვართმევენ რა დროს პარტიობაა... და დას-დასად დაშლა. ჩვენს ერს მხოლოდ გაერთიანება იხსნის...

დეე, ყოველმა პარტიამ თავისი იდეალი გულში იქონიოს, მაგრამ დღეს ქვეყნის ნამდვილი მოღალატე ის პარტია იქნება, რომელიც ამ საერთო გაჭირვების დროს სრულის ენერგიით და მონდომებით არ გაერთიანდებიან იმ შოვინისტების წინააღმდეგ, რომელთაც მიზნად დაუსახავთ ჩვენის ეროვნების დედამიწიდან წაშლა...

ჩვენ ქართველებს ორიათასი წლის ბრძოლა გაგვივლია... უწინ ხმლით

[31] “ეგრი”, “ხალხის გმირი დათუკი ქვეშპირიშვილი”, “ივერია”, 1886წ. N225, 30/XI. გვ.1-3.

ვიგერიებდით გაკადნიერებულ მოძალადეებს, დღეს სხვაგვარი ბრძოლა გვმართებს - ბრძოლა კულტურული. ჩვენთვის უჩვეულო, ძნელი, მაგრამ ჩვენი სიმართლე გვარგუნებს გამარჯვებას ამ უჩვეულო ბრძოლაში."[32]

თ. ჟორდანია ეროვნული თვითშეგნების, ეროვნული კულტურის შესანარჩუნებლად ერთ-ერთ უპირველეს პირობად ზნე-ჩვეულებების დაცვა-გაფრთხილებას მიიჩნევს და ამბობს: "ერის ზნე-ჩვეულებების დაკარგვა ნიშანია ერის დადგომისა გადაგვარების გზაზე."[33]

თ. ჟორდანია წინააღმდეგი იყო უცხოურიდან საქართველოს სინამდვილისათვის შეუფერებელი საზოგადოებრივი მოვლენების მექანიკურად გადმოტანა-"შემოღებისა". მისი აზრით, "რაღაც გაუგებარი მიზეზის გამო იმ დროს ყველაფერი, რასაც რუსეთის სახელი ეწერა, საქართველოში მოდათ იყო შემოღებული და პატივისცემით მიღებული მაშინდელ საზოგადოებაში. ამის გამო რუსთველის მაღალ კულტურამ, სამწუხაროდ, რამდენადმე ადგილი დაუთმო "სალდათების დაბალ კულტურას".[34]

თ. ჟორდანია დიდ როლს ანიჭებდა კრიტიკას. ეს მით უფრო საინტერესოა, რომ იმდროინდელი სამწერლობო კრიტიკა ჩამორჩენილი იყო. ი. ჭავჭავაძემ საგანგებო წერილი გამოაქვეყნა სათაურით _ "რა მიზეზია რომ კრიტიკა არ გვაქვს?" თ. ჟორდანია უმალ დაინტერესდა ამ საკითხით. იგი წერდა: "იცით რა არის კრიტიკა? კრიტიკა მწერლობისათვის იგივე მარილია, ურომლისოდაც თვით უტკბილესი საზრდო უმწარესად გვეჩვენება... ვაი იმ მწერლობას, რომელსაც ეს გონივრობის აღვირი არ მართავს, რომელსაც ჭკუის

---

[32] კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტი, "როგორი პროგრამა გვჭირია ჩვენ" ფ. 55, საქმე N437.

[33] კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტი, "ნარკვევი ქართველი ხალხის ზნე-ჩვეულებების შესახებ" ფ. 55, საქმე N430

[34] კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტი, "ნარკვევი ქართველი ხალხის ზნე-ჩვეულებების შესახებ" ფ. 55, საქმე N430.

მათრახი არ მოხვედრია.”[35]

თ. ჟორდანიამ 1915 წელს გაზეთში “ახალი ქართლი”[36] დაბეჭდა კრიტიკული წერილი ს. ავალიანის მონოგრაფიაზე "Крестьянский вопрос в Закавказье",[37] სადაც წარმოგვიდგება, როგორც სოციალური ისტორიის საკითხებით დაინტერესებული მკვლევარი.

ს. ავალიანის ნაშრომი 1912 წელს გამოიცა ქ. ოდესაში ოთხ ტომად. აქ განხილულია საგლეხო-რეფორმის მომზადება და გატარება ამიერკავკასიაში. პირველი ტომის დიდი ნაწილი დათმობილი აქვს ქართული ბატონყმური ურთიერთობის განხილვას საქართველოს რუსეთთან შეერთებამდე და XIX ს. რეფორმამდელ ხანაში. შესწავლილია ქართული ბატონყმური სამართალი და მისი წყაროები, გაბატონებული კლასი, გლეხთა კატეგორიები და სხვ.

აღნიშნული მონოგრაფია საბჭოთა ისტორიოგრაფიაში დადებითადაა შეფასებული[38,39] და იმდროინდელ კვლევაში ახალ სიტყვად ითვლება. თ. ჟორდანიამ იგი გააკრიტიკა. ამის მიზეზი უპირველესად იყო ის, რომ მკვლევარმა ბატონყმური ურთიერთობის ავტორისეული ახსნა საქართველოს წარსულის დამცირებად მიიჩნია. მისი აზრით ავალიანი ამტკიცებს, რომ არც ერთ ქვეყანაში არ ყოფილა გლეხკაცის უფლება ისე დაცემული, როგორც ძველ საქართველოში, რუსების გაბატონებამდე. რუსეთის ხელისუფლების დამყარებამ კი ქართველ გლეხს ჯერ შეღავათი მისცა, შემდეგ გაათავისუფლა (იგულისხმება ბატონყმობის გაუქმება - ქ.ნ.).

თ. ჟორდანია აღნიშნულ საკითხს იდეოლოგიური კუთხით მიუდგა და

---

[35] კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტი, “ჩვენ დროინდელი მწერლობის დევ-გმირები” ფ. 55, საქმე N431.

[36] ჟორდანია თ. “მოკლე სიტყვა დიდ საქმეზე”, გაზ. “ახალი ქართლი”, 1915წ. N21, 23, 31, 33, 35, 37, 40, 42, 45, 53.

[37] Авалиани С. “Крестянский вопрос в Закавказье”, 1912წ. ქ.ოდესა, 4 ტომად.

[38] გვრიტიშვილი დ. “ფეოდალური საქართველოს სოციალური ურთიერთობის ისტორიიდან”, 1955წ. გვ.10.

[39] ჯამბურია გ. “ფეოდალური საქართველოს კლასებისა და კლასთა ბრძოლის საკითხები ქართულ ბურჟუაზიულ ისტორიოგრაფიაში”, (მასალები საქართველოსა და ამიერკავკასიის ისტორიისათვის. ნაკ. 35. 1963 წ.). გვ. 191.

მსგავსი აზრები ქვეყნის საზიანოდ მიიჩნია. იგი წერს: “მკითხველ ქართველს ღრმად ჩაესობა გულში წარსულისადმი აღმოუფხვრელი სიძულვილი... სამაგიეროდ წიგნი მეტად გაახარებს იმ გადაგვარებულ ნაწილს უცხო თესლებისას, რომელიც ჩვენმა მწერლობამ მონათლა პურიშ-ტომიშკ-იანცების სახელით. ესენი ხომ სულ იმის ცდაში არიან, რომ ქართველ ეროვნებას ყოველივე ღირსება ჩამოართვან, ეროვნული კულტურაც უარყონ, ველურებად აღიარონ და მთელ განათლებულ ქვეყნებში სათრევლად, სასაცილოდ გაიხადონ.”[40] შემდეგ მსჯელობს ბატონყმობის შესახებ და ასკვნის: “ქართული ბატონყმობა არ იყო რუსული კრეპოსტნიკობა. როგორც უკანასკნელი თითქმის უდრიდა სრულ მონობას, ქართული ბატონყმობა ანუ დამოკიდებულება გლეხებსა და ბატონებს შორის ნება-ყოფლობითი იყო, უფრო ზნეობრივი ოჯახური კავშირი ორსავე მხარისათვის სასარგებლო”.[41]

თ. ჟორდანიას მცდელობა დაამტკიცოს, რომ საქართველოში ისტორიულად ბატონსა და ყმას შორის “მამაშვილური” ურთიერთობა არსებობდა, განპირობებულია იმ მოსაზრებით, რომ ასეთი “თეორია” ხელს შეუწყობდა ქართველი საზოგადოების კონსოლიდაციას.

“თეორია” ქართული ბატონყმობის “მამაშვილური” ურთიერთობის შესახებ არ იყო მხოლოდ თ. ჟორდანიასეული. XIX ს. 80-იან წლებში ქართველმა მოღვაწეებმა წამოაყენეს დებულება, რომ ჩვენი ეროვნული ვინაობის დაცვისათვის აუცილებელია ყველა მიმართულების გაერთიანება. ყველას ვალია, წოდებათა მიუხედავად ერთი დროშის ქვეშ დარაზმვა. ასეთი იდეა ხშირად დაბადებულა სხვა ერებშიც, როცა მათ გარეშე ძალა ემუქრებოდათ.

როდესაც ილია ჭავჭავაძემ საზოგადოებრივ კლასებს მოუწოდა “საერთო ნიადაგზე” თანამშრომლობისაკენ, მას მხარი დაუჭირეს დიდმა ავტორიტეტებმა - აკაკიმ და იაკობ გოგებაშვილმა. საერთო ნიადაგზე

---

[40] ჟორდანია თ. “მოკლე სიტყვა დიდ საქმეზე”, გაზ. “ახალი ქართლი”, 1915წ. N21. გვ. 1.
[41] ჟორდანია თ. “მოკლე სიტყვა დიდ საქმეზე”, გაზ. “ახალი ქართლი”, 1915წ. N23. გვ.1-2.

თანამშრომლობის შესაძლებლობა, რომ უფრო რეალური გაეხადათ, ზოგიერთმა მწერალმა, პუბლიცისტმა, დაიწყო მტკიცება - საქართველოში წოდებათა ბრძოლა არასოდეს ყოფილა და მათ შორის მუდამ მამაშვილური დამოკიდებულება არსებობდაო.

აკადემიკოსი ივ. ჯავახიშვილი, მიუთითებდა რა აღნიშნული "თეორიის" მავნე ხასიათზე, წერდა: "ბევრს ჰგონია, რომ ეს ვითომც და ჩვენი ისტორიის თვისება ჩვენი განსაკუთრებული სათნოებისა და ნიჭის დამამტკიცებელი იყოს. ის კი არ იციან, რომ ევროპულ მეცნიერებს სწორედ ამ წოდებათა შორის ბრძოლით მოაქვს თავი. ისინი ამტკიცებენ, რომ მხოლოდ ინდოევროპელთა ერებს შესწევთ იმდენი ნიჭი და საზოგადოებრივი ცხოვრების უნარი, რომ სოციალური თავისუფლების მოსაპოვებლად წოდებრივი ბრძოლით ესარგებლათო."[42] შემდეგ კი დასძენს: "როგორც ვხედავთ, დიდად საქებარი არ ყოფილა ეს ვითომდა ქართველების თვისება, მამაშვილური განწყობილება წოდებათა შორის."

დ. გვრიტიშვილი თ. ჟორდანიას წერილს უარყოფით შეფასებას აძლევს და წერს: მას სურს ბატონყმობაში სრული ჰარმონია დაინახოს და კლასთა ბრძოლა მიჩქმალოს. მისი გამოკვლევა დღევანდელი თვალსაზრისით არავითარ ღირებულებას არ შეიცავს.[43]

მართალია, თ. ჟორდანია აჭარბებს ბატონყმობის არსის შეფასებაში, მაგრამ იძულებულია ანგარიში გაუწიოს რეალობას და მართებული დასკვნები გააკეთოს. ჩემი აზრით ნაშრომი, "მოკლე სიტყვა დიდ საქმეზე", მდიდარია საბუთებით, დოკუმენტური მასალით, მათი ლოგიკური ანალიზით. აქ მრავალი მართებული აზრია გამოთქმული, რომლებიც გარკვეული კორექტივებით მიღებულია საბჭოთა პერიოდის ისტორიოგრაფიაში, რის ჩვენებასაც შევეცდებით.

---

[42] ჯავახიშვილი ივ. "მამულიშვილობა და მეცნიერება", 1904წ. გვ.1 5-16.

[43] გვრიტიშვილი დ. "ფეოდალური საქართველოს სოციალური ურთიერთობის ისტორიიდან", 1955წ. გვ.13.

თ. ჟორდანია სიგელ-გუჯრების, “ქრონიკებში” გამოქვეყნებული საბუთების და ქართული სამართლის ძეგლების განხილვის საფუძველზე არკვევს გლეხთა კატეგორიებს, მათ გადასახადებს, ქონებასა და უფლებებს.[44]

თავიდანვე გვინდა აღვნიშნოთ, რომ სამეცნიერო ლიტერატურაში აზრთა სხვადასხვაობა არსებობს გლეხთა კლასის წოდებასთან, კატეგორიებთან და ფუნქციებთან დაკავშირებით. ჩვენ შევეხებით მხოლოდ იმ თვალსაზრისებს, რომლებიც კავშირშია თ. ჟორდანიას ნააზრევთან.

მკვლევარი მწარმოებელ კლასს ორ წოდებად ყოფს _ “ყმა” და “გლეხი”. მათ იგი ერთმანეთისაგან ეკონომიკურ-უფლებრივი მდგომარეობით განასხვავებს. გლეხთა წოდების ამგვარი ნიშნით დაყოფა სპეც.ლიტერატურაში მიღებულია, მაგრამ, როდესაც თ. ჟორდანია წერს, რომ “გლეხი” თავისუფალი მწარმოებელია, ეს უკვე არასწორია. მას შემდეგ, რაც საქართველოში ფეოდალიზაციის პროცესი დამთავრდა და გლეხი უკვე მიწაზე მიმაგრდა, მან ეკონომიკური და პირადი თავისუფლება დაკარგა; “გლეხი” მწარმოებელი კლასის აღმნიშვნელ ზოგად ტერმინად გადაიქცა.

თ. ჟორდანია “გლეხში” რამდენიმე კატეგორიას გამოჰყოფს, რომელიც საბჭოთა პერიოდის ლიტერატურაში არსებულ კატეგორიებს ემთხვევა. მკვლევარი მხოლოდ ამით არ კმაყოფილდება და მათ განსაზღვრებებსაც გვაძლევს. თ. ჟორდანიას აზრით “მსახური” საპატიო პირია ბატონის სახლში და მთელი მისი ოჯახი აზატია. მკვლევართა ერთი ნაწილი ამ დებულების მომხრეა და მიაჩნია, რომ მსახური გლეხთა მაღალ წოდებას ეკუთვნის (ალ. ხახანაშვილი, დ. გვრიტიშვილი, ნ. შოშიაშვილი, დ. მეგრელაძე) დ. გვრიტიშვილი წერს: “მსახური უეჭველია გლეხთა კატეგორიაში თავსდება, მაგრამ მისი მოვალეობა შედარებით საპატიოა და ამიტომ მდგომარეობით

[44] აღნიშნული საკითხი ვრცლად გვაქვს განხილული სტატიაში “თ. ჟორდანიას ერთი წერილის გამო”, “მნათობი”, 19.

განსხვავდება.”[45]

თ. ჟორდანია “აზატს”, ანუ “თარხანს”, გადასახადებისაგან თავისუფალ გლეხად მიიჩნევს, რომელსაც მხოლოდ საბატონო სამსახური და ლაშქრობა-ნადირობა აკისრია. ახალ ისტორიოგრაფიაში აზატის ძირითადი დახასიათება ასეთია: საბატონო გადასახადებისგან მთლიანად ან ნაწილობრივ თავისუფალი[46], ევალება საბატონო სამსახური და ლაშქრობა-ნადირობა.[47]

თ. ჟორდანია “ხიზანს” შემდეგ განმარტებას აძლევს: დროებით მოსახლე, სტუმარი (გამოქცეული), რომელიც მუდამ უკან დაბრუნების ფიქრშია. გამოქცევის მიზეზი შიმშილი, მტრის შემოსევა და ჭირიანობაა. თითქმის ასეთივე განსაზღვრებას იძლევიან დღესაც: ხიზანი ერთი ბატონისაგან მეორესთან გაქცეული გლეხია, ბატონის მიწაზე ზის, ღალას უხდის, ყოველდღე უკან წაყვანის მოლოდინშია და ამიტომ მეურნეობას ვერ მისდევს.[48]

თ. ჟორდანია “ყმაში” გამოყოფს რა ორ კატეგორიას _ “მკვიდრი” და “ნაყიდი”, მათ შემდეგნაირ განმარტებებს იძლევა: “მკვიდრი ყმა” თავის მამულზე ზის და მემკვიდრეობით იხდის ბეგარას. მას არ შეუძლია უბატონოდ მიწიდან აყრა. მისი ქონება ბატონისაა, ამიტომ ბატონი გაყიდის, გააჩუქებს, ვალში მისცემს. საინტერესოა დ. გვრიტიშვილის მიერ _ მკვიდრის _ განსაზღვრება: “მკვიდრი” ყმა თაობიდან თაობამდე “ბატონის მიწაზე” იჯდა. მისი და ფეოდალის ურთიერთობა საუკუნეების განმავლობაში განისაზღვრებოდა ე.წ. “ბატონყმობის რიგით”. მაგრამ მას შემდეგ, რაც წარმოიქმნა სათავადო სისტემა, მწარმოებელი კლასის მდგომარეობა ძლიერ

---

[45] გვრიტიშვილი დ. “ფეოდალური საქართველოს სოციალური ურთიერთობის ისტორიიდან”, 1955წ.

[46] გვრიტიშვილი დ. “ნარკვევები საქართველოს ისტორიიდან”, ტ. II. 1965 წ. გვ. 62-63.

[47] აკოფაშვილი გ. “ცვლილებები გლეხთა კატეგორიებში” “საქართველოს ისტ. ნარკვევები”, ტ. IV. თბ. 1973წ. გვ. 554-570

[48] ჯამბურია გ. “გლეხთა კლასი”, საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. IV. 1973წ. გვ.198.

დამძიმდა. დაიწყო ყმის გაყიდვა ბატონისაგან სასურველი ფორმით[49]. "ნაყიდ" ყმას თ. ჟორდანია ყველაზე უუფლებო ყმად მიიჩნევს, ამავე აზრისაა გ. ჯამბურია.[50]

თ. ჟორდანია სწორ განმარტებას იძლევა საგლეხო ფუძის შესახებ, საინტერესო დაკვირვებები აქვს საგლეხო გადასახადებთან დაკავშირებით.

ამგვარი მაგალითების მოყვანა თ. ჟორდანიას ნაშრომიდან მრავლად შეიძლება,[51] მაგრამ ვფიქრობთ საკმარისია. ზემოთ წარმოდგენილი მასალიდან დავინახეთ, რომ მეცნიერი არსებითად სწორად მსჯელობს გლეხთა კლასის შესახებ. ამიტომ ჩვენ ვერ გავიზიარებთ იმ აზრს, თითქოს აღნიშნული ნაშრომი არავითარ მეცნიერულ ღირებულებას არ შეიცავს. გასაგებია, რომ დღევანდელ ისტორიოგრაფიაში მრავალი გამოკვლევა თუ მონოგრაფია არის დაწერილი ბატონყმობის, კერძოდ, გლეხთა კლასის, კატეგორიების, მისი ეტაპობრივი და ეკონომიკური განვითარების შესახებ. ცალ-ცალკეა შესწავლილი XV-XVIII სს კახეთის, ქართლის, დასავლეთ საქართველოს გლეხთა მდგომარეობა. მაგრამ უნდა გავითვალისწინოთ ის ყამირი, რაც იმდროინდელი სოციალური ისტორიის კვლევაში არსებობდა და მაშინ ამ წერილის სრული უგულვებელყოფის უსაფუძვლობაში დავრწმუნდებით.

თ. ჟორდანია 1880 წელს ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების წევრად აირჩიეს. 1886 წელს კი ამავე საზოგადოების საკატალოგო კომისიის წევრად. მან დიდი წვლილი შეიტანა ამ ფონდის შევსება-გამდიდრებაში. 1888 წლის 15 ივლისს საქართველოს საეგზარქოსოს საეკლესიო მუზეუმი გაიხსნა, რომლის გამგედ თ. ჟორდანია დანიშნეს, რადგან მის დაარსებაში აქტიური მონაწილეობა მიიღო. მუზეუმის უშუალო დანიშნულება იყო საქართველოს ეკლესია-მონასტრებში

---

[49] გვრიტიშვილი დ. "ნარკვევები საქართველოს ისტორიიდან". ტ. II. 1965 წ. გვ. 75.

[50] ჯამბურია გ. "გლეხთა კლასი" (გვ.187-203), საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ.IV. 1973წ. გვ. 200.

[51] ამ თემაზე იხილეთ ვრცლად ჩემი სტატია "თ. ჟორდანიას ერთი წერილის გამო", "ცისკარი", 1991 წ. N8.

შემონახული წერილობითი ძეგლების მოძიება, შეკრება, შენახვა და შესწავლა. ილია ჭავჭავაძე მუზეუმის დაარსების შესახებ გაზეთ "ივერიაში" წერდა: "თუ ამ მუზეუმის გამგებელთა საკმარისი გულმოდგინება გამოიჩინეს არ გავა ოთხი-ხუთი წელიწადი, რომ ეს ახლად დაწყებული საქმე არ გაძლიერდეს და ისეთი რამ არ შეიქმნას, რომ სხვისი ყურადღებაც მოიზიდოს, როგორც ნივთთა და ნაწერთა სიმრავლითა, ეგრეც ღირსებითა და გამოსადეგობითა."[52] მართლაც, ეს დაწესებულება ძველი ქართული მწერლობის მდიდარ საგანძურად იქცა. ბუნებრივია, ამ საქმეში მნიშვნელოვანი წვლილი თ. ჟორდანიას ედო. იგი, როგორც ეპარქიული სასწავლო საბჭოს წევრი (1889წ.), სკოლების შემოწმების მიზნით ხშირად მოგზაურობდა საქართველოს სხვადასხვა კუთხეში და ამ საშუალებას იყენებდა, რათა შეეგროვებინა მრავალგვარი ხასიათის ისტორიული საბუთი. მკვლევარი განუმარტავდა ხალხს მათ მნიშვნელობას საქართველოს ისტორიის შესწავლის საქმეში და დახმარებას სთხოვდა. ამ გზით მრავალი საბუთი შეაგროვა. მაგ. მარტო 1901 წელს მუზეუმს 100-ზე მეტი ხელნაწერი გადასცა, რომელთა შორის ერთი პალიმსესტი იყო.[53] აქ მუშაობის პერიოდში მუზეუმში არსებული ხელნაწერები შეისწავლა, ქრონოლოგიურად დაალაგა და აღწერა. მოგვიანებით 1902 წელს გამოაქვეყნა "საეკლესიო მუზეუმის ხელნაწერთა მოკლე აღწერილობა" ორ ტომად, სადაც 800-მდე ხელნაწერია შეტანილი.

თ. ჟორდანია 1889 წელს პედაგოგიური მოღვაწეობისათვის სტანისლავსკის მესამე ხარისხის ორდენით დააჯილდოვეს.[54] იგი აქტიურ მონაწილეობას იღებდა სემინარიის ცხოვრებაში. 1890 წელს დაინიშნა კომისიის თავმჯდომარედ, რომელსაც წესრიგში უნდა მოეყვანა სემინარიის არქივი და დაეწერა თბილისის სასულიერო სემინარიის ისტორია 75 წლის იუბილესთან დაკავშირებით. 1893 წელს შეიყვანეს პედაგოგიურ საბჭოში, რომელსაც

---

[52] ილია ჭავჭავაძე. თხზულებანი, ტ. II. თბ. 1941. გვ. 508.
[53] გაზ. "ივერია", 1901 N60, გვ.1-2.
[54] კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტი. ფ. 55. საქმე N8.

დავალებული ჰქონდა სემინარიის მმართველობა და გამოცდების ჩატარება საეკლესიო-სამრევლო სკოლებში მასწავლებლის უფლების მოსაპოვებლად.

ასეთი აქტიური მოღვაწეობის შემდეგ თითქოსდა გასაკვირი არ უნდა ყოფილიყო, რომ თ. ჟორდანია უწმინდესი სინოდის გადაწყვეტილებით 1896 წელს დანიშნული იქნა გურია-სამეგრელოს ეპარქიის სამრევლო სკოლების მეთვალყურედ. მით უფრო, რომ წმინდა ქართულ ეპარქიებში, საეპარქიო სკოლების მეთვალყურის თანამდებობა (წოდებით "დეისტვიტელნი სტატსკი სოვეტნიკი") ძალაუნებურად ეროვნებით ქართველისთვის უნდა მიეცათ. შესაბამისად, იგი გაათავისუფლეს თბილისის სასულიერო სემინარიის მასწავლებლობიდან და საეკლესიო მუზეუმის გამგის თანამდებობიდან;[55] (თ. ჟორდანიას რეკომენდაციით მუზეუმის გამგის ადგილი ღირსეულმა მემკვიდრემ მოსე ჯანაშვილმა დაიკავა). ვფიქრობ, სწორედ მსჯელობს იპ. ვართაგავა, როდესაც თ. ჟორდანიას დაწინაურებაში ადმინისტრაციის მხრიდან შემდეგ მიზანს ხედავს: "თედო თითქმის ერთადერთი ქართველი იყო მასწავლებლად თბილისის ჯერ კიდევ "დაუმორჩილებელ" და "აუღებელ" სემინარიაში და ისიც თავისი ცოდნით, ავტორიტეტით სხვა მასწავლებლებზე მთელი თავით მაღლა იდგა. უეჭველია, რომ ანაფორიან მოხელეებს განსაკუთრებით არ მოსწონდათ თედოს ნაყოფიერი და თვალსაჩინო მუშაობა ძველი ქართული ისტორიული მასალების შესწავლა-გამოკვლევისა და გამოცემის საქმეში. მათ კარგად გაეგებოდათ, რომ თედოს ამ ხასიათის მოღვაწეობა ხელს უწყობდა ქართველ საზოგადოებაში და ახალგაზრდობაში ეროვნული შეგნების განმტკიცებას, საქართველოს წარსულისადმი სიყვარულს, ძველი ქართული კულტურისადმი პატივისცემას. ეს ანაფორიანი მოხელის თვალში პოლიტიკურად დაუშვებელი იყო; აშკარაა რომ თედო არ უყვარდათ რექტორებს და ეგზარქოსებს; ხედავდნენ, რომ ის დიდ კულტურულ ძალას წარმოადგენდა თბილისში და უნდოდათ ის მოეშორებინათ სემინარიისა და

[55] გაზ. "მწყემსი", 1896წ. N8, გვ.7.

თბილისისათვის, მაგრამ ამას დიდხანს ვერ ახერხებდნენ... თედო სემინარიის დამსახურებული მასწავლებელი იყო... ამნაირად უკეთესი კანდიდატი საეპარქიოს სკოლების მეთვალყურეობისათვის ქართველთა შორის იმ დროს არ მოიპოვებოდა. სასულიერო მთავრობამ ამას ჩასჭიდა ხელი და თედოს ეს ადგილი შესთავაზა. გარეგნულად გამოდიოდა, რომ მთავრობა დამსახურებას და ღირსებას სცემდა პატივს."[56]

განათლების სისტემაში თ. ჟორდანიას მუშაობის პერიოდი საკმაოდ მძიმე ვითარებით გამოირჩეოდა. როდესაც მან მოღვაწეობა პედაგოგიურ ასპარეზზე დაიწყო, სახალხო განათლებას მთელ ამიერკავკასიაში (1878-1899 წ.) სათავეში ედგა კირილე პეტრეს ძე იანოვსკი, ერთი იმ "ვეშაპთაგანი", რომლებიც ხელმძღვანელობდნენ ცარიზმის კოლონიური პოლიტიკის გატარებას საქართველოში. იანოვსკის გეგმა შემდეგი იყო: აქტიურად დაენერგა თვითმპყრობელობის პოლიტიკა სწავლა-განათლების დარგში, რაშიც უპირველესად იგულისხმებოდა სკოლის გადაქცევა ადგილობრივი ერების გადაგვარებისა და გარუსების მძლავრ იარაღად. მისი სურვილი იყო ახალი თაობის სახით ხელისუფლებისათვის მიეცა "გონებით დაკნინებული და სულით დამონებული" მოხელე-ჩინოვნიკი. იანოვსკის მტკიცედ სწამდა, რომ სკოლა უნდა იქნეს რუსული ყოფის დამნერგავი იმპერიის განაპირა ქვეყნებში.[57] ბუნებრივია, ამ მიზნის მისაღწევად აუცილებელი იყო საბოლოოდ განედევნათ სკოლებიდან ქართული ენა. სწორედ ამიტომ, 1881 წელს მიღებული იქნა სასწავლო გეგმა, რომლის მეშვეობითაც საქართველოს სკოლებიდან ქართული განიდევნა და დაწყებით სკოლებშიც კი სწავლება რუსულ ენაზე შემოიღეს. რუსეთის ხელისუფლება უფრო შორს წავიდა. მან მიზნად დაისახა ეროვნული თვითშეგნების დაძაბუნება ქართველი ხალხის

---

[56] ვართაგავა იპ. "თედო (თევდორე) დავითის ძე ჟორდანია", "მოგონებები", ნაწ. პირველი, 1956წ. გვ.150-151.

[57] ხუნდაძე ტ. "ცარიზმის საგანმანათლებლო პოლიტიკა საქართველოში (80-იან წ.)" თბ. 1940წ.

გათიშვითა და მათ შორის შუღლის ჩამოგდებით. მეგრელები და სვანები არაქართველებად გამოაცხადეს. იანოვსკის აქტიურობით 1885 წელს გამოიცა ბრძანება სამეგრელოს სკოლებში ქართული ენის აკრძალვის შესახებ. რუსული ენის სწავლება "მეგრული ენის" საშუალებით დაიწყეს, თითქოსდა მეგრული ენის ინტერესების დასაცავად. 1889 წელს ვათა აშორდიამ რუსული ალფაბეტის საფუძველზე შექმნა "მეგრული ანბანი", ხოლო 1892 წელს ქუთაისის სახალხო სკოლების დირექტორმა, ლევიცკიმ, პეტერბურგელ "მეცნიერ" გრენთან ერთად, მეგრული სკოლებისათვის რუსული ენის სახელმძღვანელო შეადგინა. ეგზარქოსმა სცადა სამეგრელოს ეკლესიებში წირვა-ლოცვის მეგრულ ენაზე შემოღება. სამრევლო სკოლებში დაიწყეს ლოცვებისა და ბიბლიის ცალკეული ადგილების მეგრულად თარგმნა.[58]

მოწინავე საზოგადოება კარგად ხედავდა რუსეთის პოლიტიკის მიზანს, ამიტომ ქართველი ერის წინსვლის, მისი კულტურის შენარჩუნებისა და აღორძინებისათვის ბრძოლაში, რომელსაც სათავეში ილია ჭავჭავაძის მეთაურობით თერგდალეულები ედგნენ, უპირველესი ადგილი ქართული ენის უფლებების დაცვამ დაიკავა.

ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, დიმიტრი ყიფიანი, იაკობ გოგებაშვილი, იონა მეუნარგია და სხვა ცნობილი საზოგადო მოღვაწეები ქართული ენის დასაცავად წერდნენ წერილებს ჟურნალ-გაზეთებში, გამოთქვამდნენ ოფიციალურ პროტესტს არსებული პოლიტიკის წინააღმდეგ. ქუთაისის თავადაზნაურთა საბანკო კრებამ მიიღო გადაწყვეტილება სენაკში გაეხსნათ სათავადაზნაურო სასწავლებლის ფილიალი, რომელიც დაუპირისპირდებოდა სამეგრელოში გაჩაღებულ ანტიქართულ მოძრაობას. 1889 წელს ახალსენაკში გაიმართა სამღვდელოების ყრილობა, რომელმაც მხარი დაუჭირა საერთო ეროვნულ პოზიციას. ამ ბრძოლაში აქტიურად ჩაება ვაჭართა

[58] ხუნდაძე ტ. "ნარკვევები სახალხო განათლების ისტორიიდან საქართველოში (XIXს.)" თბ. 1951წ.

ფენა და გლეხობა.

სამწუხაროდ, ბრძოლა ქართული ენის შენარჩუნებისათვის სამინისტროს სკოლებში მარცხით დამთავრდა. იანოვსკიმ და მისმა კამპანიამ მიზანს მიაღწია. აღნიშნული სკოლებიდან ქართული ენა მთლიანად განდევნილი იქნა.

რუსეთის იმპერიაში სახალხო პირველდაწყებით განათლებას ორი უწყება ხელმძღვანელობდა. სამინისტრო და სინოდი. პირველს ეკუთვნოდა ყველა დაწყებითი სკოლა, ხოლო სინოდს ექვემდებარებოდა სამრევლო-საეკლესიო სკოლები. სამინისტროს სკოლებში ქართული ენის განდევნის გამო ხალხმა საეკლესიო-სამრევლო სკოლებს მიმართა, რადგან აქ საგნები ქართულ ენაზე ისწავლებოდა. ყოველდღიური გაკვეთილების ცხრილში პირველი საათი საღვთო სჯულს ჰქონდა დათმობილი, მეორე და მესამე დედა-ენას, მეოთხე რუსულს, მეხუთე არითმეტიკასა და გალობას. ამან XIX ს მე-2 ნახევრიდან სამრევლო სკოლების ზრდა გამოიწვია. 1886 წელს შემოწმების შედეგად ლევიცკი დასკვნაში წერდა: "თუ სამრევლო-საეკლესიო სკოლების მიზანია ხალხში ქართული ენისა და ზნეობრივ-სარწმუნოებრივი ჭეშმარიტების გავრცელება მიზანს ისინი აღწევენ"..., მაგრამ "არ არის არავითარი მონაცემი იმის სავარაუდოთ, რომ სამრევლო-საეკლესიო სკოლა ადგილობრივ მოსახლეობაში რუსულ ენას და რუსულ მოქალაქეობრიობას გაავრცელებს. ამიტომ მკვიდრი მოსახლეობის რუსებთან სახელმწიფოებრივი გაერთიანების თვალსაზრისით უმართებულო და საზიანო იქნება, თუ საზოგადოებათა სკოლა 1881 წლის და მომდევნო წლების ადგილობრივ ინტელიგენციასთან ბრძოლის შემდეგ, იძულებული გახდება თავისი ადგილი საეკლესიო-სამრევლო სკოლებს დაუთმოს."[59] როგორც კი იანოვსკი-ლევიცკის ადმინისტრაციამ სამრევლო სკოლებში მათ მიერ წარმოებული რუსიფიკატორული პოლიტიკის საწინააღმდეგო ძალა დაინახა, გააფთრებული

[59] ხუნდაძე ტ. "ცარიზმის საგანმანათლებლო პოლიტიკა საქართველოში (80-იან წწ.)" თბ. 1940წ. გვ.64, 68.

ბრძოლა დაიწყო, რასაც მხარს უჭერდა ქუთაისის სამხედრო გუბერნატორი.

თ. ჟორდანია, ბუნებრივია, ამგვარი მოვლენებისადმი გულგრილი ვერ დარჩებოდა, მით უფრო, რომ სამსახურეობრივი მოვალეობიდან გამომდინარე, იგი განათლების სისტემაში მიმდინარე პროცესების უშუალო მონაწილე იყო. მას, როგორც სახელმწიფო მოხელეს, არსებულ ბრძოლაში მეტად არასახარბიელო ვითარება უნდა შექმნოდა. ერთი მხრივ, როგორც ოფიციალურ პირს, ბრძანებების შესრულება ევალებოდა, მეორე მხრივ კი, როგორც პატრიოტ ქართველს, პიროვნული ვალდებულებები გააჩნდა სამშობლოს წინაშე. თ. ჟორდანიას მოქალაქეობრივი პოზიცია მტკიცე აღმოჩნდა. მან გადაწყვიტა თავისი მდგომარეობით ესარგებლა და ქართული ენის დაცვის საქმეში გარკვეული წვლილი შეეტანა. ეს კი არაპირდაპირ იანოვსკის წინააღმდეგ გალაშქრებას ნიშნავდა.

როგორც ზემოთ გვქონდა აღნიშნული, 1882 წელს, თ. ჟორდანიას სასწავლო პროექტის საფუძველზე ყველა სასულიერო სასწავლებელში შეიქმნა ქართული ენის კათედრა, რისი მეშვეობითაც მშობლიური ენის სწავლების მნიშვნელობა გაიზარდა, ხოლო 1885 წელს თბილისის სასულიერო სემინარიაში დააარსა ქართული ენისა და ქართული ეკლესიის ისტორიის კათედრა. ამის მიღწევა საკმაოდ რთული და მნიშვნელოვანი მოვლენა გახლდათ, რადგან სამინისტროს სისტემის სასწავლებელში იგივე უფლებების მოპოვებისათვის თბილისის გუბერნიის თავადაზნაურობის კრებამ იშუამდგომლა მთავრობის წინაშე, მაგრამ უშედეგოდ.[60] თ. ჟორდანია 1894 წელს დაინიშნა კომისიის წევრად, რომელსაც საეკლესიო-სამრევლო სკოლებისათვის უნდა შეემუშავებინა სასწავლო პროგრამები.[61] თ. ჟორდანიამ შეადგინა სასწავლო გეგმა, რომელშიც ქართულ ენას თითოეულ განყოფილებაში დათმობილი ჰქონდა 12 გაკვეთილი, რუსულ ენას _ 6. მისი

[60] გაზ. “დროება”, 1882 N1, გვ. 2.
[61] ЦГА г.Кутаиси, ф.21. д.№24124

მონდომებით სინოდმა აღნიშნული გეგმა დაამტკიცა. შესაბამისად ეს სასწავლო გეგმა სამეგრელოს რეგიონზეც გავრცელდა. 1897 წელს ლევიცკიმ ობერპროკურორის სახელზე "დაბეზღება" დაწერა, სადაც ჩიოდა, რომ სამეგრელოში სამრევლო სკოლები და ადგილობრივი სამღვდელოება ხალხს აქართველებსო. ობერპროკურორმა შეკითხვა გაუგზავნა საქართველოს ეგზარქოსს. ბუნებრივია, ეგზარქოსმა პასუხი გურია-სამეგრელოს სამრევლო სკოლების მეთვალყურეს, თ. ჟორდანიას მოსთხოვა. პროფესიონალურად შედგენილმა ახსნა-განმარტებითმა ბარათმა, სადაც დაცული იქნა ბრალდებული მხარის ინტერესები, ბიძგი მისცა ლევიცკის თანამდებობიდან განთავისუფლებას.[62] 1898 წელს, რუსი მოხელის შემიაკინის წინადადებით, მთავრობამ ქართული ენის გაკვეთილები რუსული ენის გაკვეთილებს გაუთანაბრა. თ. ჟორდანიამ დახმარებისათვის სამღვდელოებას მიმართა, ჩატარდა კრება, სადაც წარადგინა "დოკლადი" მოთხოვნით სამრევლო სკოლებში შეენარჩუნებინათ 1894 წლის სასწავლო გეგმა. მღვდლებმა ამ დოკუმენტს ხელი მოაწერეს, ჯერ ეპისკოპოსთან გააგზავნეს, შემდეგ თბილისში, მთავარ სასწავლო საბჭოში. სამწუხაროდ წარუმატებლად, რადგან ამ საქმეს ქართველმა მაღალჩინოსანმა მოხელეებმა მხარი არ დაუჭირეს.

1902 წელს შემუშავდა ახალი სასწავლო გეგმა, რომლის მიხედვითაც სამრევლო სკოლები კატეგორიებად დაიყო. პირველი კატეგორიის სკოლებში ქართული ენის გაკვეთილებს 18 სთ. დაეთმო, ხოლო მეორე კატეგორიაში არაქართული სკოლები შევიდა და შესაბამისად ქართულ ენას არ ასწავლიდნენ. ფოთის საბჭოს მიერ მთავრობისადმი გაგზავნილ სიებში სამეგრელოს რეგიონი მეორე კატეგორიაში აღმოჩნდა. ამ ფაქტს წინ აღუდგა გურია-სამეგრელოს საეპარქიო საბჭო და სამეგრელოს მთელი მოსახლეობა. საეპარქიო-სამრევლო სკოლების მეთვალყურე თ.ჟორდანია პირადად შევიდა თხოვნით ეგზარქოსთან. სამეგრელოს სკოლებში ქართულ ენაზე სწავლების

[62] ჟორდანია თ. "ქართული ენისათვის ბრძოლა 1882-1910წ." ქუთაისი, 1913წ.

დაცვის საკითხს მიეძღვნა ამ რეგიონის სამღვდელოების კრება.[63] საერთო მონდომების შედეგად სამეგრელოს სკოლები ქართლ-კახეთ-იმერეთის სკოლების სიაში ჩარიცხეს,[64] რითაც იქ შენარჩუნებული იქნა ქართული ენის სწავლება.

თ. ჟორდანია დიდ მზრუნველობას იჩენდა განსაკუთრებულ სიღარიბეში მყოფი მოსწავლეების მიმართ. იგი მატერიალური თანადგომისათვის თხოვნით მიმართავდა სხვადასხვა საზოგადოებას, რათა მათთვის სასწავლო ნივთები და წიგნები შეეძინა.[65] თავად უცხოეთში მცხოვრებ სტუდენტებს შეძლებისდაგვარად უსასყიდლოდ უგზავნიდა ქართულ წიგნებს. იმდროინდელ პრესაში მრავალი წერილია დაბეჭდილი, სადაც სტუდენტები და ორგანიზაციები უშურველი დახმარებისათვის მას მადლობას უხდიან.[66] იგი რუსეთში მყოფ სტუდენტებს სამეცნიერო მუშაობაშიც ეხმარებოდა. მის პირად არქივში ინახება პეტერბურგიდან და კიევიდან გამოგზავნილი წერილები. ისინი დახმარებას სთხოვენ საკანდიდატო დისერტაციის დამუშავებაში.[67] შემდგომში ცნობილი მეცნიერი კ. კეკელიძე თ. ჟორდანიას წერს: "უაღრეს მადლობას გიძღვნით, რომ ჩემი თხოვნა უყურადღებოთ არ დასტოვეთ და შესაფერი რჩევა-პასუხი მიბოძეთ. თქვენ მიერ დასახელებული თემები გავასინჯე საეკლესიო ისტორიის პროფესორს და ზოგიერთი მათგანი მომიწონა. თქვენი მეორეჯერ შეწუხება არ მინდოდა, მაგრამ ჩვენში არ მეგულება სხვა ვინმე, რომელიც ჩვენი საეკლესიო ხელთ-ნაწერების ხასიათს ისე იცნობდეს, როგორც თქვენ..."[68]

თ. ჟორდანია აგრეთვე თანამშრომლობდა რუსეთში მოღვაწე

---

[63] გაზ. "ივერია", 1905წ. 21 ივლისი N123, გვ.4.

[64] ჟორდანია თ. "ქართული ენისათვის ბრძოლა 1982-1910წ." ქუთაისი, 1913წ.

[65] გაზ. "ცნობის ფურცელი", 1897წ. 29 ნოემბერი. N385. გვ2.

[66] გაზ. "ივერია", 1891 8/I. N5. გვ.3. "ცნობის ფურცელი" 1897წ. 11/I. N81. გვ.2 "ივერია" 1896წ. N71, გვ.4. 2/IV. "ივერია", 1898წ. 5/XI. N234. გვ.4

[67] კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტი, ფონდი 55, საქმე N618, 555, 666.

[68] კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტი ფონდი 55, საქმე N592. კ. კეკელიძის წერილი თ. ჟორდანიასადმი.

მეცნიერებთან: მ. საბინინთან, ნ. მართან, მ. ბროსესთან, ეპ. კ. საძაგლიშვილთან. მათთვის საჭირო ქართულ მასალებს აგროვებდა და უგზავნიდა იქ.[69] იგი დიდი პატივისცემით იყო გამსჭვალული ამ ცნობილი მეცნიერების მიმართ, რომელთაც საქართველოს ისტორიის კვლევასა და პოპულარიზაციაში მნიშვნელოვანი როლი ეკისრათ. თ. ჟორდანია თავის ერთ-ერთ საჯარო გამოსვლაში ამბობდა: "მ. ბროსე წარმოდგა ჩემს წინ როგორც გოლიათი, ბუმბერაზი ისტორია-არქეოლოგიისა, რომელმაც ბოლო მოუღო ურწმუნოებას. ეს საოცარი ბუნებრივი ნიჭის პატრონი რა ხალისით, რა თავდადებული შრომით, რა მეცნიერების იარაღებით აღჭურვილა კრიტიკულად გასასინჯად მთელი ჩვენი მატიანეებისა...",[70] ხოლო ნ. მარისადმი მიწერილ წერილში სიხარულსა და მზადყოფნას გამოთქვამს ცნობილი მეცნიერის მიერ შემოთავაზებულ თანამშრომლობაზე.[71]

მიუხედავად უაღრესად დიდი პატივისცემისა, მოგვიანებით მან მკაცრი დამოკიდებულება გამოამჟღავნა ნ. მარისეული კონცეფციის წინააღმდეგ, რადგან, როდესაც საქმე ქართულ ინტერესებს ეხებოდა მისთვის ავტორიტეტები არ არსებობდა. მას მიაჩნდა, რომ "რამდენადაც მეტი სახელი აქვს მეცნიერს მოხვეჭილი... იმდენად უფრო საშიშარი მტერია იგი ჩვენის საისტორიო მეცნიერებისა, რადგან "დიდს მეცნიერს" დიდი გავლენა აქვს ევროპის სამეცნიერო ბაზარში, მისი წყაროებით აღივსება ევროპის საისტორიო მეცნიერება, ფეხს გადადგამს, დამკვიდრდება და მერე ჩვენს წარსულზე სიმართლის აღდგენა გვიანღა იქნება. დიაღ, კრიტიკა საჭიროა, შეუპოვარი და მიუდგომელი."[72]

თ. ჟორდანია ხშირად ესწრებოდა სოფლებში კლასიდან კლასში გადასასვლელ გამოცდებს, რათა შეემოწმებინა მოსწავლის ცოდნა და აქედან

---

[69] კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტი, ფონდი 55, საქმე N597, 504, 505, 506, 507, 513, 536, 535, 596 და სხვ.

[70] კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტი, ფონდი 55, საქმე N560 (უბის წიგნაკი)

[71] კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტი, ფონდი 55, საქმე N504.

[72] კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტი, ფონდი 55, საქმე N560 (უბის წიგნაკი)

გამომდინარე შეეფასებინა სწავლების საერთო დონე. გაზ. “ივერია” საგანგებოდ აღნიშნავდა: “ეგზამენებს ესწრებოდა გურია-სამეგრელოს სამრევლო სკოლების მეთვალყურე ბ-ონი ჟორდანია. სასიამოვნო და სასიხარულო აქ ის არის, რომ სკოლები ჩვენში საკმაოდ ვრცელდება და ბავშვები უსწავლელები არ რჩებიან.”[73]

გურია-სამეგრელოსა და იმერეთის საეპარქიო სკოლების მოსწავლეებისათვის ზაფხულობით ქ.ქუთაისში ეწყობოდა ცოდნის ამაღლების კურსები, რომლის ინიციატორი და აქტიური მონაწილე თ. ჟორდანია იყო, რისთვისაც იმერეთის ეპისკოპოსმა ბესარიონმა 1897 წელს მას მადლობა გამოუცხადა.[74]

თ. ჟორდანია ქართულ სასულიერო წრეებში დიდი ნდობითა და პატივისცემით სარგებლობდა. ამის საუკეთესო მაგალითია შემდეგი ფაქტი: ქართულ სასულიერო საზოგადოებას სურვილი ჰქონდა სანკტ-პეტერბურგის სასულიერო აკადემიაში დაარსებულიყო ქართული ეკლესიის ისტორიის კათედრა. თ. ჟორდანიას პირად ფონდში ინახება გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსის, ალექსანდრეს, იმერეთის ეპისკოპოსის, ბესარიონის, გურიის ეპისკოპოსის, ლეონიდეს და ალავერდის ეპისკოპოსის კირიონის[75] 1900 წლით დათარიღებული მოხსენებითი ბარათი საქართველოს ეგზარქოსის _ ფლავიანეს სახელზე. ისინი ქართული ეკლესიის დამსახურების საფუძველზე ითხოვენ შუამდგომლობა აღიძრას უწმინდესი სინოდის წინაშე, რათა სანკტ-პეტერბურგის სასულიერო აკადემიასთან დააარსონ ქართული ეკლესიის ისტორიის კათედრა. ბარათში წერია: “კათედრის ხელმძღვანელად მიგვაჩნია დავნიშნოთ ლაზარევის ინსტიტუტის პროფესორი ა.ს. ხახანაშვილი, ცნობილი მოღვაწე, რომელიც დიდად ცნობილია სამეცნიერო წრეებში, ან

[73] “ივერია”, 1906 წ. N136. გვ.2.
[74] ЦГА г.Кутаиси, ф.21. дело №24124
[75] ეპისკ. ლეონიდე - კათალიკოს-პატრიარქი 1918-1921 წ. ეპისკ. კირიონი – კათალიკოს-პატრიარქი 1917-1918წ.

ღვთისმეტყველების კანდიდატი თ. ჟორდანია, რომელმაც თავისი მრავალი, საკმაოდ ფასეული კვლევები ჩაატარა საქართველოს საეკლესიო ისტორიაში. ასე რომ ახალ ამპლუაში იგი აუცილებლად აღმოჩნდება შესაფერ ადგილზე და თამამად შეიძლება ითქვას, რომ მისი მუშაობა კეთილ ნაყოფს გამოიღებს."[76] კათედრის გახსნას განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა, რაც კარგად ჩანს აღნიშნული ბარათიდან: "კათედრის გახსნა აუცილებელია, რადგან უკვე დიდი ხანია მიდის დამუშავება სამხრეთ-დასავლეთის საეკლესიო ისტორიის შესწავლისა (სლავები, ბულგარელები, სერბები და სხვ.). ქართულს კი, რომელსაც ამხელა როლი ეკუთვნის მართლმადიდებელ რწმენაში, არავითარი ადგილი არა აქვს გამოყოფილი." მოგვიანებით რუსეთში ყოფნის დროს, ეპისკოპოსმა კირიონმა დიდი ძალისხმევის შედეგად მიზანს მიაღწია და 1904 წელს კათედრა გაიხსნა.

თ. ჟორდანია 1904 წელს წმინდა სინოდის ბრძანებით იმერეთის ეპარქიის სამრევლო სკოლების ზედამხედველად გადაიყვანეს. 1905 წ. იგი დაინიშნა კომისიის თავმჯდომარედ, რომელსაც დაევალა საეგზარქოსოს სკოლების გარდაქმნისათვის ახალი პროექტის შემუშავება. თ. ჟორდანიამ წარადგინა გეგმა, რომლის მიხედვითაც იმერეთის სამრევლო სკოლებში მშობლიური ენა სრული პროგრამით ისწავლებოდა. სვანეთის სკოლებში აღდგენილი იქნა ქართული ენის სწავლება (გააუქმეს 1903წ.).[77]

საინტერესოა, როგორ აფასებს ერთ-ერთი სკოლის წინამძღვარი, მღვდელი ბ.ვაშაძე მის მოღვაწეობას ამ თანამდებობაზე: "იმერეთში განსვენებულს თავისი მადლიანი და ბრძნული სიტყვით და მოქმედებით მრავალი ნაყოფიერი თესლი უთესია ქრისტეს ყანაში."[78] ხოლო ოზურგეთელი ა. წულაძე იქაური საზოგადოების სახელით წერს: "გურიის დედაქალაქი ოზურგეთი, უმადლის განსვენებულს, რომ მისი მასწავლებლობის დროს

[76] კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტი, ფონდი 55, საქმე N169.
[77] ჟორდანია თ. "ქართული ენისათვის ბრძოლა 1882-1910წ." ქუთაისი 1913წ.
[78] გაზ. "საქართველო", 30/X. 1916წ.

აღიზარდნენ გურიის საუკეთესო შვილები. თევდორეს სამრევლო სკოლების მეთვალყურეობის დროს გურიაში გაიხსნა სამრევლო სკოლები და ისე გამრავლდნენ, რომ დღეს გურიაში წერა-კითხვის უცოდინარი აღარავინ რჩება."[79]

1905 წელს რუსულ უმაღლეს სასულიერო წრეებში მომწიფდა საკითხი სახელმწიფო-ბიუროკრატიული მორჩილებისაგან ეკლესიის გათავისუფლების შესახებ. (1722 წელს იმპ. პეტრე I გააუქმა პატრიარქის თანამდებობა, ეკლესიის მმართველად სინოდი დაადგინა, რითაც სახელმწიფო მმართველობას დაუქვემდებარა და მის ერთ-ერთ უწყებად აქცია), რუსეთის უწმინდესმა სინოდმა იმპ. ნიკოლოზ II წარუდგინა მოხსენება (1905 წ. მარტში), სადაც მოითხოვდა საეკლესიო რეფორმას, რომლის უპირველეს ეტაპს პატრიარქობის აღდგენა წარმოადგენდა. ეს საკითხი რუსეთის საეკლესიო კრებაზე უნდა განეხილათ. ამავე კრებაზე განიხილავდნენ რუსეთის იმპერიაში შემავალი ერების ეკლესიების მმართველობის სტრუქტურასაც. ეს მოვლენა საქართველოს საზოგადოებამ უყურადღებოდ არ დატოვა და მსოფლიოს ერთ-ერთმა უძველესმა, ავტოკეფალიობის საუკუნეების ტრადიციის მქონე ეკლესიამ ოფიციალურად მოითხოვა უკანონოდ გაუქმებული კათალიკოს-პატრიარქის ტიტულისა და საეკლესიო ავტოკეფალიის აღდგენა.[80] საქართველოს საეპარქიოებმა შეადგინეს პეტიციები და სახელმწიფო მინისტრთა კომიტეტში და უწმინდეს სინოდში დააგზავნეს. ქართველ სამღვდელოებას აქტიურად დაუჭირა მხარი საქართველოში არსებულმა თითქმის ყველა პატრიოტულმა ძალამ. საერთო მონდომების შედეგად ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის საკითხის განხილვა გადაწყდა რუსეთის უწმინდეს სინოდთან შექმნილი საგანგებო კომისიის და რუსეთის ეკლესიის კრების წინა სათათბირო სხდომებზე. აქ ქართული ეკლესიის ღირსებას და

---

[79] გაზ. "საქართველო", 28/X. 1916წ.

[80] ქოქრაშვილი ხ. "ზოგიერთი ეპიზოდი ავტოკეფალური მოძრაობის ისტორიისათვის", ჟურნ. "საქართველოს საპატრიარქო", თბ. 1999 წ. N1, გვ. 18-27

უფლებებს იცავდნენ ცნობილი ქართველი სასულიერო პირები და მეცნიერები, ეპისკოპოსები: კირიონი და ლეონიდე. ალ. ცაგარელი, ნ. მარი, ალ. ხახანაშვილი, ნ. დურნოვო. რადგან რუსეთის სამღვდელოება თვითონ იბრძვის რუსული ეკლესიისათვის სახელმწიფოსაგან დამოუკიდებლობის მოპოვებისათვის, რუსი მღვდელმთავრების გარკვეული ნაწილი (მიტროპოლიტი ვლადიმირი, მთავარეპისკოპოსი ანტონი) მხარს უჭერს ქართული ეკლესიის მოთხოვნას.

რუსი სამღვდელოებისა და მეცნიერების დიდ ნაწილს კი არაკანონიერად მიაჩნდა ქართველების მოთხოვნა და ცდილობდნენ დაემტკიცებინათ, რომ ქართული ეკლესია არასოდეს ყოფილა დამოუკიდებელი, ის იერარქიულად ყოველთვის ემორჩილებოდა სხვა საპატრიარქოს. ამ საქმეში განსაკუთრებით აქტიურობდნენ დეკანოზები ბუტკევიჩი და ვოსტროგოვი. ამ უკანასკნელმა საერთოდ საეგზარქოსოს გაუქმების[81] იდეა წამოაყენა. თბილისში აღნიშნულ იდეას მხარი დაუჭირა სასულიერო სემინარიის რექტორმა, არქიმანდრიტმა ნიკანდრმა. მან დაბეჭდა სტატია, სადაც შეეცადა "მეცნიერულად" დაესაბუთებინა საქართველოს მოთხოვნის უკანონობა.

ქართულ და რუსულ პერიოდიკაში გამოქვეყნდა საკითხისადმი მიძღვნილი მრავალი წერილი, წიგნი, ბროშურა. ავტორთა შორის იყვნენ ცნობილი მეცნიერები, საეკლესიო თუ საზოგადო მოღვაწეები. ერთი სიტყვით, ეს საკითხი იმდროინდელი საზოგადოების განხილვის საგნად იქცა.

ბუნებრივია, თ. ჟორდანიას ინტერესის მიღმა ვერ დარჩებოდა ასეთი მოვლენა, მით უფრო, რომ იგი ატარებდა ღვთისმეტყველების კანდიდატის ხარისხს და იყო იმერეთის საეკლესიო სკოლების მეთვალყურე. მას დაწერილი აქვს მოხსენება, როგორც თვითონ აღნიშნავს, «воисполнение официального

[81] როგორც ცნობილია რუსეთმა საქართველოს დაპყრობის შემდეგ (1801წ) გააუქმა საქართველოს ეკლესიის დამოუკიდებლობა (ავტოკეფალია) და კათოლიკოს-პატრიარქის თანამდებობა. (აღმოსავლეთ საქართველოში 1811წ. დასავლეთ საქართველოში 1814წ.) ქართული ეკლესია რუსეთის სინოდის საეგზარქოსოდ გადაკეთდა.

порученія»,[82] იმერეთის ეპისკ. ლეონიდეს დავალებით, რომელიც ეძღვნება ივერიის ეკლესიის ძველ ტრადიციებსა და კანონების საფუძველზე საეკლესიო მმართველობის აღდგენას. სწორედ ამ მოხსენებაში დიდი ადგილი უკავია ქართლის ეკლესიის ავტოკეფალიის მოპოვების საკითხს. მოგვიანებით თ. ჟორდანიამ აღნიშნული მოხსენება გადაამუშავა და ცალკე წიგნად გამოსცა «краткія историческія сведенія об автокефалии Грузинской церкви», სადაც მკაცრად არის გაკრიტიკებული არქიმანდრიტი ნიკანდრი და მეცნიერულად, წყაროებზე დაყრდნობით დასაბუთებულია საქართველოს მოთხოვნის კანონიერება.

1907 წელს ექ. თაყაიშვილის თაოსნობით დაარსდა საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფო საზოგადოება, რომლის ნამდვილ წევრად აირჩიეს თ. ჟორდანია.[83] ამ საზოგადოებამ თავისი მრავალმხრივი სამეცნიერო-კულტურული საქმიანობით ღრმა კვალი დაამჩნია ქართველი ხალხის სულიერ ცხოვრებას.

1909 წელს თ. ჟორდანია მიემგზავრება მოსკოვსა და პეტერბურგში, სადაც შეხვდა თავის ყოფილ პედაგოგს ვ.ო. კლუჩევსკის, ცნობილ მოღვაწეებს ალ.ხახანაშვილს, ალ. სუმბათაშვილს, ევგ. გოლუბოვსკის, მეფე გიორგი XII შვილიშვილს _ ოლგა ილიას ასულ გრუზინსკაიას და სხვებს.

1911 წელს თ. ჟორდანია იმერეთის საეპარქიო სკოლების ზედამხედველის თანამდებობიდან ავადმყოფობის მიზეზით გადადგა.[84] მას ეგზარქოსმა პიტირიმ ეპისკოპოსობა შესთავაზა, რაზეც უარი განაცხადა. იგი დასახლდა ქ. გორში, შემდეგ კი სოფ. კასპში. მისი სურვილი იყო მთელი დრო სამეცნიერო მოღვაწეობისათვის დაეთმო. მართლაც, იგი დიდი თავდადებით შეუდგა მუშაობას. დაიწყო შრომის _ “მატიანეების კრიტიკული გარჩევა” _

---

[82] Жордания Т. “Краткія историческія сведенія об автокефалии Грузинской церкви” ქუთაისი, 1905წ. გვ.5.
[83] კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტი, ფონდი 55, საქმე N175.
[84] კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტი, ფონდი 55, საქმე N17.

გამოსაცემად მომზადება, სურდა დაეწერა XIV-XVI საუკუნეების საქართველოს ისტორიის შესახებ გამოკვლევა და სხვა. სამწუხაროდ დაწყებული საქმე ბოლომდე ვერ მიიყვანა.[85] იგი გარდაიცვალა 1916 წელს, მძიმე ავადმყოფობის შედეგად.

თევდორე ჟორდანია ამ ქვეყნიდან გულნატკენი წავიდა. მის სულიერ მდგომარეობას კარგად ასახავს არქივში შემორჩენილი პატარა ჩანაწერი, რომელსაც ჰქვია "ჩემი ცხოვრება წინაპართა სიყვარული".[86] იგი წერს: "ჩემი ცხოვრების თავში ორი გზა დამხვდა. გზა ამ ქვეყნის დიდების, ფუფუნების და გზა ვიწრო ტანჯვა-შრომა ვაებისა. წინაპრების საფლავებისაკენ მიმყვანი. არ ვინდომე პირველი გზა, უკანასკნელს დავადექი – მიხაროდა! ეკლებით დაჩხვლეტილი ცრემლიანსა – მიხაროდა! დამცირებულს, დანერწყვილსა – მიხაროდა! რადგან ეს გზა იყო მამა-პაპათა!!" ამ ამონარიდიდან ჩანს, რომ მეცნიერი მიუხედავად დიდი ტკივილისა განვლილი გზის ერთგული რჩება. ტკივილი კი ძლიერი იყო. იგი სერგი გორგაძეს წერს: "ნუ დამივიწყებ ჩემო სერგი: ამ ავკაცობის დროს დიდად ვნუგეშობ ამოდენა კაცუნებში თქვენისთანა კაცებს თვალს, რომ მოვკრავ."[87]

თ. ჟორდანიას ბრალი დასდეს იმ პოლიტიკის აქტიურად განხორციელებაში, რომელიც მიზნად ისახავდა სამეგრელოს სკოლებიდან ქართული ენის განდევნას, რასაც, როგორც ზემოთ დავინახეთ, მთელი თავისი შეგნებით ებრძოდა. სოციალისტ-ფედერალისტური პარტიის ერთ-ერთმა დამაარსებელმა და ლიდერმა, პუბლიცისტმა სამსონ ფირცხალავამ, პარტიის ორგანოში, გაზეთში "ცნობის ფურცელი" _ დაბეჭდა ფელეტონი, სადაც აღნიშნული ბრალდება იქნა წაყენებული.[88,89] იგი ლამის სამშობლოს

---

[85] კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტი, ფონდი 55, საქმე N201.

[86] კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტი, ფონდი 55, საქმე N365.

[87] აბაშიძე ზ. "მეცნიერთა და საზოგადო მოღვაწეთა წერილები სერგი გორგაძისადმი" ჟ. "საისტორიო მოამბე" N55-56. თბ. 1987წ.

[88] "კალამი" (სამსონ ფირცხალავას ფსევდონიმი) "ბ. ჟორდანია საკუთარი თავის წინაშე", "ცნობის ფურცელი", 1905. 15/II. N2744, გვ.2.

მოღალატედ გამოცხადდა. როგორც ხშირად ხდება ხოლმე, თ. ჟორდანიას მოღვაწეობა მის თანამედროვეთა მიერ სხვადასხვანაირად შეფასდა; ბევრი დაუმსახურებელი საყვედური აკადრეს.

თ.ჟორდანიას არც ერთი ბრალდება უპასუხოდ არ დაუტოვებია. მას აკრიტიკებდნენ არა მხოლოდ, როგორც მოხელეს ("დეისტვიტელნი სტატსკი სოვეტნიკი"), არამედ როგორც მეცნიერს. მრავალი ეჭვი და შეურაცხმყოფელი აზრი გამოითქვა თვით "ქრონიკების" მიმართაც, რომლის მნიშვნელობა დღეს საქართველოს ისტორიის კვლევაში საყოველთაოდ აღიარებულია. განსაკუთრებით ებრძოდა გაზ. "კვალი" "მესამე დასის" ლიდერის, გ. წერეთლის, რედაქტორობით. თითქმის ყველა მის ნაშრომს უარყოფითად აფასებდა. თ. ჟორდანიას დამცველი და შემფარებელი ილია ჭავჭავაძის "ივერია" იყო. "იყო კაცი, რომელსაც ესმოდა თედო ჟორდანიას გულისძგერა, იცოდა მისი ფასი და მნიშვნელობა. ეს იყო ბრძენი, ყველაფრის გამგები ილია ჭავჭავაძე; იგი ბოლომდე თანამიმდევრულად იცავდა და უჭერდა მხარს თედო ჟორდანიას."[90]

"ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა და მწერლობისა შეკრებილი, ქრონოლოგიურად დაწყობილი და ახსნილი თ. ჟორდანიას მიერ" ავტორის სიცოცხლეში ორ ტომად იქნა გამოცემული, რომლის განხორციელებაშიც მკვლევარს ილია ჭავჭავაძის "ივერიამ" დიდი თანადგომა გაუწია, რადგან ამ წიგნის მნიშვნელობა საქართველოს ისტორიისა და მწერლობის შესწავლის საქმეში, იმთავითვე სწორად შეაფასა. ქრონიკების გამოსაცემად საჭირო იყო ფული. თ. ჟორდანია "ივერიის" ფურცლებიდან

---

[89] აღნიშნული ბრალდება ეფუძნება თ. ჟორდანიას 1902წ. "ანგარიშს" (იწერებოდა ყოველ წელს ეგზარქოსის სახელზე), სადაც ფირცხალავას სტატიის მიხედვით იგი ეთანხმება აზრს სამეგრელოს სკოლებიდან ქართული ენის ამოღების შესახებ. თ. ჟორდანიამ ბრალდებას არგუმენტირებული პასუხი გასცა, ჯერ "ცნობის ფურცლის" 306 ნომერში, შემდეგ ბროშურაში "ქართული ენისათვის ბრძოლა", რომელიც მოგვიანებით დაიბეჭდა. ვფიქრობ "ანგარიშზე" მეტად ზემოთ მოყვანილი ფაქტებია ანგარიშგასაწევი.

[90] ციშვილი სოლ. "თევდორე ჟორდანია", "სახალხო განათლების ქართველი მოღვაწეები და სახალხო მასწავლებლები", რედ. ვ.ჯიქია, თბ. 1953 წ.

საზოგადოებას სთავაზობდა შეეკვეთათ წინასწარი თანხის გადახდით მათთვის სასურველი რაოდენობის წიგნი და ამგვარად უზრუნველეყოთ "ქრონიკების" გამოცემა. მკვლევარი ჰონორარზე უარს ამბობდა. ამ ფაქტის შესახებ წერდნენ: "უშველებელი შრომა ავტორისა, გატეხილი ღამეები, მოკლებული თვალის ჩინი, შიგ შთადებული ჯანი კი _ უნდა დარჩეს დაუჯილდოვებელი. ასეთია მწარე ხვედრი ჩვენებურის მუშაკისა."[91]

"ივერია" ინტენსიურად აშუქებდა და მკითხველს განუმარტავდა თ. ჟორდანიას მიერ გაწეული შრომის მნიშვნელობას. იგი წერდა: "...ეს წიგნი (ქრონიკები, წგნ. I, - ქ.ნ.) ნამდვილი განძი იქნება ჩვენს სამეცნიერო საისტორიო მწერლობაში, დიდი შენამატი და დიდი წყურვილის მომკვლელი იმათთვის, ვისაც შეჰყვარებია კვლევა და ძიება წარსულის ცხოვრებისა და ვისაც გულითა და სულით უნდა მცირეოდენად მაინც გაითვალისწინოს ჩვენთა მამა-პაპათა, ჩვენთა წინაპართა ავ-კარგიანი და ცოდო-მადლიანი მოღვაწეობა... დიაღ ბატონებო, დროა გამოვიფხიზლოთ. გინდათ ცოდნა, მეცნიერება, გინდათ ისტორია. გიყვართ მამა-პაპა _ აი, გამოსულა კაცი და გეუბნებათ: მე მოგცემთ, რაც მოვიჭირნახულე; მე საკუთრად არა მინდა რა, წაიღეთ... ვისაც აქვს ყური სმენად, ისმინან."[92] "ივერიის" ამგვარმა პოზიციამ საზოგადოებაში "ქრონიკებისადმი" დიდი ინტერესი გამოიწვია. რედაქციაში მიდიოდა წერილები. ხალხი აგზავნიდა ფულს წიგნების დასაბეჭდად.[93] თუ რამდენად ფართო იყო "ქრონიკებზე" მოთხოვნა, კარგად ჩანს თ. ჟორდანიას ერთი განცხადებიდანაც: "პატივი მაქვს ვაცნობო ჩემის "ქრონიკების" დამბარებელთა, რომ ტფილისს გარეშე მყოფთ ხელმომწერელთ, ჩვენი წიგნი გაეგზავნება ქვემოთ დასახელებულთა სახელობაზე, რომელთაგან მიიღებენ თითო ცალს. ამასთან ვალად ვრაცხ უგულითადესი მადლობა ვუძღვნა ყველა ხელის მომწერელთ, რომელთაც წინ-და წინვე დაიკვეთეს ჩვენი წიგნი და მით

---

[91] "ახალი ღვაწლი თ.ჟორდანიასი", "ცნობის ფურცელი", 1897წ. 1/III. N271. გვ.2.
[92] "ბ-ნ ჟორდანიას წერილის გამო", "ივერია", 1892. 15/X. N218. გვ3.
[93] "ივერია" 1892წ. 21/X. N221. გვ 3; 1892წ. 6/X. N210 გვ.3; 1894წ. N19, გვ.2. და ა.შ.

შეგვაძლებინეს დასტამბვა.” შემდეგ ჩამოთვლილია ქალაქები: ვლადიკავკაზი, ახალქალაქი, ყვირილა, ოზურგეთი, ახალბაიაზეთი, თელავი, ბაქო, დაბა ოჩამჩირე, სოხუმი, ახალსენაკი, მოსკოვი და იმ პირთა გვარები, სადაც იქნა დაგზავნილი აღნიშნული შრომა.[94]

საზოგადოებას მაგალითი თავად ილია ჭავჭავაძემ მისცა. “ივერია” იუწყებოდა: “ჩვენის გაზეთის რედაქტორმა ბ-ნმა ილია ჭავჭავაძემ გადმოგვცა ჩვენ 6 მანეთი ბ-ნ თ. ჟორდანიას ორის წიგნის დასაკვეთად.”[95]

“ივერიამ” კარგად დაინახა “ქრონიკების” როლი ქართული სიძველეების შენარჩუნების საქმეშიც. აღნიშნული წიგნის მეორე ნაწილის განხილვისას გაზეთი წერდა: “სწორედ დიდის მადლობისა და პატივისცემის ღირსია ბ-ონი თ. ჟორდანია, რომ ასე გულმოდგინედ და დაუღალავად შეუდგა ჩვენის ისტორიის აქა-იქ გაფანტულის მასალისა და სიგელ-გუჯრების შეკრებას, მათის ქრონოლოგიურად დალაგებას, ახსნა-განმარტებას და ცალკე წიგნად გამოცემას. დროთა ვითარებამ და ულმობელმა ხელმა მრავალი მასალა და საბუთი ჩვენი წარსულის ცხოვრებისა გაანადგურა და წაჰბილწა და უთუოდ იგივე მოელის დანარჩენსაც, თუ რომ დროით არ იქნება იგი შეკრებილი და განხილულ-განმარტებული. სწორედ ამ საგანს ემსახურება ბ-ნი თ. ჟორდანია.”[96]

ასეთი აზრის გათვალისწინებით შეიძლება ითქვას, რომ თ. ჟორდანიამ ილია ჭავჭავაძის “ივერიის” ძალისხმევისა და საზოგადოების თანადგომის შედეგად მოახერხა “ქრონიკების” გამოცემა.

როგორც თ. ჟორდანიას მოღვაწეობის მიმართ, ასევე “ქრონიკებისადმი”, საზოგადოების დამოკიდებულება არაერთგვაროვანი აღმოჩნდა. მისი გარკვეული ნაწილი ამ შრომას საკმაოდ აგრესიულად შეხვდა. განსაკუთრებით დიდი ადგილი დაუთმო გაზ. “კვალმა” წიგნის კრიტიკას. “კვალელებმა” ჯერ

---

[94] განცხადება, “ივერია”, 1894 N29, გვ.4.
[95] “ახალი ამბავი”, “ივერია”, 1892წ. N224, გვ. 2.
[96] “ახალი წიგნი”, “ივერია”1897წ. N155 გვ. 3-4

კიდევ დაუბეჭდავი “ქრონიკები” და “ივერიის” განცხადებები, “მოლა-მასრადინის” ერთ არაკს შეადარეს, ხალხს რომ მოატყუა, სარუხანა კარგ ფლავს აკეთებს და უფასოდ იძლევაო. “კვალი” წერდა: “ივერიამ შეჰკივლა: ჟორდანიას თორმეტის წლის განმავლობაში თვალი არ მოუხუჭავს და დაუმზადებია ისეთი ისტორიული საჭმელი, რომ ჭამით ვერ გაძღებით, სული და გული გაგინათლდებათ და შიგ სარკესავით დაინახავთ ჩვენის ხალხის წარსულს, აწ-მდგომს და მომავალსაო. ამ საოცარი საჭმლის დასაკვეთად მსურველი უნდა გამოეშუროს ჩვენს რედაქციისაკენ და მოარბენინოს სამ-სამი მანეთიო. ფხიზელმა ადამიანებმა უპასუხეს: თქვენი თავიც მოგიტყუებიათო. სხოლასტიკოსებისაგან ვის გაუგონია გემრიელის ისტორიულის საჭმლის მომზადებაო. ცუნცრუკებმა კი დაუჯერეს... აყვა ხალხი ფეხის ხმას... ბოლოს გასწყრა ღმერთი და დაიძრა თვითონ ის... ვინ? ... დაიძრა ბურჯი, უდინჯესი, მიაბოტა რედაქციაში და გამოაცხადა თავის საკუთარს გაზეთში: “ჩვენ გაზეთის “ივერიის” რედაქტორმა მივიღეთ “ივერიის” რედაქტორისაგანვე ორ-კეცი შესაწირავი ჟორდანიას საისტორიო ფლავის ორ კერძის “დასაკვეთადო”. მარცხენა ჯიბიდან ამოიღო ექვსი მანეთი და ჩაიდო მარჯვენა ჯიბეში... ელიან ახლა მოუთმენლად დამკვეთელნი ჟორდანიას ფლავსა. ეს ჩვენი ახლად მოვლინებული მეფლავე კი თავისი საარაკო საჭმლის დარიგებას მეოცე საუკუნეში აპირებს და ანგარიშითაც იქცევა: რამდენსაც უფრო დავაგვიანებ, იმდენი უფრო მეტი შესაწირავი მომივაო, ფიქრობს ჩვენი სარუხანა...”[97] ხოლო, როდესაც “წინასწარმეტყველება” გაუცუდდათ და “ქრონიკები” დაიბეჭდა, ამავე გაზეთში იგი შეაფასეს როგორც არასამეცნიერო გამოცემა.[98]

ასეთივე დამოკიდებულება გააჩნდა გაზ. “მწყემსსაც”, რომლისთვისაც გაუგებარი დარჩა, თუ რა მიზანი ჰქონდა გაფანტული ხელნაწერების შეგროვებას: “ზოგიერთი ჩვენი არქეოლოგები დადიან ეკლესიებსა და

---

[97] “ხუმარა” (პოეტი ვარლამ რუხაძე 1874-1935. - ქ-ნ) “ხუმრობა, საოცარი მგზავრი”, “კვალი”, 1893 N7, 14/II. გვ. 15-16.

[98] “ახალი ამბავი” (რეცენზია) გაზ. “კვალი”, 1897წ. N32, გვ 91-92.

მონასტრებში, ზოგიდან მოაქვსთ გუჯრები და ზოგს გადაწერენ ხოლმე. შემდეგ გამოდგებიან და "ივერიაში" გაიძახიან: ისეთი გუჯრები ვნახეთ, რომელნიც ჩვენს ისტორიას ნათელს მოფენსო და ჩვენ წინაპართა ყველა თავგადასავალს თვალწინ აგილაპლაპებსო.

მართლაც და ასეა "ივერიის" რედაქციამ ჩვენი ძველი გუჯრების მნიშვნელობა და ჩვენ წინაპართა თავგადასავალი იმდენად იცის, რამდენად ჩინური ენა. მისთვის სულ ერთია, როგორც გინდა დასწერე და ის მზად არის თავის გაზეთის ფურცლები დაგითმოს და ყოველივე ნამდვილად მიიღოს."[99]

"კვალისა" და "ივერიის" ფურცლებზე თ. ჟორდანიასა და გ. წერეთელს შორის მიმდინარეობდა პოლემიკა "ქრონიკებში" აღძრული საქართველოს ისტორიის საკითხების ირგვლივ.[100] ჩვენ არ შევუდგებით მსჯელობას, თუ ამ პაექრობაში ვინ უფრო არგუმენტირებულად იცავდა თავის მოსაზრებებს, რადგან ფაქტი უდავოა; "ქრონიკები" გამოცემიდან ერთი საუკუნის შემდეგაც მკვლევართათვის სამაგიდო წიგნად რჩება.

ვფიქრობ, მოყვანილი მცირედი მასალიდანაც კარგად ჩანს: "ქრონიკებისადმი" ამგვარი დამოკიდებულება, ილია ჭავჭავაძის "ივერიისადმი" გალაშქრების სურვილითაც უნდა ყოფილიყო გამოწვეული.

"როდესაც ილიას ზოგიერთები აუხირდნენ, მის წინააღმდეგ დაიწყეს უსამართლო და დაუსაბუთებელი ბრძოლა-მხილება და ილიაც, ბოლოს იძულებული შეიქნა "ივერიის" ხელმძღვანელობისათვის თავი დაენებებია"[101] ფრიად გაუჭირდა თ.ჟორდანიას, რადგან მას დაბეჭდვაზე ჟურნალ-გაზეთების უმრავლესობა უარს ეუბნებოდა. ის, რომ თედო წერილების დაბეჭდვას ვერ ახერხებდა, ნათლად ჩანს მისი შვილის, გიორგი ჟორდანიას მოგონებიდან: "ქუთაისიდან რომ ვერ ეღირსა განსვენებულს წერილის მოთავსება ქართულ

[99] "ფრიად შესანიშნავი არქეოლოგიური და ისტორიული ნაშთები აღმოაჩინეს", "მწყემსი", 1893-N2. გვ. 4.

[100] წერეთელი გ. "საისტორიო ბაასი", "კვალი", 1894 N40, გვ. 7 -13, N41 გვ. 9 -13. თ. ჟორდანია "ისტორიული ოფოფები", "ივერია", 1894 26/V. N111. გვ. 1-3; N112 და სხვ.

[101] ვართაგავა იპ. "ფილიპე გოგიჩაიშვილი" "მოგონებები", ნაწ. II. თბ. 1962წ. გვ. 265.

გაზეთში, ტფილისში ჩამოვიდა, მეც წამომიყვანა. ჯერ რედაქციებში იარა, ვერას გახდა... შემდეგ საცენზურო კომიტეტში წავედით... იქაც უარი მიიღო." ქუჩაში თედოს და მის შვილს აკაკი შეხვედრიათ _ თედოსათვის უკითხავს, რატომ იყო აგრერიგად დაღვრემილი, თედოს უთქვამს _ "კაცს ქართული გრამატიკისა და ისტორიის შემქმნელს მოღალატეს მიწოდებენ და თავის მართლების საშუალებას არ მაძლევენო." აკაკის კი უპასუხია: "ისტორიკოსი არ ყოფილხარ ძმაო. ისტორიკოსი ერის მესაიდუმლე უნდა იყოს, შენ კი შენი ერისა არა გაგეგება რა. ყველაზე ნაკლებად გარყვნილი ჩვენი გლეხობა ხარს რას უშვება? აჭმევს, ეალერსება,"გენაცვალეს" გარეშე სიტყვას არ ეუბნება. ხოლო უღელს რომ შეაბამს "შენი პატრონის ცოლი და დედაო". აი ძმაო, ჩვენი მადლიერება, ჩვენი ალერსი. არაფრის მაკეთებელს სავსე სიკეთე, გამწევისთვის ლანძღვა-გინება! ჯერ გატირებს, მერე გიტირებს. ამ ამბებს ხშირად გაიხსენებდა ხოლმე მამაჩემი და გულიანად გაიცინებდა." ჩანაწერის სათაურია "ქართველთა მადლიერება."[102,103]

არამც თუ თედო ჟორდანიას ეუბნებოდნენ უარს დაბეჭდვაზე, არამედ მის მხარდასაჭერად გაგზავნილ წერილებსაც კი არ იღებდნენ რედაქციები. ამის დამადასტურებელი მასალა მრავლად ინახება ჟორდანიას პირად ფონდში. მაგალითად, მღვდელი ილია შუბლაძე აცნობებს მკვლევარს, რომ დავით ეპისკოპოსს, (კაჭახიძეს), წერილი მის შესახებ არ გამოუქვეყნა არც "სახალხო გაზეთმა" და არც "თემმა".[104]

---

[102] კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტი, ფონდი 55, საქმე N165.

[103] მოგვიანებით 1903 წელს აკაკიმ "ივერიაში" ფელეტონი დაბეჭდა, სათაურით "მუნჯური მეთოდი". აქ დასახელებული იყო მუნჯური მეთოდის მომხრე, ვინმე "თევდორე გამცემლიძე". თ.ჟორდანიამ ეს ფელეტონი პირად შეურაცყოფად მიიღო და აკაკის ახსნა-განმარტება მოსთხოვა (ხელნაწერთა ინსტიტუტი, ფონდი 55, საქმე N304) აკაკიმ კი მკვლევარს ბარათი მისწერა, სადაც წერდა: "ბატონო თევდორე!.. მე ის მეწყინა, რომ თქვენ აღელვებული ხართ, რაცა მე მხედველობაში არა მქონია, როცა მე გამცემლიძეებზე საზოგადოდ ვსაუბრობდი. მერწმუნეთ, რომ მე უფრო პატივისმცემელი ვარ პირადად თქვენი, ვიდრე თქვენ თქვენის თავის და სიკეთეც უფრო შეგნებულად მსურს" (ხელნაწერთა ინსტიტუტი, ფონდი 55, საქმე N669 1913წ.)

[104] კ.კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტი, ფონდი 55, საქმე N669 (1913წ)

ჩვენ საგანგებოდ არ შევუდგებით აღნიშნული საკითხის დაწვრილებით განხილვას, რადგან პიროვნებას მისი მემკვიდრეობა აფასებს. მეცნიერის მემკვიდრეობა კი, რომლის წარმოჩენასაც ემსახურება წინამდებარე ნაშრომი, ფასდაუდებელი განძია სამშობლოს ისტორიისათვის. მით უფრო, რომ ქართველმა ხალხმა საოცარი გულწრფელობით გამოხატა მისდამი სიყვარული და პატივისცემა დაკრძალვის დღეს. მოამაგე შვილებისადმი "გულგრილი ქართული საზოგადოება, გარდაცვალებულთ მუდამ შესაშური გულმხურვალებით და კრძალვით ასაფლავებს. იმ დღეს მთელი გონიერი საქართველო ჭირისუფალი იყო." ეს ფრაზა ზედმიწევნით გამოხატავს თედო ჟორდანიასადმი საზოგადოების დამოკიდებულებასაც.

1916 წლის 24 ღვინობისთვეს ქართული პრესისა და სხვადასხვა ორგანიზაციათა წარმომადგენლები შეიკრიბნენ სოფრომ მგალობლიშვილის თავმჯდომარეობით, ითათბირეს "აწ გარდაცვალებულის ისტორიკოსის, თევდორე ჟორდანიას დასაფლავების შესახებ. კრებამ გაითვალისწინა თ. ჟორდანიას ღვაწლი სამშობლოს წინაშე და ერთხმად სურვილი გამოთქვეს დასაფლავდეს დიდუბის პანთეონში". კრებამ შუამდგომლობა აღძრა წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების წინაშე, ამ უკანასკნელმა თხოვნა დააკმაყოფილა და გადაწყვიტა, ისტორიკოსი დაეკრძალათ ქართველი საზოგადოების ხარჯით.[105]

გაზეთი "საქართველო" წერდა: "ხალხი აუარებელი დაესწრო გასვენებას. ქვაშვეთის წმ. გიორგის ეკლესია და მისი გალავანი ვერ იტევდა განსვენებულის პატივსაცემად მოსულებს და ერთი ნაწილი საზოგადოების გალავნის გარეთ ქუჩაში იდგა... ანდერძის აგების შემდეგ ეკლესიიდან კუბო გამოასვენეს განსვენებულის ნამოწაფართ და ხელითვე წაასვენეს ძველ სასულიერო სემინარიასთან, აქაც პანაშვიდი გადაუხადეს... შემდეგ წაასვენეს ქ.შ.წ.კ. გამავრცელებელი საზოგადოების შენობასთან, აქაც პანაშვიდი

[105] კ.კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტი, ფონდი 55, საქმე N41

გადაიხადეს. სამგლოვიარო პროცესია გოლოვინის პროსპექტზე ვრცლად გაიშალა და გაემართა პირდაპირ დიდუბისაკენ."[106,107]

თავი მეორე

თედო ჟორდანია _ როგორც წყაროთმცოდნე და არქეოგრაფი

თ. ჟორდანია, მართალია, მრავალმხრივი ინტერესების მქონე ისტორიკოსია, მაგრამ მის ძირითად მიზანს წარმოადგენდა საქართველოს ისტორიის წყაროთმცოდნეობითი ბაზის შექმნა. მის მიერ ამ დარგში გამოქვეყნებული შრომები დღესაც ფასდაუდებელ სამსახურს უწევენ თანამედროვე ისტორიოგრაფიას. იგი დიდი მონდომებით ცდილობდა საქართველოს ისტორიის მრავალფეროვანი წყაროების მოძებნას, მათ დამუშავებას და პუბლიკაციას. ეს ბუნებრივია, რადგან XIX საუკუნის ბოლო და XX საუკუნის დასაწყისი არის ქართული ისტორიოგრაფიის ის ხანა, როდესაც თითქმის ყველა გამოჩენილი ისტორიკოსი ამავე დროს წყაროთმცოდნე იყო. საკმარისია დავასახელოთ მ. ბროსე, დ. ჩუბინაშვილი, დ. ბაქრაძე, პ. ცაგარელი, ა. ხახანაშვილი, მ. ჯანაშვილი, ექ. თაყაიშვილი და სხვ. მათ თავიანთ უპირველეს მოვალეობად მიაჩნდათ საქართველოს ისტორიის წყაროების დაუღალავი ძიება და გამომზეურება, რადგან საისტორიო მეცნიერების ძირითად დასაყრდენს წყაროდან ამოკრეფილი ფაქტები წარმოადგენს. აღნიშნულ პერიოდში ისტორიოგრაფიას მნიშვნელოვანი

---

[106] გაზ. "საქართველო", 1916წ. N243.

[107] დაკრძალვაზე სიტყვით გამოვიდნენ იოსებ იმედაშვილი, ვუკოლ ბერიძე, მოსე ჯანაშვილი, თედო სახოკია და სხვ. სამძიმრის დეპეშები ქართველი ინტელიგენციის წარმომადგენლებისა და ქართული საზოგადოებებიდან მიღებული იქნა მოსკოვიდან, სოხუმიდან, ერევნიდან, კიევიდან და ა.შ. ამის შესახებ ინფორმაცია წარმოდგენილია იმდროინდელ პრესაში.

წარმატებები ჰქონდა წერილობითი წყაროების გამოვლენის, პირველადი დამუშავების და გამოცემის საქმეში.[108]

თ. ჟორდანია საქართველოს სხვადასხვა კუთხეში მოგზაურობის დროს აგროვებდა ხელნაწერებს, იწერდა ქართულ ლაპიდარულ, ჭედურ და ფრესკულ წარწერებს. ეძებდა მივიწყებულ და უცნობ ეკლესიებს, აღწერდა მათ. ამის დამადასტურებელია მოგროვებული მასალების შესახებ იმდროინდელი პერიოდული პრესის ფურცლებზე დაბეჭდილი წერილები: მოქვის ეკლესიის (აფხაზეთი) ომფორი ისტორიული წარწერებით, ბურდუხან დედოფლის ხატის წარწერა, სოფ. წვიმეთის ეკლესიის წარწერები, ახლად აღმოჩენილი გელათის მატიანე, თამარ მეფის გულსაკიდი ჯვრის გამო[109] და სხვ. იგი გულმოდგინედ ეწეოდა ქართული სიმღერების შეკრებას.[110] თ. ჟორდანიას პირად არქივში ინახება უბის წიგნაკები (7 ცალი), სადაც აღწერილია მისი "არქეოლოგიური მოგზაურობანი" ქართლში, გურიაში, იმერეთში, სამეგრელოსა და კახეთში. უბის წიგნაკებში შეტანილია ხელნაწერები, ხელნაწერების ქრონიკალური მინაწერები, გენეალოგიური ცნობები, გუჯრები, ეკლესიების სიძველეთა აღწერილობები, საფლავის ქვების წარწერები, სხვადასხვა სამახსოვრო ჩანაწერები და ა.შ. ჩამოთვლილი მასალა მას შესწავლილი აქვს ეკლესია-მონასტრებში, ოჯახებში, წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოებისა და თბილისის საეკლესიო მუზეუმის საცავებში.[111,112]

სწორედ ამგვარმა სამუშაომ დაუდო საფუძველი იმ დიდი და შრომატევადი საქმის შესრულებას, რასაც "ქრონიკების" გამოცემა ჰქვია.

---

[108] კიკნაძე რ. "საქართველოს ისტორიის წყაროთმცოდნეობის საკითხები", თბ. 1982 წ.

[109] "ივერია", 1902 წ. 2 მაისი, N92(გვ. 3-4); 1894 წ. 9 მარტი N45 (გვ. 2-3); 1890, 28 აგვისტო N184 (1-2გვ.); 1894 წ. N166 (გვ. 3-4) 1889 წ. N96 (გვ. 2-3); 1887წ. 18 სექტემბერი. N193; 1894წ N66.

[110] კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტი, ფონდი 55, საქმე N344/139

[111] უბის წიგნაკებში შეტანილი მასალა, რომლის ძირითადი ნაწილი "ქრონიკებში" აქვს ავტორს გამოქვეყნებული, ზედმიწევნით არის აღწერილი "ქრონიკების" III ტომის (1967წ) შესავალში, ამ წიგნის რედაქტორების, გ.ჟორდანიასა და შ.ხანთაძის მიერ. ამდენად ჩვენ მათზე აღარ შევჩერდით.

[112] კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტი, S და A ფონდები

აღსანიშნავია ერთიც, მართალია, თ. ჟორდანიას მიერ გამოქვეყნებული ხელნაწერებისა და საბუთების დიდი ნაწილი ამჟამად ჩვენს მუზეუმებსა და არქივებშია[113] დაცული, მაგრამ მათი გარკვეული ნაწილი დაკარგულია, ან პირის სახით არის შემორჩენილი, რაც კიდევ უფრო ზრდის "ქრონიკების" მნიშვნელობას. ივ.ჯავახიშვილი წერს: ქართული საბუთების გამოცემაში განსაკუთრებული ღვაწლი თ. ჟორდანიას მიუძღვის, მას მრავალი საბუთი აქვს პირველად გამოქვეყნებული. მის შრომებს ახლაც არ დაუკარგავთ ფასი, რადგან ზოგიერთი ფრიად საყურადღებო საბუთთაგანი დაკარგულად ჩანს და მხოლოდ აქ შეიძლება მათი ამოკითხვა.[114]

"ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა და მწერლობისა შეკრებილი, ქრონოლოგიურად დაწყობილი და ახსნილი თ. ჟორდანიას მიერ" სამ წიგნად არის გამოცემული. პირველი წიგნი ავტორმა გამოსცა 1892წელს, მეორე _ 1897 წელს. პირველში მოცემულია ქორონიკონები (წლები), მათი ქრონიკალური ცნობებით, უძველესი დროიდან 1213 წლამდე, მეორეში 1211 წლიდან 1699 წლამდე, ხოლო დამატებების სახით წარმოდგენილია XI-XII საუკუნეებისა და XIII საუკუნის დამდეგის ისტორიული მასალა. პირველ წიგნში ასევე მოთავსებულია თ. ჟორდანიას ნაშრომი "ქართლის ცხოვრების" შესახებ. ასეთივე სახით ჰქონდა მკვლევარს განზრახული მესამე წიგნის გამოცემა, მაგრამ ისე გარდაიცვალა, რომ უსახსრობის გამო ეს ვერ მოახერხა. პროფესორების, გ. ჟორდანიასა[115] და შ.ხანთაძის რედაქტორობით, ის მხოლოდ 1967 წელს დაიბეჭდა და შეუნარჩუნდა ავტორისეული ფორმა. "ქრონიკების" მესამე ნაწილში შესულია 1700-1865 წლების მომცველი 852 ქრონიკალური

---

[113] კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტი, S, A, N, Я ფონდები; ქუთაისის სახელმწიფო ისტორიის მუზეუმი; ცენტრალური სახელმწიფო არქივის ხელნაწერთა კოლექცია.

[114] ჯავახიშვილი ივ. ქართული დამწერლობათმცოდნეობა, ანუ პალეოგრაფია, თხზ. XII ტომად, ტ. IX. თბ. 1996. გვ. 400-401.

[115] გივი ჟორდანია – თედოს შვილიშვილი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, თსუ პროფესორი (1911-2001წწ)

ცნობა და სამი დამატება. პირველი დამატება მოიცავს “ქართლის ცხოვრების” მეორე ნაწილის (ჟამთააღმწერელი) კრიტიკულ გარჩევას, მეორე _ დოკუმენტის პირებს, მესამე კი ისტორიულ ქრონიკებს.

თ. ჟორდანიამ პოპულარიზაციის მიზნით რუსულად (ქართული ტექსტის თანხლებით), კომენტარებით ცალკე წიგნებად გამოსცა ქართული საბუთები: “Завещание Давида Возобновителя”(1895), “К материалам по истории Грузии XI-XII в”, “Пять Грузинских исторических хроник”, “Хроника Абхазских царей” (1902). მას აგრეთვე გამოცემული აქვს საყურადღებო საბუთები სახელწოდებით “შიო-მღვიმის ისტორიული საბუთები და ძეგლი ვაჰანის ქვაბთა”. (1896 წ.), სადაც თავმოყრილია IX-XIV საუკუნეების თვრამეტამდე სიგელ-გუჯარი; აღწერა საეკლესიო მუზეუმის რვაასამდე ხელნაწერი “Описание рукописей Тифлисского церковного музея картилино-кахетинского духовенства” (1902წ.). სა ფიქრებელია, შედგენილი ჰქონდა წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ხელნაწერთა წიგნთსაცავის აღწერილობა, რადგან მის პირად ფონდში ინახება აღნიშნული საზოგადოების აღწერილობის ნაკლული ავტოგრაფი.[116] აგრეთვე მკვლევარი “ქრონიკებში” ამ ფონდს შემდეგი სახით მიუთითებს: ‘ჩემი აღწერა წ.კ. ხელნაწერი”, “ჩემი აღწერა წ.კ.ბ.”, “ჩემი აღწერა წ.კ. წიგნთსაცავისა” და ა.შ.

ისტორიკოსის წყაროთმცოდნეობითი მემკვიდრეობის შეფასებას დიდი მნიშვნელობა ენიჭება.ერთი მხრივ, მკვლევრის წყაროსადმი დამოკიდებულება, გამოყენების ფორმები და მეთოდები გარკვეულწილად განსაზღვრავს მის პროფესიულ დონეს, მეორე მხრივ, მათი გამოცდილების შესწავლა და განზოგადება აუცილებელია ახალი თაობების აღზრდისათვის, წყაროთმცოდნეობის მეთოდიკის სრულყოფისათვის.[117] თ. ჟორდანიას წყაროთმცოდნეობითი მემკვიდრეობა ფრიად საინტერესოა, რადგან ამ დარგში

[116] კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტი, ფონდი 55, საქმე N370/93-94

[117] კიკნაძე რ. “ივ. ჯავახიშვილი და საქართველოს ისტორიის წყაროთმცოდნეობა”, ჟ. “ქართული წყაროთმცოდნეობა”, ტ. V. თბ. 1979 წ. გვ. 86.

გაწეული მისი შრომა საკმაოდ დიდია.

თ. ჟორდანიას ნაღვაწის შეფასება დღევანდელობის მოთხოვნათა გათვალისწინებით, ვფიქრობ, არასწორი იქნება, რადგან განვითარების თანამედროვე ეტაპზე სულ სხვა შინაარსი შეიძინა ისტორიული წყაროს ცნებამ. წყაროთმცოდნეობითი კვლევა დღეს ორი ძირითადი მიმართულებით მიმდინარეობს _ ზოგადთეორიული და კონკრეტულ-პრაქტიკული. თეორია სწავლობს ისტორიული წყაროების საერთო თვისებებს, მათი განვითარების კანონზომიერებას, შეიმუშავებს წყაროთა ცალკეული ტიპების, გვარების და სახეების შესწავლის მეთოდებს, მათ ფორმებს, შინაარსს, წყაროსა და მოვლენის ურთიერთმიმართებას, ახდენს ისტორიული წყაროების კლასიფიკაციასა და სისტემატიზაციას, ხდება თანამედროვე ტერმინოლოგიის დაზუსტება და ტრადიციული სამწიგნობრო ტერმინების მნიშვნელობის დადგენა. კონკრეტულ-პრაქტიკული წყაროთმცოდნეობის ფუნქციაა უშუალოდ წყაროზე მუშაობა, მისი გამოვლენა და კრიტიკული შესწავლა. მეცნიერთა ერთი ნაწილი ფართო გაგებით ისტორიულ წყაროში გულისხმობს ყველაფერს, რაც ისტორიული შემეცნების საშუალებას იძლევა. წყაროთა კლასიფიკაცია ხდება ნივთიერი, ეთნოგრაფიული, ზეპირი, წერილობითი, ენობრივი, კინო-ფონო, ფოტო და სხვა მასალების მიხედვით.[118]

რადგან დღეისათვის წყაროთმცოდნეობას აქვს თავისი საგანი, თეორია, მეთოდოლოგია, მეთოდიკა, ისტორიულ წყაროებზე მუშაობის პრაქტიკა, საკუთარი ისტორიოგრაფია, მკვლევართა ფართო წრე მივიდა დასკვნამდე, რომ წყაროთმცოდნეობა ჩამოყალიბდა, როგორც დამოუკიდებელი მეცნიერება და მან დაკარგა დამხმარე დისციპლინის ტრადიციული გაგება.

ზემოთ თქმულიდან გამომდინარე გასაგებია თუ რა პრობლემები და მოთხოვნები დგას მკვლევრის წინაშე, რომელიც ამ მიმართულებით მუშაობს. რაც შეეხება თ. ჟორდანიას მოღვაწეობის პერიოდს, თეორიული

[118] კიკნაძე რ. გ.ალასანია "წყაროთმცოდნეობის თეორიული პრობლემები", თბ. 1988 წ.

წყაროთმცოდნეობა საერთოდ არ იყო ჩამოყალიბებული. ძირითადად იმდროინდელი მეცნიერები დაკავებულნი იყვნენ კონკრეტულ-პრაქტიკული საქმიანობით, ე.ი. წყაროს მოძიებითა და მისი კრიტიკული შესწავლით. აღსანიშნავია ერთიც, წყაროს კრიტიკული შესწავლის ორი მეთოდი არსებობს: გარეგანი და შინაგანი, ანუ ანალიზური კრიტიკა. როგორც სამეცნიერო ლიტერატურაშია აღწერილი, წერილობითი წყაროების ანალიზური მეთოდიკა XX საუკუნის დასაწყისში შეიმუშავეს ევროპელმა მეცნიერებმა შ.ლანგლუამ, შ.სენიბიოსმა, ა.ლაპო-დანილოვსკიმ "რომელიც ივ.ჯავახიშვილმა წარმატებით აითვისა და ქართული წერილობითი წყაროების შესწავლის დროს ფართოდ გამოიყენა. თუ მანამდე ქართულ ისტორიოგრაფიაში წყაროების მხოლოდ გარეგან კრიტიკას ეწეოდნენ, მან შემოიტანა "შინაგანი" უმაღლესი კრიტიკა, ფაქტების კრიტიკა".[119] ამდენად, ჩვენთვის საინტერესო პერიოდში წყაროთა კრიტიკულად შესწავლის მეთოდებიც კი მეცნიერულად დამუშავებული არ ყოფილა.

უკვე აღნიშნული გვქონდა, რომ XIXს. ბოლოს მოღვაწე მეცნიერთა უპირველეს მიზანს წყაროების შეგროვება და გამოსაცემად მომზადება წარმოადგენდა. რადგან ამ დროისათვის არ იყო დადგენილი ტექსტის გამოცემის ზოგადი წესები, გამოცემების თანმიმდევრობის ერთადერთი განმსაზღვრელი, მასალის მოპოვების ქრონოლოგია იყო, ხოლო გამოცემის წესების შემუშავება სტიქიური.[120] აგრეთვე, რადგან XIX-XX საუკუნეების მიჯნაზე წყაროთმცოდნეობა, როგორც მეცნიერება საკუთარი საგნით, თეორიით, მეთოდოლოგიითა და მეთოდიკით ჯერ კიდევ არ არსებობდა, წარმატებები ამ დარგში ძირითადად დამოკიდებული იყო მეცნიერის განათლებაზე, ნიჭსა და პროფესიონალიზმზე, რაც კიდევ უფრო აძლიერებს

---

[119] კიკნაძე რ. "ივ. ჯავახიშვილი და საქართველოს ისტორიის წყაროები", ჟ. "ქართული წყაროთმცოდნეობა", ტ. V. 1978 წ. გვ. 88.

[120] ალასანია გ. "საისტორიო წყაროების გამოცემის ზოგიერთი პრინციპი", "ქართული წყაროთმცოდნეობა", ტ. V. 1978 წ. გვ. 99.

თედო ჟორდანიას, როგორც წყაროთმცოდნის მიმართ ინტერესს.

თ. ჟორდანიას წყაროთმცოდნეობითი კვლევა (ძეგლის სანდოობის, ცნობების სიუხვისა და მნიშვნელობის, გამოყენებული წყაროებისა და თარიღის დადგენა) მჭიდრო კავშირშია მის არქეოგრაფიულ მოღვაწეობასთან (ხელნაწერების დასახელება, ფორმატის, მოცულობის, სტრიქონების რაოდენობის აღწერა და სხვა.) ეს უკანასკნელი მკვლევრის მიერ ძეგლების მოძიება-გამომზეურებასთან. ვფიქრობ, სწორედ ამ მიმართულებით უნდა მოხდეს თ. ჟორდანიას მემკვიდრეობის წარმოჩენა და შეფასება.

თ. ჟორდანიას საკუთარი შეხედულებები გააჩნია ძეგლის გამოსაცემად მომზადების თაობაზე. იგი ამ სამუშაოში გამოარჩევს ორი ტიპის "მოკლე კატალოგის" და "სამეცნიერო კატალოგის" შედგენას. პირველში გულისხმობს ისეთ გამოცემას, რომელშიც ჩატარებულია ძეგლის მხოლოდ გარეგანი, ანუ ფორმატის, მოცულობის, სტრიქონების აღწერილობა. ამ კატეგორიის ნაშრომად მას მიაჩნია თავისი "Описание рукописей Тифлисского церковного музея карталино-кахетинского духовенства" (1902) სადაც გადმოცემულია ხელნაწერების აღწერილობა და მოკლე შინაარსები, ხოლო მეორე ტიპის გამოცემას მრავალ მოთხოვნას უყენებს. აი რას წერს იგი ამ საკითხის შესახებ: "რა არის სამეცნიერო კატალოგი? ნურავინ ნუ დაიჯერებთ, რომ მეცნიერება იყოს საჭირო მისთვის, რომ წიგნის სიგრძე-სიგანე ვუჩვენოთ (თუმცა რომ "სანტიმეტრობითაც" იყოს) ანუ რვეულების აღრიცხვა (ამასაც "პაგინაციაც" რომ დავარქვათ) ან გვერდების აღრიცხვა, და საზოგადოდ გარეგანი აღწერა წიგნისა; ვერც ყდა-მელნის აღწერა უშველის საქმეს. არც იმას უნდა მეცნიერება, რომ საკითხავები უნდა ჩამოთვალოს კატალოგის შემდგენელმა, თუნდაც რომ სიტყვა გამოუშვებლივ, არც წარწერათა გადმოწერა გაამეცნიერებს კატალოგს.

ჩვენის აზრით ჩამოთვლილი ღირსებანი არ ეკავშირება სამეცნიერო კატალოგის შედგენის საქმეს. სამეცნიერო კატალოგმა უსათუოდ უნდა განმარტოს არხეოლოგიური და უმეტესად სამეცნიერო ღირსება ხელნაწერისა.

ერთიცა და მეორეც მართლაც, რომ მოითხოვს მცოდნე კაცს მაინც, თუ არ სრულს მეცნიერს, რადგან უთარიღოდ ხელნაწერების სიძველე გამოირჩევა წვრილის ხასიათით და შეჩვეული კაცი უნდა; ხშირად თარიღის სიყალბის გამოჩენაც მხოლოდ მცოდნე კაცს შეუძლია. ხოლო კერძოდ სამეცნიერო მნიშვნელობა ხელნაწერისა უნდა დაფასდეს მისის შინაარსის ღირსებით... შეიძლება ხელნაწერი ასის წლისაც არ იყოს, მაგრამ მისი შინაარსი პირი იყოს უძველესის ხელნაწერისა, რომელსაც საქვეყნო მეცნიერული მნიშვნელობა აქვს? მეცნიერი მაინც გვერდს ვერ აუხვევს: მან უნდა წაიკითხოს, თვალი მაინც რიგიანად გადაავლოს საკითხავებს და განსაზღვროს: მაგ. მოიპოვება თუ არა აქამომდე უცნობი წმინდანების ცხოვრება ანუ რომელიმე ქადაგება დღემდე არ-ცნობილი ხელნაწერში, თუ არ მოიპოვება ეგებ საყურადღებო ვარიანტია იგი; ხშირად ხდება, რომ ერთი და იგივე საკითხავი სხვადასხვათაგან არის ნათარგმნი, ეს მეტად საინტერესოა, ენის შესწავლისათვის" და ა.შ.[121]

საინტერესოა როგორ ამზადებს გამოსაქვეყნებლად მკვლევარი ტექსტს:

"1. წვრილი ხაზები ანუ "დეფიზები" აღნიშნავს იმას, რომ იმ ალაგას სიგელი მოგლეჯილია ანუ დაზიანებული და არ იკითხება; 2. მრავალი წერტილი დასმულია იმ სიტყვების მიერ, რომელნიც გუჯარს აკლია, მაგრამ აზრთა მიმდინარეობით, ანუ ნუსხით ჩვენგან აღდგენილია; 3. სადაც ხაზები და წერტილები ერთი-მეორეს მოსდევს, აღნიშნავს, რომ ამ ალაგას სიგელში მელანი გადასულია."[122]

ამრიგად, თ. ჟორდანია ცდილობს არ დაამახინჯოს ტექსტი, მასში ცვლილებები არ შეიტანოს და შეუნარჩუნოს პირვანდელი სახე. ხოლო თავის კრიტიკულ შენიშვნებს, განმარტებებს და დასკვნებს ათავსებს ცალკე, სქოლიოში. ზემოთ მოყვანილი ამონარიდები გვაუწყებს, თუ რა

---

[121] ჟორდანია თ. "როგორი უნდა იყოს სამეცნიერო კატალოგი?" "ივერია" 1891 წ. 9იანვარი N120. გვ. 2.

[122] ჟორდანია თ. "ისტორიული მნიშვნელობა შიო მღვიმისა და ძეგლი ვაჰანის ქვაბთა". თბ. 1896წ. გვ. VII.

შეხედულებისაა მკვლევარი თავის, როგორც პუბლიკატორის ვალდებულებებზე მკითხველის წინაშე.

თ. ჟორდანიას მიაჩნია, რომ ყველა ხელნაწერი "ვარგისია იგი თუ უვარგისი, გულდადებით და აუჩქარებლად უნდა განიხილოთ, ასწეროთ, განმარტოთ მათი არხეოლოგიური და მეცნიერული მნიშვნელობა და ჩაურთოთ კატალოგში."[123] ალბათ ამ პრინციპით შეაქვს მკვლევარს თავის პუბლიკაციებში "ნატყუარი" საბუთები. იგი დიდ ადგილს უთმობს მოსახსენებელ ჩანაწერებს, წერილებს, რეესტრებს, საკანონმდებლო ძეგლებს და სხვა. განსაკუთრებულ ყურადღებას ანიჭებს საეკლესიო მწერლობას, როგორც საისტორიო წყაროს. "საჭიროა დაფასდეს საეკლესიო მწერლობა... (ის) უნდა გახდეს ქვაკუთხედი ჩვენი ძველი მწერლობისა და წყარო მეცნიერებისა"[124] _ წერს იგი. მან დააყენა საკითხი აგიოგრაფიული თხზულებების საისტორიო წყაროდ გამოყენებისა, ეს კი თავისთავად გულისხმობდა გარკვევას, თუ რამდენად სიზუსტით იყო ამ თხზულებებში აღწერილი და გადმოცემული ისტორიული სინამდვილე. ამის დასადგენად კი უპირველეს ყოვლისა საჭირო იყო მათი დათარიღება, ხელნაწერის უძველესი რედაქციის გარკვევა, ავტორის ვინაობის დადგენა. მართალია, თ. ჟორდანიას არ შეუსწავლია ქართული აგიოგრაფიის განვითარების ეტაპები, მაგრამ აგიოგრაფიული ძეგლების მრავალი ნიმუში განიხილა და საინტერესო ცნობები მოგვაწოდა მათ შესახებ;ეცადა დაედგინა წმ. შუშანიკის, აბიბოს ნეკრესელის, ევსტათი მცხეთელის, აბო თბილელის "ცხოვრებების" შექმნის თარიღები, მათი ავტორების ვინაობა;შეკრიბა და აღწერა საინტერესო ცნობები ეფრემ მცირის, იოანე პეტრიწის, არსენ იყალთოელის, არსენ ტარიჭისძის და სხვათა ბიოგრაფიებიდან;ყურადღება მიაქცია ქართველ ჰიმნოგრაფებს.

---

[123] ჟორდანია თ. "რა მნიშვნელობა აქვს ჩვენს ძველ მწერლობას და როგორ უნდა შესდგეს სამეცნიერო კატალოგი ჩვენის ხელნაწერებისა." "ივერია", 1891 წ. N229. გვ. 1-2.

[124] ჟორდანია თ. "რა მნიშვნელობა აქვს ჩვენს ძველს მწერლობას და როგორ უნდა შესდგეს სამეცნიერო კატალოგი ჩვენის ხელნაწერებისა." "ივერია", 1891 წ. N230. გვ. 1.

საინტერესო მოსაზრებები გამოთქვა მიქაელ მოდრეკილის მიერ შედგენილი საგალობელთა კრებულის ირგვლივ და მრავალი სხვ;[125] მოგვაწოდა ცნობები "ბიბლიის" ქართული თარგმანისა და ბეჭდვის ისტორიის შესახებ. საერთოდ მას მიაჩნდა, რომ ქართულად საღმრთო წიგნების თარგმნა დაიწყეს V საუკუნეში. მისი აზრით "ბიბლიის" პირველი მთარგმნელები იყვნენ სტეფანე და დავითი, ხოლო სრულად ტექსტი ითარგმნა X საუკუნეში ექვთიმე და გიორგი ათონელების მიერ. აქვე გვინდა აღვნიშნოთ, რომ მკვლევარი დიდხანს ეძებდა გიორგი მთაწმინდელის მიერ თარგმნილ "ბიბლიას". ამიტომ ბაგრატის ტაძრის ნანგრევებში ნაპოვნმა ძველმა ხელნაწერმა, რომელიც გიორგი მთაწმინდელის "ბიბლიად" მიიჩნია, მასში დიდი აღფრთოვანება გამოიწვია. იგი წერდა: "ჩვენი ძველი დაბადება, XI საუკუნეში გიორგი მთაწმინდელისაგან ხელახლა გადმოთარგმნილი და გასწორებული არსად მოიპოვებოდა აქამდე". (თ.ჟ. "ქრონიკები" ტ.II. გვ.37.) მოგვიანებით მკვლევრებმა გაარკვიეს, რომ გიორგი მთაწმინდელს არასოდეს უთარგმნია სრულად ეს წმინდა წიგნი. აღნიშნული ხელნაწერი კი გაცილებით გვიანდელი დროით დათარიღდა, ვიდრე თ. ჟორდანია ვარაუდობდა. მოგვიანებით იგი მიიწვიეს კომისიის წევრად, რომელსაც ევალებოდა "ბიბლიისა" და სხვა საეკლესიო წიგნების აღდგენა-გამოცემა.[126]

XIX საუკუნის მკვლევრები არ ახდენენ წერილობითი წყაროების საგანგებო დიფერენციაციას. მათ განმარტებებში გამოიყენება ზოგადი განსაზღვრებები და ძირითადად შეიმჩნევა წყაროს გამორჩევა ფორმის მიხედვით. მართალია, ამ მხრივ ჟორდანია გამონაკლისს არ წარმოადგენს, მაგრამ მის შრომებში მაინც შეიძლება შევამჩნიოთ წყაროების ერთმანეთისაგან განსხვავების მცდელობა. იგი წერილობით წყაროებს აქვეყნებს ადგილ-მდებარეობების გათვალისწინებით და მათ შემდეგი სახელწოდებებით იხსენიებს: სიგელი,

[125] ჟორდანია თ. "ქრონიკები", წგნ. I. თბ. 1892 წ.
[126] კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტი, ფონდი 55, საქმე N628,473.

გუჯარი, საბუთი; ხოლო ფორმის მიხედვით გამოყოფს: “საკითხავს”, “მატიანეს”, “საგვარეულო ისტორიას” და თავისებურ განმარტებებს იძლევა. მისი აზრით “საკითხავებს” ეკლესიაში წარმოთქვამდნენ ამბიონიდან მრევლის წინაშე, “მატიანე” კი არის ისტორიული თხზულება. “საკითხავსა წერდნენ მატიანების საფუძველზე, ვის როგორ უნდოდა და ნინოს ცხოვრებაც, საკითხავად რომ უქცევიათ, მაშინ პირველის პირის მაგიერ მესამე პირით უამბნიათ.”[127] მკვლევარს მიაჩნია, რომ სრულყოფილი მატიანე არ უნდა წარმოადგენდეს მხოლოდ ფაქტების აღწერას ქრონოლოგიური თანმიმდევრობით და მასში უნდა იყოს თხრობა. ამ აზრს გამოთქვამს სუმბატ დავითის ძის თხზულების შეფასების დროს: “პირველი ნაწილი გვაძლევს მეტად მოკლეს და თითქმის მხოლოდ ქრონოლოგიურს ცნობებს... ხოლო მეორე ნაწილში იწყება ისტორია უფრო ვრცელი ცნობებითაც და უბრალო ქრონოლოგია მატიანედ იქცევა.”[128]

მატიანეებს შორის იგი გამოარჩევს ორი სახის ძეგლს. პირველი, რომელიც თანამედროვის მიერ არის დაწერილი. ავტორები ყოველდღიურად, ყოველთვიურად, ან ყოველწლიურად აღწერენ მოვლენებს და მიუთითებენ თარიღს. ასეთი მატიანე შედგება ფრაგმენტებისაგან. ეს ფრაგმენტები შეიცავენ მნიშვნელოვან მოვლენებს და ერთმანეთს მხოლოდ ქრონოლოგიურად უკავშირდებიან. მისი ყველაზე დიდი ღირსება ქრონოლოგიის სიუხვეა. მეორე სახის ძეგლი არის თხრობითი. იწერება აღსაწერი ამბიდან გარკვეული დროის შემდეგ, სადაც გაანალიზებულია მომხდარი მოვლენები და მოთხრობილია წარსული ცხოვრების სრული სურათი. ასეთი ძეგლები მწირია თარიღებით.

მკვლევარი XVს. ისტორიულ ძეგლს, რომელიც დაასათაურა სახელწოდებით “ძეგლი ერისთავთა”, აძლევს “საგვარეულო ისტორიის” განმარტებას. საგვარეულო ისტორიად თვლის აგრეთვე “ჯაყელთა მატიანეს”,

---

[127] ჟორდანია თ. “ქრონიკები”. წგნ. I. თბ. 1892 წ. გვ. 106.
[128] ჟორდანია თ. “ქრონიკები”. წგნ. I. თბ. 1892 წ. გვ. 149.

რომელსაც “ქართლის ცხოვრებაში” შემავალი XIV საუკუნის ანონიმი მწერლის (ჩვენთვის ცნობილია ჟამთაღმწერლის სახელით) თხზულებაში გამოყოფს.

იგი ყურადღებას ამახვილებს თხზულების ჟანრობრივ ხასიათზეც, მაგ. დავით აღმაშენებლისა და თამარ მეფის შესახებ თხზულებებს “ხოტბის” ჟანრში შესრულებულად მიიჩნევს;[129] ახასიათებს მემატიანეების წერის მანერას, აჩვენებს მათ დამოკიდებულებას აღსაწერი მოვლენების მიმართ, რითიც ცდილობს აჩვენოს მატიანის ავტორის მსოფლმხედველობა.

წყაროების შესახებ თ. ჟორდანიას ზემოთ წარმოდგენილი შეხედულებები, სისტემაში მოყვანილი არა აქვს. ისინი გაფანტულია მის შრომებში და წყაროებზე პრაქტიკული მუშაობის გამოცდილებების შედეგად არის მიღებული. ჩვენ ეს შეხედულებები საგანგებოდ მოვიძიეთ და მთლიანობაში წარმოვადგინეთ, რადგან აუცილებელ პირობად მიგვაჩნია ამგვარი შრომის გათვალისწინება ქართული ისტორიული წყაროების კლასიფიკაციის შესწავლის საქმეში.

თ. ჟორდანიას მის მიერ ჩამოყალიბებული “სამეცნიერო კატალოგის“ მოთხოვნათა გათვალისწინებით, თავის ნაშრომებში დიდი რაოდენობით საისტორიო მასალა აქვს გამოქვეყნებული, ამის საილუსტრაციოდ მხოლოდ “ქრონიკები” კმარა, სადაც ქრონოლოგიურად არის დალაგებული და გააზრებული ისტორიისა და ძველი ქართული ლიტერატურის ამსახველი მასალა. მკვლევარი ცდილობს დაათარიღოს მის მიერ გამოქვეყნებული ძეგლები, აჩვენოს მათი მნიშვნელობა; ამიტომ ყურადღებით სწავლობს ტექსტის პალეოგრაფიულ ნიშნებს, არკვევს აქ მოხსენებულ პირთა ვინაობას, ეძებს აღწერილი ფაქტების დამადასტურებელ მოვლენებს მსოფლიო ისტორიიდან, იყენებს უკვე კარგად ცნობილ უცხოურ და ქართულ წყაროებს, იკვლევს შესასწავლი ძეგლის სანდოობას. “ქრონიკებში” საქართველოს ისტორიისა და ლიტერატურის ისტორიის მთელი რიგი პრობლემებია

[129] ჟორდანია თ. “ქრონიკები”. წგნ. I. თბ. 1892 წ. გვ. . LIV.

დასმული და ორიგინალურად გადაწყვეტილი. მას მოცემული აქვს ფარნავაზიანების, ბაგრატიონების, ერისმთავრების ქრონოლოგიური რიგი, კათალიკოსთა სია, შუა საუკუნეების საქართველოს ისტორიის მოვლენათა დათარიღება და მრავალი სხვა. ავტორს ყველაფერი ეს შენიშვნების სახით აქვს წარმოდგენილი. აქ შეტანილია ისეთი მნიშვნელოვანი ძეგლები როგორიცაა: "მოქცევაჲ ქართლისაჲ", ეფრემ მცირის "უწყება ჲ მიზეზსა ქართველთა მოქცევისასა თუ რომელთა წიგნთა შინა მოიხსენიების" უძველესი (XI ს.) ხელნაწერის მიხედვით, პირველად არის გამოცემული "აფხაზთა მეფეთა ქრონიკა", "დადიანთა ქრონიკა", "ძეგლი ერისთავთა", გელათის გულანის ხელნაწერი და მრავალი სხვა. მან პირველმა გამოაქვეყნა ქართულ ენაზე გრიგოლ განმანათლებლის ცხოვრება, ანტიოქიის საეკლესიო მსოფლიო კრების ძეგლის წერა და სხვა.

უნდა აღინიშნოს, რომ "ქრონიკებში" ხშირად შემოკლებული სახით არის წარმოდგენილი ისტორიული ძეგლები. ცხადია ეს გამოცემის ნაკლია, მაგრამ ამ ნაკლს თავისი მიზეზი გააჩნია. მკვლევრის უპირველესი მიზანი იყო, რაც შეიძლება დიდი რაოდენობის მასალის შეგროვება, მდიდარი წყაროთმცოდნეობითი ბაზის შესაქმნელად, რის გამოც ძეგლის შეკვეცა უხდებოდა, თუმცა სწორედ საკითხისადმი ამგვარი დამოკიდებულების შედეგია მაგალითად, ის, რომ "ქრონიკებში" საკმაო რაოდენობით არის შეტანილი გარიგების წიგნები, სასისხლო სიგელები, რომლებსაც დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ივ. ჯავახიშვილი სამართლის ისტორიის შესწავლის საქმეში;[130] ხოლო საეკლესიო და სამონასტრო დაწესებულებათა უძრავი ქონების რაოდენობისა და ვითარების გასარკვევად მასვე აუცილებელ პირობად მიაჩნია შეუვალობის წიგნების მონაცემები, რომლებიც აგრეთვე

[130] ჯავახიშვილი ივ. ქართული სამართლის ისტორია, წგნ. მეორე, თხზ. XII ტომად, ტ. VII, 1984 წ. გვ. 117

მრავლად არის გამოქვეყნებული თ. ჟორდანიას მიერ.[131]

“ქრონიკებში” არსებული მასალების ზედმიწევნით განხილვა, ამ მასალების შესახებ თ. ჟორდანიას შენიშვნების აღწერა, მკვლევრის მიერ ამა თუ იმ ისტორიული პირის, მოვლენისა და ფაქტების ირგვლივ გამოთქმული აზრების გაანალიზება, ჩვენთვის შეუძლებელია. ერთი მხრივ შრომის მოცულობიდან გამომდინარე, მეორე მხრივ, ეს დიდი და დამოუკიდებელი თემაა, რომელიც წყაროთმცოდნეობის შესწავლის საგანს წარმოადგენს. არადა, ასეთი სამუშაოს ჩატარება საშუალებას იძლევა სრულფასოვნად იქნეს გამორკვეული მკვლევრის მიერ გამოყენებული წყაროთა წრე, წყაროებისადმი დამოკიდებულება, მათი გამოყენების მეთოდები. ხშირ შემთხვევაში ისტორიკოსის ამგვარი საქმიანობის შესწავლა რთულია, რადგან მეცნიერული ძიების უდიდესი ნაწილი, როგორც წესი გამოქვეყნებული ნაშრომების მიღმა რჩება. ამიტომ წყაროთმცოდნეს ზოგჯერ შეიძლება მოუხდეს მთელი იმ მრავალწლიანი სამუშაოს გამეორება, რაც, ვთქვათ, ისტორიული გამოკვლევის ავტორს ჩაუტარებია.[132] “ქრონიკები” თავისი სპეციფიკიდან გამომდინარე ამის საშუალებას იძლევა, რადგან აქ თ.ჟორდანიას წარმოდგენილი აქვს მთელი ის პროცესი, რომელიც გაიარა ძეგლის შესწავლისა თუ კონკრეტული ისტორიული მოვლენის დადგენისათვის.

ვფიქრობთ, თ. ჟორდანიას ძეგლზე მუშაობის წარმოსაჩენად საუკეთესო მაგალითი იქნება იმ შრომის ჩვენება, რომელიც მან “ქართლის ცხოვრების“ შესწავლისათვის გასწია.

ა). თედო ჟორდანია “ქართლის ცხოვრების შესახებ”

გასული საუკუნის ქართველოლოგიაში “ქართლის ცხოვრება”

---

[131] ჯავახიშვილი ივ. საქართველოს ეკონომიკური ისტორია, წგნ. პირველი, თხზ. XII ტომად, ტ. IV, თბ. 1996 წ. გვ. 115.

[132] Журавлёв В.В. “Некоторые вопросы конкретного источниковедения истории советского обшества в литературе 50-70х годов” Сб. источниковедение отечественной истории, 1975 г. М. 1976. стр. 108.

განსაკუთრებული ყურადღებით იყო მოცული. იგი წარმოადგენდა ძირითად ეროვნულ წყაროს ქართველი ხალხის ძველი ისტორიული წარსულის გაცნობისათვის და მისი ღირსება-ნაკლოვანებების გამორკვევა ისტორიოგრაფიის უმთავრეს მიზანს შეადგენდა. აქედან გამომდინარე, ეს საკითხი თ. ჟორდანიას ინტერესს მიღმა არ დარჩენილა. მან არაერთი ანგარიშგასაწევი მოსაზრება წამოაყენა კრებულის თავდაპირველი შექმნის, მასში შესულ ცალკეულ თხზულებათა ურთიერთმიმართებისა და დათარიღების, მათი ავტორების სავარაუდო ვინაობისა თუ სხვა საკითხთა შესახებ.

თ. ჟორდანიას ნაშრომი "ქართლის ცხოვრების" პირველი ნაწილის კრიტიკული გარჩევა, რომელიც მოდის თამარ მეფის მოღვაწეობის ჩათვლით, დაიბეჭდა მის მიერ 1892 წელს გამოცემულ კრებულში "ქრონიკები". მეორე ნაწილის გარჩევის დაბეჭდვას (XIII-XIVს.) აპირებდა "ქრონიკების" მეორე წიგნში (გამ. 1897წ.), მაგრამ როგორც თვითონ წერდა, სიდიდის გამო ვერ ჩაურთო და მესამე წიგნისთვის შემოინახა. სამწუხაროდ იგი ისე გარდაიცვალა, რომ ამ უკანასკნელის გამოცემა ვერ მოახერხა. როგორც უკვე აღნიშნული გვქონდა, იგი გამოიცა 1967 წელს, სადაც შეტანილი იქნა ეს დაუბეჭდავი ნაშრომი.

ძირითადი საკითხი, რომლის ირგვლივაც თავდაპირველად ტრიალებდა მკვლევართა აზრი, "ქართლის ცხოვრების" შექმნის თარიღი იყო, რადგან კრებულის ძველი ხელნაწერები დაკარგული იყო და მათ განკარგულებაში მხოლოდ XVIII საუკუნის ვახტანგ მეექვსისა და მის სწავლულ კაცთა ხელში რედაქტირებული შემდეგდროინდელი ნუსხები აღმოჩნდა. ამიტომ "ქართლის ცხოვრება" მკვლევართა ნაწილის მიერ მიჩნეული იქნა XVIII საუკუნის ძეგლად. ასე გვიან ხანაში შეთხზული ძეგლი კი ვერ იქნებოდა სანდო წყარო ქვეყნის ძველი ისტორიისათვის. ამასთანავე იქმნებოდა საფუძველი თვალსაზრისისათვის, რომ ჩვენში XVIII ს-მდე საერთოდ არ არსებობდა

საისტორიო მწერლობა.[133]

მეცნიერული ანალიზის საფუძველზე პირველად მ. ბროსე მივიდა დასკვნამდე, რომ ვახტანგამდე არსებობდა ქართული მატიანეები და ცალკე მატიანე, რომელსაც ეწოდებოდა "ქართლის ცხოვრება". ეს თვალსაზრისი კიდევ უფრო განმტკიცდა ე.წ. "სომხური ქრონიკის" სამი ნუსხის აღმოჩენის შემდეგ. ერთ-ერთი მათგანი ბროსემ 1279-1311 წ. დაათარიღა.[134]

1884წ. დ.ბაქრაძემ მიაკვლია ე.წ. მარიამისეულ "ქართლის ცხოვრებას", შეისწავლა და აღნიშნა, რომ მისი ტექსტი გიორგი ბრწყინვალის მეფობით მთავრდებოდა. მარიამისეული ნუსხა 1633-1645 წლებით იქნა დათარიღებული.

შეეხო რა ამ საკითხს თ. ჟორდანია, გაიზიარა დ.ბაქრაძის მოსაზრება და დაასკვნა: "ჭეშმარიტი ყოფილა ვახუშტის ცნობა შესახებ იმისა, რომ გიორგი ბრწყინვალემდე ქართლის ცხოვრება დაწერილი იყო, ხოლო გიორგი ბრწყინვალიდამ ვახტანგ მეფის ბრძანებით შეუდგენიათ ქართლის ცხოვრება სხვადასხვა წყაროებითა".[135] თ. ჟორდანიამ მარიამისეული "ქართლის ცხოვრება" 1638-1645 წლებით დაათარიღა. ხაზი უნდა გაესვას ერთ გარემოებასაც, როდესაც თ. ჟორდანია ამ ნაშრომს წერდა, ძველი ნუსხებიდან მხოლოდ მარიამისეული იყო მიკვლეული. ამდენად, საყურადღებოა მისი განაცხადი, რომ ბიჭვინთის ერთ გუჯარში, აფხაზეთის კათალიკოსის ეფვთიმეს წიგნთა სიაში მოიხსენიება "ქართლის ცხოვრება", რომელიც 1605 წლამდე უნდა იყოს დაწერილი, რადგან ექვთიმე 1578-1605წ. მოღვაწეობდაო.[136] ასევე მიუთითა საეკლესიო მუზეუმის 1546 წელს დაწერილ გუჯარზე, სადაც აღნუსხული იყო მისი თქმით კიდევ ერთი "ქართლის ცხოვრება".[137]

თ. ჟორდანია მრავალ პრობლემას აყენებს "ქართლის ცხოვრების"

---

[133] ლორთქიფანიძე მ. "რა არის ქართლის ცხოვრება", თბ. 1989 წ. გვ.67.
[134] ხანთაძე შ. "მარი ბროსე", თბ. 1966 წ. გვ. 85-95.
[135] ჟორდანია თ. "ქრონიკები" წგნ. I. ტფ. 1892. გვ. VI.
[136] ჟორდანია თ. "ქრონიკები" წგნ. II. ტფ. 1897. იხ. 1605 წლის ქვემოთ.
[137] ჟორდანია თ. "ქრონიკები" წგნ. I. ტფ. 1892 წ. გვ. V.

ირგვლივ. საუბრობს რა იგი მის ნაკლოვანებებზე, მიზნად ისახავს შესწორებებს შემდეგი რიგით, 1. გამოარკვიოს "ქართლის ცხოვრების" ღირსება ახალი საბუთებით, 2. შეამოწმოს და განამტკიცოს ახალი წყაროებით და ეჭვმიუტანელი საბუთებით, 3. გაასწოროს გაუგებარი ადგილები, 4. შეავსოს ქრონოლოგიით, რომლითაც ღარიბია მატიანე, 5. შეძლებისდაგვარად გაამდიდროს პოლიტიკური, სარწმუნოებრივი, გონებრივი და საზოგადოებრივი წარსულით.

ამ მიზნით თ. ჟორდანიამ თორმეტი წელი მოანდომა სიგელ-გუჯრებისა და სხვადასხვა საბუთების შეგროვებას. მან საჭირო საბუთები და ისტორიული წარწერები ქრონოლოგიური რიგით დააწყო, ყველას მიუთითა წყარო, საიდანაც არის ამოღებული, შეუდარა "ქართლის ცხოვრების" ტექსტს და გააკეთა ვრცელი შენიშნვები. იგი ამ გზით ცდილობს ზემოთ ჩამოთვლილი საკითხების გადაწყვეტას. "ქრონიკების" პირველ წიგნში ძეგლები დანაწევრებულად არის გამოქვეყნებული. მაგალითად "მოქცევაჲ ქართლისაჲ" ნაწყვეტ-ნაწყვეტ არის დაბეჭდილი. მკვლევარი თითოეულ ნაწყვეტს უკეთებს სქოლიოს, სქოლიოში შეაქვს "ქართლის ცხოვრების" ტექსტიდან ის ადგილები, რომლებიც ემოწმებიან "ქართლის მოქცევის" მოცემულ მონაკვეთს და მიუთითებს მათ შორის განსხვავებებს. ამგვარი "შედარებითი გამოცემის" მეთოდს იგი მიმართავს, რათა მის მიერ გამოცემული ისტორიული წყაროები, როგორც უკვე აღვნიშნეთ, გამოიყენოს "ქართლის ცხოვრების" შევსება-შესწორება-შემოწმებისათვის.

საჭიროდ მიგვაჩნია ზედმიწევნით განვიხილოთ თ. ჟორდანიას შეხედულებები "ქართლის ცხოვრების" ნუსხებსა და სტრუქტურული შემადგენლობის შესახებ, რათა უფრო დავუახლოვდეთ მისი არქეოგრაფიული მუშაობის ხერხებს, წყაროთმცოდნეობით მოთხოვნებს, შესრულების ტექნიკას. როგორც თავად მკვლევარი წერს: "მივხედოთ "ქართლის ცხოვრებას" და განვიხილოთ, თუ რითი განსხვავდებიან სხვა და სხვა მისი ვარიანტები,

როდის, ვისგან და რა მიზეზით წარმომდგარა ეს განსხვავება. როგორი ყოფილა პირვანდელი სახე "ქართლის ცხოვრებისა" და უკანასკნელი რამდენად შესაძლოა ისიც გამოვარკვიოთ, თუ რომელ საბუთებისაგან და როდის შეუდგენიათ სხვა-და-სხვა ნაწილი ჩვენის მატიანისა".[138]

ამ საკითხების გადასაჭრელად თ. ჟორდანიას უპირველეს ყოვლისა საჭიროდ მიაჩნია "ქართლის ცხოვრების" სხვადასხვა ვარიანტის შედარებითი ანალიზი და იმის დადგენა, თუ რაში ემთხვევა და რით განსხვავდებიან ერთმანეთისაგან ისინი.

თ. ჟორდანია თვლის, რომ "ქართლის ცხოვრების" XVIII ს. ვარიანტები: რუმიანცევის, ბარათაშვილის, მენგრელიის (დადიანის - ქ.ნ.), საეკლესიო მუზეუმის და დაბეჭდილი "ქართლის ცხოვრება" (მ. ბროსეს რედ.) განსხვავდებიან ერთმანეთისაგან, ხოლო ყველა ერთად კი მარიამ დედოფლისეული ნუსხისაგან. "ქართლის ცხოვრების" პირველი ნაწილი (იგულისხმება ძველი ნაწილი) ყველა ერთმანეთს ემთხვევა, გარდა თეიმურაზისა და დაბეჭდილი "ქართლის ცხოვრების" ვარიანტებისა.

ამრიგად, XVIII ს-ნის ხელნაწერებს[139] შორის თ. ჟორდანია გამოყოფს ორ რედაქციას. ერთში გულისხმობს ვახტანგისეულს, ხოლო მეორე რედაქციად მიაჩნია თეიმურაზისეული "ქართლის ცხოვრება". "ამის გამო, სანამ ჩამოვთვლიდეთ ამ უკანასკნელი რედაქციის განსხვავებას, ფრიად საჭიროა განვმარტოთ, ვისგან და რა დროს დაწერილია ეს ვარიანტი"[140] _ წერს იგი.

მკვლევარს მოჰყავს ამ ნუსხის წარწერა, სადაც რედაქტორი ამბობს: "მისის უმაღლესობის მეფის გიორგისაგან (1798-1800წ) ვახტანგის თქმულზე მაქუნდა ბრძანება (ქართლის ცხოვრების მეორე ნაწილის) გადაწერისა". ამ წარწერიდან

---

[138] ჟორდანია თ. "ქრონიკები" წგნ. I. ტფ. 1892. გვ. VI

[139] სპეციალურ ლიტერატურაში აზრთა სხვადასხვაობაა იმ საკითხზე, თუ "ქართლის ცხოვრების" XVIII საუკუნის ნუსხათაგან, რომელია ვახტანგის კომისიის მიერ შედგენილი და რომელი შესწორებული, თუ რედაქტირებული მომდევნო ხანის სხვა რედაქტორთა მიერ.

[140] ჟორდანია თ. "ქრონიკები" წგნ. I. ტფ. 1892. გვ. VII

გამომდინარე მან ხელნაწერი დაათარიღა 1798-1800 წლებით და აღნიშნული ნუსხა თეიმურაზ ბატონიშვილის ნამოღვაწარად ჩათვალა. "ყველაზე შეურყეველი საბუთი იმისა, რომ თეიმურაზის ვარიანტი XVIII საუკუნის დასასრულს ეკუთვნის და არა ვახტანგ მეფეს, ის არის რომ ამ ვარიანტში შეტანილი ცნობები ვახუშტის არ ჰქონია".[141] განიხილავს რა თეიმურაზისეული ნუსხის ორიგინალური ცნობების ხასიათს, დასძენს: "უმრავლესი ამ ცნობათაგანი, როგორც ეხლავე დავამტკიცებ, ძვირფასს საბუთებიდამ არის ამოღებული, დიდ ცოდნას ისტორიისას აცხადებს და ამის გამო დასაჯერებელი არ არის, რომ ესრეთი შრომა თეიმურაზ ბატონიშვილის გარეშე სხვას ვისმე მიეწეროსო".[142]

კ. გრიგოლიამ, რომელმაც ვახტანგ მეექვსისეული "ქართლის ცხოვრება" მონოგრაფიულად შეისწავლა,თ. ჟორდანიას მოსაზრება, მართალია, გააკრიტიკა და "ქართლის ცხოვრების" თეიმურაზისეული ხელნაწერი ვახტანგისეულ რედაქციას მიაკუთვნა,[143] მაგრამ, რადგან სამეცნიერო ლიტერატურაში ამ საკითხის მიმართ განსხვავებული დამოკიდებულება არსებობს (ექ. თაყაიშვილი, ივ. ჯავახიშვილი, ს.კაკაბაძე), საინტერესოა თ. ჟორდანიას აზრიც ნუსხის შესახებ, რომლის უმთავრეს წყაროებად ასახელებს: 1. ეფრემ მცირის წერილი; 2. სასწაული შიოსანი, ბასილი კათალიკოსის მიერ შეკრებილი (Xს); 3. სუმბატის ქრონიკა, რომელიც თეიმურაზმა მთლიანად შეიტანა; 4. დავით და კონსტანტინეს წამება; 5. ექვთიმეს ცხოვრება; 6. გიორგი მთაწმინდელის ცხოვრება; გარდა ამისა, თეიმურაზს, თ. ჟორდანიას აზრით, ხელთ ჰქონდა მარიამ დედოფლისეული ნუსხა და აქედან ამოღებული ცნობები შეტანილი აქვს შენიშვნებსა და დამატებებში. აგრეთვე, ტექსტიდან გამომდინარე, გამოყენებულია ქრონიკა "მოქცევაჲ ქართლისაჲ", რომელიც

---

[141] ჟორდანია თ. "ქრონიკები" წგნ .I. ტფ. 1892. გ. VIII

[142] ჟორდანია თ. "ქრონიკები" წგნ. I. ტფ. 1892. გ. IX

[143] გრიგოლია კ. "ნარკვევები საქართველოს ისტორიის წყაროთმცოდნეობიდან, ახალი ქართლის ცხოვრება", თბ., 1954 წ. გვ. 163.

ამოღებული უნდა ჰქონდეს “კათალიკოზის არსენ დიდის მოთხრობისაგან”.

იგი შემდეგ საუბრობს “ქართლის ცხოვრებაში” თეიმურაზის მიერ შეტანილ ადგილებზე და მოყვანილი აქვს მათი დაწვრილებითი სია,[144] რომელმაც მისი თქმით “დაჩრდილა და ეჭვი შეატანინა მეცნიერებას ჩვენის მატიანის ღირსებაზე” და საჭიროდ მიიჩნევს მათგან “ქართლის ცხოვრების” გაწმენდას. შეიძლება ითქვას, რომ ამ ხერხით მას სურს ტექსტის რეკონსტრუქცია.

თ. ჟორდანიამ მართებული ხერხი გამოიყენა, რათა გაერკვია თუ რა სამუშაო იქნა ჩატარებული სწავლულ კაცთა კომისიის მიერ “ქართლის ცხოვრების” შევსება-რედაქტირების დროს და შედეგიც დადებითი მიიღო, რადგან თანამედროვე სამეცნიერო ლიტერატურაში ვახტანგის კომისიის მოღვაწეობის შესახებ, მის მიერ გამოთქმული ქვემოთ მოცემული მოსაზრებები ძირითადად მიღებულია.[145] მან ვახტანგისეული რედაქციით ცნობილი მის ხელთ არსებული ყველა ნუსხა შეადარა მარიამისეულ ნუსხას და აღნიშნა, რომ ამ უკანასკნელისაგან განსხვავებით ვახტანგისეული რედაქციის ნუსხებში შეტანილია: ქრონოლოგიური ცნობები, ასურელ მამათა ცხოვრება, წმ. პეტრე მანუელის ცხოვრების ერთი ნაწილი, სუმბატის ქრონიკიდან ცნობები განსხვავებული თანმიმდევრობით, გიორგი III და თამარ მეფის ცხოვრება ვრცლად და გამართულად, რაც მიუთითებს მასზედ, რომ ვახტანგ VI -ემ რედაქტირება გაუკეთა “ქართლის ცხოვრების” ძველ ნაწილსაც; შეავსო და გამართა იგი. შემდეგ მკვლევარი ჩამოთვლის კომისიის მიერ შეტანილ შესწორებებს:[146]

1. ტექსტი დაჰყვეს და დაასათაურეს მეფეთა ზეობის მიხედვით. 2.

---

[144] ჟორდანია თ. “ქრონიკები” წგნ .I. ტფ. 1892. გვ. XI

[145] ლორთქიფანიძე მ. “რა არის ქართლის ცხოვრება” თბ. 1989 წ. გვ. 58-60.

[146] ჟორდანია თ. ფიქრობს, რომ “სწავლულ კაცთა” კომისიამ “ქართლის ცხოვრებაზე” მუშაობა დაიწყო ვახტანგის ბატონიშვილობის დროს 1699 წელს და დაამთავრა 1709 წლამდე, ხოლო თეიმურაზისეული ხელნაწერი ვახტანგის შემდეგ დროინდელია, დანარჩენი კი ვახტანგის დროის.

შეიტანეს საეკლესიო მოღვაწეთა ისტორია, რომელიც “ქართლის ცხოვრებაში” ვახტანგ VI -მდე არ იყო შეტანილი. 3. ტექსტში შეტანილია დანაწევრებულად სუმბატ დავითის ძის ქრონიკა. 4. მარიამისეული “ქართლის ცხოვრების” გარდა ვახტანგ VI -ის კომისიას გამოყენებული აქვს შემდეგი დროისათვის უცნობი ძვირფასი მრავალი წყარო და საფიქრებელია, “ქართლის ცხოვრების” სხვა ნუსხებიც. 5. დანარჩენი მონაკვეთები, რომელიც მარიამისეულ “ქართლის ცხოვრებაში” არ მოიპოვება, ან მოკლედ არის გადმოცემული, ხოლო ვახტანგისეულ ნუსხებში ვრცლად და გამართულად არის წარმოდგენილი, ვახტანგის მიერ კი არ არის შეთხზული, არამედ შეტანილია იმ მდიდარი წყაროებიდან, რომელიც მათ ხელთ უნდა ჰქონოდათ. მაგალითისათვის იხილავს თამარის მოღვაწეობის ხანას.[147]

აღსანიშნავია ერთიც; თ. ჟორდანიამ პირველად გამოთქვა მოსაზრება იმის თაობაზე, რომ ვახტანგ მეექვსის სწავლულ კაცთა კომისიის მიერ შედგენილი “ქართლის ცხოვრება” წარმოადგენს მთლიან წიგნს, რომლის “პირველი ნაწილი ქართლის ცხოვრებისა აღწერილი ყოფილა, მაგრამ განრყვნილი; ამის გამო ბევრი ვარიანტი უშოვიათ და გაუსწორებიათ, ხოლო მეორე ნაწილი (XIV-XVIIIს - ქ.ნ) ახლად აღუწერიათ.”[148]

ამავე აზრს იზიარებს თანამედროვე ისტორიოგრაფიაში მეცნიერთა გარკვეული ნაწილი. კ. გრიგოლია, რ. კიკნაძე და ზოგი სხვა მკვლევრის აზრით “ახალი ქართლის ცხოვრება” არის მეცნიერ კაცთა ხელიდან გამოსული “ქართლის ცხოვრება” მთლიანად, მათ მიერ შევსებულ-რედაქტირებული “ქართლის ცხოვრების” ძველი ნაწილი (XIV საუკუნემდე) და ამ ნაწილის გაგრძელება XIV-XVIII საუკუნეების ისტორიასთან ერთად. ახალი “ქართლის ცხოვრება” მართლაც მთლიანი წიგნი უნდა იყოს, ხოლო საკუთრივ XIV-XVIII ს.ს. ისტორია ძველი “ქართლის ცხოვრების” გაგრძელება” _ წერს მ.

---

[147] ჟორდანია თ. “ქრონიკები” წგნ. I. ტფ. 1892. გ. XVII-XX.
[148] ჟორდანია თ. “ქრონიკები” წგნ. I. ტფ. 1892. გ. XVII. აბზ. I.

ლორთქიფანიძე.[149]

თ ჟორდანიამ კარგად დაინახა “chronique armenienne”-ის მნიშვნელობა “ქართლის ცხოვრების” ღირსების შესამოწმებლად და კრიტიკულად შესასწავლად.”[150] ქრონიკა შეიცავს 1125 წლამდე ცნობებს და წარმოადგენს “ქართლის ცხოვრების” შემოკლებულ თარგმანს სომხურ ენაზე. მკვლევრის თქმით “მთარგმნელი სიტყვა-სიტყვით მისდევს ქართლის ცხოვრებას, მაგრამ მხოლოდ ამოკლებს ფრაზებს, სტოვებს მწვრილ ამბებს, ზოგან რამდენსამე წინადადებაში თავს უყრის გრძელ ამბებს, რომელთაც რამდენიმე გვერდი უჭირავს ქართლის ცხოვრებაში, ხოლო აქა-იქ (განსაკუთრებით იქ, სადაც სარწმუნოებას შეეხება მოთხრობა) თითქმის სიტყვა-სიტყვით ან ოდნავ შემოკლებით თარგმნის.”

მეცნიერს მყარი საფუძველი რომ ჰქონოდა სომხური ქრონიკის, როგორც სანდო წყაროდ გამოყენებისა, საჭირო იყო მისი დათარიღება. მან გაიზიარა და თავის მხრივ განამტკიცა დ. ბაქრაძის[151] შეხედულება, რომ “ქრონიკა” დავით აღმაშენებლის თანამედროვის მიერ არის ნათარგმნი, რაც კარგად ჩანს მთარგმნელის სიტყვებიდან“თვით ჩვენის თვალით გვიხილავსო სოლომონ ბრძენის სიტყვების აღსრულება დავით მეფეზე”.[152] ამ აზრის სასარგებლოდ მკვლევრის ფიქრით მეტყველებს ის ფაქტიც, რომ დავითის შემდგომ მოღვაწე მეფეთა ცხოვრება ამ ქრონიკაში აღწერილი არ არის, რაც უეჭველად იქნებოდა, იგი რომ მოგვიანო ხანაში იყოს თარგმნილი. იგივე აზრისაა ილ. აბულაძე, რომელმაც აღნიშნული “ქრონიკა” წინასიტყვაობითა და კომენტარებით გამოსცა.[153]

სომხური ქრონიკის მარიამისეულ “ქართლის ცხოვრებასთან” შედარების

---

[149] ლორთქიფანიძე მ. “რა არის ქართლის ცხოვრება” თბ. 1989 წ. გვ. 56.
[150] ჟორდანია თ. “ქრონიკები” წგნ. I. ტფ. 1892. გვ. XX.
[151] ბაქრაძე დ. “პროფესორი პატკანოვი და ქართული ისტორიის წყაროები”, 1884 წ.
[152] ჟორდანია თ. “ქრონიკები” წგნ. I. ტფ. 1892 წ. გვ. XXI.
[153] აბულაძე ილ. “ქართლის ცხოვრების” ძველი სომეხი მთარგმნელი და მისი მოღვაწეობის ხანა”, კრ. კავკასიის ხალხთა ისტორიის საკითხები, თბ. 1966 წ. გვ. 233.

საფუძველზე მკვლევარი თვლის, რომ ქართლის ცხოვრებას XII საუკუნეშიც ძირითადად ისეთივე სახე ჰქონდა, როგორიც მარიამისეულ "ქართლის ცხოვრებას" აქვს, მხოლოდ მასში შეტანილი არ იყო შემდეგი ნაწილები: 1. წმ. მამისა ეფრემის თარგმანი, "დაბადებისათვის ცისა და ქვეყნისა და ადამისთვის... ვიდრე ქრისტესადმდე" (წმ. ეფრემ ერუსალიმელის თარგმანი) 2. "შობა მამათა-მთავართა ადამისითგან ვიდრე ქრისტეს მოსვლამდე"; 3. "თხრობა დიდისა ბასილისი ეკელოს მართალ-მოძღვრისა თვისისა შიშველ-მართალთათვის და ქუეყანისა საზომისათვის აღმოსავლითგან ვიდრე დასავლეთამდე". 4. მეფენი ვაჩე, მირდატ, ასფაგურ და ბაკურ არ მოიხსენიებიან. 5. არც ერთი ქრონოლოგიური ცნობა არ იპოვება გიორგი I-ის მეფობიდან ბოლომდე. 6. ბაგრატიონების გვარის დავით წინასწარმეტყველიდან წარმოშობის ისტორია (სუმბატის ქრონიკიდან) არ ჩანს, თუმცა ადარნასე ერისთავს დავით წინასწარმეტყველიდან მომდინარე აღიარებს. გარდა ამისა, წმინდა ნინოს ცხოვრება, თარგმანში მოთხრობილია პირველი პირით და შეტანილია ახალი ვარიანტით. ეს მაჩვენებელია იმისა, რომ ქართლის მოქცევის ისტორია მეორე ვარიანტით შემდეგ საუკუნეებში შეუტანიათ. არჩილის მეფობის შემდეგ ჩართულია მოთხრობა ისმაილზე და მუჰამედზე, ასევე ჩართულია მოკლე შენიშვნა სომეხთა კათალიკოსებზე პეტრესა და ვართაპედ სარკავკაზე.

ყველაფერი ზემოთ თქმული, თ. ჟორდანიას აზრით, მაჩვენებელია იმისა, რომ მარიამ დედოფლის ნუსხასა და სომხურ ქრონიკას შორის XII-XVII საუკუნეებში "ქართლის ცხოვრებას" "ერთჯერ მაინც მოხვედრია კალამი, ერთი რედაქცია მაინც გამოუვლია."[154]

ამრიგად, თ. ჟორდანია, სომხური ქრონიკის საფუძველზე მიდის დასკვნამდე, რომ "ქართლის ცხოვრება", როგორც საისტორიო კრებული XII საუკუნისათვის უკვე არსებობდა, რაც თანამედროვე სამეცნიერო

[154] ჟორდანია თ. "ქრონიკები" წგნ. I. ტფ. 1892 წ. გვ. XXII.

ლიტერატურაში უტყუარ ფაქტად არის აღიარებული[155].

თ. ჟორდანია განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს სუმბატ დავითის-ძის თხზულებას "ცხოვრება და უწყება ბაგრატონიანთა", რომელიც ჩართულია "ქართლის ცხოვრების" მარიამისეულ ნუსხაში დავით აღმაშენებლის ისტორიის შემდეგ. იგი არღვევს "ქართლის ცხოვრების" საერთო სტილს. ის არის არა დავითის "ისტორიის" გაგრძელება, არამედ სრულიად დამოუკიდებელი საისტორიო ნაწარმოები, დაწყებული ადამის მოდგმის ბიბლიური სქემით, ვიდრე XI ს. 30-იან წლებამდე. ეს ერთადერთი თხზულებაა "ქართლის ცხოვრების" კრებულში, რომლის დასაწყისშივეა აღნიშნული ავტორის სახელი და სათაური. ვარაუდობენ, რომ სუმბატ დავითის ძე ბაგრატიონთა სახლის წარმომადგენელია და გარდაცვლილი უნდა იყოს XI ს. 60-იან (30-იან) წლებში.[156]

თ. ჟორდანიას "ქრონიკების" I წიგნში (გვ. 41, 67-69, 83, 143-162) გამოქვეყნებული აქვს სუმბატის ქრონიკა შენიშვნებით. მას მიაჩნია, რომ ბაგრატიონთა ისტორია ორი ავტორის მიერ არის დაწერილი. პირველი ნაწილი, რომელიც იძლევა მოკლე, ქრონოლოგიურ ცნობებს ტაო-კლარჯეთის მთავრებზე დაწერილია სუმბატ კურაპალატის მიერ. თხრობა 992 წლამდე მოდის. როგორც ჩანს, იგი ამ დროისათვის გარდაიცვალა. მეორე ნაწილი, სადაც "უბრალო ქრონოლოგია მატიანედ იქცევა," 992 წლიდან 1032 წლამდე გააგრძელა მისმა შვილმა გურგენმა. მკვლევრის აზრით, რადგან ქრონიკის პირველი ნაწილი ძირითადად ქრონოლოგიურ ცნობებს იძლევა, მიანიშნებს მასზედ, რომ სუმბატს თხზულების წერის დროს გამოყენებული აქვს სხვადასხვა წყარო, მათ შორის "მოქცევაჲ ქართლისაჲ".[157]

ტექსტში არსებული ფრაზები "დაუტევა ძე თვისი ბაგრატ", "მამა-ძენი ესე",

---

[155] აბაშიძე ე. ქართლის ცხოვრების წარმოქმნისა და განვითარების საკითხები", თბ. 1993 წ. გვ. 4.

[156] სუმბატ დავითის ძე "ცხორებაჲ და უწყებაჲ ბაგრატონიანთა", თბ. 1990 წ. ტექსტი გამოსაცემად მოამზადა გ. არახამიამ.

[157] ჟორდანია თ. "ქრონიკები" წგნ. I. ტფ. 1892 წ. გვ. 149, შენიშვნა 9.

“მას გიორგი”, “ გარდაიცვალა გიორგი, მამა ამასი ბაგრატისი” და სხვა. თ. ჟორდანიას აზრით იმის დამადასტურებელია, რომ მთხზველი იმ პირთა თანამედროვეა (გურგენი, ბაგრატი, გიორგი, ბაგრატი), რომელთა შესახებაც მოგვითხრობს, ხოლო რადგან თხრობა წყდება იქ, სადაც ლაპარაკია ბაგრატის დედის მარიამის საბერძნეთს გამგზავრებაზე, არის საბუთი, რომ ბაგრატიონთა ისტორიის ავტორებს თავიანთი ცხოვრების უკანასკნელი წლები საბერძნეთში გაუტარებიათ. თუ ეს ასეა, მაშინ ათონის აღაპებში და იოანე სინელის “კლემაქსში”, რომელთა ტექსტები მოყვანილი აქვს თ. ჟორდანიას[158], მოხსენიებული სუმბატ კურაპალატი (სუმბატ ერისთავი) და მისი შვილი გურგენი, რომლებიც “საუკუნოდ დარჩენილან საბერძნეთში” სწორედ ბაგრატიონთა ისტორიის ავტორები უნდა იყვნენ.

თ. ჟორდანია მიიჩნევს, რომ ბაგრატიონთა ისტორიის უკანასკნელი ნაწილი საბერძნეთშია დაწერილი, რადაგან მემატიანე მხოლოდ იმ მოვლენებს აღწერს, რომლებიც ბერძნებთან არიან დაკავშირებული და არც კი ახსენებს მაგ. 1029 წ. მოვლენას, როდესაც ბაგრატი თავს დაესხა თურქ-სელჩუკებს. ეს ფაქტი ცნობილია “აფხაზთა მეფეთა ქრონიკის” მიხედვით” - აღნიშნავს იგი.

თ. ჟორდანიამ დასვა საკითხი სუმბატ დავითის ძის “ქართლის ცხოვრებაში” შეტანის დროის თაობაზე. იგი, მარიამ დედოფლისეული “ქართლის ცხოვრების”, დაბეჭდილი “ქართლის ცხოვრების” და მის მიერ გამოცემული სუმბატის ქრონიკის (აქვეყნებს მხოლოდ ტექსტის იმ ნაწყვეტებს, რაც თეიმურაზისეული “ქართლის ცხოვრებაში” არ მოიპოვება) ტექსტოლოგიური შედარების საფუძველზე მიდის დასკვნამდე, რომ სუმბატის ქრონიკა “ქართლის ცხოვრებაში” XII ს-მდე უკვე იყო შეტანილი. ამ აზრის კიდევ ერთი “უტყუარი საბუთი არის chronique armenienne, რომელშიც მოიპოვება სუმბატის ქრონიკის ცნობები შესახებ მეფეთა ბაგრატ III, გიორგი I

[158] ჟორდანია თ. “ქრონიკები” წგნ. I. ტფ. 1892 წ. გვ. 121, 134, 135.

და ბაგრატ IV-ზე”[159] - წერს იგი. თ. ჟორდანიამდე და ამას ივ. ჯავახიშვილიც იზიარებს ითვლებოდა, რომ აღნიშნული მატიანე მე-XV საუკუნის შემდეგ არის შეტანილი “ქართლის ცხოვრებაში”. დღეს ემხრობიან თვალსაზრისს, კრებულში სუმბატის მე-XII საკუკუნეში შეტანის თაობაზე.[160]

თ. ჟორდანია “ქართლის ცხოვრების” წყაროდ უძველეს ქართულ ძეგლს “მოქცევაჲ ქართლისაჲ”-ს ასახელებს. მან ეს ძეგლი ერთ-ერთმა პირველმა გამოსცა, რადგან დაინტერესებული იყო “ქართლის ცხოვრებასთან” მისი ურთიერთმიმართების საკითხით, რაც დღესაც აქტუალურად რჩება სამეცნიერო ლიტერატურაში. როგორც თავად აღნიშნავს, “მოქცევაჲ ქართლისაჲ” მან გამოაქვეყნა დ. ბაქრაძის მიერ წერა -კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების წიგნსაცავში აღმოჩენილი ხელნაწერის მიხედვით.[161] ხელნაწერი შატბერდის კრებულის სახელწოდებით არის ცნობილი, რომლის აღწერილობასაც კომენტარებით მკვლევარი გვთავაზობს “ქრონიკებში” (წიგნი I გვ. 91-122).

თ. ჟორდანიას აზრით შატბერდი გეოგრაფიულად კლარჯეთ-არტანუჯის ტერიტორიაზე მდებარეობდა. კრებულის შედგენას X ს. 70-იანი წლებით (კერძოდ 963-976 წ.) ათარიღებს, შემდეგ გარემოებათა გათვალისწ ინებით. “შატბერდის ქრონიკაში ჩართულია ბერძენთა მეფეთა სია, რომელიც მოყვანილია ტექსტის ხელით ნიკიფორე ფოკას დრომდე. ესე იგი 963-969 წ. ქართველთა კათალიკოზთა სია მოყვანილია მეათე საუკუნემდე, არსენამდე, რომელიც ცხოვრობდა 954-961 წლებში... აქ ნახსენები ბაგრატ მეფე სხვა არავინ ყოფილა, გარდა ბაგრატ რეგვენისა (958-994 წ.). ამის გამო... შატბერდის

---

[159] ჟორდანია თ. “ქრონიკები” წგნ. I. ტფ. 1892 წ. გვ. XXII.

[160] კიკნაძე რ. “საქართველოს ისტორიის წყაროთმცოდნეობის საკითხები”, თბ. 1982წ. გვ. 27.

[161] თანამედროვე სამეცნიერო ლიტერატურაში შატბერდის კრებულის აღმომჩენად ითვლება ექ. თაყაიშვილი, რომელმაც პირველმა აღწერა და დაათარიღა ძეგლი X ს. 70-იანი წლებით, მაგრამ დასათარიღებლად გამოიყენა პარხალის სახარების გადაწერის თარიღი. მან ასევე პირველად გამოსცა “მოქცევაჲ ქართლისაჲ”

კრებული ეკუთვნის მეათე საუკუნის მეორე ნახევარს".[162] კრებულის შემდგენლად მიიჩნევს პარხალის სახარების გადამწერს, იოანე ბერაჲს.

თ. ჟორდანია "მოქცევაჲ"-ში გამოყოფს ორ რედაქციას. მისი თქმით "პირველი რედაქცია მოკლედ და მარტივად მოგვითხრობს წმინდანის მოღვაწეობას, უეჭველად ყველა აქამომდე ცნობილ ვარიანტებში უძველესია და ამის გამო, უფრო შესანიშნავი და ძვირფასი. მეორე ვარიანტი, გავრცელებული და სხვადასხვა წვრილმან ამბითა და ფრაზებით შემკულ-შეზავებული. ძალიან წააგავს ბ-ნ მ. საბინინისაგან გამოცემულს წმინდანის ცხოვრებას, მაგრამ მისგან განირჩევა შესამჩნევად იმითი, რომ უფრო მარტივია, გასაგები და მართალი. პირველი რედაქცია ნინოს ცხოვრებისა განსაკუთრებით იმითი არის ძვირფასი ჩვენთვის, რომ შეიცავს დიდძალს ფრიად საჭირო მასალას ჩვენის უძველესი ისტორიისა".[163] თ. ჟორდანიას აზრით, "ქართლის ცხოვრების" ცნობები ქართლის გაქრისტიანების შესახებ "მოქცევაიდან" შეტანილია X საუკუნეში არსენ კათალიკოსის მიერ, რომელიც ავტორია "განყოფისათვის სომეხთა ქართველთა ეკლესიისაგან."[164] მკვლევარს მიაჩნია, რომ ნინოს ცხოვრება X საუკუნემდე, VI-VIII საუკუნეების "ქართლის ცხოვრებაში", შეტანილი იყო სხვა მოკლე ვარიანტით, რომელიც უთუოდ განსხვავდებოდა სომხური ქრონიკისა და მარიამ დედოფლისეული ქართლის ცხოვრებისაგან."მოქცევაჲ ქართლისაჲ"-ს ტექსტის ანალიზის საფუძველზე თ. ჟორდანია მიდის დასკვნამდე, რომ ქართლის მოქცევის ქრონიკა (გულისხმობს პირველ მოკლე რედაქციას) არის უძველესი საეკლესიო მატიანის შემოკლებული პირი, სადაც დიდი ნაწილი დათმობილი უნდა ჰქონოდა ერის სასულიერო ცხოვრების შესახებ თხრობას.

---

[162] თ. ჟორდანია. "ქრონიკები" წგნ. I. ტფ. 1892 წ. გვ. 103.

[163] ჟორდანია თ. "ახალი წყარო საქართველოს ისტორიისა (მოქცევაჲ ქართლისაჲ), "ივერია", 1889, N4, გვ. 1

[164] თ. ჟორდანიას არსენ კათალიკოსი – არსენ II მიაჩნია, რომელიც მოღვაწეობდა X ს. მინდა აღვნიშნო, რომ ივ. ჯავახიშვილი არ იზიარებს ამ აზრს და თხზულების ავტორად IX ს. მოღვაწე არსენ I ასახელებს.

მკვლევრის ვარაუდით, უძველეს ვრცელ საეკლესიო მატიანეს შემდეგი სახე ჰქონდა: შესავლის სახით მოთხრობილი იყო ძველი წიგნებიდან წინარექრისტიანული ხანის ისტორია, წმ. მირიანის ცხოვრება და ნინოს მიერ ქართლ-კახეთის მოქცევა. შემდეგ სხვადასხვა დროს აღიწერა მომდევნო მეფეთა ცხოვრება და ღვაწლი სტეფანოზ ერისმთავრამდე (ვახუშტით 639-663), მე-9 საუკუნის დასასრულს გააგრძელეს და დაურთეს მეფეთა და ერისთავთა მოკლე სია, ხოლო შატბერდელმა მწერლებმა ეს სია X საუკუნემდე მიიყვანეს. შემდეგ ამ ისტორიის უმეტესი ნაწილი "ქართლის ცხოვრებაში" შეიტანეს და მატიანემ წინანდელი ისტორიული მნიშვნელობა და სახე დაკარგა". ნინოს ცხოვრება ვრცლად დაიწერა, წარმართი მეფეების ცხოვრება ამოიღეს, ხოლო მირიანის მომდევნო მეფეებზე ის ცნობები დატოვეს, რომლებიც მოიპოვება "მოქცევაჲ"-ს ყველა ვარიანტში, რადგან თავის დროზე შემოკლებული სახით იქნა აქ შეტანილი. "მოქცევაჲ"-ს და მარიამ დედოფლისეულ "ქართლის ცხოვრებას" დამატებული აქვს რამოდენიმე ცნობა IV ს. ავტორის აგათანგელოსის სომეხთა მოქცევისაგან. ყველაფერმა აქ თქმულმა ძველ მატიანეს პირველადი სახე დაუკარგა.[165]

ზემოთ თქმულიდან გამომდინარე შეიძლება გაკეთდეს დასკვნა: ისტორიკოსი თვლის, რომ არსებობდა უძველესი საეკლესიო მატიანე (VI საუკუნემდე), რომლის მოკლე რედაქციას წარმოადგენს ქართლის მოქცევის ქრონიკა. მისი შევსება-რედაქტირება მოხდა VII და IX საუკუნეებში. ეს დებულება თანამედროვე სამეცნიერო ლიტერატურაში მეცნიერთა ერთი ნაწილისათვის გარკვეულწილად მისაღებია.

ე. ხოშტარია-ბროსეს მიაჩნია, რომ შესაძლებელია VII საუკუნეში არსებობდა სანდო ცნობების შემცველი ვრცელი მატიანე (უფრო ადრე ამავე მოსაზრების ავტორია პ. ინგოროყვა), რომლის საფუძველზეც გვიან შედგა

[165] ჟორდანია თ. "ქრონიკები" წგნ. I. ტფ. 1892 წ. გვ. 11

“მოქცევაჲს” ქრონიკის მოკლე ვარიანტი[166]. ნ. ჯანაშიას აზრით კი “ქართლის ცხოვრებაში” მატიანე გადაკეთებული და გაუარესებული სახით არის შესული. მ. ჩხარტიშვილის მიხედვით, “ნინოს ცხოვრების” ვრცელი რედაქცია შეიქმნა IV საუკუნის შუა ხანებში. “მოქცევაჲ ქართლისაჲ”-ს ქრონიკა და მასში ჩართული მცირე “ნინოს ცხოვრება” _ V საუკუნის მესამე მეოთხედში. ხოლო ძეგლის რედაქტირება მოხდა VII და IX საუკუნეებშიც.[167] ყურადსაღებია ერთიც, გ. გოგოლაძე 1998 წელს დაბეჭდილ სტატიაში წერს: “მოქცევაჲ ქართლისაჲ”-ს შემადგენლობაში აშკარაა, რომ არსებობდა ქართლის წარმართ მეფეთა ისტორია... ქართლის წარმართი მეფეების საისტორიო მიკროქრონიკა ძველი ხანისაა (ძვ. და ახ. წ. I საუკ.)”.[168]

უნდა აღინიშნოს, რომ თ. ჟორდანია იყო პირველი, რომელმაც გაზ. “ივერიაში” დაბეჭდა გამოხმაურება ახლად აღმოჩენილი ქართული წყაროს შესახებ, სადაც ძირითადად სწორად იქნა გაშუქებული “მოქცევაჲ”-ს მნიშვნელობა და მისი შედგენილობა.[169]თ. ჟორდანია მომდევნო თავებში იხილავს “ქართლის ცხოვრების” შემადგენლობას: “ახლა საჭიროდ ვთვლით შევეხოთ თვით შინაგანს ნიშნებს ქართლის ცხოვრებისას და ამ ნიშნებით შეძლებისამებრ, გამოვიკვლიოთ ის, თუ რა წყაროებიდან და როგორ უნდა შედგენილიყოს ჩვენი მატიანე უძველესი დროიდამ თამარ მეფის სიკვდილამდე,”[170] - წერს იგი.

ივ. ჯავახიშვილი, თ. ჟორდანიას გაწეულ შრომას “ქართლის ცხოვრებაში” შემავალ მატიანეთა შესწავლის თაობაზე, შემდეგნაირად აფასებს: “ქ˜ცის კრებულის შემადგენელ ნაწილებს ჯეროვანი ყურადღება პირველად თ.

---

[166] ხოშტარია-ბროსე ე. “ლეონტი მროველი და “ქართლის ცხოვრება”, თბ. 1996 წ. გვ. 35.

[167] ჩხარტიშვილი მ. “ქართული ჰაგიოგრაფიის წყაროთმცოდნეობის შესწავლის პრობლემები: “ცხოვრებაჲ წმიდისა ნინოსი”, თბ. 1987 წ. გვ. 76.

[168] გოგოლაძე მ. “მოქცევაჲ ქართისაჲ-ს შედგენილობა, წყაროები და დათარიღება”, ჟ. “საქართველო”, თბ. 1998 წ. N3, გვ. 45-46.

[169] ჟორდანია თ. “ახალი წყარო საქართველოს ისტორიისა (მოქცევაჲ ქართლისაჲ), “ივერია”, 1889, N4, გვ. 1-3

[170] ჟორდანია თ. “ქრონიკები” წგნ. I. ტფ. 1892 წ. გვ. XXIX.

ჟორდანიამ მიაქცია და ამ საგანზე მას არა ერთი და ორი სამართლიანი და საბუთიანი აზრი აქვს გამოთქმული. ამ მხრივ მან საკმაო დაკვირვების უნარიც გამოიჩინა და გონებმახვილობაც."[171] შემდეგ ჩამოთვლის იმ ნაკლს, რომელიც მისი აზრით თ. ჟორდანიას კვლევას გააჩნია და წერს: "დავით აღმაშენებლისა და თამარ მეფის ისტორიკოსთა თხზულებები თ.ჟორდანიას კარგად აქვს შესწავლილი. შემდგომში რომ ამ ორ თხზულებას კვლავ უფრო ღრმად და გულმოდგინედ ჩაჰკვირვებოდა, იქნებ საუცხოვო და უნაკლო გამოკვლევა შეექმნა... დანარჩენ მატიანეების შესახებ კი თ. ჟორდანიას აზრი შეუწყნარებელია." მაგალითად დ. ბაქრაძესთან შედარებით, რომელმაც ლეონტი მროველი მემატიანედ სცნო, თ. ჟორდანიამ წარმატების მაგიერ ამ საკითხში უკან დაიხია და ამტკიცებს, რომ ლეონტი გადამწერი უნდა ყოფილიყო. ისტორიკოსის მეორე ყველაზე დიდი შეცდომა ის არის, რომ იგი უძველესი პერიოდის შემცველ მატიანეებს თანამედროვეს მიერ შეთხზულად თვლის, ხოლო ვახტანგ გორგასლის მემატიანეს აღწერილი ამბების თვითმხილველად მიიჩნევს, რაც "გასაოცარია აგრეთვე" და ა.შ.[172] მიუხედავად ზემოთ თქმულისა, ივ. ჯავახიშვილი დაასკვნის: "არსებითი შეცდომებისა და მრავალი სხვა ნაკლისდა მიუხედავად ჩვენთვის ცხადია, რომ თ. ჟორდანიას მიერ 1892 წ. გამოქვეყნებული შრომა "ქრონიკები" წ-I, განსაკუთრებით მისი "წინასიტყვაობა", მაშინ თვალსაჩინო მოვლენა იყო და ამ წიგნმა ბევრის მხრით დააწინაურა მკვლევართა აზრი ქ˜ცისა და ძველი ქართული მატიანეების შესახებ. შემდგომში რომ თვით ავტორსაც ეს კვლევის საგანი არ მიეტოვებინა და ხელმეორედ, ამასთანავე უფრო მკაცრი სამეცნიერო მეთოდების საშუალებით, მეორეგზის გულდასმით განეხილა და მუშაობაც განეგრძო, სხვა მკვლევართაც ამ საკითხის განხილვასა და შესწავლაში მხურვალე

---

[171] ჯავახიშვილი ივ. ისტორიის მიზანი, წყაროები და მეთოდები წინათ და ახლა, წგნ.I. თხზ. XII ტომად, ტ.VIII. 1977 წ., გვ. 299.

[172] ჯავახიშვილი ივ. ისტორიის მიზანი, წყაროები და მეთოდები წინათ და ახლა, წგნ.I. თხზ. XII ტომად, ტ.VIII. 1977 წ., გვ. 300.

მონაწილეობა მიეღოთ, მაშინ შესაძლებელია ბევრი რამ უკვე გამორკვეული ყოფილიყო. მაგრამ მოპირდაპირეთა ბრძოლამ მკვლევარნი წაიტყუა და ვახტანგის ღვაწლის საგანი დაავიწყა. თ. ჟორდანიას მიერ დაწყებულმა საქმემაც თითქოს უნაყოფოდ ჩაიარა და მიყუჩდა."[173]

უდავოდ ფასეულია, როდესაც მეცნიერის გამოკვლევა თავისი დროისათვის "თვალსაჩინო მოვლენას" წარმოადგენს, მაგრამ თუ იგი შექმნის დროიდან ერთი საუკუნის შემდეგაც სამეცნიერო თვალსაზრისით აქტუალობას არ კარგავს, მაშინ შეიძლება ითქვას, რომ გამოკვლევის ავტორს მნიშვნელოვანი წვლილის შეტანა შეეძლო მეცნიერების განვითარებაში, ამ შემთხვევაში "ქართლის ცხოვრების" შესწავლის საქმეში, მომდევნო თაობებს მისი წყაროთმცოდნეობითი მეთოდები და ძეგლისადმი მისეული მიდგომა, რომ გაეთვალისწინებინათ. და თუ ეს ასეა, ვინ იცის, იქნებ დღეს "ქართლის ცხოვრების" ირგვლივ წამოჭრილი პრობლემების შესახებ, თვალსაზრისთა მრავალფეროვნების მაგივრად, ერთიანი ისტორიოგრაფიული ტრადიცია ჩამოყალიბებულიყო, რაც უდავოდ შეუწყობდა ხელს ამ უმნიშვნელოვანესი ქართული ძეგლისადმი ერთიანი კონცეფციის შექმნას. ვეცდებით, გავარკვიოთ ამ მხრივ თ. ჟორდანიას ნააზრევი რამდენად ღირებულია. ჩვენ უკვე ვაჩვენეთ, თუ როგორ ეხმაურება თანამედროვე მეცნიერებაში არსებულ შეხედულებებს გარკვეული საკითხების ირგვლივ ისტორიკოსის მიერ გაკეთებული დასკვნები. ახლა შევეცდებით იგივე კუთხით ვაჩვენოთ თ. ჟორდანიას ნააზრევი "ქართლის ცხოვრებაში" შემავალი მატიანეების შესახებ.

თ. ჟორდანია უძველესი დროიდან თამარ მეფის გარდაცვალებამდე ისტორიას ორ ნაწილად ყოფს: ქართველთა წარმომავლობიდან _ არჩილ მეფის წამებამდე და აქედან მოყოლებული _ თამარ მეფის გარდაცვალებამდე. პირველი ნაწილის დაბოლოება "წიგნი ესე ქართველთა ვახტანგისადმდე

[173] ჯავახიშვილი ივ. ისტორიის მიზანი, წყაროები და მეთოდები წინათ და ახლა, წგნ.I. თხზ. XII ტომად, ტ.VIII. 1977 წ., გვ. 301.

აღეწერებოდა... ჟამითი-ჟამად, ხოლო ვახტანგ მეფისითგან ვიდრე აქამომდე აღწერა ჯუანშერ ჯუანშერიანმან... და ამიერითგან შემდგომთა ნათესავთა აღწერონ, ვითარცა იხილონ და წინამდებარებან ჟამმან უწყებად მოსცეს გონებასა მათსა ღვთივ განბრძოლისა".[174] ეს მკვლევრისთვის იმ აზრის დამადასტურებელია, რომ "ქართლის ცხოვრება" იწერებოდა "ჟამითი-ჟამად" ე.ი. სხვადასხვა დროს, სხვადასხვა ქრონიკით მოვლენათა თანამედროვის მიერ. იგი "ქართლის ცხოვრებას" თამარის მეფობის ჩათვლით ცხრა საისტორიო თხზულებად ჰყოფს, ხოლო ვახტანგ გორგასლამდე პერიოდში სამ დამოუკიდებელ მატიანეს გამოარჩევს. საინტერესოა ის ფაქტი, რომ თანამედროვე ისტორიოგრაფიაში გაჩნდა შემდეგი შეხედულება: "აშკარაა, რომ სრულიად უმიზეზოდ იყო აქამდე უგულებელყოფილი "ქართლის ცხოვრების" ანდერძ-მინაწერი, (იგი როგორც ჩანს თ. ჟორდანიას შეხედულებებს არ იცნობს - ქ.ნ.), რომელიც გვაუწყებს, რომ: "წიგნი ესე ქართველთა ცხოვრებისა ვიდრე ვახტანგისამდე აღიწერებოდა ჟამით-ჟამად", მართლაც, როგორც დავრწმუნდით "ქართლის ცხოვრების" ვახტანგ გორგასლამდელი ნაწილი შედგებოდა ცალკეული ქრონიკებისა და "ცხოვრებისაგან", რომლებიც უეჭველია, სხვადასხვა დროს დაიწერა, სხვადასხვა ავტორთა მიერ" _ წერს მ. სანაძე და ისიც ვახტანგამდე ისტორიას სამი მატიანისაგან შედგენილად მიიჩნევს.[175]

განვიხილოთ თ. ჟორდანიას შეხედულებები თითოეული თხზულების შესახებ:

1. ჟორდანიას მიხედვით პირველი მატიანე მოიცავს ამბებს უძველესი დროიდან ალექსანდრე მაკედონელის შემოსვლამდე ქართლში. წყაროებად გამოყენებულია "ნებროთიანი" და "სპარსეთის ისტორია"; პირველი წყარო მითითებულია მირიანისა და ვახტანგის ცხოვრებაში, ხოლო მეორე წყაროს

---

[174] ჟორდანია თ. "ქრონიკები" წგნ. I. ტფ. 1892 წ. გვ. XXIX.

[175] სანაძე მ. "ქართლის ცხოვრება" და საქართველოს ისტორიის უძველესი პერიოდი (ქართლოსიდან მირიანამდე), თბ. 2001.

გამოყენებაზე მიუთითებს ფრაზები: “ესე ვითარ წერილს არს ცხოვრებასა სპარსთასა”, “შიოშ მოიკლა თურქეთს, ვითარცა წერილ არს წიგნთა სპარსთა ცხოვრებისასა” და სხვა.[176] ძველი “ქართლის ცხოვრება” “მოქცევაჲ ქართლისაჲ”-ს მსგავსად იწყებოდა, ქართლში ალექსანდრე მაკედონელის შემოსვლის ისტორიით, ხოლო მანამდე აღწერილი ამბები მოგვიანო ხანაშია შეტანილი, რადგან ისინი მითებია, მითები კი ყველა ქვეყნის ისტორიაში გვიან შეჰქონდათ. თ. ჟორდანია ალექსანდრე მაკედონელის ლაშქრობას ქართლში ეჭვქვეშაც კი არ აყენებს, პირიქით, იგი წერს: “მაკედონელმა მეფემ პირველმა ჩაჰყარა მკვიდრი საძირკველი ჩვენის მეფობისა... აქიდამ დაიწყო ნამდვილი ისტორია საქართველოისა”. (ამჟამად ქართულ ისტორიოგრაფიაში გაზიარებულია თვალსაზრისი, რომ ალექსანდრე მაკედონელს სამხრეთ კავკასიაში არ ულაშქრია - ქ. ნ.).[177]

თ. ჟორდანიას სარწმუნოდ მიაჩნია ზეპირი გადმოცემა, რომ წიგნი “ნებროთისა” დადიანთა წიგნსაცავში ინახებოდა და ხანძარმა ბიბლიოთეკასთან ერთად გაანადგურა. ამის საფუძველზე იგი დაასკვნის: “დადიანის ნაამბობი და თვით “ქართლის ცხოვრების” მოთხრობა “ნებროთიანის” შესახებ საბუთებს გვაძლევს ვიფიქროთ, რომ უძველესი გადმოცემა ნებროთზე და ქართველ-სომეხთა თარგამოსიანთაგან წარმომდინარეობაზე ამოღებულია “ნებროთიანისაგან”, რომელშიც აღწერილი ყოფილა გმირობანი და ბრძოლა ნებროთიანთ-თარგამოსიანთა შორის.”[178]მოგვიანებით სამეცნიერო ლიტერატურაში კ. კეკელიძემ მთელი პასუხიმგებლობით განაცხადა, რომ ნებროთის წიგნი არ არსებობდა და მის შესახებ საკითხი მოხსნილად უნდა ჩაითვალოს.[179]დღეს, ამ წიგნის უარყოფის

---

[176] ჟორდანია თ. “ქრონიკები” წგნ. I. ტფ. 1892 წ. გვ. XXXI.
[177] ჟორდანია თ. “ქრონიკები” წგნ. I. ტფ. 1892 წ. გვ. XXX.
[178] ჟორდანია თ. “ქრონიკები” წგნ. I. ტფ. 1892 წ. გვ. 9.
[179] კ. კეკელიძე, “ძველი ქართული მწერლობის ისტორია”. ტ. I. 1951 წ. გვ. 410.

საკითხი ამგვარი კატეგორიულობით უკვე აღარ დგას.[180]

2. მეორე მატიანე მოგვითხრობს ალექსანდრე მაკედონელის, აზოსა და ფარნავაზის მეფობის ისტორიას. მეფეთა ცხოვრება, რომელიც მირიანის მეფობამდე მოდის, აღწერილია თანამედროვეთაგან. ამ აზრის სასარგებლოდ მეტყველებს ტექსტში არსებული ძველი სიტყვები "ვარსამატ", "ზაჰმი" და სხვა. ადერკის მეფობაში ჩართული ცნობები ქრისტიანობაზე კი მკვლევარს მოგვიანო ხანაში შეტანილად მიაჩნია.[181]

მ. სანაძის აზრით, აღნიშნულ მონაკვეთს "ქართლის ცხოვრებაში" საფუძვლად უდევს თანამედროვეთა მიერ დაწერილი ქრონიკები, რომლებიც თავის დროზე ბერძნულ და არამეულ ენაზე უნდა ყოფილიყო შესრულებული. ისინი, ბუნებრივია, პირვანდელი სახით ჩვენამდე ვერ იქნება მოღწეული.[182]

3. მესამე მატიანე შეიცავს მირიანის მეფობას და "ქართლის მოქცევას", რომლებიც "მოქცევაᲘს" ქრონიკიდან გამომდინარე წინათ ერთმანეთს ერწყმოდნენ. თავდაპირველად მირიანის და ბაქარის მეფობის ერთადერთი წყარო ქართული საეკლესიო მატიანე იყო, ხოლო მოგვიანებით ამბავთა განვრცობის მიზნით დაუმატეს სხვადასხვა ცნობები. პირველი ნაწილი შევსებულია აგათანგელოსის "სომეხთა მოქცევისაგან", რომელსაც თვით "ქართლის ცხოვრება" ასახელებს. მეორე ნაწილი აღნიშნული საეკლესიო მატიანედან ნინოს ცხოვრების შესახებ, შეცვლილია ნინოზე ვრცელი მოთხრობით, რომელიც თავისთავად დამოუკიდებელ მატიანეს წარმოადგენს. ამრიგად, სხვადასხვა წყაროებიდან ამოღებული ცნობები უხერხულად არიან ერთმანეთთან გადაბმული, რამაც გამოიწვია მირიანის მეფობის აღწერის შეცვლა.

თ. ჟორდანიას აზრით ქრისტიანმა მწერლებმა მოინდომეს მირიანის

---

[180] ჯოლბორდი მ. "ლეონტი მროველი და ჯუანშერი მსოფლიო ისტორიის ზოგიერთი საკითხის შესახებ", გორი, 2000. გვ. 23.

[181] ჟორდანია თ. "ქრონიკები" წგნ. I. ტფ. 1892 წ. გვ. XXXI.

[182] სანაძე მ. "ქართლის ცხოვრება" და საქართველოს ისტორიის უძველესი პერიოდი (ქართლოსიდან მირიანამდე), თბ. 2001. გვ. 155.

განდიდება, ამ მიზეზით მოკლე მატიანის ცნობა მირიანის ლევის შვილობაზე (მისი ფარნავაზიან-არშაკუნიანობა) ამოიღეს და ვრცლად დაწერეს მირიანის ხოსროიანობის ამბავი. მათ მეფობის ისტორია შეცვალეს ფრაზიდან "ხოლო ალექსანდრეს მეფობითგან ესე ყოველნი მეფენი (მირიანამდი) ... იყვნენ კერპთა მსახურნი." დანარჩენი მეფეების ბაქარის, მირდატის, ვარაზ-ბაქარის, ფარსმან IV, მირდატ IV -ის მეფობათა ამბები შეტანილია "ქართლის ცხოვრებაში" ქართული საეკლესიო მატიანედან. მხოლოდ მირდატის მეფობაში ჩართულია ფრაზა _ "და ერთი წარგზავნა ერუშეთს" და მომდევნო თორმეტი სტრიქონი.[183]

თ. ჟორდანიას მოსაზრება, რომ მირიანის ხოსროიანობის ამბავი "ქართლის ცხოვრებაში" მისი განდიდების მიზნით არის შეტანილი, თანამედროვე სამეცნიერო ლიტერატურაში, ლ. ჯანაშიადან გამომდინარე, გავრცელებულ შეხედულებად ითვლება.[184]

4. ქარ"თლის ცხოვრების" მეოთხე მატიანეს წარმოადგენს დამოუკიდებელი თხზულება "ცხოვრება ვახტანგ გორგასლისა", რომელიც აღწერილია მიქაელ მთავარეპისკოპოსის განკვეთის შემდეგ ვახტანგის თანამედროვის მიერ. ვახტანგის მოღვაწეობის დაწვრილებით აღწერას წინ უსწრებს, როგორც ჩანს, გადმოცემით აღწერილი მირდატ IV-ის, მირდატ V-ის და ვახტანგ გორგასლის მშობლების მეფობის პერიოდი. მართალია, მატიანეში არის ფრაზები, რომლებიც ეჭვქვეშ აყენებს ამ თხზულების V საუკუნეში შეთხზვის შესახებ მოსაზრებას, მაგრამ თ. ჟორდანიას აზრით, ისინი მოგვიანო ხანაშია ჩამატებული. აქედან ყველაზე მნიშვნელოვანია ცნობა _ "რამეთუ მაშინ იყო პაჭანიგეთი მოსაზღვრედ ოვსეთისა, მდინარესა მას ოვსეთისა წიაღ, და ჯიქეთი მუნვე იყო: შემდგომად ჟამთა მრავალთა იოტნეს პაჭანიგნი და ჯიქნი თურქთაგან და წარვიდეს პაჭანიგნი დასავლიეთ კერძსა, ხოლო ჯიქნი

[183] ჟორდანია თ. "ქრონიკები" წგნ. I. ტფ. 1892 წ. გვ. XXXVII.

[184] ჯანაშია ლ. "ქართლი IV ს. პირველ ნახევარში ქრისტიანობის გამოცხადება სახელმწიფო რელიგიად". "საქ. ისტ. ნარკვევები". ტ. II. თბ. 1973 წ. გვ. 90-107.

დაემკვიდრეს ბოლოსა აფხაზეთისასა."[185] ეს ცნობა თხზულებაში ალბათ იმ პირს შეუტანია, რომელიც საქართველოს ისტორიას კარგად იცნობს და "ქართლის ცხოვრების" შედგენაში მონაწილეობა მიიღო. იგი ან ჯუანშერია (VIII ს.), ან არსენი (XIს.), მაგრამ დროის ზუსტი დადგენა რთულდება, "რადგან უტყუარი საბუთი არა გვაქვს იმისა, თუ როდის მოხდა გადასახლება პაჭანიგითა ყუბანის მდინარიდამ დნეპრის ხეობაში"[186] - წერს თ. ჟორდანია. თავისი აზრის განსამტკიცებლად აღნიშნავს, რომ ეს ფრაზა სომხურ ქრონიკაში არ მოიპოვება.

აკრიტიკებს რა ივ. ჯავახიშვილი თ. ჟორდანიას, სწორედ ზემოთ მოყვანილ ფრაზას პაჭანიგების შესახებ იყენებს დასამტკიცებლად, რომ ამ თხზულების ავტორი (ივ. ჯავახიშვილის მიხედვით ჯუანშერი) XI საუკუნის მოღვაწეა.[187]

თანამედროვე სამეცნიერო ლიტერატურაში გამოითქვა თვალსაზრისი, რომ "ის ძირითადი პლასტი, რომელიც ვახტანგის მოღვაწეობას ეხება... V ს-ში შექმნილი ნაწარმოებიდან მომდინარეობს", ამ "ნაწარმოების სახით, ვფიქრობ, ჩვენ ხელთაა VIს-ში ვახტანგის თანამედროვე ავტორის მიერ დაწერილი "ცხოვრების" გადაკეთებული ვერსია" - წერს ვახტანგ გოილაძე[188], ხოლო მ. სანაძის აზრით, ზემოთ მოყვანილი ფრაზა პაჭანიგების შესახებ XIს-ნის რედაქციის შედეგად არის შეტანილი ტექსტში[189].

5. მეხუთე მატიანე ეკუთვნის ჯუანშერ ჯუანშერიანს, რომელსაც მრავალწლიანი ისტორიის აღწერისას გამოყენებული აქვს კერძო ისტორიული მატიანეები. სანამ ამ მონაკვეთის განხილვას შევუდგებოდე, მინდა აღვნიშნო ჩემთვის ერთი გაუგებარი ადგილი. როგორც ზემოთ დავინახეთ, თ. ჟორდანიას

---

[185] ჟორდანია თ. "ქრონიკები" წგნ. I. ტფ. 1892 წ. გვ. XXXV.
[186] ჟორდანია თ. "ქრონიკები" წგნ. I. ტფ. 1892 წ. გვ. XXXIV.
[187] ჯავახიშვილი ივ. ისტორიის მიზანი, წყაროები და მეთოდები წინათ და ახლა, წგნ.I. თხზ. XII ტომად, ტ.VIII. 1977 წ., გვ. 191.
[188] გოილაძე ვ. "ვახტანგ გორგასალი და მისი ისტორიკოსი", თბ. 1991. გვ. 43.
[189] სანაძე მ. "სახელწოდებების: "მეფეთა ცხოვრებისა" და "ქართლის ცხოვრების" ურთიერთმიმართების საკითხისათვის", თსუ შრომები, ისტორიის სერია, N328, თბ. 1999 წ. გვ. 103.

ჯუანშერი ვახტანგ გორგასლის ისტორიის არც ავტორად და გადაჭრით, არც მისი "ქართლის ცხოვრებაში" შემტანად მიაჩნია. ამდენად, განაცხადი რომ "ჯუანშერს კერძო ისტორიული წყაროთაგან შეუდგენია თავისი მატიანე, ვახტანგიდამ არჩილის მეფობამდე".[190] ბუნდოვანია, მით უფრო, რომ მომდევნო გვერდზე, როდესაც ჯუანშერის, როგორც მწერლის დახასიათებას იძლევა, წერს: "დაჩის მეფობიდამ არჩილის წამებამდე, რომ მართლა ერთის პირისაგან აღწერილია, ამას ამტკიცებს ის ფრიად შესანიშნავი გარემოება, რომ ამ მატიანეს ერთი ხასიათი აქვს."[191]

მართალია, ჩემთვის გაუგებარი დარჩა თ. ჟორდანიას აზრით რომელი მეფიდან აღწერს ჯუანშერი თავის ისტორიას, მაგრამ არჩილ მეფის წამებამდე რომ მისი დაწერილია, ამას გარკვევით გვეუბნება. მკვლევრის დახასიათებით ჯუანშერი დიდ ადგილს უთმობს მეფეთა "ბიოგრაფიას" და ივიწყებს მნიშვნელოვანი პოლიტიკური მოვლენების მიმოხილვას, რაც გამომდინარეობს იმ წყაროთა ხასიათით, რომლებიც გამოყენებული აქვს ჯუანშერს. "უმთავრესი ამ წყაროთაგან არის გუჯარი "რომელსა შინა აღწერილ არიან მეფენი (ხოსროიანნი) და წარჩინებულნი) (ე.ი. ერისთავნი) ტომებით და სოფლებით მათით (ქ. ცხ. 178) ეს გუჯარი უნდა იყოს საფუძველი მთელის ჯუანშერის მატიანისი, რომელიც მას აქა-იქ შეუმსია სხვა წყაროებიდამ".[192]

თუ აქცენტს გავაკეთებ ფრაზაზე _ "დაჩის მეფობიდან არჩილის წამებამდე" _ შეიძლება ითქვას შემდეგი: თ. ჟორდანია ვახტანგის ცხოვრებისა და დაჩიდან არჩილამდე პერიოდს სხვადასხვა ავტორის მიერ დაწერილად მიიჩნევს. ამ თვალსაზრისზე დგას დღეს ე. ხოშტარია-ბროსე.[193]

ჯუანშერის ისტორიას მკვლევარი მართალია ცალმხრივობას უწუნებს, მაგრამ მიაჩნია, რომ "საუკეთესო მასალისაგან არის შედგენილი".

---

[190] ჟორდანია თ. "ქრონიკები" წგნ. I. ტფ. 1892 წ. გვ. XXXV.
[191] ჟორდანია თ. "ქრონიკები" წგნ. I. ტფ. 1892 წ. გვ. XXVI.
[192] ჟორდანია თ. "ქრონიკები" წგნ. I. ტფ. 1892 წ. გვ. XXXVII.
[193] ხოშტარია-ბროსე ე. "ლეონტი მროველი და "ქართლის ცხოვრება". თბ. 1996 წ. გვ. 67.

მატიანეში არსებული ცნობები ბაგრატიონთა საგვარეულოზე "სპარსთა, თურქთა და ბერძენთა შორის ატეხილ ომებზე, X-XII საუკუნეებში უნდა იყოს შეტანილი, რადგან თხრობის სტილი VIII საუკუნის ავტორის, ჯუანშერის თხრობას არ ეთანხმება" – დაასკვნის მკვლევარი. ჯუანშერი, რომ VIII საუკუნის მოღვაწეა, ამ აზრს ბევრი ისტორიკოსი იზიარებს.[194]

ჯუანშერის ისტორიას მოსდევს "არჩილის წამება", რომელიც თ. ჟორდანიას მიხედვით სხვა ავტორის მიერ არის შეთხზული. მკვლევრის არგუმენტი შემდეგია: აღნიშნულ აზრს "ქართლის ცხოვრებაში" ადასტურებს ფრაზა: "წიგნი ესე წამებისა (არჩილი) მეფისა იპოვა ესრედ სულ მცირედ აღწერილი, რომელთა ჟამთა შლილობისა ჯერისაებრ ვერ ვინ აღწერა." ჯუანშერი თანამედროვის და ნათესავის ("ქართლის ცხოვრების" მიხედვით იგი არჩილის ძმისწულის ქმარია - ქ.ნ.) წამებას, საფიქრებელია, უფრო ვრცლად და დაწვრილებით აღწერდა. თხრობის სტილიდან გამომდინარე ჯუანშერის თხზულების დაწერისას არჩილი ცოცხალი უნდა ყოფილიყო. ამასვე ადასტურებს "ქართლის ცხოვრების" კიდევ ერთი მინაწერი, რომელიც მოიპოვება მხოლოდ მარიამ დედოფლისეულ ნუსხაში. სწორედ იქ, სადაც მთავრდება არჩილის მეფობის ამბავი და იწყება მისი წამების მოთხრობა "აღწერა არჩილის წამება და მეფეთა ცხოვრება და ნინოს ქართლის მოქცევა ლეონტი მროველმან." ლეონტი მროველი უნდა იყოს არა მთხზველი, არამედ გადამწერი. რის გადამწერი? "ჩვენის აზრით "ქართლის ცხოვრების" კი არა, არამედ იმ საეკლესიო მატიანისა, რომლისგან არჩილის წამება "ქართლის ცხოვრებაში" შეუტანიათ შემდეგს დროებში"[195] _ წერს თ. ჟორდანია. მისი

---

[194] ანჩაბაძე გ. "ჯუანშერი და მისი "ცხოვრება ვახტანგ გორგასლისა", მაცნე, ისტორიის სერია N4, 1987. კაკაბაძე ს. ძველი ქართული მატიანეები – საისტორიო ძიებანი, თბ. 1924 წ. სანაძე მ. "ქართული სახელწოდებების: "მეფეთა ცხოვრებისა" და "ქართლის ცხოვრების" ურთიერთმიმართების საკითხისათვის", თსუ-ს შრომები, ისტორიის სერია, N328, თბ. 1999 წ. ჯანაშია ნ. "ცხოვრება ქართველთა მეფეთას" წყაროებისათვის, ისტ. წყაროთმცოდნეობითი ნარკვევი, თბ. 1986 წ.

[195] ჟორდანია თ. "ქრონიკები" წგნ. I. ტფ. 1892 წ. გვ. XXXVI.

აზრით, ამ მატიანეში ყოფილა აღწერილი "ნინოს ქართლის მოქცევა", "მეფეთა ცხოვრება" და ბოლოს _ "არჩილის წამება". ზუსტად ასევე იყო შედგენილი ისტორიული მატიანეც, რომელსაც ეწოდება "ქართლის მოქცევა" და რომელიც მოგვიანო ხანაში შეამოკლეს "ქართლის ცხოვრებაში" შეტანის მიზნით.

ამ აზრს უდასტურებს შემდეგი გარემოება. სომხურ ქრონიკაში არჩილის წამებას მოსდევს ფრაზა "ეს ისტორია (არჩილის წამებისა) იპოვება მოკლედ აღწერილი... და შეტანილი იქნა ჩვენს წიგნში "ქართლის ცხოვრებად" წოდებულში[196] ე.ი. არჩილის წამება ცალკე ყოფილა აღწერილი, შემდეგ საეკლესიო მატიანეში ჩაურთავთ, ხოლო შემდეგ, არა უგვიანეს XI ს-ისა "ქართლის ცხოვრებაში" შეუტანით" - მიაჩნია თ. ჟორდანიას.

ისტორიოგრაფიაში თ. ჟორდანიამ პირველად დასვა საკითხი იმის თაობაზე, თუ რა ეკუთვნის "ქართლის ცხოვრების" ბიბლიოგრაფიულ მინაწერებში დასახელებულ ჯუანშერს და რა _ ლეონტი მროველს. როგორც ვნახეთ, პირველი მან მიიჩნია VI-VIII საუკუნეების ისტორიის ავტორად, მეორე კი "უძველესი საეკლესიო ისტორიის" გადამწერად. რაც შეეხება ლეონტი მროველს, მისი, როგორც ისტორიკოსის შემოქმედებითი აქტივობის საკითხი მკვლევართა შორის აზრთა სხვადასხვაობას იწვევს. რაც არსებითად განპირობებულია მის სახელთან დაკავშირებული თხზულებების ტექსტის ჩამოყალიბებაში, წყაროების როლის სხვადასხვაგვარი გააზრებით. მკვლევართა ერთი ნაწილისათვის, რომელთა შეხედულებებით ლეონტი მროველს ქვეყნის ისტორიის შედგენაზე მუშაობისას ხელთ ჰქონდა სხვადასხვა ავტორთა დასრულებული თხზულებები და მისი საზრუნავი მხოლოდ მათი გაერთიანებით ამოიწურებოდა, ლეონტი მროველი გადამწერი, რედაქტორი ან რედაქტორ-გადამკეთებელია. ამ მკვლევართა რიგში პირველი სწორედ თ. ჟორდანია დგას. ეს აზრი შემდეგ გაიზიარეს კ.კეკელიძემ, ს. კაკაბაძემ, ვ, გოილაძემ, შ. ბადრიძემ.

---

[196] ჟორდანია თ. "ქრონიკები" წგნ. I. ტფ. 1892 წ. გვ. XXXVI.

6. მეექვსე მატიანე, რომელიც "არჩილის წამებას" მოსდევს, მოიცავს ისტორიას ბაგრატ III-ის მეფობის ჩათვლით. იგი სხვადასხვა დროს, სხვადასხვა პირის მიერ არის აღწერილი, ხოლო ბოლო მონაკვეთის ავტორმა, რომელმაც ბაგრატ III-ის ისტორია შეთხზა, (ტექსტის შესწავლის საფუძველზე ბაგრატის თანამედროვე უნდა იყოს), ყველა ამ მოთხრობას რედაქტირება გაუკეთა და "ქართლის ცხოვრებაში" შეიტანა. თ. ჟორდანია ამ დასკვნამდე მიდის შემდეგ გარემოებათა საფუძველზე. მთელი ორასი წლის ისტორია მატიანეში, ბაგრატ III-ის გამეფებამდე შედარებით მოკლეა (8 გვერდი). თუმცა ამ ხანაში სომხური წყაროების მიხედვით მრავალი მნიშვნელოვანი მოვლენა მოხდა: აქა-იქ მატიანე შევსებულია სხვა წყაროთა ცნობებით, რომელთაც ზოგჯერ მწერალი მიუთითებს. მაგ. სტეფანე მტბევარი, წმ. გიორგის ცხოვრების აღწერა, აფხაზთა მეფეთა მატიანე და სხვა. ბაგრატ III-ის ზეობის წლებს ყველაზე დიდი ადგილი უკავია მატიანეში. მთელი ისტორია ერთი ძირითადი ნიშნით ხასიათდება. მემატიანე განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს კახეთს, ამ მხარის შესახებ წვრილმან ცნობებსაც კი არ ტოვებს, როდესაც ქართლ-მესხეთ-აფხაზეთის ისტორიიდან მხოლოდ მნიშვნელოვან ამბებს აღნიშნავს, რაც მიმანიშნებელია იმისა, რომ მემატიანე კახელია, შესაძლებელია ალავერდის ტაძრის სამღვდელო პირი, რადგან შემდეგი ფრაზა აქვს ნახმარი: "მოვიდა კონსტანტინე მეფე და ილოცა ალავერდს წმ. გიორგის წინაშე და შემოსა ხატი მისი ოქროთა... და ფრიად პატივ სცა კვირიკე ქორეპისკოპოსმან."[197]

7. მეშვიდე მატიანე მოიცავს ისტორიას გიორგი I -დან ბაგრატ IV-ის ჩათვლით. (1014-1072 წწ.) თ. ჟორდა ნიას აზრით ამ მატიანის ავტორს გამოყენებული აქვს ქრონიკა "ცხოვრება და უწყება ბაგრატონიანთა" (იხ. ზემოთ); სუმბატის მიერ დაწერილი პირველი ნაწილი 992 წლამდე მთლიანად უგულვებელყო, "რადგან საზოგადოდ ყველა ქართველ მემატიანეს ის

[197] ჟორდანია თ. "ქრონიკები" წგნ. I. ტფ. 1892 წ. გვ. XXXIX.

სამწუხარო თვისება სჭირთ, რომ არ უყვართ ქრონოლოგიური ცნობები”[198], ხოლო მეორე ნაწილი გურგენის ავტორობით 1032 წლამდე ოდნავი შეცვლით, მთლიანად შეიტანა “ქართლის ცხოვრებაში”, 1032 წლიდან 1072 წლამდე კი თვითონ გააგრძელა. აღნიშნული მატიანე არა უგვიანეს 1076 წლისა არის დაწერილი და შეტანილია “ქართლის ცხოვრებაში”. ამას ადასტურებს ცნობა, რომ ბაგრატის მეფობაში მისმა ნახევარ-ძმამ დემეტრემ, რომელიც დედასთან ერთად ბიზანტიის კეისართან წავიდა, “მიმართა ბერძენთა მეფესა და წარუტანა თანა ანაკოფია. მიერითგან წარუდგა ანაკოფია მოაქაჟამადმდე”. რადგან ანაკოფია გიორგი II 1075-1076 წლებში დაიბრუნა, გასაგებია მკვლევართა მიერ ამ თხზულების 1076 წლამდე დათარიღება. მემატიანე ბაგრატ IV-ის თანამედროვეა. ეს შემდეგი ფრაზიდანაც ჩანს: “იხილეთ და განიცადენით ურიცხუნი ხელის-აღპყრობანი ღვთისა მიერ ამას დიდსა ბაგრატს აფხაზთა მეფისა... რომლისთვის ჟამსა და ჟამსა განეწყოს წინამდებარემან სიტყვამან”.[199]

თ. ჟორდანიას აზრით თხზულების ავტორი წარმოშობით მესხია. ამის საბუთად მიაჩნია ფრაზა: “ლაშქარი ამისა ზემოისა კერძისანი”. ზემო კერძო ქვეყანა _ მესხეთია, ხოლო საუბარი ახალქალაქის უზღუდობასა და ზღუდიანობის შესახებ, მის ახალქალაქელობაზე მიუთითებს. მწერალი უსათუოდ ერისკაცი უნდა ყოფილიყო, რადგან სამღვდელო პირთა მატიანეები განსახვავებული კილოთი და ხასიათით გამოირჩევა. რადგან ავტორი მატიანეში დაწვრილებით ჩამოთვლის მეფის მიერ სულა კალმახელიძისათვის ნაბოძებ სოფლებს, რომლებიც მან ლიპარიტ ბაღვაშის შეპყრობისათვის მიიღო, მკვლევარი ფიქრობს, რომ მემატიანე, შესაძლებელია, თვითონ სულაა ან მისი დაახლოებული პირი.[200]

ამრიგად, თ. ჟორდანია “არჩილის წამების” შემდგომ ისტორიას დავით

---

[198] ჟორდანია თ. “ქრონიკები” წგნ. I. ტფ. 1892 წ. გვ. XXI.
[199] ჟორდანია თ. “ქრონიკები” წგნ. I. ტფ. 1892 წ. გვ. XLI.
[200] ჟორდანია თ. “ქრონიკები” წგნ. I. ტფ. 1892 წ. გვ. XLII.

აღმაშენებლის ისტორიამდე ორ მატიანედ ყოფს. სამეცნიერო ლიტერატურაში დამკვიდრებულია ივ. ჯავახიშვილის აზრი, რომლის მიხედვითაც აღნიშნული მატიანე ერთ მთლიან ნაწარმოებად არის მიჩნეული, სახელწოდებით _ "მატიანე ქართლისა". ტექსტობრივი შედარების საფუძველზე, თ. ჟორდანიამ ისტორიოგრაფიაში პირველად დასვა საკითხი მეშვიდე მატიანის (ივ. ჯავახიშვილის მიხევით "მატიანე ქართლისაჲ") და "ცხოვრება და უწყება ბაგრატიონიანთა"-ს მსგავსების შესახებ. ეს უკანასკნელი მან მეშვიდე მატიანის ("მატიანე ქართლისაჲ") წყაროდ მიიჩნია.

თვალსაზრისი "მატიანე ქართლისაჲ"-ს ავტორის მიერ, სუმბატ დავითის ძის წყაროდ გამოყენების შესახებ, თანამედროვე სამეცნიერო ლიტერატურაში წამოაყენა გ. გელაშვილმა[201], გაიზიარეს მ. ლორთქიფანიძემ, გ. წულაიამ.[202]

8. მერვე მატიანე არის დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის თხზულება "ცხოვრება მეფეთა მეფისა დავითისი", რომელიც იწყება გიორგი II-ის მოღვაწეობის აღწერით. თ. ჟორდანიას აზრით ამ აღწერის პირველი ნაწილი ენით და ხასიათით ჰგავს ბაგრატ IV-ის მატიანეს და შესაძლებელია ერთი და იგივე ავტორის მიერ იყოს დაწერილი. ხოლო მეორე ნაწილი იმდენად ეთანხმება კილოთი დავით II-ის (IV) ისტორიას, აშკარაა, რომ იგი დავითის მემატიანეს ეკუთვნის. თ. ჟორდანიამ ყურადღება მიაქცია ერთ გარემოებასაც. დავითის ისტორიკოსი გიორგი II-ის მოღვაწეობას საგანგებოდ ამდაბლებს "რათა მით უფრო უმეტესად აღმოაბრწყინოს ძლიერება დავითის მეფობის" _ წერს იგი.[203]

ვფიქრობთ, თ. ჟორდანიას ამგვარი შეხედულება ყურადსაღებია, რადგან "მატიანე ქართლისაჲ" ერთგვარად კარგი კუთხით აფასებს გიორგი II.

---

[201] გელაშვილი გ. "სუმბატ დავითის ძე და "მატიანე ქართლისა". თსუ შრომები, თბ. 1960 წ. ტ. 87 გვ. 239-259.

[202] სუმბატ დავითი ძე, "ცხოვრებაჲ და უწყებაჲ ბაგრატონიანთა". თბ. 1990. ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა, შენიშვნები და საბუთები დაურთო გ. არახამიამ. შესავალი, გვ. 20.

[203] ჟორდანია თ. "ქრონიკები" წგნ. I. ტფ. 1892 წ. გვ. XLIII.

ისტორიოგრაფიაში, ივ.ჯავახიშვილიდან გამომდინარე, დამკვიდრდა აზრი გიორგი II სუსტი ნებისყოფისა და სახელმწიფო მმართველად უვარგისობის შესახებ. XX ს 70-იან წლებში ვ. კოპალიანმა და ნ. შენგელიამ მეფე გიორგისადმი ამგარი დამოკიდებულება ეჭვქვეშ დააყენეს და "მატიანე ქართლისა"-ს ცნობების გათვალისწინებით მიიჩნიეს, რომ მან ფართო ღონისძიებები ჩაატარა ქვეყნის გაფართოება-განმტკიცებისათვის,[204] ხოლო რ. მეტრეველი წერს: მისი მმართველობა საგანგებოდ უნდა იქნეს შესწავლილი, მოღვაწეობის შეფასება კი გადასინჯული.[205]

აქვე გვინდა აღვნიშნოთ, რომ თ. ჟორდანიამ უარყო ვახუშტის მიერ მოცემული გიორგი II გარდაცვალების თარიღი, 1089 წელი და იგი 1112 წლით დაათარიღა. განმაზოგადებელ ნაშრომში "საქართველოს ისტორიის ნარკვევები" (ტ. III) მითითებულია 1112 წელი.

ტექსტში არსებული ფრაზები "თუალითა ჩუჰნითა ვიხილეთ და ფრიად უფროს ამათ წარმოთქმულთასა", "დღეთა ჩუენთა მოიწია ჭირი ესე", "ვითარცა გვიხილავს", "საქმენი აწ ხილულნი" და სხვა. მკვლევარს იმის მაჩვენებლად მიაჩნია, რომ მემატიანე დავით აღმაშენებლის თანამედროვეა, ხოლო თხზულება დაწერილია დავითის გარდაცვალების შემდეგ. ამას აფიქრებინებს შემდეგი გარემოება: გელათ-გარეჯის გულანის ქრონიკის მიხედვით დავით აღმაშენებელმა გელათის ტაძრის მშენებლობა დაიწყო 1106 წ.,[206] ხოლო სიკვდილის ჟამს დაუსრულებლი დარჩა. როგორც მის ანდერძშია ნათქვამი: "დარჩა მონასტერი სამარხავი ჩემი და საძვალე შვილთა ჩემთა უსრულად და წარმყვა მისთვისცა ტკივილი სამარადისო. აწ შვილმან ჩემმან დიმიტრი სრულ ჰყოს ყოვლითურთ."[207] დადიანთა ქრონიკის მიხედვით გელათის მშენებლობის

---

[204] კოპალიანი ვ. "საქართველო და ბიზანტიის პოლიტიკური ურთიერთობა 970-1070 წწ." თბ. 1969 წ. გვ. 283-285. ნ. შენგელია, "სელჩუკები და საქართველო XI საუკუნეებში", თბ., 1968 წ. გვ. 303-309.

[205] მეტრეველი რ. "დავით IV აღმაშენებელი", თბ. 1990 წ.

[206] ჟორდანია თ. "ქრონიკები" წგნ. I. ტფ. 1892 წ. გვ. 239.

[207] ჟორდანია თ. "ქრონიკები" წგნ. I. ტფ. 1892 წ. გვ. 246.

დამთავრება 1130 წელს მოხდა, ხოლო დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი ისე აღწერს გელათს, მკითხველს აფიქრებინებს, რომ იგი უკვე დასრულებულია ე.ი. მატიანე დაწერილი უნდა იყოს 1130 წლის შემდეგ,[208] თხზულების თხრობის სტილიდან გამომდინარე დავით II-ის (IV) ცხოვრების ავტორი სამღვდელო პირია. მას მეფის მოღვაწეობაში ორი მხარე აქვს გამოკვეთილი: "სახორციელო" და "სასულიერო", თუმცა "სახორციელო" ნაწილის უმეტესი ადგილი მეფის სასულიერო მოღვაწეობას უფრო ეძღვნება, ვიდრე საეროს. ისტორიკოსმა მართებულად შენიშნა, რომ "მემატიანე ღრმად განათლებული და ნაკითხი პირია. მისი ნაწერი ნიმუშია მაღალის ხელოვნებისა."[209] მართლაც, ეს თხზულება აღიარებულია ქართული ისტორიოგრაფიის მწვერვალად. (ივ. ჯავახიშვილი). აქ მოყვანილი მსჯელობა უფლებას აძლევს თ. ჟორდანიას, მატიანის ავტორად სვიმონ ჭყონდიდელი ან არსენ იყალთოელი მიიჩნიოს, თუმცა ამ უკანასკნელის ავტორობაში ეჭვი შეაქვს, რადგან მატიანეში მისი ქებაა და არსენი საკუთარი თავის ქებას არ იკადრებდაო - აღნიშნავს იგი.თ. ჟორდანია კრიტიკულადაც უდგება დავითის ისტორიკოსს. ახასიათებს რა მისი წერის მანერას, თვლის, რომ იგი გატაცებულია მეფის პიროვნული ღირსების დახასიათებით და ამის ფონზე ფრიად მშრალად გამოიყურება მეფის დიდებული ლაშქრობების აღწერა. რა თქმა უნდა, ისტორიკოსის თვალთახედვით ეს თხზულების ნაკლია. ნაკლია, აგრეთვე, ქრონოლოგიის სიმწირე. აქ მხოლოდ სამი თარიღია აღნიშნული 1080, 1089, 1125წლები. რადგან ეს თარიღები მხოლოდ მარიამ დედოფლისეულ "ქართლის ცხოვრებაში" მოიპოვება და არ არის სომხურ ქრონიკებში, მკვლევრის აზრით იგი თხზულების ავტორს არ ეკუთვნის.

როგორც ზემოთ გვქონდა აღნიშნული, თ. ჟორდანიას ერთ-ერთი მიზანი იყო "ქართლის ცხოვრების" ქრონოლოგიით შევსება. იგი საუბრობს რა

---

[208] ჟორდანია თ. "ქრონიკები" წგნ. I. ტფ. 1892 წ. გვ. 248.
[209] ჟორდანია თ. "ქრონიკები" წგნ. I. ტფ. 1892 წ. გვ. XLV.

ვახუშტის ქრონოლოგიის შესახებ, რომელშიც თვლის, რომ სამართლიანი შესწორებები შეიტანა მ.ბროსემ სომხური და არაბული წყაროების დახმარებით, ამ უკანასკნელის საქმიანობითაც არ არის კმაყოფილი, რადგან: "იგი მთლიანად დაფუძნებულია უცხო ერთა ქრონოლოგიაზე... ეს სამწუხარო გარემოება მუდამ თვალწინ გვქონდა და ვცდილობდით ახალი საქრონოლოგიო საბუთები მოგვეპოვნა ჩვენს ძველს მწერლობაში, თუ სხვა წყაროებში,"[210] _ წერს იგი. მართლაც, თ. ჟორდანია "აფხაზთა მეფეთა ქრონიკის", ქვათახევის სამოციქულოს წარწერის, დავით გარეჯის წიგნთსაცავში აღმოჩენილი წიგნის წარწერის, დადიანთა ქრონიკისა და სხვა საბუთების და წარწერების საფუძველზე იძლევა დავით აღმაშენებლის და თამარის ეპოქების მოვლენათა დათარიღებას[211], რომელთა უმეტესობა თანამედროვე ისტორიოგრაფიაში გაზიარებულია.

დავითის მატიანის დაწერის თარიღთან დაკავშირებით, სამეცნიერო ლიტერატურაში აზრთა სხვადსხვაობაა. თ. ჟორდანიას მოსაზრება გაიზიარეს და თავის მხრივ განამტკიცეს ა. ბოგვერაძემ[212] და რ. მეტრეველმა.[213]

9. ქართლის ცხოვრების" მეცხრე მატიანე მოგვითხრობს თამარ მეფის ეპოქის შესახებ, რომელიც მოიცავს თამარის მამის, გიორგი III-ის, მეფობის მოკლე აღწერასაც. თ. ჟორდანიას აზრი ამ მატიანეზე შემდეგია: მემატიანე თამარის თანამედროვეა, რაც ძალიან კარგად ჩანს თხზულების შინარსიდან. მაგ: "მისებრ მპყრობელისა აღმოსავლეთისა და დასავლეთისა, თამარს ვიტყვი, მეფედ ცხებულისა, რომელი ქვემორე სიტყვამან ცხად ჰყოს". ამასვე

[210] ჟორდანია თ. "ქრონიკები" წგნ. I. ტფ. 1892 წ. გვ. LV.

[211] სელჩუკთა პირველი შემოსევა 1077 წ. კარის აღება და პირველად გიორგი II-ის დამარცხება 1078-1079 წ. პირველი "დიდი თურქობ ა" 1080 წ. ხარკის დადება 1083, კახეთის დაკავება 1084-1085. დავით II (IV) გამეფება 1089 (ვახუშტი – 1088), გიორგი II გარდაცვალება 1112 წ. (ვახუშტი – 1088), რუის -ურბნისის კრება 1103 წ., ერწუხთან ბრძოლა 1105 წ., კახეთ-ჰერეთის აღება 1104 წ., გელათის მშენებლობის დაწყება 1106 წ., სამშვილდის აღება 1110 წ., თამარ დავითის ასულის გათხოვება 1112 წ.

[212] ბოგვერაძე ა. "დავით აღმაშენებლის ისტორიის თარიღისა და ხასიათის შესახებ". კრებ. "ქათული ისტორიოგრაფია", წგნ. 2. თბ. 1971, გვ. 70-84.

[213] მეტრეველი რ. "დავით IV აღმაშენებელი", თბ. 1990 წ.

ადასტურებს ცნობა, “მოვიდა ოდესმე წინაშე გიორგისა ანდრონიკეს კომნინოსი”[214], რადგან მემატიანე ხმარობს სიტყვას “ოდესმე”, ნიშნავს იმას, რომ აღნიშნული მოვლენიდან ე.ი. 1167 წლიდან (თ. ჟორდანია “აფხაზთა ქრონიკის” (ქრონიკები I თავი VII) მიხედვით ანდრონიკეს საქართველოში ჩამოსვლას 1167 წლით ათარიღებს).[215] ამ სტრიქონების დაწერამდე დიდი დროა გასული.

ფრაზა “დაწყება და აღსასრული ამის ხელ-ყოფისა სრულებით ესრე სჩანს, ვითარცა სიმძიმესა და პატიოსნებასა თანა ოქროისასა ქარქვეტისა ნამუსრევი”.[216] აჩვენებს, რომ მატიანის ავტორი ერთი პირია.

თამარ მეფის მატიანე ხანგამოშვებით არის დაწერილი. პირველი ნაწილი შესრულებულია შამქორის ომის შემდეგ, ხოლო მეორე ნაწილი თამარ მეფის გარდაცვალებისთანავე.

თ. ჟორდანია შამქორის ომს ათარიღებს 1195 წლით. მატიანეში ამ ომის შესახებ წერია: “ზღვით პონტოსით ზღვამდე გურგენისა (კასპიის ზღვა) და სპერითგან დარუბანდამდის... რომელი აწ სჩანს დაწერასა შინა ამისსა ათერთმეტთა მოქცევათა ჟამთა თამარ სამგზის სანატრელისათა” ე.ი. როდესაც მემატიანეს ეს ამბები აღუწერია, იდგა თამარის გამეფებიდან მე-11 წელი 1184 + 11 = 1195 წ. ის, რომ მატიანის პირველი ნაწილი 1195 წლის მალევეა დაწერილი, მკვლევარს უდასტურებს შემდეგი ფაქტებიც: დასაწყისშივე მემატიანე საუბრობს იმის შესახებ, რომ თამარ მეფემ ხარაჯა დაადო ესაყამდე და

---

[214] ჟორდანია თ. “ქრონიკები” წგნ. I. ტფ. 1892 წ. გვ. XLVI.

[215] თამარის ეპოქის მოვლენათა გადათარიღებას ახდენს შემდეგნაირად: მაგ. თამარ მეფის და დავით სოსლანის ქორწილი 1189 (ვახუშტი 1181, ბროსე 1193), ლაშა-გიორგის დაბადება 1192 (ვახუშტი 1183, ბროსე – 1194). გიორგი რუსის პირველი ამბოხება 1190 წ. (ბროსე 1194 წ.) ზაქარია მხარგრძელის ამირსპასალარად დადგინება 1191 წ. შაჰ-ერმანისა და გუბანის ლაშქრობები 1192 წ. არზრუმის აღება 1192 წ. რუსუდანის დაბადება 1193-94 წწ. გელაქუნზე და ამბერდზე გალაშქრება 1193 წ. (ბროსე – 1196). შამქორის ომი 1195, ბროსე – 1203), ბასიანის ომი 1200-1201 (ბროსე 1203-1204) ლაშა-გიორგის თანამოსაყდრედ დასმა 1205 წ. კარის აღება 1206-1207 წ. დავით სოსალნის გარდაცვალება 1207 წ. (“ქრონიკები” I.გვ. 280-291).

[216] ჟორდანია თ. “ქრონიკები” წგნ. I. ტფ. 1892 წ. გვ. XLVII.

ბაღდადის კუთვნილ ქვეყნებს, ხოლო თვით "ხალიფა (ბუბაქარ?) შეშინებულ და მოჰაჯე ჰყო".[217] ეს შესავალი თ. ჟორდანიას თქმით, თამარის მეფობის დასასრულს რომ ყოფილიყო დაწერილი, მაშინ რუქნადინის დამარცხებას, ტრაპიზონის სამეფოს დაარსებას და ხარაჯის სხვა ქვეყნებისადმი დადგენასაც მოიხსენიებდა ავტორი. აგრეთვე, ამ ნაწილის თხრობის დროს დავით სოსლანზე საუბარი მიდის, როგორც ცოცხალზე, სადაც აღწერილია მისი დაოსტატება სამხედრო საქმეში. ხოლო ივანე ციხისჯვარელზე ნათქვამია: "რომელსა ყვარყვარეცა ეწოდების," ე.ი. ივანეც ამ დროისათვის ცოცხალია. იგი კი 1202 წლისთვის უკვე გარდაცვლილი ჩანს. პირველი ნაწილის, ადრეულ დაწერაზე მეტყველებს მეორე ნაწილის დასაწყისიც _ "არამედ მცირედი რაიმე Ãელ-ვყო კვალად აღწერად"[218] _ მიაჩნია მკვლევარს.

თ. ჟორდანიას აზრით მეორე ნაწილი თამარ მეფის გარდაცვალებისთანავე უნდა იყოს დაწერილი, რადგან თხზულება გამსჭვალულია ძლიერი გლოვითა და ურვით, ხოლო ლაშა-გიორგის შესახებ მემატიანე აღნიშნავს, რომ მისი მეფობა თამარისაზე გამოჩენილი იქნება. ავტორს თავისი ისტორია ლაშას გამეფებიდან 1218 წლისთვისაც რომ დაეწერა, მაშინ ასეთი იმედით მასზე არ ისაუბრებდა, რადგან ამ დროისათვის უკვე თამარის ძის "გიორგი-ლაშას ზნეობით ხრწნილებამ თავი იჩინაო" - მიიჩნევს ისტორიკოსი.

თ. ჟორდანიას შეფასებით თამარის მემატიანე ღრმად განათლებული პირია. კარგად იცნობს საეკლესიო და მსოფლიო ისტორიებს. რადგან იგი დაწვრილებით აღწერს სამხედრო საქმეებს, მკვლევარი თვლის, რომ თხზულების ავტორი საერო პირია და მონაწილეობას იღებდა ლაშქრობებში; და თუ ეს ასეა, მაშინ თხზულების ავტორი უნდა იყოს ჯვართმტვირთველი ანტონ გნოლისთავისძე ჭყონდიდელი; ამ მოსაზრებას ამყარებს იმ ფაქტითაც, რომ თხზულებაში უდიერად არის მოხსენიებული მიქაელ კათალიკოსი,

[217] ჟორდანია თ. "ქრონიკები" წგნ. I. ტფ. 1892 წ. გვ. 283.
[218] ჟორდანია თ. "ქრონიკები" წგნ. I. ტფ. 1892 წ. გვ. XLVIII.

რომელიც ამგვარ შეფასებას არ იმსახურებს. მაგრამ ანტონს მისი კრიტიკის საფუძველი ჰქონდა, რადგან მას გიორგი III-ის დროს ჭყონდიდლობა წაართვა. საყურადღებოა ისიც, რომ მატიანეში დაწვრილებით არის აღწერილი ანტონის ვაზირად დანიშვნა - დაასკვნის მკვლევარი.

ამრიგად, თ. ჟორდანიას შეხედულებით, "ისტორიანი და აზმანი" ერთი ავტორის დაწერილია და ორი ნაწილისაგან შედგება. პირველი ნაწილი დაიწერა 1195-96 წწ. მეორე _ თამარის გარდაცვალების შემდეგ. ამავე აზრისანი არიან განხილულ სკითხზე ივ. ჯავახიშვილი და პ. ინგოროყვა.

თ. ჟორდანია, როგორც უკვე აღვნიშნე, "ქრონიკების" III ტომში დაბეჭდილ ნაშრომში _ "კრიტიკული გარჩევა "ქართლის ცხოვრების" მეორე ნაწილისა" _ იხილავს თხზულებას, რომელიც მოიცავს მონღოლების პერიოდის აღწერას ლაშა-გიორგის მეფობიდან, გიორგი ბრწყინვალის მეფობამდე. პირველად ისტორიოგრაფიაში თხზულება მის მიერ იქნა შესწავლილი. სამწუხაროდ, ამ ნაშრომს სამეცნიერო საზოგადოება გვინ, 1967 წელს გაეცნო, რადგან თხზულებას არ ჰქონდა სათაური, მკვლევარმა მას "ასწლოვანი მატიანე" უწოდა. აი რას წერს ამის თაობაზე წყაროთმცოდნე რ. კიკნაძე: "ეს სათაური თითქმის ზუსტად ასახავს ფაქტობრივ მდგომარეობას. მართლაც, ჟამთააღმწერლის თხზულებაში გადმოცემულია საქართველოს ისტორია ას წელიწადზე ცოტა მეტი ხნისა... ამდენად, შემოთავაზებული სათაური მარჯვე, მოხერხებული და ყოველმხრივ გამართლებული ჩანს, ხოლო თ. ჟორდანიას მაღალი მეცნიერული ავტორიტეტი... მისაღებს ხდის წინადადებას. ამიტომ, იმისათვის, რათა გაადვილდეს წყაროს გამოყენება და ციტირება, მიზანშეწონილია, რომ ისტორიულ და წყაროთმცოდნეობით გამოკვლევებში, აგრეთვე ტექსტის პუბლიკაციებსა და თარგმანებში ჟამთააღმწერლის თხზულებას ეწოდოს "ასწლოვანი მატიანე". ეს უსათუოდ ხელს შეუწყობს

ძეგლის უფრო ღრმად და ყოველმხრივ შესწავლას."[219] როგორც ცნობილია, ჩვენს მიერ განსახილველი მატიანე ისტორიოგრაფიაში მოიხსენიება ივ. ჯავახიშვილის მიერ შერქმეული ავტორის სახელით "ჟამთააღმწერელი", თუმცა, როდესაც რ.კიკნაძემ ცალკე წიგნად გამოსცა ჟამთააღმწერლის თხზულება, დაასათაურა როგორც "ასწლოვანი მატიანე".

თ. ჟორდაიას აზრით მატიანე დაწერილია ჯაყელთა მიერ (ამ საკითხზე ქვემოთ ვისაუბრებთ), ხოლო ჩვენამდე მოაღწია რედაქტირებული სახით. რედაქცია "ასწლოვან მატიანეს" გაუკეთა ერთმა პირმა, რომელიც ცხოვრობდა გიორგი V-ის და ექვთიმე კათალიკოსის დროს. კერძოდ, გიორგი ბრწყინვალის მეფობის პირველ ხანაში, დაახლოებით 1304-1320 წლებში, როდესაც საქართველოს ჯერ მონღოლთა უღელი არ ჰქონდა გადაგდებული, რაზეც მეტყველებს ფრაზა: ... იქმნა ძლიერ ბრძოლა... ივლტოდეს ქართველნი... ურიცხვი სული ქრისტიანეთა მოკვდა... დროშა იგი სვიანი დავითისა გორგასლიანი არა სადა ძლეულიყო... ხოლო ამიერთაგან არღარა მიეცა ძლევა თათართა ზედა ვიდრე ჟამთამდე ჩვენთა." ის, რომ თხზულების ავტორი ექვთიმე კათალიკოსის დროს მოღვაწეობდა, ისტორიკოსის თქმით, ადასტურებს "ქართლის ცხოვრებაში" არსებული ცნობა, რომ ბასილ მთაწმინდელი, რომელიც მოხსენიებულია 1283 წ. ახლოს, "იყოო ბიძა ევფემიოს კ-ზისა". ე.ი. მატიანეს შემდგენელი ევფემიოსის თანამედროვეა. ევფემიოსი კი მოღვაწეობდა 1310-1318 წლებში.

თ. ჟორდანიას "ასწლოვანი მატიანეს" რედაქტორად მიაჩნია ვინმე "მოძღვარი ვარძიისა", რომელმაც თავისი სახელი მოლოზნური თავმდაბლობიდან გამომდინარე დამალა. ამას აფიქრებინებს ერთი გარემოება: მატიანეში არის ცნობა ნიკოლოზ კათალიკოსის გამგზავრების შესახებ ყაენთან, სადაც ვკითხულობთ: "და შეუქმნა ოქროს ჯვარი და შეუმკუნა ვარძიისასა,

[219] კიკნაძე რ. "საქართველოს ისტორიის წყაროთმცოდნეობის საკითხებში", თბ. 1982, გვ. 59.

რომელთანა ჰყვა კათალიკოზსა”[220], რადგან კათალიკოსის გვერდით უბრალო მოძღვარია მოხსენიებული, საფიქრებელია, რომ სწორედ ის უნდა იყოს მატიანის რედაქტორი.

მკვლევარს აინტერესებს საკითხი, თუ რა მიზანი ჰქონდა “ასწლოვანი მატიანის” რედაქტორს, როდესაც ხელი მოჰკიდა ჯაყელთა მატიანის შევსება-შეკეთებას. იგი ამ საკითხის შესახებ წერს: “როგორც ბერს და “ვარძიის მოძღვარს” სახეში ჰქონდა ჯაყელთა მატიანისათვის ისეთი სახე მიეცა, როგორიც აქვს ებრაელთა ისტორიას დაბადების წიგნში: ყოველ ბოროტებას ღვთისაგან სასჯელი მოსდევს, ხოლო ღვთისნიერება და საზოგადოდ კეთილი საქმე მეფეთა და ერისა დაჯილდოვებულია ღვთისაგან მტრებზე გამარჯვებით, ბედნიერებით, დღეგრძელობით. ეს აზრი გაუტარებია “ვარძიელის” რედაქტორს ჯაყელთა მატიანეში”.[221] ის რომ, ჟამთააღმწერლის თხზულება გამსჭვალულია პროვიდენციალიზმის იდეით, იზიარებს კ. გრიგოლია[222] ვ.კიკნაძე.[223]

რაც შეეხება “ჯაყელთა მატიანეს”, თ. ჟორდანიას მის ავტორებად მიაჩნია სარგისი და მისი შვილი ბექა. მატიანის პირველი და უდიდესი ნაწილი დაწერილია “პაპა სარგისისაგან” 1285 წლამდე, ხოლო მეორე ნაწილი _ ბექასაგან 1306-1308 წლამდე. ორივე ავტორი არა მხოლოდ თანამედროვე, არამედ დამსწრე და ზოგჯერ მონაწილეც იყო მათ მიერ აღწერილი ამბებისა. ისინი გამოირჩევიან მაღალი განათლებით და მონღოლური ენის კარგი ცოდნით. მემატიანე განსაკუთრებული ყურადღებით გამოჰყოფს მესხების საქმეებს, დაწვრილებით აღწერს ჯაყელთა დამსახურებებს. სარგისის ავტორობას ადასტურებს მის შესახებ ტექსტში აღწერილი წვრილმანები. ამ დასკვნამდე ისტორიკოსი მიდის ტექსტის ანალიზის საფუძველზე. მას

---

[220] ჟორდანია თ. “ქრონიკები” ტ. III. თბ. 1967 წ. გვ. 565.
[221] ჟორდანია თ. “ქრონიკები” ტ. III. თბ. 1967 წ. გვ. 577
[222] გრიგოლია კ. “ჟამთააღმწერელი და მისი თხზულებების სამეცნიერო მნიშვნელობა”, ქართული ისტორიოგრაფია, თბ. 1968 წ. გვ. 64-105.
[223] კიკნაძე ვ. “საქართველო XIV საუკუნეში”, თბ. 1989 წ.

მიაჩნია, რომ ბექას მატიანე იწყება ფრაზიდან "ხოლო საქმენი სარგისისანი ზემო აღგვიწერიან და აწ ვახსენოთ ძე მისი ბექა."[224]

თ. ჟორდანია მაღალ შეფასებას აძლევს განხილულ თხზულებას. იგი წერს: "...ამ მხრით (მონღოლთა შესახებ - ქ.ნ.) ჯაყელთა მატიანეს ბადალი არა ჰყავს არა თუ ქართველთ მატიანეებში, არამედ არც სომეხთა მწერლებში და არც მსოფლიო მეისტორიეებში. სომეხთ მწერლებს აქიდან ამოუკრეფიათ უმეტესი ნაწილი ცნობებისა "თათრებზე" (მონგოლებზე), ხოლო ევროპელ მწერლებს არ შეუძლიათ მართალი ისტორია მონგოლებისა აღწერონ, თუ არ იხელმძღვანელეს ჯაყელთა მატიანით. იმ შემთხვევაში, თუ ხელს მოჰკიდებენ მონგოლების პოლიტიკური ცხოვრების აღწერას მცირე აზაიში "საქართელოში და სპარსეთში". ამნაირად, ჯაყელთა მატიანე საუკუნო წყაროა აღმოსავლეთის ისტორიისა."[225] აღნიშნული მატიანე ნამდვილად იმსახურებს ამგვარ შეფასებას.

ამთავრებს რა კვლევას, თ. ჟორდანია "ქართლის ცხოვრების" შესახებ, წერს:"არა მგონია პატრიოტული გრძნობა მაბრმავებდეს, როცა გადაჭრით ვამბობ, რომ ქართველებისთანა მართალი, სრული და მისანდობი მატიანე სხვა რომელიმე ერს ებადებოდეს".[226] ვფიქრობ, ამ აზრის მართებულობის დამადასტურებელია ის ფაქტი, რომ ბოლო ათეული წლების მანძილზე "ქართლის ცხოვრების" ნდობის ხარისხი ქართულ ისტორიოგრაფიაში განუხრელად იზრდება.

მიუხედავად იმისა, რომ "ქართლის ცხოვრების" შესწავლის სრულყოფისათვის მრავალი ნაშრომი დაიწერა, მის ირგვლივ დასმული მთელი რიგი საკითხები დღესაც აზრთა სხვადასხვაობას იწვევს. მაგალითად, მეცნიერები დღემდე ვერ შეთანხმდნენ "ქართლის ცხოვრების" კრებულის თავდაპირველად შედგენის თარიღისა და მისი თანდათანობითი შევსების შესახებ. მართალია, "ქართლის ცხოვრების" სიმ. ყაუხჩიშვილისეული რედაქცია ივ. ჯავახიშვილის მიერ დადგენილი სქემის მიხედვით არის

[224] ჟორდანია თ. "ქრონიკები" ტ. III. თბ. 1967 წ. გვ. 553.
[225] ჟორდანია თ. "ქრონიკები" ტ. III. თბ. 1967 წ. გვ. 577.
[226] ჟორდანია თ. "ქრონიკები" ტ. III. თბ. 1967 წ. გვ. 584.

გამოცემული, მაგრამ სამეცნიერო ლიტერატურაში კრებულში შემავალი თხზულებების განსხვავებული სქემები არსებობს და ამჟამადაც მიმდინარეობს მუშაობა მისი დაზუსტებისათვის. ამ ვითარებაში, თ. ჟორდანიას ისეთ სერიოზულ შრომას, რომელიც მან ამ უმნიშვნელოვანესი ძეგლის შესწავლისათვის გასწია, თამამად შეიძლება ითქვას, აქტუალობა ახლაც არ დაუკარგავს და იმ მეცნიერთაგან, რომელთა კვლევის ძირითად საგანს წარმოადგენს "ქართლის ცხოვრება", უცილობლად უნდა იქნეს გათვალისწინებული თ. ჟორდანიას ზემოთ წარმოდგენილი კვლევის შედეგები. სამწუხაროდ, მისი დასკვნები "ქართლის ცხოვრების" შესახებ სამეცნიერო ლიტერატურაში, იშვიათი გამონაკლისის გარდა, არ მიეთითება, მიუხედავად იმისა, რომ იგი ბევრი საკითხის პირველმკვლევარია.

ჩვენ თ. ჟორდანიას ნააზრევი, "ქართლის ცხოვრების" ირგვლივ არსებული საკითხების შესახებ, ზედმიწევნით განვიხილეთ, რამაც მკითხველში შესაძლებელია ზედმეტობის განცდა გამოიწვიოს, მაგრამ ამგვარ მიდგომას სხვა მოსაზრებაც აქვს.

მიგვაჩნია, რომ ისტორიული მეცნიერების წინსვლისათვის საჭიროა არა მხოლოდ პიროვნების მემკვიდრეობის, არამედ საკითხის ისტორიოგრაფიის შესწავლაც, რადგან ორივე ერთად უფრო მეტად უწყობს ხელს აზრის განვითარების წარმოჩენას. აზრის განვითარების წარმოჩენა კი აუცილებელია, რადგან მეცნიერული კვლევა მხოლოდ გამოცდილების გათვალისწინებით შეიძლება იყოს წარმატებული. კვლევის წარმატებულობა კი მეცნიერების წინსვლის გარანტიაა.

საინტერესოა რა დასკვნის გამოტანის უფლებას გვაძლევს საკუთრივ თ. ჟორდანიას, როგორც წყაროთმცოდნის შესახებ, ჩვენ მიერ განხილული შრომა. რადგან ისტორიკოსმა საგანგებო ყურადღება დაუთმო "ქართლის ცხოვრებაში" აღწერილი მოვლენების შესწავლას, გამოიყენა სხვადასხვა წყარო აქ აღნიშნული ფაქტების დასაზუსტებლად, ეცადა თითოეული მატიანის დათარიღებას და სანდოობის გარკვევას, ყურადღება მიაქცია მათ დასაწერად

გამოყენებული წყაროების წარმოჩენას, იმსჯელა ამ მატიანეების კრებულში შეტანის დროის შესახებ, განსაკუთრებული მნიშვნელობა მიანიჭა “სომხური ქრონიკისა” და “მოქცევაჲ ქართლისაჲ”-ს, როგორც საშუალებას “ქართლის ცხოვრების” კრებულის თავდაპირველად შექმნის თარიღის გასარკვევად, მოგვცა საქართველოს ისტორიაში მომხდარი მოვლენების დათარიღება, იზრუნა მატიანეების ჟანრობრივი ხასიათის განსაზღვრაზე და მათი ავტორების ვინაობის დადგენაზე; თამამად შეიძლება ითქვას, რომ თ. ჟორდანია, როგორც წყაროთმცოდნე; არ კმაყოფილდება ძეგლის მხოლოდ გარეგანი კრიტიკით. იგი იყენებს მეთოდებს, რომლებიც საშუალებას აძლევს ჩაატაროს წყაროს შინაგანი ანუ ანალიზური კრიტიკა. ყურადსაღებია ერთიც, თ. ჟორდანია ზემოთ ჩამოთვლილი საკითხების გასარკვევად, ძირითად საყრდენად მაინც “ქართლის ცხოვრების” ტექსტოლოგიურ შესწავლას იხდის. ეს ხერხი წყაროთმცოდნეობაში დღემდე მნიშვნელოვანია.

ამრიგად, მიგვაჩნია რომ ძეგლის შესწავლის ამგვარი მეთოდების გამოყენება ახალი საფეხურია იმ დროის მეცნიერებაში.

თუ გავითვალისწინებთ იმასაც, რომ თ. ჟორდანიას მთელი რიგი შეხედულებები დღევანდელი ისტორიოგრაფიის თვალთახედვით საკმაოდ აქტუალურად გამოიყურება, რაშიც ვფიქრობ “ქართლის ცხოვრების” შესახებ მისი ნაშრომის განხილვამ დაგვარწმუნა, შეიძლება ითქვას, რომ იგი თანამედროვე კვლევის სათავეებთან დგას. და თუ ეს ასეა, მაშინ მისი წყაროთმცოდნეობითი გამოცდილების შესწავლა და განზოგადება აუცილებელია წყაროთმცოდნეობითი მეთოდიკის სრულყოფისთვისაც.

როცა წყაროთმცოდნეობის დარგში მკვლევრის მოღვაწეობას იხილავ, აუცილებელია აჩვენო, კონკრეტულ ისტორიულ პრობლემებზე დაწერილ ნაშრომში, თუ რა მნიშვნელობას ანიჭებს იგი წყაროების გამოყენებას, რამდენად უწყობს ხელს მეცნიერულ ბრუნვაში მათ შემოტანას. ჩვენ ამ საკითხზე საგანგებოდ აღარ შევჩერდებით, რადგან წინამდებარე ნაშრომის

მომდევნო თავები ადასტურებენ იმ ფაქტს, რომ თ.ჟორდანიას კვლევები უშუალოდ წყაროებზეა დამყარებული და ამ კვლევებში აქტიურადაა გამოყენებული მის მიერვე გამოვლენილი წყაროები.

დასასრულს, მინდა აღვნიშნო ერთი გარემოება. როდესაც ვ.ო. კლუჩევსკი ცნობილი ისტორიკოსების ტატიშჩევისა და მილერის წყაროთმცოდნეობით მოღვაწეობას აფასებდა, კერძოდ კი წყაროების შეგროვება-გამოყენების საქმეს, წერდა: «Татищев видел в этом средство для удовлетворения государственной потребности, второй мил(ерио – ქ.ნ.) материала для ученной работы по професии, по долгу службы».[227]

თამამად შეიძლება ითქვას, რომ თ. ჟორდანიას ამ შემთხვევაში ამოძრავებდა როგორც პროფესიული მოვალეობა, ასევე სახელმწიფოებრივი მოთხოვნილებებიდან გამომდინარე აუცილებლობა, რადგან იგი წერს: თუ ქართული მწერლობა ევროპულად ითარგმნა, "ჩვენის ერის მწერლობასაც ფასი დაედება საქვეყნო მწერლობაში, მაშინ ჩვენც წილს დაგვიდებენ განათლების წარმართვის საქმეში. ღმერთმა მალე გვიჩვენოს ეს სანატრელი დრო, რომელიც ადრე თუ გვიან, ყოვლად უსათუოდ დაგვიდგება სასიხარულოდ და სასახელოდ ჩვენის ერისა. მხოლოდ გვჭირია ეხლა მხნეობა, რომ ევროპას რიგიანად გავაცნოთ ჩვენი მწერლობა ჩვენის ხელნაწერების ღირსეულად აღწერითა."[228]

თავი მესამე

თედო ჟორდანია _ საქართველოს ეკლესიის ისტორიის მკვლევარიქართულ ისტორიოგრაფიაში XIX საუკუნის 40-იანი წლებიდან საფუძველი ჩაეყარა

---

[227] Киреева Р.А.. «В.О. Ключевский как историк русской исторической науки». Изд. «Наука», М. 1966. с . 98.

[228] ჟორდანია თ. "როგორი უნდა იყოს სამეცნიერო კატალოგი". "ივერია", 1891 წ. 9 იანვარი, N120. გვ. 2.

საქართველოს ეკლესიის ისტორიის განმაზოგადებელი ნაშრომების შექმნას. პირველი მკვლევრები იყვნენ ბურჟუაზიული ისტორიოგრაფიის წარმომადგენლები, რომლებმაც დაიწყეს საეკლესიო ცხოვრების შესახებარსებული წყაროების თავმოყრა და მათზე დაყრდნობით საქართველოსეკლესიის ისტორიის თანმიმდევრული გადმოცემა.

გარდა სამეცნიერო მნიშვნელობისა, ამ მოვლენას იდეოლოგიური დატვირთვაც ჰქონდა. როგორც ცნობილია, რუსეთმა, საქართველოს შეერთების შემდეგ (1801წ.), გააუქმა საქართველოს ეკლესიის დამოუკიდებლობა - ავტოკეფალია და კათალიკოს-პატრიარქის თანამდებობა (აღმოსავლეთ საქართველოში 1811 წ. დასავლეთ საქართველოში 1814 წ.); მოახდინა ადმინისტრაციულ-სტრუქტურული და ეკონომიკურ-სოციალური ცვლილებები. ქართული ეკლესია რუსეთის სინოდის საეგზარქოსოდ გადაკეთდა. ამდენად, საქართველოში ეკლესია ცარიზმის კოლონიური პოლიტიკის საყრდენად და გამტარებლად იქცა.[229] წირვა-ლოცვა შემოიღეს რუსულ ენაზე. დაიწყეს საეკლესიო ქონების აღწერა, რათა იგი რუსეთის ხაზინას გადასცემოდა. ამით რუსეთის მთავრობამ ქართულ ეკლესიას წაართვა არა მხოლოდ თვითმმართველობა, არამედ მოუსპო ეკონომიკური საფუძველიც.[230] ყველაფერი ეს კი ცარიზმისათვის გარანტია იყო იმისა, რომ ქართული ეკლესიის როლი მნიშვნელოვნად შემცირდებოდა საქართველოს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის საქმეში და ქართული ეროვნული ცნობიერების შენარჩუნებაში.

ბუნებრივია, ამას კარგად ხედავდა მოწინავე საზოგადოება და ხვდებოდა, თუ რაოდენ დიდი მნიშვნელობა ჰქონდა საქართველოს ეკლესიის ავტორიტეტის დაკნინების წინააღმდეგ ბრძოლაში, მეცნიერული შესწავლის გზით, ათასწლოვანი ისტორიის წარმოჩენას.

---

[229] ქსე ტ.9. 1985. გვ.177.

[230] სურგულაძე ა. სურგულაძე პ. "საქართველოს ისტორია", თბ.1991წ. გვ.17.

ქართული ეკლესიის ისტორიის შესახებ პირველი მონოგრაფია ცნობილმა ისტორიკოსმა, პლატონ იოსელიანმა (1809-1875) გამოაქვეყნა 1843 წელს პეტერბურგში, რუსულ ენაზე, სახელწოდებით «Краткая история грузинской церкви»,სადაც ქართული და უცხოური წყაროების გამოყენებით გადმოცემულია ქართული ეკლესიის მოკლე ისტორია. გრძელდებოდა ჯერ კიდევ ვახტანგ VI-ის მიერ დაწყებული საქმე, საქართველოს ისტორიას ამდიდრებდნენ საეკლესიო ისტორიით. ამის დამადასტურებელია იოანე (1772-1836), დავით (1769 -1819) და თეიმურაზ (1782 -1846) ბატონიშვილების თხზულებები. სერიოზული წვლილი შეიტანა ეკლესიის ისტორიის შესწავლის საქმეში მიქაელ საბინინმა (1845-1900), რომელმაც 1877 წელს, ასევე რუსულ ენაზე გამოსცა მონოგრაფია "საქართველოს ეკლესიის ისტორია" (1877) რომელშიც თხრობა VI ს. ბოლომდე მოდის. ხოლო მის წიგნს "საქართველოს სამოთხე" (1882წ.), სადაც შეტანილია ქართველ წმინდანთა ცხოვრებები, დღესაც არ დაუკარგავს მნიშვნელობა. დიდი ყურადღება დაუთმო ამ საკითხის შესწავლას მოსე ჯანაშვილმა, რომელმაც პირველად, ქართულ ენაზე 1886 წელს, თბილისში გამოსცა "საქართველოს საეკლესიო ისტორია", სადაც, აგრეთვე, მოკლედ არის გადმოცემული ეკლესიის მთელი ისტორია დაარსებიდან ავტოკეფალიის გაუქმებამდე. ასევე განმაზოგადებელი ნაშრომები მიუძღვნეს ეკლესიის ისტორიას მიხეილ თამარაშვილმა (1910, რომი, ფრანგულ ენაზე), ევგენი ნიკოლაძემ (1918, ქუთაისი), მელიტონ კელენჯერიძემ (1918, ქუთაისი).

ზემოთ აღნიშნული ყველა მონოგრაფია მართალია სქემატურობით ხასიათდება და მეცნიერების თანამედროვე დონის მოთხოვნებს აღარ შეესაბამება, მაგრამ ისინი შექმნის დროისათვის მიზანს ამართლებდნენ. ჯერ ერთი, ამ წიგნებით პოპულარიზაცია გაეწია ქართული ეკლესიის ისტორიას, მეორე _ დაიწყო ისტორიოგრაფიული ბაზის შექმნა, რაც აუცილებელ პირობას წარმოადგენდა ამ დარგის შემდგომი განვითარებისათვის. სამწუხაროდ, 1917 წლის ოქტომბრის რევოლუციის შემდგომი პერიოდის ქართული

ისტორიოგრაფია ამ მხრივ აქტიურობით არ გამოირჩევა, რასაც თავისი მიზეზები გააჩნია. ეს საკითხი ცალკე შესწავლის საგანს წარმოადგენს და ჩვენი ინტერესის სფეროს სცილდება.

ქართული ეკლესიის ისტორიის კვლევა განსაკუთრებით აქტუალური გახდა 1904-1905 წლებში, როდესაც ქართველმა საზოგადოებამ რუსეთის საიმპერატორო კარისა და წმინდა სინოდის წინაშე დასვა საკითხი, ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის შესახებ. ამ დროს შეიქმნა კ. ცინცაძის, ნ. დურნოვოს, მ. კელენჯერიძის, ნ. მარის, ალ. ცაგარელის, ალ. ხახანაშვილის გამოკვლევები, რომელთა მიზანი იყო მეცნიერულად, ყველა არსებული წყაროს გამოყენებით, მოეთხროთ ქართული ეკლესიის მიერ ავტოკეფალიის მოპოვების ისტორია და დაესაბუთებინათ მისი აღდგენის კანონიერება, რადგან ამ მოთხოვნას რუსეთი კატეგორიულ წინააღმდეგობას უწევდა. მართალია, ავტოკეფალიის აღდგენის მცდელობა იმ ხანად მარცხით დამთავრდა, მაგრამ ისტორიოგრაფიას შემორჩა ამ საკითხისადმი მიძღვნილი არაჩვეულებრივად საინტერესო და საჭირო ნაშრომები.

ბუნებრივია, თედო ჟორდანიას ინტერესის მიღმა ვერ დარჩებოდა ისეთი აქტუალური პრობლემა, როგორიც საქართველოს ეკლესიის ისტორიის შესწავლა იყო, რადგან იგი ატარებდა ღვთისმეტყველების კანდიდატის ხარისხს და ეკუთვნოდა მეცნიერთა იმ კატეგორიას, რომლებიც დიდი გულისყურით ეკიდებიან დროის მოთხოვნებს.

თ. ჟორდანიამ ქართული ეკლესიის ისტორიის შესწავლისათვის საკმაოდ მნიშვნელოვანი შრომა გასწია. შექმნა, როგორც წყაროთმცოდნეობითი ბაზა, (იხ. თავი II) ასევე საყურადღებო ნაშრომები ავტოკეფალიისა და აფხაზთა კათალიკოსების შესახებ. მას გამოქვეყნებული აქვს ჯრუჭის, მღვიმევის, კაცხის, მარტვილის, შიომღვიმის მონასტრების; გელათის, ხონის, ქვათახევის, ცაიშის ეკლესიების ბიბლიოთეკებისა და სიძველეთა საცავების, სიწმინდეების აღწერილობები. ბევრი სიგელ-გუჯარი, სახარება, გულანი და სხვა ხელნაწერი

მის მიერ არის შესწავლილი და დათარიღებული. ეს ის საკითხებია, რომელთა კვლევა თანამედროვე ქართულ ისტორიოგრაფიაშიც აქტუალურია. ამდენად, ვფიქრობ, თ. ჟორდანიას ნაშრომების განხილვა აუცილებელია არა მხოლოდ მეცნიერის ნააზრევის წარმოსაჩენად, არამედ დღევანდელ მეცნიერებაში ამ საკითხების შესწავლის წინსვლისათვისაც, რადგან მეცნიერული კვლევა, როგორც უკვე აღნიშნული გვქონდა, მხოლოდ გამოცდილების გათვალისწინებით შეიძლება იყოს წარმატებული.

თ. ჟორდანიამ საინტერესო მოსაზრებები გამოთქვა ქართლის გაქრისტიანების, ქართლის ეკლესიის იერარქიული მდგომარეობისა და ავტოკეფალიის მოპოვების შესახებ, რომლებიც თავმოყრილია ნაშრომში «Краткія историческія сведенія об автокефаліи грузинской церкви» (₾905 ქუთაისი). ნაშრომში ავტორის შეხედულებები ქართლის გაქრისტიანებისა და ეირარქიული მდგომარეობის ირგვლივ ორ გვერდს მოიცავს. აქ მხოლოდ წყაროების ანალიზის საფუძველზე მიღებული დასკვნებია გადმოცემული. რადგან ჩვენი მიზანია ვაჩვენოთ მეცნიერის მიერ ჩატარებული სრული სამუშაო, გამოვიყენეთ "ქრონიკების" I ტომიც, სადაც სხვადასხვა გვერდზე შენიშვნების სახით გაფანტულია მისი ნააზრევი, რომლის გაცნობითაც კარგად ჩანს თ. ჟორდანიას, როგორც მეცნიერის დამოკიდებულება ამა თუ იმ მოვლენისადმი და ამ მოვლენაში გასარკვევად რა დიდ მნიშვნელობას ანიჭებს იგი უშუალოდ წყაროზე მუშაობას. ეს კი მის შრომას ანგარიშგასაწევს ხდის.

თ. ჟორდანია ნარკვევს იწყებს მოკლე ისტორიული მიმოხილვით, თუ რამ განაპირობა ქართული ეკლესიის დაქვემდებარება ანტიოქიის საპატრიარქოსადმი. თ.ჟორდანიას აზრით, ნინოს მიერ ქართლის მოქცევის შემდეგ ქართველთა თხოვნით ბიზანტიის იმპერატორმა, კონსტანტინე დიდმა, (306-337) გამოაგზავნა «знаменитый антиохийский патриарх, ученый и святой, муж Евстафии. Он лично ездил в Грузию (в 326г) для устроения обращенной в христианство св. Ниной страны. Вот почему согласно обычаю древней церкви

грузинская церковь, как получившая христианскую веру из Антиохии, вошла в состав антиохиского патриархата».[231]

როგორც დავინახეთ, თ. ჟორდანიას მიაჩნია, რომ ანტიოქიის პატრიარქმა ევსტათიმ საგანგებოდ იმოგზაურა ქართლში, ქართული ეკლესიის ორგანიზაციის მიზნით, რაშიც იგულისხმებოდა პირველიშეპისკოპოსის ხელდასხმაც, რის გამოც ქართლის ეკლესია ანტიოქიის საპატრიარქოს დაექვემდებარა. ამ საკითხების გარკვევას დიდი მნიშვნელობა აქვს ქართული ეკლესიის ისტორიისათვის, რადგან ეკლესიის არსებობა იწყება მაშინ, როდესაც შექმნილია საეკლესიო ორგანიზაცია, არიან სასულიერო პირები და აქედან გამომდინარე სრულდება საეკლესიო რიტუალები. კ.კეკელიძე წერს: "ერთი საქმეა მოქცევა, გაქრისტიანება ხალხისა, სხვა საქმეა მონათვლა უკვე მოქცეული ხალხისა, რიტუალის შესრულება."[232]

თ. ჟორდანიას ზემოთ მოყვანილი აზრი არ არის საყოველთაოდ გაზიარებული და მიღებული. საკითხები, თუ ვის მიერ იქნა ნაკურთხი პირველი მღვდელმთავარი, რომელიც სათავეში ჩაუდგა ქართულ ეკლესიას, ვინ ჩამოაყალიბა საეკლესიო სტრუქტურა და რომელ ეკლესიას დაექვემდებარა იერარქიულად ქართლის საეპისკოპოსო, სამეცნიერო ლიტერატურაში წარსულშიც და დღესაც აზრთა სხვადასხვაობას იწვევს. რაც განპირობებულია ამ საკითხების ირგვლივ არსებული წყაროების განსხვავებული ცნობებით და ამ ცნობათა სხვადასხვანაირი ინტერპრეტაციით. რადგან თავისი შეხედულების დასადასტურებლად მოყვანილი აზრების წყაროს თ. ჟორდანია არ ასახელებს, საჭიროდ ვთვლით საკითხის შესახებ არსებული წყაროებისა და სხვადასხვა მოსაზრებების განხილვას.

---

[231] Жордания Т. «Краткія историческія сведенія об автокефаліи грузинской церкви» ქუთაისი, 1905წ. გვ.1.

[232] კ.კეკელიძე "მოქცევაჲ ქართლისაჲ"-ს შედგენილობა, წყაროები და ეროვნული ტენდენციები, ეტიუდები. ტ. I. თბ. 1956. გვ. 89. შენ. 4.

ქართული ეკლესიის პირველი ორგანიზაციის შესახებ ცნობები დაცულია ქართულ და IV-V ს. ბერძნულ-ლათინურ წყაროებში.

ქართული წყაროების "მოქცევაჲ ქართლისაჲ"-ს[233] და ლეონტი მროველის "ნინოს ცხოვრების"[234] მიხედვით, ქართლის მეფე მირიანმა, ნინოს მიერ ქართლის მოქცევის შემდეგ წარგზავნა მოციქულები კონსტანტინე დიდთან და გამოსთხოვა მას სამღვდელოება მოქცეულთა მოსანათლად. კონსტანტინე დიდმა ეს მოთხოვნა სიხარულით შეასრულა. გამოაგზავნა იოანე ეპისკოპოსი და გამოაყოლა ორი მღვდელი და სამი დიაკონი ("მოქცევაჲ"-ს მიხედვით ერთი დიაკონი) "ქართლის ცხოვრების" თანახმად კონსტანტინემ იოანეს გამოატანა ჯვარი და ხატი მაცხოვრისა. იოანემ მონათლა მეფე, მეფის ოჯახი და ქართლის მოსახლეობის უმეტესი ნაწილი, ხოლო "არა ნათელ-იღეს მთიულთა კავკასიანთა, არცა მოვიდეს მოფენასა მას ნათლისასა... და ჰურიათა მცხეთელთა არავე ნათელ იღეს... არამედ არა ნათელ-იღო ფეროზ, სიძემან მირიან მეფისამან, რომელსა ჰქონდა რანი ბარდავამდინ მიცემულად მირიან მეფისაგან, არცა ერმან მისმან ნათელ-იღო".[235] მაშინ მირიან მეფემ გააგზავნა იოანე ეპისკოპოსი კონსტანტინე დიდთან, სთხოვა მას ნაწილი "ძელისა ცხოვრებისა", მრავალი მღვდელი "რათა განავლინნეს ყოველთა ქალაქთა და ადგილთა და ნათელს-ცემდნენ ერსა, რათა მსწრაფლ ნათელ-იღოს ყოველმან სულმან ქართლისამან."[236] კონსტანტინე დიდმა ეს თხოვნაც სიხარულით შეასრულა; გამოატანა "ძელი ცხოვრებისაი", დიდძალი განძი, მღვდლები და უბრძანა იოანეს ეკლესიების აშენება. "და წარმოვიდა ეპისკოპოსი და მის თანა

---

[233] "მოქცევაჲ ქართლისაჲ", ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები. წიგ.1. ილ. აბულაძის რედ. თბ. 1963.

[234] "ქართლის ცხოვრება", ტექსტი დადგენილია ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით სიმ. ყაუხჩიშვილის მიერ. ტ.I. თბ. 1955წ.

[235] ლეონტი მროველი, "ცხოვრება ქართველთა მეფეთა", "ქართლის ცხოვრება", ტექსტი დადგენილია ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით სიმ. ყაუხჩიშვილის მიერ. ტ.I. თბ. 1955წ. გვ. 116-117.

[236] ლეონტი მროველი, "ცხოვრება ქართველთა მეფეთა", "ქართლის ცხოვრება", ტექსტი დადგენილია ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით სიმ. ყაუხჩიშვილის მიერ. ტ.I. თბ. 1955წ. გვ.117.

მოციქული, რის შემდეგაც "წარემართა მეფე და ყოველი ქალაქი მტკიცედ ქრისტიანობასა".[237] მატიანეებში ქართლის პირველი ეპისკოპოსის _ იოანეს ხელდასხმისა და ეკლესიის მოწყობის შესახებ სხვა არაფერია თქმული.

ბერძნულ-ლათინურ წყაროებში კი მოთხრობილია შემდეგი: უძველესი ცნობები ქართლის მოქცევის შესახებ შემორჩენილი იყო ბერძენი ავტორის _ გელასი კესარიელის (IV ს.) თხზულებაში "საეკლესიო ისტორია", რომელმაც დამოუკიდებლად ჩვენამდე ვერ მოაღწია. იგი რედაქტირებული სახით დაცულია გელასი კვიზიკელის (V ს.) ნაშრომში. აქ აღწერილია "ტყვე ქალის" მიერ იბერიის სამეფო კარისა და ხალხის გაქრისტიანების ამბავი და წერია: "მაშინ მეფისა და იბერთა კრებულის მიერ გაგზავნილი ელჩები მიდიან კონსტანტინოპოლში, აუწყებენ კონსტანტინე მეფეს იქ (იბერიაში) ქრისტეს რწმენის განმტკიცებას და სთხოვენ მიეცეს მათ მისგან ეპისკოპოსი მათთან არსებული ეკლესიების კურთხევისათვის და აგრეთვე საეკლესიო წესების ჩამოყალიბებისათვის; მან შეიწყნარა თხოვნა და კონსტანტინოპოლის ეპისკოპოსს ალექსანდრეს ხელდაასხმევინა იბერთა ეპისკოპოსი... ეს ჩვენ გვიამბო ფრიად სარწმუნო ბაკურიმ, კაცმა ფრიად ღვთისმოშიშმა, მეფის შთამომავალმა და იბერთა შორის სახელოვანმა, რომელიც გახდა რომაელთა სატრაპი."[238] აქვე უნდა აღვნიშნოთ ერთი გარემოება, მეცნიერთა შორის გაზიარებულია აზრი, რომ ქ. კონსტანტინოპოლი და შესაბამისად ეპისკოპოსი ალექსანდრე გელასი კვიზიკელის ინტერბოლაციაა და იგი გელასი კესარიელს არ ეკუთვნის.[239] მით უფრო, რომ არც ერთ დანარჩენ ავტორთან კონსტანტინოპოლი და ეპისკოპოსი ალექსანდრე მოხსენიებული არ არის.

---

[237] ლეონტი მროველი, "ცხოვრება ქართველთა მეფეთა", ."ქართლის ცხოვრება", ტ.I. თბ. 1955წ. გვ. 118.

[238] გელასი კესარიელი, "იბერთა მოქცევა", გეორგიკა, ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცეს და განმარტებები დაურთეს ალ. გამყრელიძემ და სიმონ ყაუხჩიშვილმა. ტ.I. თბ. 1961წ. გვ. 193-194.

[239] ყაუხჩიშვილი ს, გელასი კესარიელი ქართლის მოქცევის შესახებ, მიმომხილველი, თბ.1926წ.

გელასი კესარიელის თხზულება ლათინურიდან თარგმნა რომაელმა ისტორიკოსმა რუფინუსმა (V ს. დასაწყ.) და შეიტანა "ეკლესიის ისტორიის" იმ თავებში, სადაც მიმოხილულია 324-395 წ. ამბები. იგი წერს: "ტყვე ქალის რჩევით კონსტანტინე მეფესთან გაიგზავნა ელჩები... თხოვეს იბერებისათვის მღვდელმსახური გაეგზავნა, რომ დაესრულებინათ მათ მიმართ უკვე დაწყებული ღვთის წყალობა. კონსტანტინე დიდმა სიხარულით და პატივით გაისტუმრა ელჩები. ის მით უფრო მეტად იყო გახარებული, ვიდრე მაშინ იქნებოდა, რომ რომის იმპერატორისათვის უცნობი ხალხები და უცნობი სახელმწიფოები შეეერთებინა".[240] იგივე ცნობას იძლევა თეოდორიტე კვირელი (IV-Vს. მიჯნა), სოზომენე, სოკრატე (Vს.)

განხილული წყაროები ერთნაირად გადმოგვცემენ ქართული ეკლესიის პირველი ორგანიზაციის ისტორიიდან იმ ფაქტს, რომ იბერიიდან გაგზავნილი ელჩები მიუვიდნენ იმპ. კონსტანტინეს, რომელმაც მათი თხოვნა დააკმაყოფილა; დიდი სიხარულით გამოაგზავნა მღვდელმთავარი და მისი ხელქვეითი სამღვდელოება, ხოლო პირველი ეპისკოპოსის ხელდამსხმელის შესახებ ისინი სდუმან.

პირველი ცნობა ანტიოქიის ეპისკოპოსის ევსტათის მიერ ქართლის ეკლესიის მეთაურის ხელდასხმის შესახებ, ანტიოქიის მახლობლად, შავ მთაზე XI ს-ნის მე-2 ნახევარში მოღვაწე ცნობილი ქართველი ფილოსოფოსისა და მთარგმნელის, ეფრემ მცირის ქართლის მოქცევისადმი მიძღვნილ თხზულებაში _ "უწყებაჲ მიზეზსა ქართველთა მოქცევისასა თუ რომელთა წიგნთა შინა მოიხსენიების" _ გვხვდება. ეფრემ მცირის ეს შრომა მოიცავს შემდეგ საკითხებს: 1. ანდრია მოციქულის მოსვლა საქართველოში. 2. წმ. ნინოს მიერ ქართველთა მოქცევა და ბერძენთა მეფის კონსტანტინეს მიერ მღვდლების

[240] რუფინუსი, "იბერთა ტომის მოქცევა ტყვე ქალის მეშვეობით", გეორგიკა, ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცეს და განმარტებები დაურთეს ალ. გამყრელიძემ და სიმონ ყაუხჩიშვილმა. ტ.I. თბ. 1961წ. გვ.206-207.

გამოგზავნა. 3. კათალიკოსების ხელდასხმა და მირიანის კურთხევა. 4. აფხაზთა მოქცევა.

აი, რას წერს ეფრემ მცირე ზემოთ აღნიშნულ საკითხზე: "ეგრეთვე სახელცა მივლინებულისა მის ეპისკოპოსისაჲ, ესრეთ პოვნილ არს, ვითარმედ თჳთ ევსტათი იყო ანტიოქიელ პატრიარქი: რომელმან დაამყარა ეკლესიაჲ იგი მირიანის მიერ მცხეთას აღშენებული და უკურთხა მათ კათალიკოსი მთავარ-ეპისკოპოსი".[241] ეფრემი იქვე დასძენს: ამ დროიდან "ქართლის კათალიკოზნი ანტიოქიის საყდრის მიმდგომ იყვნენ." (მოცემული დროისათვის ანტიოქიის ეკლესიის მეთაურები ჯერ კიდევ არ იწოდებოდნენ პატრიარქებად. ასევე ქართლის ეკლესიის მეთაურებმა გვიან ხანაში მიიღეს კათალიკოსის ტიტული -ქ.ნ).

ეფრემ მცირის მსგავსი ცნობები აქვს მის თანამედროვეს ნიკონ შავმთელს, არსენ ბერს (XI-ს. II ნახ და XII ს. I ნახ.), ანტიოქიელ პატრიარქებს მიქაელს (XVს.), მაკარიოსს (XVIIIს.) და ანტიოქიელ მღვდელს მიქაელ ბრევს (XVIIIს.).

თ. ჟორდანიას მოსაზრება, რომ ქართლის მოსახლეობის მონათვლა და ეპისკოპოსის ხელდასხმა ევსტათის ქართლში მოგზაურობის შედეგად მოხდა, სწორედ ეფრემ მცირის თხზულებიდან "უწყებაჲ" მომდინარეობს. მართალია, ნაშრომში "Краткія историческія сведенія об автокефалии Грузинской церкви" ავტორს ეს მითითებული არა აქვს, მაგრამ მის მიერ გამოცემული "ქრონიკების" I ტომში (გ. 1893წ.) გამოქვეყნებული აქვს აღნიშნული თხზულება;[242] რომლის ერთ-ერთ შენიშვნაში მკვლევარი წერს: "ჩვენ გვგონია, რომ ესტატეს ქართლში წამოსვლა მოხდებოდა შემდეგ ნათლის-ღებისა, როდესაც ეპისკოპოსი იოანე

[241] ჟორდანია თ. "ქრონიკები", ტ.I. 1893წ. გვ.36.

[242] ეფრემ მცირის "უწყებაჲ"-ს ხელნაწერზე თ. ჟორდანიამ, როგორც ჩანს, საფუძვლიანად იმუშავა და მივიდა დასკვნამდე, რომ იგი წარმოადგენს სანდო წყაროს. მისი წყაროსადმი ამგვარი დამოკიდებულება კარგად ვლინდება კვლევებში, სადაც თ.ჟორდანია ხშირად ეყრდნობა ამ თხზულების ცნობებს.

ხელმეორედ მოციქულად გაგზავნეს კონსტანტინე დიდთან 325 ან 326 წელსა”.[243]

თ. ჟორდანია ევსტათის ქართლში ჩამოსვლის თარიღს უკავშირებს მის მიერ დადგენილ ქართლის მოქცევის დროს. მკვლევრის მიხედვით, წმ. ნინო ქართლში შემოვიდა 316 წელს, მირიანის სასწაულებრივი მოქცევა მოხდა 323 წელს, ერის ნათლისღება 324 წელს, ხოლო საბერძნეთს მოციქულების გაგზავნა “თხოვად ძელი ცხოვრებისა” 326 წელს.[244]

მიუხედავად იმისა, რომ ქართლის გაქრისტიანების თაობაზე არსებობს, როგორც ქართული, ისე უცხოური წყაროები, დღემდე გრძელდება კამათი _ რომელ წელს, საქართველოს რომელი მეფის, რომის რომელი იმპერატორის დროს, რა პოლიტიკურ ვითარებაში მიიღო ქართლის სახელმწიფომ ქრისტიანობა. ამ თემასთან დაკავშირებით არსებობს მრავალი მოსაზრება. ჯერ მარტო ქართლის გაქრისტიანების თარიღი მერყეობს 317 წლიდან 355 წლებს შორის.[245] პირველ ქრისტიან მეფედ მირიანის გარდა მიჩნეულია ბაკური და ამ ვერსიას მხარს უჭერს ივ. ჯავახიშვილი.[246] აგრეთვე გამოთქმულია მოსაზრება, რომ ქართლის გაქრისტიანება მოხდა არა კონსტანტინე დიდის დროს (306-337წწ.), არამედ მისი ძის, კონსტანცის (337-361წწ.) იმპერატორობის პერიოდში[247,248] და ა.შ.. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ დღეისათვის საქართველოს

---

[243] ჟორდანია თ. “ქრონიკები”, წგნ.I. 1893წ. გვ.37.

[244] ჟორდანია თ. “ქრონიკები”, წგნ.I. 1893წ. გვ.30.

[245] ვახუშტი ბატონიშვილი და მისი მიდევნებით ს.ბარათაშვილი, დ.ბაქრაძე ქართლის მოქცევის თარიღად მიიჩნევს-317 წელს, დი ბუა დე მონპერე – 276წ. ბარონიუსი – 327წ. პ.იოსელიანი-318წ. მ.ბროსე, მ.ჯანაშვილი, ს.გორგაძე-323წ. ა.ხახანაშვილი-332წ. ა.ნატროშვილი-326წ. ე.თაყაიშვილი 332-333წ. კ.ცინცაძე-335წ. ს.კაკაბაძე 311-336წ. კ.კეკელიძე-355წ. ივ.ჯავახიშვილი-337წ. ახლოს. ლ.ჯანაშიას აზრით ეს თარიღი ყველაზე სწორია, ნ.ლომოური 325-330, ზ.აბაშიძე ეთანხმება ნ.ლომოურს, ვ.გოილაძე 317-318წ. და სხვა.

[246] პეტრე იბერის “ცხოვრების” ასურული ტექსტის მიხედვით პირველ ქრისტიან მეფედ ბაკური მიიჩნია ვ.ბოლოტოვმა, მოგვიანებით ივ.ჯავახიშვილმა, შემდეგ კი ბ.გოზალიშვილმა.

[247] აღნიშნული აზრი გამოთქვეს კ.კეკელიძემ (1925წ.) და ალ. ბარამიძემ (1975წ.)

ისტორიის შესახებ განმაზოგადებელ ნაშრომებში მიღებულია ერთგვარი ნეიტრალური შემრიგებლური პოზიცია: ქართლი გაქრისტიანდა IV ს-ის 30-იან წლებში, მეფე მირიანის დროს.

ჩვენ არ შევუდგებით არსებული მოსაზრებების განხილვას, რადგან ეს თემის მიზანს სცილდება, მაგრამ საჭიროდ მიგვაჩნია, წარმოვადგინოთ თუ რა მოტივებზე დაყრდნობით წარმოადგინა თ. ჟორდანიამ ზემოთ მოყვანილი თარიღები. მით უფრო, რომ საკითხის კვლევა დღესაც გრძელდება, რაც აუცილებლად გულისხმობს საქართველოში ქრისტიანობის დამკვიდრების ისტორიის ყოველგვარი წვრილმანის გათვალისწინებას.

ამთავითვე მინდა აღვნიშნო, რომ მეცნიერს ამ საკითხების შესახებ საგანგებო კვლევა არ ჩაუტარებია. იგი წერს: "ეს საყურადღებო კითხვები ღირსია კერძო გამოკვლევისა".[249]

"ქრონიკების" I ტომში თ. ჟორდანიას გამოქვეყნებული აქვს "მოქცევაჲ ქართლისაჲ"-ს ტექსტი შენიშვნებით. ამ შენიშვნებში იგი "მოქცევაჲს" ტექსტში გადმოცემულ ფაქტებს, უკავშირებს ცნობილ ისტორიულ მოვლენებს, რომლის გათვალისწინებით მისთვის შესაძლებელი ხდება ქართლის გაქრისტიანებასთან დაკავშირებული მოვლენების დათარიღება.

დავიწყოთ იმით, რომ თ. ჟორდანია საქართველოს პირველ ქრისტიან მეფედ მიიჩნევს მირიანს, რომელიც თანამედროვეა კონსტანტინე დიდისა. მართალია, იგი არ ასაბუთებს თავის აზრს, მაგრამ საფუძველი აქვს გაიზიაროს საკითხის თაობაზე ქართული და სომხური საისტორიო წყაროების ტრადიციული აზრი, მეფე მირიანის სასარგებლოდ.

მკვლევარი "მოქცევაჲ"-ს ცნობას "... და ფ˜დ ერეოდეს მეფესა კონსტანტინეს: ძესა კოსტაჲსსა: და გულ გდებულ იყო ურვათაგან კონსტანტი

---

[248] ბარამიძე ალ. იბერიაში ქრისტიანობის შემოსვლის საკითხისათვის, კრებული "ქართული ისტორიოგრაფია", ნაწ.III. კ. კეკელიძე, "მოქცევაჲ ქართლისაჲ"-ს შედგენილობა, წყაროები და ეროვნული ტენდენციები, ტ. I. თბ. 1956 წ. გვ. 277-883.
[249] ჟორდანია თ. "ქრონიკები", ტ.I. 1893წ. გვ.29. შენ.62.

კეისარი";[250] უკავშირებს 312 წლის ომს კონსტანტინე დიდსა და მაქსენციუს შორის.[251] მაქსენციუსი იყო იტალიისა და აფრიკის პროვინციების მმართველი, რომლის დამარცხების შემდეგ კონსტანტინე დიდი რომის იმპერიის დასავლეთის ნაწილის მპყრობელი გახდა. თ. ჟორდანიას აზრით, სწორედ ამ ბრძოლის შემდეგ მოხდა დიდი გარდატეხა კონსტანტინეს მოღვაწეობაში, რაც გამოიხატა მილანის ედიქტის მიღებით 313 წელს, რომლის ძალითაც შეწყდა ქრისტიანთა დევნა და ქრისტიანული რელიგია უფლებრივად ძველ წარმართულ კულტს გაუთანასწორდა. მკვლევრის ფიქრით სწორედ ამ მოვლენას უნდა გულისხმობდეს ქართული წყარო: "მას: ჟამსა აღიძრა მეფეჲ გუნდებითა: წარავლინა მოყვანებად ეპ̅სკპსთა: იჲ მით: ანტიოქიაჲთ: ჰრომით: და ალექსანდრიაჲთ: და ნათელ იღო მან თავადმან და დედამან მის მან ბანაკითურთ."[252] ამის შემდეგ მიიჩნევს თ. ჟორდანია კონსტანტინე I ყველა ღონეს იხმარდა, რათა საქართველოსა და სომხეთში ქრისტეს სჯული გაევრცელებინა, რადგან მთელი მისი პოლიტიკა მიმართული იყო, მცირე ერთაგან შეედგინა სახელმწიფო, რომელიც შეკავშირებული იქნებოდა ქრისტიანული რელიგიის საფუძველზე.[253]

ვფიქრობ, ამავე აზრის დამადასტურებელია გელასი კესარიელის სიტყვებიც, რომელსაც იგი იბერთა მოქცევის შესახებ ამბობს: "მას (კონსტანტინეს – ქ.ნ) (კარგად) ესმის, რომ ეს არის ნიში ღმრთისა, რომელიც უცხო თესლთ უქვემდებარებს მას."[254] უდავოდ მართალია მკვლევარი, როდესაც ქრისტიანული რელიგიის გავრცელებას ქართლში რომის იმპერიის პოლიტიკურ ინტერესებს უკავშირებს, რადგან ქართლში ქრისტიანობის

---

[250] ჟორდანია თ. "ქრონიკები", ტ.I. 1893წ. გვ.27.
[251] ჟორდანია თ. "ქრონიკები", ტ.I. 1893წ. გვ.27. შენ.55.
[252] ჟორდანია თ. "ქრონიკები", ტ.I. 1893წ. გვ.27.
[253] ჟორდანია თ. "ქრონიკები", ტ.I. 1893წ. გვ.28. შენ.57.
[254] გელასი კესარიელი, "იბერთა მოქცევა", გეორგიკა, ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცეს და განმარტებები დაურთეს ალ. გამყრელიძემ და სიმონ ყაუხჩიშვილმა. ტ.I. თბ. 1961წ. გვ.194.

სახელმწიფო რელიგიად გამოცხადება, განპირობებული იყო საგარეო-პოლიტიკური ორიენტაციითაც. “ქრისტიანობის ოფიციალურ სარწმუნოებად ქცევა ქართლში გულისხმობდა გარკვეულ გარეპოლიტიკურ პირობებსაც. ეს გარეპოლიტიკური პირობები განსაზღვრული იყო რომისა და ირანის ბრძოლით პირველობისათვის წინა აზიაში, კერძოდ მხარეთა დაინტერესებით ამიერკავკასიის ქვეყნებისა და, კერძოდ ქართლის მიმართ, და დასასრულ, თვით ქართლის მმართველ წრეების განწყობილებითა და მიდრეკილებებით ამ ბრძოლაში” _ წერს საკითხის შესახებ ს. ჯანაშია.[255]

ხაზი უნდა გაესვას ერთ გარემოებასაც. სამეცნიერო ლიტერატურაში თ. ჟორდანიამ ერთ-ერთმა პირველმა გამოთქვა მოსაზრება “მოქცევაჲ ქართლისაჲ”-ს ზემოთ მოყვანილ ცნობათა და ისტორიულ მოვლენათა იდენტურობისა. მოგვიანებით ამ დასკვნამდე მივიდა ს. გორგაძე, რომელმაც ვრცელი მონოგრაფია მიუძღვნა ქართლის გაქრისტიანებას. მან “მოქცევაჲ ქართლისაჲ”-ში გადმოცემულ ცნობებს დაუკავშირა ჩვენს მიერ მოხსენიებული 312-313 წლების რომის ისტორიული მოვლენები, შეუჯერა უცხოურ წყაროებს და დაასკვნა, რომ ქართველი ერის მოქცევა მოხდა 323 წელს, ხოლო სამღვდელოების ჩამოსვლა ეკლესიის ორგანიზაციისათვის 326 წელს[256] ს. გორგაძემ განამტკიცა თ. ჟორდანიასეული დათარიღება. თანამედროვე მეცნიერთაგან ს. გორგაძისეული დამოკიდებულება “მოქცევაჲ”-ს ცნობებისადმი გაიზიარა ნ. ლომოურმა.

თ. ჟორდანიამ ქართლის გაქრისტიანების დათარიღებისათვის, საგანგებო ყურადღება მიაქცია ქართულ წყაროებში (მოქცევაჲ, ქართლის ცხოვრება) აღნიშნულ ფაქტს, რომ ქართლის გაქრისტიანების დროისათვის ელენე დედოფალი ცოცხალია. იგი ლებოს მიხედვით ელენე დედოფლის

---

[255] ჯანაშია ს. შრომები, ტ.I. თბ. 1949წ. გ. “მეცნიერება”, გვ.224.

[256] გორგაძე ს. საქართველოს ეკლესია და მისი დასაწყისი, ჟ. “მოამბე” N5 1905წ. (3,4,5)

გარდაცვალებასა და მის მიერ ქრისტეს ჯვრის აღმოჩენას 326 წლით ათარიღებს. აგრეთვე მიუთითებს, რომ "მოქცევაჲ"-ში ნახსენები არ არის კონსტანტინოპოლი, რომელიც კონსტანტინემ 328-329 წლებში აღაშენა, ხოლო 330 წელს აკურთხეს.[257] ზემოთ თქმულიდან გამომდინარე, მკვლევარს მიაჩნია, რომ მირიანის მოქცევის შემდეგ იოანე ეპისკოპოსის გაგზავნა კონსტანტინე დიდთან "თხოვნად ძელი ცხოვრებისა" მოხდებოდა 326 წელს. ამავე წელს დაბრუნდნენ ელჩები ქართლში, რომელთაც ჩამოჰყვა ევსტათი ანტიოქიელი "განმართვისათვის სჯულთა ქართველთა შორის." მაშასადამე, ეკლესიის მოწყობა და გამართვა მოხდებოდა არა უგვიანეს 326 წლისა, ხოლო მირიანის მოქცევა უფრო ადრე. ამ თარიღის დაზუსტებისათვის მკვლევარი ასტრონომიულ-კალენდარულ მონაცემებს იშველიებს.

სანადიროდ წასულ მეფეს, რომელსაც გზა დაებნა, მიუმართავს ნინოს ღმერთისათვის და დახმარება მიუღია; ამის შემდეგ იწამა მირიანმა ქრისტე. სწორედ ამ ცნობებს იხილავს თ. ჟორდანია, რომ მირიანის ნადირობის დღე შაბათი, 20 ივლისი იყო და მიუთითებს: "20 ივლისს შაბათი შეხვდებოდა 316-337 წლებს შუა, მხოლოდ 323 და 334 წლებში."[258] წყაროებში საჯვარე ხის მოკვეთას წინ უსწრებს მონათვლა, მონათვლას _ მოქცევა, ამდენად, მკვლევრის აზრით მოქცევა მოხდა 323 წელს, მონათვლა 324 წელს, საჯვარე ხის მოჭრა 326 წლის 25 მარტს, პატიოსანი ჯვრის აღმართვა 7 მაისს, ხოლო საბერძნეთს მოციქულების გაგზავნა 326 წელს.

მართალია, აქ მოყვანილი კალენდარული ცნობების გამოყენებით, მოვლენათა დათარიღებას დიდი მნიშვნელობა არ შეიძლება მიენიჭოს, რადგან იგივე მონაცემების გათვალისწინებით ქართლის გაქრისტიანება მაგ. ს. ბარათაშვილმა 317 წლით, კ.ცინცაძემ 335 წლით, ხოლო კ. კეკელიძემ 355 წლით დაათარიღა, მაგრამ ჩვენს მიერ ზემოთ წარმოდგენილ თ. ჟორდანიას

[257] ჟორდანია თ. "ქრონიკები", წგნ.I. 1893წ. გვ.28. შენ.58.
[258] ჟორდანია თ. "ქრონიკები", წგნ.I. 1893წ. გვ.30. შენ.62.

დებულებებს, ვფიქრობ აქვთ არსებობის უფლება, მით უფრო თუ გავითვალისწინებთ დღევანდელ სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულ მოსაზრებებს, რომლებიც მრავალი წყაროსა და არგუმენტის გათვალისწინებით არის წარმოდგენილი.

ნ. ლომოური თავის მონოგრაფიაში "ნარკვევები ქართლის (იბერიის) სამეფოს ისტორიიდან," რომელიც გამოიცა 1975 წელს, ცდილობს ქართლში ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადების თარიღის დაზუსტებას და უფრო ქვემოთ ჩამოწევას, ვიდრე ეს მიღებულია საქართველოს ისტორიის შესახებ არსებულ განმაზოგადებელ ნაშრომებში, სადაც უპირატესობა ივ. ჯავახიშვილის თარიღს 337 წლის ახლო ხანებს ენიჭებოდა.

ნ. ლომოური უცხოური და ქართული წყაროების ვრცელი ანალიზის საფუძველზე მიდის დასკვნამდე, რომ ქართლში ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადება მოხდა 325-330 წლებში. მას მიაჩნია, რომ ქართული წყაროები ქართლის მოქცევის თანამედროვედ კონსტანტინე I-ს ასახელებს, თანაც ეს იმპერატორი გაკვრით კი არაა ნახსენები, არამედ საკმაოდ ნიშანდობლივი და გარკვეული ისტორიული ატრიბუციით. მკვლევარი წერს: "მოქცევაჲ ქართლისაჲ" იწყებს რა ქართლის გაქრისტიანების ამბავს, მოგვითხრობს, რომ ეს იყო "დღეთა კონსტანტინე მეფისათა", როცა მეფე კონსტანტინეს "ძესა კოსტაჲსსა" უჭირდა მტერთან. შემდეგ მოთხრობილია, რომ კონსტანტინემ მოაყვანინა ეპისკოპოსები იერუსალიმიდან, ანტიოქიიდან, რომიდან და ალექსანდრიიდან: შემდეგ, რომ მან სძლია მტერს ძალითა ჯვრისა... აქ ზოგიერთი უზუსტობით ასახულია მაქსენციუსთან კონსტანტინეს ბრძოლა და მილანის ედიქტი".[259] იგივე ითქმის მოვსეს ხორენაცზეც, რომელიც

[259] ლომოური ნ. "ნარკვევები ქართლის (იბერიის) სამეფოს ისტორიიდან", თბ. 1975წ. გვ.78.

ქართლის მოქცევას კონსტანტინე მეფის ხანას უკავშირებს. ამასვე ადასტურებს ბერძნულ-ლათინური წყაროები.[260]

ნ. ლომოური ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ქართული წყაროები არაერთგზის ასახელებენ კონსტანტინე I-ის დედას, დედოფალ ელენეს. ლეონტი მროველმა და "მოქცევაჲ ქართლისაჲ"-მ კარგად იცის ელენეს მოგზაურობის შესახებ იერუსალიმში ქრისტეს ჯვრის საპოვნელად, რომლის ნაწილების სათხოვნელადაც მირიანი ელჩებს აგზავნის იმპერიაში, ხოლო კონსტანტინე I და ელენე დედოფალი სიხარულით ასრულებენ მის თხოვნას. მკვლევრის აზრით, ყურადღებას იქცევს ის ფაქტიც, რომ ყველა წყაროს მიხედვით ქართლის მოქცევის დროისათვის კონსტანტინე ქრისტიანობის მფარველია და ქართლის გაქრისტიანებაში დიდ როლს თამაშობს, რაც მიუთითებს მასზედ, რომ ეს ფაქტი 325 წლის შემდეგ მოხდა, რადგან იმპერიაში ქრისტიანობა სახელმწიფო რელიგიად ნიკეის საეკლესიო კრებაზე, 325 წელს გამოცხადდა. ზედა ზღვრად ქართლში ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადებისა უნდა ჩაითვალოს 330 წელი, რადგან ქრისტეს ჯვრის აღმოსაჩენად ელენე დედოფალმა 322-328 წლებში იმოგზაურა, ხოლო არც ბერძნულ-ლათინურ და არც ქართულ წყაროებში, გარდა გელასი კვიზიკელისა (იხ. ზემოთ ქ.ნ.) კონსტანტინოპოლი არ იხსენიება, რომლის მშენებლობაც 330 წელს იქნა დასრულებული. ამრიგად, წერს ნ. ლომოური: "არსებული რეალიების ურთიერთშეჯერებისა და ანალიზის საფუძველზე ჩვენ შესაძლებლად მიგვაჩნია გავაკეთოთ დასკვნა, რომ ქართლში ქრისტიანობის ოფიციალურ რელიგიად გამოცხადება 325-330 წლებს შორის უნდა მომხდარიყო."[261]

---

[260] ლომოური ნ. "ნარკვევები ქართლის (იბერიის) სამეფოს ისტორიიდან", თბ. 1975წ. გვ.79.

[261] ლომოური ნ. "ნარკვევები ქართლის (იბერიის) სამეფოს ისტორიიდან", თბ. 1975წ. გვ. 82-83.

თუ გავითვალისწინებთ ზემოთ მოყვანილ ს. გორგაძის და ნ. ლომოურის თვალსაზრისებს, ამ მკვლევართა მიერ წყაროების გაანალიზებას და ამ ანალიზის საფუძველზე გამოტანილ დასკვნებს, თამამად შეიძლება ვთქვათ, რომ თ. ჟორდანიამ არაჩვეულებრივად გამოიყენა წყაროებში არსებული ყველა ის პასაჟი, რომლებიც მას მართებული დასკვნების გაკეთების საშუალებას მისცემდა. ეს მით უფრო საყურადღებოა, რომ მის მიზანს წარმოადგენდა "მოქცევაჲ ქართლისაჲ"-ს, როგორც უძველესი ქართული წყაროს გამოსაცემად მომზადება და არა აღნიშნული საკითხების საფუძვლიანი შესწავლა. ეს ფაქტი კიდევ ერთხელ ადასტურებს თ. ჟორდანიას მაღალ პროფეისონალიზმს და მისი მეთოდის უტყუარობას _ წყაროს ტექსტოლოგიური შესწავლის აუცილებლობის შესახებ.

ჩვენ უკვე აღნიშნული გვქონდა, რომ თ. ჟორდანია იზიარებს ეფრემ მცირის ცნობას ევსტათი ანტიოქიელის ქართლში მოგზაურობის შესახებ ეკლესიის ორგანიზაციისათვის, რომელიც უნდა მომხდარიყო ეპისკოპოს იოანეს ხელმეორედ მოციქულად გაგზავნის შედეგად, კონსტანტინე დიდთან 325-326 წლებში. მისთვის იოანეს ეპისკოპოსობაც და ევსტათი ანტიოქიელის მიერ ქართლის ეკლესიის მოწყობაც ისტორიულ სინამდვილეს წარმოადგენს. მკვლევარი თავისი მოსაზრების განსამტკიცებლად "ქრონიკების" I ტომში წერს: "რამდენიმე საყურადღებო ცნობები წ˜ა ესტატეს მიერ მცხეთის ეკლესიის დაფუძნებისა ჩვენ ვიპოვეთ დავით მეფის "მეგლისწერაში".[262] შემდეგ მოყვანილი აქვს ნაწყვეტი "მეგლისწერიდან", სადაც ვკითხულობთ:"... ქართველთა მეფემან მირიან მეფეთა შორის დიდისა კონსტანტინესა მივლინებითა და მისგან გამოთხოვითა მეფობისა თვისისა ქალაქად მცხეთად შთამოიყუანა ევსტათი დიდი, საყდრის მპყრობელი ანტიოქიელთა ეკლესიაჲ და წ˜თა მ˜რ ჴელთა მისთა ნათელ იღო მან ყ˜ნ ერმან ქართლისამან... და თჳთ პატრიარქთა შორის სახელ განთქმულმან ევსტათი ჴელითა თჳსითა შთადვა

[262] ჟორდანია თ. "ქრონიკები", წგნ.I. თბ. 1893წ. გვ.37.

საფუძველი მაშინ სადამდე მცხეთას აღეშენებულსა ეკლესიისაჲ... და ჴელთ დასხმა იყო შ˜ნა მათჳთს ეპისკოპოზი, კათალიკოსი."[263] აქვე უნდა აღვნიშნო, რომ 1103 წ. რუის-ურბნისის კრების "ძეგლისწერის" ამ ცნობას იმ მეცნიერთა შორის, რომლებიც იზიარებენ ეფრემ მცირის და გვიანდელი ანტიოქიელი სასულიერო პირთა ცნობებს ევსტათი ანტიოქიელის ქართლში ჩამოსვლის შესახებ, პირველად თ. ჟორდანიამ მიაქცია ყურადღება. მკვლევარი, აგრეთვე, მიუთითებს, რომ იგივე ცნობა გამოყენებული აქვს ნიკოლოზ კათალიკოსს (გულაბერისძეს) და იქვე დასძენს: "როგორც სჩანს, (იგი) წ˜ა ეფრემის წერილიდამ არის ამოღებული"-ო.[264]

ისტორიკოსთა ის ნაწილი, რომელიც ეფრემ მცირის წყაროს ნდობას უცხადებს, ევსტათის ქართლში ჩამოსვლას მათ მიერ ქართლის მოქცევის თარიღად მიღებულ წელს უფარდებს. 1834 წელს ფრანგი ბიზანტიოლოგის შ. ლებოს (1701-1778) ნაშრომისადმი დართულ კომენტარში ანტუან ჟან სენ-მარტენმა (1791-1832) ევსტათი ანტიოქიელის ქართლში ჩამოსვლის თარიღად 331 წელი მიუთითა.[265] პ. იოსელიანის თანახმად 318 წელს მცხეთიდან კონსტანტინოპოლში გაგზავნილ ელჩებს საქართველოში ანტიოქიის პატრიარქი ევსტათიც ჩამოჰყვა.[266] ფრანგი ქართველოლოგი მ.ბროსე ამ მოვლენას 328 წლით ათარიღებდა,[267] დ. ბაქრაძის მტკიცებით, რადგან მირიანმა 328 წელს "იღო ნათელი," ევსტათიც ამ წელს უნდა ჩამოსულიყო ქართლში.[268] მ. თამარაშვილის თარიღია 323-325 წლები;[269] ასევე ისტორიული სინამდვილედ მიაჩნიათ ეს მოვლენა ა. ნატროშვილს,[270] ივ. ლოლაშვილს,[271] ბ. ლომინაძეს.[272]

---

[263] ჟორდანია თ. "ქრონიკები", წგნ.I. თბ. 1893წ. გვ.38.
[264] თ. ჟორდანია, "ქრონიკები", წგნ.I. თბ. 1893წ. გვ.37.
[265] Historie bas-enpire, par lebeau. Paris. 1834წ. გვ.293.
[266] Иоселиани П. Краткая история Грузинской церкви.Спб. ტ.45. გვ13.
[267] Brosset. M. Historie de la Georgie, Sp.6. 1849წ. გვ.13.
[268] ბაქრაძე დ. "ისტორია საქართველოსი", ტფ.1889წ. გვ.38.
[269] თამარაშვილი მ. "ქართული ეკლესია დასაბამიდან დღემდე". თბ. 1995წ. გვ.207.
[270] Натроев. А. Мцхета и его собор Свети-цховели. Тифлис 1901г. გვ.54-55.
[271] ლოლაშვილი ი. "წიგნისა და მწერლობის საწყისთან", თბ. 1978წ. გვ.159.

ევსტათის ქართლში ჩამოსვლას არ გამორიცხავენ კათალიკოს-პატრიარქი კალისტრატე და ეპისკოპოსი ანანია.[273]

ივ. ჯავახიშვილს და კ. კეკელიძეს, რადგან ისინი ქართლის მოქცევის თარიღს ანტიოქიის პატრიარქობიდან ევსტათის გადაყენების (330წ.) შემდგომ ხანაში სდებენ, მათ კვლევაში აღარც ევსტათის შესახებ აქვთ მსჯელობა. მიუღებელია ეფრემ მცირის ცნობა ალ. ხახანაშვილისთვის. იგი თვლის, რომ "В традиции о присылке первого архиерея из Антиохии слышатся отголоски эпохи, следовавшей за крещением грузинского народа."[274]

ს. გორგაძესაც მიუღებლად მიაჩნია ევსტათის ქართლში მოგზაურობა. თუმცა არ უარყოფს ანტიოქიის მღვდელმთავრის მონაწილეობას ქართლის ეკლესიის მოწყობაში; "შესაძლოა იმპერატორმა კონსტანტინემ ქართველთა ეკლესიის მოწესრიგების საქმე სულაც ანტიოქიის მღვდელმთავარს მიანდო" _ წერს იგი.[275] ამავე აზრს იზიარებს ზ. აბაშიძე.[276] ვ. გიოლაძე უარყოფს ევსტათის ქართლში ჩამოსვლას, მაგრამ მიაჩნია, რომ "ქართლის ეკლესიის პირველი საჭეთმპყრობელი მართლაც ევსტათი ანტიოქიელს უნდა ეკურთხებინა... ხელდასხმის ცერემონიალი... ქ. ნიკეაში უნდა მომხდარიყო."[277] ეხება რა ამ საკითხს ბერძენი მიტროპოლიტი მაქსიმე, საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიისადმი მიძღვნილ თავის ნაშრომში წერს: "Прибитие в Грузию Антиохиского Евстафия в период его патриаршества кажется совершенно невероятным, поскольку известно, что святой Евстафии стал Антиохиским

---

[272] ლომინაძე ბ. "საქართველოს საპატრიარქო და მისი ავტოკეფალია", ჟ."რელიგია" N1.2.1992. გვ.97.

[273] ჯაფარიძე ა. (ეპისკოპოსი) საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორია. ტ.I. თბილისი. 1996წ. გვ.190. Цинцадзе К. Историческая справка по вопросу об автокефалии Грузинской церкви. Тиф. 1906. გვ.47-49.

[274] Хахамов А. Источники по введению христианства в Грузии. М.1893г. ст.45.

[275] გორგაძე ს. "საქართველოს ეკლესია და მისი დასაწყისი" ჟ."მოამბე" N5. 1905. (N3,4,5). გვ.10-11.

[276] აბაშიძე ზ. "ს. გორგაძე. საქართველოს ისტორიის მკვლევარი", დისერტაცია ისტორიის მეც. კანდიდატის ხარისხის მოსაპოვებლად, 1997წ. ინახება ეროვნულ ბიბლიოთეკაში.

[277] გოილაძე ვ. "ქართული ეკლესიის სათავეებთან", თბ. 1991წ. გვ.93.

патриархом в 324 г. и спустя шесть лет под давлением ариан ушел в отставку … наиболее вероятно мнение, что первый епископ, который был послан в Грузию Константином Великим, был Хиротонисан. Патриархом Антиохииским святым Евстафием".[278]

ძირითადი მოტივი იმ მეცნიერთათვის, რომლებიც ევსტათის ქართლში ჩამოსვლას არ იზიარებენ ის არის, რომ ამ ცნობის ავტორი, ეფრემ მცირე, გვიანი ხანის მოღვაწეა, ხოლო უძველესი წყაროები, როგორც ქართული, ასევე ბერძნული, ამ ფაქტს არ აღნიშნავენ, მით უფრო, რომ ბერძენ ავტორთა უმეტესობას არაერთხელ ჰყავს მოხსენიებული ანტიოქიის ცნობილი მღვდელმთავარი. აგრეთვე იმ პერიოდში, როდესაც ევსტათიმ ანტიოქიის საეპისკოპოსო კათედრა დაიკავა (325-330 წ.), იმპერიაში ძალიან იყო გართულებული რელიგიური და საზოგადოებრივი მდგომარეობა, რადგან ბრძოლა მიმდინარეობდა მართლმადიდებლურ მრწამსსა და არიოზულ მოძღვრებას შორის; ხოლო ევსტათი არიოზის მწვალებლობის წინააღმდეგ ერთ-ერთი ყველაზე აქტიური მებრძოლი იყო, (საბოლოოდ იგი ამ ბრძოლას შეეწირა და არიანელებმა საეპისკოპოსო ტახტიდან გადააყენეს); ამიტომაც გართულებულ ვითარებაში მთავარმა წინააღმდეგობამ უპირველეს ყოვლისა ანტიოქიაში იჩინა თავი. ამდენად, მკვლევართა დასკვნით, ევსტათი ქართლში ჩამოსვლის გამო საეპისკოპოსოს ვერ დატოვებდა.

ჩემი აზრით, იმ მოტივით, რომ ეფრემ მცირე გვიანი ხანის მოღვაწეა, მისი ცნობის უგულვებელყოფა არ უნდა იყოს მართებული. საფიქრებელია, რომ ევსტათი ანტიოქიელის სახელთან ქართული ეკლესიის მოწყობის, ეპისკოპოსის ხელდასხმის და ანტიოქიის საპატრიარქოზე უფლებრივი დამოკიდებულების დაკავშირება, ეფრემ მცირის სურვილით არ უნდა იყოს გამოწვეული. მას ხელთ ჰქონდა, როგორც თვითონ წერს ბერძენი ავტორის

[278] Митрополит Сардский Максим «Церковь Грузии (Иверии) и её автокеефалия.» Афины . 1966 (ბერძნულიდან თ.) გვ.12-13.

“ქრონოგრაფის” მონაცემები და ეს “ქრონოგრაფი”, მართალია, დღემდე შემორჩენილი არ არის, მაგრამ არსებობდა. სამეცნიერო ლიტერატურაში ცნობილია, რომ იმავე “ქრონოგრაფიდან” იგივე ცნობები თავის “პანდექტებში” გამოუქვეყნებია იქვე მოღვაწე, ეფრემ მცირის თანამედროვეს, ნიკონ შავმთელს. “პანდექტების” სლავური თარგმანი (შესრულებულია XII-XIII ს.-თა მიჯნაზე) ჩვენამდეა მოღწეული. აგრეთვე, ვფიქრობთ, რომ ეფრემ მცირეს თარგმანში არ უნდა ჰქონდეს დაშვებული შეცდომა, როგორც ეს ზოგ გამოკვლევაშია მითითებული,[279] თითქოს “ქრონოგრაფის” ცნობა მიეკუთვნება დასავლეთ და არა აღმოსავლეთ საქართველოს. ამ აზრის საფუძველს გვაძლევს სამეცნიერო ლიტერატურაში ეფრემ მცირის მთარგმნელობითი მოღვაწეობის მაღალი შეფასება.[280]

თ. ჟორდანიამ, როგორც უკვე აღვნიშნეთ ყურადღება მიაქცია, რომ ცნობა ევსტათი ანტიოქიელის ქართლში მოგზაურობის შესახებ გვხვდება დავით აღმაშენებლის “ძეგლისწერაში”. უდავოა, ასეთი ცნობის წყაროს ეფრემ მცირე წარმოადგენს, (ეფრემ მცირის “უწყებაჲ” მომდევნო ხანაშიც ფართოდ იქნა გამოყენებული ქართულ წყაროებში), მაგრამ თავად ფაქტი, მანიშნებელია იმისა, რომ ეს იყო იმდროინდელი ქართული ეკლესიის ოფიციალური აზრი, რასაც, ალბათ, ანგარიში უნდა გაეწიოს. თუ გავითვალისწინებთ იმასაც, რომ კონსტანტინე I ძალიან დიდ პოლიტიკურ მნიშვნელობას ანიჭებდა ქართლში ქრისტიანული რელიგიის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადებას, რაც კარგად ჩანს საისტორიო წყაროებით, (ქართული წყაროს მიხედვით _ მირიანის გაქრისტიანების შემდეგ, კონსტანტინემ მისი შვილი ბაქარი, რომელიც მძევლად ჰყავდა წაყვანილი, სამშობლოში დააბრუნა, ხოლო გელასი კესარიელი წერს “მას (კონსტანტინეს – ქ.ნ) (კარგად) ესმის, რომ ეს არის ნიში

[279] ჯაფარიძე ა. “საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორია” ტ.I. თბ. 1996 წ. გვ.320-322.

[280] ჯავახიშვილი ივ. ძველი ქართული საისტორიო მწერლობა, წგნ.I. თხზ. თორმეტ ტომად. ტ.VIII. თბ. 1977. გვ. 40.

ღმრთისა, რომელიც უცხო თესლთ უქვემდებარებს მას)[281], რადგან ეს ნიშნავდა ქართლის მხრივ ოფიციალურად ირანულ ორიენტაციაზე უარის თქმას და რომის იმპერიასთან კავშირის განმტკიცებას. არ არის გამორიცხული, რომ 325-326 წლებში, როგორც თ. ჟორდანიას მიაჩნია, იმპერატორის დავალებით ქართლში ემოგზაურა მართლმადიდებლობის აქტიურ დამცველს, ანტიოქიის ეპისკოპოსს ევსტათის, მით უფრო თუ გავითვალისწინებთ ერთ გარემოებას: 325 წელს, ნიკეის მსოფლიო საეკლესიო კრებაზე (ამ კრებამდე ქრისტიანული ეკლესია მიიყვანა იმ არეულობამ, რაც რელიგიის სფეროში სუფევდა, განსაკუთრებით იმპერიის აღმოსავლეთ ნაწილში) არიანელები დამარცხდნენ; ქრისტიანობაში დროებით, მაგრამ მაინც სიმშვიდემ დაისადგურა; მართლმადიდებლობამ გაიმარჯვა, რაც გამოიხატა ევსტათის ანტიოქიის კათედრაზე გადაყვანით. ასეთი ვითარება კი, ვფიქრობ, შესაძლებელია გამოყენებული ყოფილიყო იმისათვის, რომ ქართლში ჩამოსულიყო სამღვდელოება ევსტათის ხელმძღვანელობით. ქართული ეკლესიის მმართველობის ჩამოსაყალიბებლად.[282]

იმოგზაურა თუ არა ევსტათიმ ქართლში, ეს პრობლემის ერთი მხარეა. ჩემი აზრით მთავარი ის არის, რამდენადაა ქართლის ეკლესიის ორგანიზაციის საკითხი დაკავშირებული ანტიოქიასთან და მის მართლმადიდებელ ეპისკოპოსთან ევსტათისთან. თუ გავიზიარებთ თ. ჟორდანიას მოსაზრებას, იმის თაობაზე, რომ ქართლის ეკლესიის მოწყობა 325-26 წლებში მოხდა, მაშინ უნდა მივიჩნიოთ, რომ კონსტანტინე დიდი, რომლის სახელთანაც, ზემოთ უკვე განხილული წყაროების მიხედვით, დაკავშირებულია ქართლში

[281] ყაუხჩიშვილი ს. გელასი კესარიელი ქართლის მოქცევის შესახებ, მიმომხილველი, თბ. 1926წ.

[282] ზოგი მკვლევრის არგუმენტი იმის შესახებ, რომ ბიზანტიელი ისტორიკოსები (სოკრატე, სოზომენე, თეოდორიტე), რომლებმაც აღწერეს ევსტათის ცხოვრება, არაფერს ამბობენ მისი საქართველოში ჩამოსვლის შესახებ, მტკიცებულებად არ გამოდგება, რადგან ისტორიაში ბევრია მაგალითი, როდესაც რეალურად მომხდარი ამბავი, უცხოელთა თხზულებებში დადასტურებას ვერ პოულობს.

ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად მიღება, ანტიოქიის ეპისკოპოსის გარეშე ამ საპასუხისმგებლო საკითხს არ გადაწყვეტდა, რადგან, როგორც ს. გორგაძე სამართლიანად მიუთითებს:[283] ნიკეის კრებამ 325 წელს დააკანონა უკვე ძველი დროიდან არსებული ანტიოქიის ეკლესიის უპირატესობა აღმოსავლეთის ეკლესიათა შორის და საფიქრებელია, ქართლში პირველი სამღვდელოების გამოგზავნა იმ მღვდელმთავრის დაუკითხავად არ მოხდებოდა, რომლის კათედრა იერარქიულად პირველობდა იმპერიის აღმოსავლეთის პროვინციებში. მით უფრო, რომ იმ დროისათვის ევსტათი ანტიოქიელი, (როდესაც ის ანტიოქიის ტახტზე იჯდა 325-330 წწ.), დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა, როგორც მართლმადიდებლობის ჭეშმარიტი დამცველი. თუ ჩვენთვის მისაღები იქნება ის აზრი, რომ ქართლის პირველი მღვდელმთავარი ევსტათი ანტიოქიელმა აკურთხა, არა აქვს მნიშვნელობა სად მოხდა ეს, ქართლში თუ იმპერიის ტერიტორიაზე, მაშინ უნდა გავიზიაროთ შეხედულება, რომლის მიხედვითაც ქართული ეკლესია თავდაპირველად იერარქიულად ექვემდებარებოდა ანტიოქიის საპატრიარქოს, რადგან არსებობდა ტრადიცია, რომლის თანახმადაც ახლადმოქცეული ქვეყნის ეკლესია ემორჩილებოდა იმ ეკლესიას, ვის მიერაც ხდებოდა ამ უკანასკნელში ეპისკოპოსის ხელდასხმა. ამასვე მიუთითებს მსოფლიო მეორე საეკლესიო კრების II კანონი:"ბარბაროზებრთა წარმართთა შორის მყოფთა ეკლესიათა ღმერთისათა განგებაჲ ჯერ არს მამათა მიერ დამტკიცებულისაებრ ჩვეულებისა."[284] ხოლო ცნობილი კანონისტი არქიმანდრიტი იოანე წერს: "Вообще от какой церкви инопленники принимали крещение, от той получали в начале и иерархию и порядок управления."[285]

---

[283] გორგაძე ს. "საქართველოს ეკლესია და მისი დასაწყისი", ჟ. "მოამბე" N5, (N3,4,5) გვ.9-10.

[284] დიდი სჯულისკანონი, ე. გაბაშვილის რედ. თბ. 1976 წ. გვ. 261.

[285] Правила святых вселенских Соборов с толкованиями, часть 1-я, правила соборов 1-4, М.1877. ст.500. Иоанн Архимандрит, Опыт курса церковного законоведения, СПБ, 1851. გვ. 100.

რადგან ეფრემ მცირის ჩვენ მიერ ზემოთ განხილულ ცნობაში თ. ჟორდანიას ეჭვი არ შეაქვს და ამავე დროს კარგად იცის ძველი ეკლესიის ტრადიციის არსებობის შესახებ, წერს: "Согласно обычаю древней церкви, грузинская церковь, какь получившая христианскую веру изь Антиохіи, вошла вь составь Антіохіиского патріархата".[286]

მკვლევარი თვლის, რომ ქართული ეკლესია ავტოკეფალიის მოპოვებამდე ექვემდებარებოდა ანტიოქიის საპატრიარქოს, რადგან ქართლის პირველი მღვდელმთავარის ხელდასხმა ევსტათი ანტიოქიელის მიერ შესრულდა. აღნიშნული დებულება, თუ რა თქმა უნდა მისაღები იქნება, ვფიქრობ, კიდევ ერთი საბუთია იმისა, რომ ქართლში ქრისტიანობა, როგორც სახელმწიფო რელიგია არსებობდა 325-330 წლებში, რადგან ამ წლებში იჯდა ევსტათი ანტიოქიის საეპისკოპოსო ტახტზე. მას, ჩემი აზრით, ამ პერიოდში შეეძლო ასეთი საპასუხისმგებლო მისიის შესრულება და არა მანამდე ან შემდეგ, როდესაც იგი გადააყენეს ტახტიდან და ექსორიაქმნილი იქნა. ქართლის რელიგიური ორიენტაცია კი მართლმადიდებლური იქნებოდა, თვით ევსტათის მრწამსიდან გამომდინარე.

ვფიქრობ, ანტიოქიის საპატრიარქოზე ქართული ეკლესიის დაქვემდებარების აზრის მატარებელია ჯუანშერის ცნობაც: “და წარავლინეს პეტრე მღვდელი და სამუელ მონაზონი ანტიოქიას. და მიუწერეს ანტიოქიისა პატრიარქსა მეფემან და პატრიარქმან კონსტანტინოპოლელმან ესრეთ, ვითარმედ: “პირველად, დასაბამსა ქართლის მოქცევისასა დედაკაცისა ჰრომაელისა ნინოს მიერ, განივლინა აქათ ეპისკოპოსი, ... რამეთუ ჩუენ უწყით, ვითარმედ ქართლი და აღმოსავლეთი და ჩრდილო მაგის წმიდისა საყდრისანი არიან, ვითარცა განაწესეს მოციქულთა სახარებასა შინა, რომელ არს უწინარესობა. და მიუწერეს ყოველი საქმე დიდისა ვახტანგ მეფისა... და

[286] Жордания Т. "Краткія историческія сведенія об автокефалии Грузинской церкви" ქუთაისი 1905წ. გვ.1.

ანტიოქიელ მან პატრიარქმან აკურთხა თორმეტი ეპისკოპოსი და პეტრე კათალიკოსად.”[287] ანტიოქიის საპატრიარქოზე ქართული ეკლესიის დამოკიდებულების შესახებ ცნობებს გვაწვდიან აგრეთვე ბიზანტიელი კანონისტები, XII ს. მოღვაწე თ.ბალსამონი და XIV ს-ში მოღვაწე მ. ბლასტარესი (იხ ქვემოთ).

ყველაფერი ზემოთქმულიდან გამომდინარე, მიგვაჩნია, რომ თ. ჟორდანიას დებულებაში მიუღებელი არაფერია, თუმცა კატეგორიულად ამის მტკიცება არ შეგვიძლია, რადგან საკითხთან დაკავშირებით ავთენტური წყაროები მწირია. რაც ჩვენს ხელთ არის, პირდაპირ არაფერს გვეუბნება. აქედან გამომდინარე საკითხის შესახებ სამეცნიერო ლიტერატურაში განსხვავებული მოსაზრებები არსებობს, მაგრამ ვფიქრობ, რომელიმე მათგანს უფრო დამაჯერებელი არგუმენტაცია, ვიდრე ეს ჩვენ მიერ განხილულ დებულებას აქვს, არ გააჩნია. ალბათ სწორედ ამ მიზეზით ივ. ჯავახიშვილი წერდა: “სამწუხაროდ, საკითხი ქართული ეკლესიის პირველადი უფლებრივი დამოკიდებულების შესახებ წყვდიადით არის მოცული.”[288]

მართალია, აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით სხვადასხვა მოსაზრებებს თ.ჟორდანია არ იხილავს და შესაბამისად ჩვენი ინტერესის სფეროს სცილდება, მაგრამ საჭიროდ მიგვაჩნია ორიოდე სიტყვით მათზე შეჩერება.

ისტორიკოსთა ნაწილი ცდილობს დაასაბუთოს ქართლის ეკლესიის თავდაპირველი დამოკიდებულება პონტოს სამიტროპოლიტოზე და კონსტანტინოპოლის საპატრიარქოზე. ფრანგი მკვლევარი მ. ლენ-კენი (XVIIIს.) ქართლის ეკლესიას ამასიის ჰელენოპონტის მიტროპოლიტის ქვეშევრდომად განიხილავს,[289] ქართველი ისტორიკოსი პ. იოსელიანი (XIXს) ამტკიცებს, რომ

---

[287] “ქართლის ცხოვრება”, ტექსტი დადგენილია ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით სიმ. ყაუხჩიშვილის მიერ. ტ.I. თბ. 1955წ. გვ.197-198.
[288] ჯავახიშვილი ივ. “ქართველი ერის ისტორია”, ტ.I. თხზ. თორმეტ ტომად. გვ.353.
[289] მამულია გ. “ქართლის ეკლესია V-VI საუკუნეებში” თბ. 1992. გვ.69.

თავდაპირველად ქართლის ეკლესია ექვემდებარებოდა კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს, ხოლო შემდეგ გადავიდა ანტიოქიის საყდრის იურისდიქციაში.[290] იგივე შეხედულება აქვს ა. ნატროშვილს (XXს).[291] მ. ბროსემ ქართლის ეკლესია ჯერ კიდევ თრაკიის დიოცეზში მოათავსა, ხოლო თრაკიის დიოცეზის კონსტანტინოპოლის[292] დაქვემდებარებაში გადასვლის შემდეგ ქართლსაც ამ უკანასკნელის სამწყსოში განიხილავდა; საბოლოოდ კი მივიდა დასკვნამდე, რომ V ს. მე-2 ნახევრამდე ქართული ეკლესია ანტიოქიას ემორჩილებოდა. კ. ცინცაძის აზრით, ქართველთა მღვდელმთავარი პონტოს მიტროპოლიტის მეშვეობით ანტიოქიის პატრიარქს ექვემდებარებოდა, მაგრამ დროთა განმავლობაში იგი უშუალოდ დაუკავშირდა ანტიოქიის პატრიარქს, ხოლო მისი ეპარქიის, როგორც პონტოს სამიტროპოლიტოს შემადგენელი ნაწილის, კონსტანტინოპოლის იურისდიქციაში მოქცევის შემდეგ, ამ უკანასკნელს დაექვემდებარა.[293] კ. ცინცაძის თვალსაზრისს იზიარებს გ. მამულია, რომლის აზრითაც ქართლის ეკლესია იერარქიულად პონტოს დიოცეზის შემადგენლობაში შემავალი ამასიის ჰელენოპონტის მიტროპოლიტს ემორჩილებოდა.[294]

ისტორიკოსთა ერთი ჯგუფი ზოგიერთ სომხურ წყაროზე დაყრდნობით ვარაუდობდა, რომ ქართლის ეკლესია იერარქიულ კავშირში იყო მეზობელი სომხეთის ეკლესიასთან.[295] ეს მოსაზრება ივ. ჯავახიშვილმა ვრცლად და კრიტიკულად განიხილა და დაამტკიცა, რომ თეორია ქართული ეკლესიის

---

[290] Иоселиани П. «Краткая история Грузинской церкви».Спб. Тифлис 1851. ტ.45. გვ13.

[291] Натроев. А. «Мцхета и его собор свети-цховели.» Тифлис 1901г. გვ.437-438.

[292] ქალკედონის IV მსოფლიო საეკლესიო კრების 28-ე კანონით საბოლოოდ დაკანონდა კონსტანტინოპოლის კათედრის უპირატესობა აღმოსავლეთში და მას დაექვემდებარა პონტოს, ამასიისა, და თრაკიის სამიტროპოლიტოები.

[293] Цинцадзе К. «Историческая справка по вопросу об автокефалии Грузинской церкви». Тиф.1906г. ст.51.

[294] მამულია გ. ქართლის ეკლესია V-VI საუკუნეებში, თბ.1992წ. გვ.90.

[295] Марр Н. Журналы и протоколы заседании предсоборного присутствия, Т.3, СПБ, 1907. Журнал №5. дек.1906г. ст.111-114. Кекелидзе К. «К вопросу об Иерусалимском происхождении Грузинской церкви.» ეტიუდები, IV. თბ.1957წ. გვ. 36-37.

იერარქიული კავშირის შესახებ სომხურ ეკლესიასთან მცდარია და უსაფუძვლო.[296] არის აგრეთვე მოსაზრება, რომ ქართული ეკლესია თავიდანვე დამოუკიდებლად იყო და არცერთ ეკლესიას არ ექვემდებარებოდა (ვ. ვეტრინსკი, ა. ჯაფარიძე).[297]

თ. ჟორდანია ქართული ეკლესიის მიერ ავტოკეფალიის მოპოვებას, ვახტანგ გორგასლის ისტორიკოსის, ჯუანშერზე დაყრდნობით და "მოქცევაჲ ქართლისაჲ"-ს ცნობების გათვალისწინებით უკავშირებს ვახტანგ I-ის მოღვაწეობას. თ. ჟორდანიას აზრით: "архіепископы изъ грековъ незнакомые сь нравами и обычаями народа и местной церкви, оказались плохими правителями. Вотъ почему известный своими завоеваніями грузинскій царь Вахтанг I (434-499 г.), при заключении мира съ византійскимь императоромъ Львомъ великимъ (ок.460) выговорилъ для грузинской церкви независимаго католикоса, котораго и указалъ в лице строгого ревнителя веры и бестрашного обличителя самого царя - блаженного Петра."[298] შემდეგ განაგრძობს მსჯელობას და წერს, რომ მიუხედავად იმპერატორისაგან მიღებული თანხმობისა, ვახტანგ მეფემ მიზანი ვერ განახორციელა, რადგან სპარსელებმა ინდოეთში საომრად გაიწვიეს. მხოლოდ იქიდან დაბრუნების შემდეგ გააგზავნა ელჩები საბერძნეთში პეტრეს ჩამოსაყვანად. სწორედ ამ მიზეზით მოხდა განხეთქილება მთავარეპისკოპოსს მიქაელსა და ვახტანგ I -ს შორის "он (მიქაელი – ქ.ნ.) не могъ примириться сь мыслью, что онъ, глава грузинской церкви, съ учрежденіемъ каталикосата долженъ играть второстепенную роль въ иверской церкви".[299]

---

[296] ჯავახიშვილი ივ. "ქართველი ერის ისტორია" წიგნ.I. თხზულებანი თორმეტ ტომად, ტ.I. გვ.353-369

[297] ჯაფარიძე ა. (ეპისკოპოსი), საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორია. ტ.I. თბილისი, 1996წ.

[298] Жордания Т. "Краткія историческія сведенія об автокефаліи Грузинской церкви" ქუთაისი 1905წ. გვ.1.

[299] Жордания Т. "Краткія историческія сведенія об автокефалии Грузинской церкви" ქუთაისი 1905წ. გვ.2.

აზრი იმის შესახებ, რომ განხეთქილება მიქაელსა და ვახტანგს შორის კათალიკოსად პეტრეს მოწვევის გამო მოხდა, მართებულად მიგვაჩნია, მაგრამ კათალიკოსობის დაწესების მიზეზად ბერძენი ეპისკოპოსების ცუდი მმართველობის დასახელება მიუღებლად გვეჩვენება, (წყაროები მიქაელის შემდეგაც VI საუკუნემდე ბერძენ კათალიკოსებს ასახელებენ ტახტზე. ამ ინფორმაციას თ. ჟორდანიაც ფლობს). ჩემი აზრით, კათალიკოსობის დაწესების საფუძველი, უპირველეს ყოვლისა, ვახტანგის იმ პოლიტიკის შემადგენელი ნაწილი იყო, რომელიც სამეფო ხელისუფლების ცენტრალიზაციასა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლას გულისხმობდა. ამისათვის საჭირო გახდა საეკლესიო რეფორმა. იგი გამოიხატა ავტოკეფალიის მოთხოვნით. კათალიკოსობის შემოღებით მეფე უშუალოდ იქვემდებარებდა ეკლესიის წინამძღვარს. აქედან გამომდინარე, ეკლესიის თავი ბიზანტიის მხარდაჭერის იმედით აქტიურ წინააღმდეგობას ველარ გაწევდა. ვფიქრობთ, ამ მიზნიდან გამომდინარეა გამოწვეული ის, რომ ვახტანგმა კათალიკოსად მთავარეპისკოპოსის მიქაელის დადგენა არ მოისურვა, რომელიც თითქოსდა სასურველი კანდიდატურა უნდა ყოფილიყო. "ქართლის ცხოვრების" თანახმად მიქაელი საბერძნეთიდან ვახტანგის დედამ, დედოფალმა საგდუხტმა მოიწვია, ქართლში მართლმადიდებლობის განმტკიცების მიზნით, რომელმაც, ამავე დროს, მნიშვნელოვანი მონაწილეობა მიიღო ვახტანგის აღზრდაში: "მაშინ ვახტანგ იზარდებოდა და ისწავლიდა მიქაელ ეპისკოპოსისაგან ყოველსა მცნებასა უფლისასა, და სიყრმისავე დღეთა შეიყუარა სჯული ქრისტესი უფროს ყოველთა მეფეთა ქართლისათა."[300]

ამრიგად, ქართლში მიქაელის მოღვაწეობა მიმართული იყო ქართული სახელმწიფოს საკეთილდღეოდ. მიუხედავად ამისა, ვახტანგი კათალიკოსად იწვევს პონტოში საბრძოლო მოქმედებების დროს გაცნობილ პეტრეს. რატომ?

---

[300] "ქართლის ცხოვრება", ტექსტი დადგენილია ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით სიმ. ყაუხჩიშვილის მიერ. ტ.I. თბ. 1955წ. გვ. 146.

საფიქრებელია, მიქაელმა თავისი მოღვაწეობით საკმაოდ დიდი ავტორიტეტი მოიპოვა ქართლის საზოგადოებაში და გარკვეული დასაყრდენი შეიქმნა. თან მის უკან დგას ბიზანტია, რომლის უშუალო დაქვემდებარების ქვეშ იმყოფება მთავარეპისკოპოსი. ამდენად, იგი აღარ ემორჩილება მეფეს.[301] მიქაელის ასეთი მდგომარეობის შედეგი უნდა იყოს ის წრეგადასული საქციელი, რომელიც მან მეფესთან კონფლიქტურ სიტუაციაში გამოამჟღავნა, როდესაც გაიგო ვახტანგის განზრახვა კათალიკოსად კონსტანტინოპოლიდან პეტრეს მოწვევის შესახებ _ "კრულ ყო მეფე და ყოველნი სპანი მისნი". ვახტანგ მეფე, კონფლიქტის მიუხედავად, ეახლა ეპისკოპოსს, იგი კი ფიზიკურად შეეხო პირს ("და განძრა მან ფერჯი, და მიამთხვია პირსა მეფისასა ფანდაკითა და შემუსრა კბილი მისი),[302] რომელიც სახელმწიფოში უზენაეს ხელისუფალს წარმოადგენს.

ზემოთქმულის გათვალისწინებით, ვფიქრობ, ვახტანგისათვის მიქაელის პიროვნება თავიდანვე მიუღებელი უნდა ყოფილიყო, როგორც კი გადაწყვიტა კათალიკოსობის დაწესება, რადგან ვახტანგ გორგასალს, ჩემი აზრით, სახელმწიფოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე სჭირდებოდა კათალიკოსი, რომელიც მისთვის პოლიტიკურად სანდო იქნებოდა. ასეთი კი შეიძლება ყოფილიყო ის, ვისაც მეფე პირადად აირჩევდა და მას დასაყრდენი არ ექნებოდა ქართლის საზოგადოებაში. ბუნებრივია, ამ თვალსაზრისით საუკეთესო კანდიდატურას წარმოადგენდა უცხოეთში გაცნობილი პეტრე, ალბათ რომლის პიროვნულმა თვისებებმაც მოხიბლა მეფე.

აღსანიშნავია ერთიც, ასეთი მნიშვნელოვანი რეფორმის გატარების შესაძლებლობა ვახტანგ I შეუქმნა იმ საგარეო პოლიტიკურმა ვითარებამ,

---

[301] ბიზანტია რომ აქტიურად უჭერდა მხარს მიქაელს, შემდეგი ფაქტიდანაც დასტურდება: ეპისკოპოსს ჩადენილი დანაშაულისთვის (მეფის შეურაცხყოფა) სიკვდილით დასჯა ეკუთვნოდა, იგი კი შეიწყალეს და მღვიძარეთა მონასტერში გაამწესეს.

[302] ჯუანშერი, "ცხოვრება ვახტანგ გორგასლისა" "ქართლის ცხოვრება", ტექსტი დადგენილია ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით სიმ. ყაუხჩიშვილის მიერ. ტ.I. თბ. 1955წ. გვ. 196.

რომელმაც ქართლს სერიოზული როლი დააკისრა ირან-ბიზანტიის ურთიერთობაში.

ქართლის მეფემ გაატარა საეკლესიო რეფორმა, ხოლო ბიზანტიამ მხარი დაუჭირა, რადგან V ს. მე-2 ნახევარში ქრისტიანობას ამიერკავკასიაში საფრთხე შეექმნა. სასანიანთა ირანის შემოტევამ იდეოლოგიითა და რელიგიით, კონსტანტინოპოლისთვის სასურველი გახადა ირანს დაპირისპირებოდა ადგილობრივი ქრისტიანული ძალა ქართლის სახით.[303] თავის მხრივ, ირანიც დაინტერესებულია ქართლის ეკლესიის დამოუკიდებლობის მოპოვებით, რადგან ბიზანტიასთან ეკლესიურ-იერარქიული კავშირის შესუსტება შესაძლებელს ხდიდა ბიზანტიის პოლიტიკური აქტივობის დაცემას ქართლში.[304] როგორც ჩანს, ვახტანგ გორგასალმა სწორად შეაფასა შექმნილი პოლიტიკური ვითარება და თავისი მიზანი დროულად განახორციელა.[305]

თ. ჟორდანიას კვლევაში ქართული ეკლესიის მიერ ავტოკეფალიის დამკვიდრება საკმაოდ რთული პროცესების განხილვის ფონზეა წარმოდგენილი. იგი აქაც არ ღალატობს თავის, როგორც მკვლევრის დამოკიდებულებას წყაროებისადმი და ცდილობს მის ხელთ არსებულ წყაროთა მონაცემების შეთანხმებას და ამ შეთანხმების საფუძველზე ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის სტატუსის განსაზღვრას. ამთავითვე მინდა აღვნიშნო თ. ჟორდანიას ავტოკეფალიის საკითხის კვლევასთან დაკავშირებული ერთი თავისებურება. ნაშრომში ხაზგასმულად უპირატესობა უცხოურ წყაროებს აქვს მინიჭებული. ავტორი ცდილობს მკითხველს დაანახოს ქართული წყაროების

---

[303] ლორთქიფანიძე მ. "ქართლი V საუკუნის მეორე ნახევარში, თბ. 1979. გვ.71-76.

[304] გორგაძე ს. წერილები საქართველოს ისტორიიდან. ნაწ.III. "ძველი საქართველო" ტ.II. 1913. გვ.75.

[305] ქართული ეკლესიის რეორგანიზაციის საკითხი სამეცნიერო ლიტერატურაში აზრთა სხვადასხვაობას იწვევს. იყო ეს რეფორმა მეფესა და მთავარეპისკოპოსს შორის არსებული კონფლიქტის შედეგი, თუ მეფის განზრახვამ გაამწვავა ურთიერთობა მათ შორის. თუ კონფლიქტი კონფესიურ ნიადაგზე წარმოიშვა _ რომელი მხარე წარმოადგენდა ქალკედონურ მრწამსს და რომელი მონოფიზიტურს. ამ საკითხთან დაკავშირებით ვრცელი ლიტერატურა არსებობს.

უტყუარობა უცხოური წყაროების ცნობებთან შეთანხმების გზით, ხოლო საკუთარ დასკვნებს ზოგჯერ უქვემდებარებს რუსი მეცნიერის, ნ. დურნოვოს,[306] მოსაზრებებს. ზოგადად მუშაობის ამგვარი სტილი თ. ჟორდანიასათვის უცხოა. იგი ყოველთვის თამამად და ხშირად კატეგორიულადაც წარმოაჩენს ქართული წყაროების სანდოობას და ამ წყაროების გათვალისწინებით საკუთარ თვალსაზრისებს. ჩემი აზრით, საკითხისადმი ასეთი დამოკიდებულება თვით ამ ნაშრომის მიზნიდან გამომდინარეობს. ნაშრომი გათვალისწინებულია იმ რუსი ოპონენტებისათვის, რომლებსაც ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის მოთხოვნა უკანონოდ მიაჩნდათ. აგრეთვე, იგი არის პასუხი არქიმანდრიტ ნიკანდრის წერილზე, სადაც ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის ისტორიული არსებობა ეჭვქვეშ არის დაყენებული.[307] ამიტომ თ. ჟორდანიამ კვლევის ამგვარი ხერხი აირჩია, რათა მკითხველი საკუთარი დებულებების ჭეშმარიტებაში დაარწმუნოს. შენიშვნაში იგი აღნიშნავს კიდეც: "Мы приводимъ главнымъ образомъ, свидетельство иностранныхъ источниковъ, но грузинских церковныхъ актахъ сохранилисьъ хартіи, говорящіе объ утвержденіи автокефаліи грузинской церкви"[308] და უთითებს “ქრონიკებს”. ამდენად, ჩვენ თ. ჟორდანიას თვალსაზრისისა და მის მიერ გამოყენებული წყაროების წარმოჩენისას ვიყენებთ “ქრონიკებსაც”.

უკვე ითქვა, რომ იბერიის ეკლესიის მიერ ავტოკეფალიის მოპოვებას, თ. ჟორდანია “მოქცევაჲ ქართლისაჲ”-ს და ჯუანშერის თხზულებაზე დაყრდნობით _ “ცხოვრება და მოქალაქეობა ვახტანგ გორგასლისა”, ვახტანგ I-

---

[306] დურნოვი ნ. ცნობილი რუსი მეცნიერი, რომელიც იცავდა ქართული ეკლესიის ინტერესებს. თ.ჟორდანია იყენებს მის ნაშრომს «Иерархии всерасииской церкви» М. 1892г.

[307] Архимандрит Никандр, «Объ автокефальности грузинской церкви и церковной жизни въ Грузіи при католикосахъ. Историческая справка», ж. «Духовный вестник Груз. экзархата», 1905г. №13-14. (ст.15-78)

[308] Жордания Т. "Краткія историческія сведенія об автокефалии Грузинской церкви" ქუთაისი 1905წ. გვ.14.

ის სახელს უკავშირებს. მას “ქრონიკების” I წიგნის შენიშვნებში (გვ. 52. შენ. 113,114,115) ციტირებული აქვს ამ ორი წყაროდან ადგილები, რომლებიც აღნიშნული მოვლენის შესახებ მოგვითხრობენ. “მოქცევაჲს” ქრონიკაში ვკითხულობთ“... წარიყვანეს ვახტანგ სპარსთა და შემდგომად რაოდენისამე ჟამისა მოიქცა, და მათავარეპისკოპოსი იყო მიქაელი”... მეფემან წარავლინნა მოციქულნი საბერძნეთსა და ითხოვა მეფისაგან და პატრეარქესაგან კათალიკოზი. ხოლო მან მოსცა პეტრე კათალიკოზი. და თანა ჰყვანდა მას სამოველ მონაზონი, წმინდაჲ და ღირსი. და აღაშენა ქუემოჲ ეკლესიაჲ ვახტანგ მეფემან და დასუა პეტრე კათალიკოზი. და ესე იყო ქართლის მოქცევითგან რო წელსა.”[309] იგივეს, მაგრამ უფრო ვრცლად გადმოგვცემს ჯუანშერი: ვახტანგ გორგასალმა ბიზანტიის წინააღმდეგ მოწყობილი ლაშქრობის დროს გაიცნო ორი სასულიერო პირი _ პეტრე მღვდელი და სამოელ მონაზონი; მეფემ მათი ქართლში მოწვევა და პეტრეს კათალიკოსად დადგინება გადაწყვიტა. სურვილი მხოლოდ ირანიდან დაბრუნების შემდეგ განახორციელა. ბიზ. იმპერატორმა ვახტანგის თხოვნით ისინი ანტიოქიის პატრიარქთან გააგზავნა, რადგან პეტრეს კათალიკოსად ხელდასხმა მისგან მომხდარიყო. სამოელი და კიდევ თორმეტი სასულიერო პირი ანტიოქიის პატრიარქის არჩევით ქართლში ეპისკოპოსებად უნდა გაეგზავნათ. პატრიარქმა აკურთხა პეტრე და ეპისკოპოსები. ბიზანტიის იმპერატორმა ვახტანგ I “ასული თვისი მისცა, სახელით ელენე” და დიდი სპით სომხეთის საზღვრამდე გამოისტუმრა. ვახტანგ მეფემ “აღაშენა ეკლესია მოციქულთა სუეტი ცხოველი, და უპყრა სუეტსა შინა სამხით ადგილსა მას, სადა იგი დაცემულ იყო ეკლესია, რომელ არს სიონი დიდი. და მუნ შინა დასუეს პეტრე კათალიკოსად და სამოელ

[309] “მოქცევაჲ ქართლისაჲ”. ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები. წიგ.1. ილ. აბულაძის რედ. თბ. 1963. გვ. 325.

ეპისკოპოსად მცხეთასვე საეპისკოპოსოსა.”[310] შემდეგ ჯუანშერი ჩამოთვლის იმ თორმეტ საეპისკოპოსოს, სადაც გაგზავნილ იქნენ ეპისკოპოსები.

თ. ჟორდანია ამ მოვლენას რუსი მეცნიერის ნ. დურნოვოს მიხედვით 488 წლით ათარიღებს, ხოლო თვითონ “მოქცევაჲ”-ს ცნობის საფუძველზე, სადაც მითითებულია, რომ კათალიკოსობის შემოღება ქართლის მოქცევიდან 170 წლის შემდეგ მოხდა, პეტრეს ქართლში ჩამოსვლას 493-496 წლებს შორის აქცევს. ეს გასაგები გახდება თუ გავითვალისწინებთ, რომ თ. ჟორდანია ქართლში ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადებას 323-326 წლებში მიიჩნევს, (იხ. ზემოთ). შემდგომი მსჯელობისას ყოველგვარი განმარტების გარეშე იგი უპირატესობას 488 წელს ანიჭებს.

ის, რომ ქართლში კათალიკოსობის დაწესება V ს. მე-2 ნახევრის მოვლენაა, მეცნიერი ამ აზრის გასამტკიცებლად მ. ბროსეზე დაყრდნობით იმოწმებს XII ს. ბიზანტიელ კანონისტს თეოდორ ბალსამონს (ანტიოქიის პატრიარქი 1186-1203წ), რომლის მსოფლიოს II საეკლესიო კრების II კანონის განმარტებაში წერია: “Во времена святейшаго патріарха антиохійскаго, господина Петра, по соборному определениію, постановлено “иверской церкви быть самостоятельною и автокефальною, но въ духовной зависимости отъ антіохіискихъ патріарховъ."[311] იზიარებს რა მ. ბროსეს შეხედულებას, მასზედ, რომ აქ მოხსენებული პეტრე არის Vს. მოღვაწე პეტრე I ფულონი, მიაჩნია: “Поставлённій католикось хотя и признань автокефальнымь, однако не быль вполне независимь отъ антіохіиского патріарха: вновь избираемые каталикосы должны были ездить в Антіохію за посвящениемь. Видимо не только посвященіе, но и самое избраніе каталикоса вь значительной степени зависело отъ

[310] “მოქცევაჲ ქართლისაჲ”. ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები. წიგ.1. ილ. აბულაძის რედ. თბ. 1963. გვ. 191.

[311] თ. ჟორდანიას, ბროსედან გამომდინარე, მოყვანილი აქვს განმარტების ლათინური თარგმანი, ქართულად არსებობს სიმ. ყაუხჩიშვილის ბერძნული თარგმანიც (გეორგიკა, VIII. 1970 წ. გვ. 17).

антіохіискаго патріарха."[312] ე.ი. თ. ჟორდანია თვლის, რომ ვახტანგ გორგასლის მეფობის დროს, ქართულმა ეკლესიამ მიიღო ავტოკეფალია, მაგრამ არასრული სახით, რადგან კათალიკოსის არჩევა და კურთხევა ანტიოქიის უფლებებში შედიოდა.

თ. ჟორდანიას მიხედვით, ქართულმა ეკლესიამ დამოუკიდებლობის გზაზე სერიოზული ნაბიჯები VI საუკუნეში გადადგა, როდესაც მეფე ფარსმანის დროს, საკათალიკოსო ტახტზე ბერძნების მაგივრად საქართველოს მკვიდრთა აყვანის უფლება მოიპოვა.[313] ამ აზრის საფუძველს მეცნიერს მის ხელთ არსებული წყაროები აძლევს. "ქრონიკების" I წიგნში (გვ. 52 შენ. 114) იგი მიუთითებს ჯუანშერის ცნობას, რომლის მიხედვითაც ფარსმან მეფის დროს ქართველებმა იუსტინიანესაგან (ბიზანტიის იმპ. 527-565 წწ.) ითხოვეს ბერძნების ნაცვლად ქართველების კათალიკოსად კურთხევა. იმპერატორმა "დაწერა წიგნი და დაბეჭდა თჳისითა ბეჭდითა ესრეთ, რათა დასხდებოდენ კათალიკოსად ნათესავნი ქართველთანი, და აქუნდა უაღრესობა ყოველთა ეკლესიათა და მღვდელ-მთავართა ზედა."[314,315] კათალიკოს ჩერმაგის გარდავალების შემდეგ, ფარსმან მეფემ კათალიკოსად დასვა საბა და "აქათგან არ ღარა მოიყვანებოდიეს კათალიკოსსა საბერძნეთით, არამედ ქართველნი დასხდებოდეს, წარჩინებულთა ნათესავნი."[316] "მოქცევაჲ"-ს ქრონიკაც იგივეს გვეუბნება. მკვლევარი წერს: "კათალიკოზი იყო დასაბია, მკვიდრი მცხეთელი და აქაითგან ორთა, სახლითა აღიღეს კათალიკოზობაჲ მცხეთელთთა

---

[312] Жордания Т., "Краткія историческія сведенія об автокефалии Грузинской церкви", ქუთაისი 1905წ. გვ.3.

[313] Жордания Т., "Краткія историческія сведенія об автокефалии Грузинской церкви", ქუთაისი 1905წ. გვ.5.

[314] აქაც და შემდეგშიც წყაროს ციტირებას მოვახდენთ ახალი გამოცემიდან.

[315] ჯუანშერი, "ცხოვრება ვახტანგ გორგასლისა", . "ქართლის ცხოვრება", ტექსტი დადგენილია ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით სიმ. ყაუხჩიშვილის მიერ. ტ.I. თბ. 1955წ. გვ.207.

[316] ჯუანშერი, "ცხოვრება ვახტანგ გორგასლისა", "ქართლის ცხოვრება", ტექსტი დადგენილია ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით სიმ. ყაუხჩიშვილის მიერ. ტ.I. თბ. 1955წ. გვ.207.

მკჯდრთა”.[317] თ. ჟორდანია, აგრეთვე, იმოწმებს სომეხ ისტორიკოსს მეხითარ აირვანელს, რომელიც “აბბას” (საბა – თ.ჟ.) მცხეთის მკვიდრად ასახელებს. შემდეგ მოჰყავს ნაწყვეტი: “შიო-მღვიმელის ცხოვრებიდან, (ბერძნულიდან თარგმნილად ითვლება), სადაც წერია: “... მიუძღვნა ნიჭი დიდი იუსტინიანოს ფარსმანს, ქართველთა მეფესა და ევედრა, რა შეეწიოს მხედრობასა მისსა ყოვლითა ძალითა თვისთა და ბრძოლა უყოს ტასკუნთა. ისმინა უკუე ფარსმან ვედრება მეფისა...” დაიმორჩილა ტასკუნები და ტყვეები იუსტინიანესთან გააგზავნა. ამის შემდეგ ბიზანტიაში ჩასულმა ფარსმანმა ქართული ეკლესიისათვის აღნიშნული პრივილეგია მოითხოვა. იგი დააკმაყოფილეს. ის, რომ ქართულმა ეკლესიამ ავტოკეფალიის დადასტურება იუსტინიანე I მიიღო (527-565), თ. ჟორდანიას აზრით ამას ამტკიცებს თ. ბალსამონის კიდევ ერთი განმარტება, რომლის ციტირებასაც ახდენს მ. ბროსეზე დაყრდნობით: “Юстиніанъ учредилъ несколько автокефальныхъ или независимыхъ церквей и в томъ числе Иверскую"[318] თ. ჟორდანია ხაზგასმით აღნიშნავს: "несомненно, что здесь подъ словомъ учрежденіе разумеется законодательное санкціонированіе того, что ранее было учреждено, но не утверждено другими патріархами и вселенскими соборами".[319] თ. ჟორდანია ქართული ეკლესიისათვის ავტოკეფალიის დამტკიცებას “законнымъ порядкомъ чрезь отобраніе согласія на это всехъ патріарховъ”, VI მსოფლიო საეკლესიო კრებას მიაწერს. აქვე გვინდა განვმარტოთ ერთი გარემოება: მკვლევარი თვლის, რომ VI მსოფლიო საეკლესიო კრება ჩატარდა იუსტინიანე I დროს 545 ან 549 წელს. (ისტორიოგრაფიაში მითითებულია 681 წ.); ცნობას, VI მსოფლიო საეკლესიო კრების დადგენილების შესახებ, იმოწმებს ნ. დურნოვოდან. ნ. დურნოვოს კი

---

[317] “მოქცევაჲ ქართლისაჲ”, ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები. წიგ.1. ილ. აბულაძის რედ. გვ. 326 თბ. 1963.

[318] Жордания Т., "Краткія историческія сведенія об автокефалии Грузинской церкви", ქუთაისი. 1905 წ. გვ. 6.

[319] Жордания Т., "Краткія историческія сведенія об автокефалии Грузинской церкви", ქუთაისი. 1905წ. გვ.6.

განხილული აქვს ჯუანშერის თხზულების ჩანართი, რომელიც აღნიშნული კრების მიერ ქართლის ეკლესიის დამოუკიდებლობის მინიჭების შესახებ მოგვითხრობს: “ამის კრებისა მიერ ბრძანეს ესრეთ წმიდისა ეკლესიისა საქართველოსათვის, რომელ არს წმიდა მცხეთა, რათა იყოს სწორ პატივთა ვითარცა წმიდანი სამოციქულო კათოლიკე ეკლესიანი, საპატრიარქონი და იყოს კათალიკოსი ქართლისა სწორი პატრიარქთა თანა...”.[320] ყურადსაღებია ის, რომ თ. ჟორდანია ქართული წყაროს ინფორმაციას ნ. დურნოვოზე დაყრდნობით იმოწმებს. ეს კიდევ იმის ერთი დასტურია, რომ მეცნიერი იძულებულია რუსი ავტორიტეტი მოიხმოს საშველად. ეს ფაქტიც კარგად აჩვენებს, თუ რა რთულ პირობებში უხდებოდათ ქართველ მეცნიერებსა და სასულიერო პირებს ქართული ეკლესიის ინტერესების დაცვა. თ. ჟორდანიას აზრით, მიუხედავად იმისა, რომ ქართლის ეკლესიამ იუსტინიანე პირველისაგან (527-565 წწ.) მიიღო სრული დამოუკიდებლობა კათალიკოსის ადგილობრივად არჩევისა და კურთხევის უფლებით, ხოლო ანტიოქიის საეკლესიო კრების მიერ მინიჭებული ავტოკეფალია დაუმტკიცდა VI მსოფლიო საკლესიო კრებაზე, VIII ს. შუა წლებამდე მან ანტიოქიის საპატრიარქოს მიმართ გარკვეული კავშირი მაინც შეინარჩუნა, რაც გამოიხატა: "въ томъ что избранные въ Грузіи каталикосы по прежнему продолжали ездить въ Антіохію за рукоположеніемь, держась прежнего обычая", რადგან ქართული ეკლესია "продолжала находиться въ духовной связи съ антіохіискими патріархами, хотя во всёмь были самостоятельны и независимы оть него."[321] ამ აზრის საფუძველს მას აძლევს ზემოთ უკვე ნახსენები ეფრემ მცირის თხზულება, სადაც “ანტიოქიის ქრონოგრაფიაზე” დაყრდნობით მოთხრობილია შემდეგი: “დღეთა კონსტანტინე სკორის მოსახელისათა

[320] ჯუანშერი, “ცხოვრება ვახტანგ გორგასლისა”, “ქართლის ცხოვრება”, ტ.I. თბ. 1955წ. გვ.232.
[321] Жордания Т., "Краткія историческія сведенія об автокефалии Грузинской церкви", ქუთაისი. 1905წ. გვ.7.

ანტიოქიას პატრიარქობასა ნეტარისა თეოფილაქტესსა (პატრიარქი 744-754 წწ. – ქ.ნ.) მოვიდეს ქართლით მოციქულად მონაზონნი ორნი და მიუთხრეს ნეტარსა თეოფილაქტეს, ვითარმედ დიდსა ჭირსა შინა არიან ქრისტიანენი მკჳდრნი ქართველთა სოფლებისანი. რამეთუ დღითგან ანასტასი მღვდელთა მოწამისა (პატრიარქი 602-610 წწ. – ქ.ნ) ანტიოქიელ პატრიარქსა არა კურთხეულ არს მათდა კათალიკოსი[322] მთავარ-ეპისკოპოსი".[323] რადგან არაბთა მიერ მცირე აზიის დაკავების შემდეგ საქართველოდან ანტიოქიაში ჩასვლა გართულდა, თეოფილაქტემ "მისცა ქართველთა პორტექტიკონი", რის საფუძველზეც ანტიოქიაში ჩასვლის ვალდებულებაც მოეხსნათ; ერთი მონაზონი იოანე კი კათალიკოსად აკურთხა. ამის სანაცვლოდ ქართველებს ევალებოდათ შემდეგი: ქართლის კათალიკოსის მიერ ანტიოქიის პატრიარქის მოხსენიება წირვა-ლოცვის დროს, სამ წელიწადში ერთხელ ანტიოქიის საპატრიარქოსათვის 1000 კომლიდან 1000 დრაჰკანის გაგზავნა, ხოლო თუ ქართლში "გამოჩნდეს წვალებაჲ", ანტიოქიის პატრიარქს ეგზარქოსის გამოგზავნის უფლება ჰქონდა. თ. ჟორდანია თვლის, რომ XI ს. ეს ნომინალური დამოკიდებულებაც გაქრა.

საბოლოო სახით, თ. ჟორდანიას თვალსაზრისი საქართველოს ეკლესიის დამოუკიდებლობის მოპოვების შესახებ, შემდეგნაირად წარმოგვიდგება: ა) ქართლის ეკლესიამ V საუკუნეში, 488 წ. ანტიოქიის საეკლესიო კრების გადაწყვეტილებით მიიღო არასრული ავტოკეფალია, რადგან კათალიკოსის არჩევა და კურთხევა ანტიოქიის უფლებას წარმოადგენდა; ბ) VI საუკუნეში იმპ. იუსტინიანე პირველმა და VI მსოფლიო საეკლესიო კრებამ დაამტკიცა ანტიოქიის ადგილობრივი საეკლესიო კრების გადაწყვეტილება, ქართლის

---

[322] რადგან თ.ჟორდანიას მიაჩნია, რომ პატრიარქ ანასტასიოსიდან პატრიარქ თეოფილაქტემდე ქართველი კათოლიკოსები კურთხევას მცხეთის ტაძარში ადგილობრივი ეპისკოპოსებისგან იღებდნენ, "მოქცევაჲ ქართლისაჲ"-ს მიხედვით შედგენილი აქვს ამ პერიოდის მღვდელმთავართა სია და მათი მოღვაწეობის მიახლოებით თარიღებს გვთავაზობს, (იხ. "ქრონიკები", ტ.I. გვ.75. შენ. 149).

[323] ჟორდანია თ. "ქრონიკები", ტ.I. თბ. 1893წ. გვ.75-76.

ეკლესიის ავტოკეფალიის შესახებ, კათალიკოსის ადგილობრივად არჩევისა და კურთხევის უფლების მინიჭებით. ე.ი. მოიპოვა სრული დამოუკიდებლობა, მაგრამ ქართლის კათალიკოსები მაინც ჩადიოდნენ ანტიოქიაში ხელდასხმისათვის; გ) VIII საუკუნეში, ანტიოქიის პატრიარქის თეოფილაქტეს დროს, ქართლის ეკლესიამ მიიღო "პროტეპტიკონი", რის საფუძველზეც მოეხსნა კათალიკოსების ანტიოქიაში გაგზავნის ვალდებულებაც.

როგორც დავინახეთ, თ. ჟორდანია ზემოთ წარმოდგენილ დასკვნამდე მივიდა იმ ძირითადი წყაროების განხილვის საფუძველზე, რომლებიც ავტოკეფალიის საკითხთან დაკავშირებით არსებობს. მიუხედავად იმისა, რომ ამავე წყაროებს დღემდე ეყრდნობა ყველა ის ისტორიკოსი, ვინც აღნიშნულ თემას იკვლევს, ისტორიოგრაფიაში მაინც აზრთა სხვადასხვაობაა, რაც გამოწვეულია ერთი მხრივ, წყაროთა სიმწირით, მეორე მხრივ, მკვლევართა მიერ მათი მონაცემების განსხვავებული ინტერპრეტაციით, რის საფუძვლესაც თავად ეს მონაცემები იძლევიან. სწორედ ამ წყაროთა ცნობები და ამ ცნობების განსხვავებული გააზრება გახდა მეცნიერთა დავის საგანი. მართალია, ქართული ეკლესიის ავტოკეფალიობის ინტერესების დამცველი ყველა მეცნიერი მის არსებობას უძველესი დროიდან აღიარებს, მაგრამ რადგან ისინი წყაროებში ურთიერთგამომრიცხავ ცნობებს ხედავდნენ, დაიწყეს იმ წყაროთა მონაცემების უარყოფა, რომლებშიც თავიანთი დებულების დადასტურებას ვერ პოულობდნენ. მაგ. კ.ცინცაძისთვის ჯუანშერის თხზულების ჩანართის ცნობა, VI მსოფლიო საეკლესიო კრების შესახებ, არაუადრეს XV ს მოვლენათა გამოძახილია, ხოლო თ. ბალსამონის მიერ მოხსენიებულ პეტრეს XI ს. მოღვაწედ თვლის და ეკლესიის დამოუკიდებლობას იმავე საუკუნით ათარიღებს.[324] ნ. მარი კი აკრიტიკებს და უნდობლობას უცხადებს ეფრემ მცირეს, ტენდენციურად მიიჩნევს აქ გამოყენებულ "ანტიოქიურ ქრონოგრაფს"

[324] Цинцадзе К. «Автокефалія церкви Грузинской», (Историческій очеркъ IV-XIв), Тифлис 1905г. ст.32-35.

და თვლის, რომ ეფრემი ამ წყაროს საგანგებოდ იყენებს, რათა ქართული ეკლესიის სომხურ ეკლესიაზე დამოკიდებულების ფაქტი მიჩქმალოს[325] და ა.შ.

თავის დროზე მეცნიერების მხრიდან წყაროებისადმი ამგვარმა დამოკიდებულებამაც მისცა საშუალება ოპონენტებს (არქ. ნიკანდრი, სამოილოვი), რომლებიც ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის არსებობას 1811 წლამდეც კი საეჭვოდ ხდიდნენ, იგივე წყაროები თავიანთი აბსურდული თეორიის დასამტკიცებლად გამოეყენებინათ, ხოლო ქართველი მეცნიერების ნაშრომები საკუთარი "ობიექტურობის" წარმოსაჩენად დაემოწმებინათ.[326]

ამ ფაქტიდან გამომდინარე, თ. ჟორდანიას მეთოდი, წყაროებში მოძებნის ლოგიკური კავშირი და ამ ფორმით ქართლის ეკლესიის მიერ ავტოკეფალიის მოსაპოვებლად განვლილი გზა განსაზღვროს, სავსებით გასაგებია. მაგრამ საინტერესო და მნიშვნელოვანი მაინც ის არის, რამდენად ფასეულია იგი მეცნიერული თვალსაზრისით და რამდენად მისაღებია თანამედროვე ქართული ისტორიოგრაფიისათვის საკითხის თ. ჟორდანიასეული გააზრება. რადგან ჩვენ მიერ მოყვანილი წყაროების გაცნობის შემდეგ მკვლევარს მართლაც მრავალი კითხვა ებადება: თუ ვახტანგ გორგასლის მეფობის დროს ქართლის ეკლესიამ მიიღო სრული დამოუკიდებლობა, რომელიც VI მსოფლიო საეკლესიო კრებამ დაადასტურა, მაშინ რა მოვლენასთან გვაქვს საქმე VIII საუკუნეში ანტიოქიის პატრიარქის თეოფილაქტეს დროს? თუ ავტოკეფალია მცხეთის კათედრამ ამ უკანასკნელის დროს მოიპოვა, მაშინ რას გულისხმობდა ვახტანგ გორგასლის საეკლესიო რეფორმა და საკათალიკოსო მმართველობის შემოღება? ან რა პრეტენზიები ჰქონდა ანტიოქიის საპატრიარქო ტახტს XI საუკუნეში? ამ კითხვებიდან გამომდინარე ქართულ ისტორიოგრაფიაში აზრთა სხვადასხვაობა არსებობს. ჯერ მარტო ვახტანგ გორგასლის მიერ ჩატარებული

---

[325] Марр Н.Н., «Исторический очерк Грузинской церкви. Журналы и протоколы заседании предсоборного присутствия» Т.III.С.Пб.1907, журн.№5 1 дек. 1906. ст. 130-133.

[326] იხ. არქიმანდრიტი ნიკანდრი, "Кавказъ" N148, 155. 1905წ. იგი, პ.იოსელიანის კვლევას ავტოკეფალიის შესახებ, იმოწმებს საკუთარი აზრის გასამყარებლად. ამ ფაქტზე კომენტარი გააკეთა კ.ცინცაძემ. "Автокефалия церкви…" გვ. 36. შენ. 51

საეკლესიო რეფორმის რამდენიმე გააზრებას გვთავაზობენ: ქართულმა ეკლესიამ მოიპოვა სრული დამოუკიდებლობა,[327] მიიღო შეზღუდული ავტოკეფალია,[328] კათალიკოსობის შემოღებით არ შეცვლილა ეკლესიის იერარქიული მდგომარეობა.[329] შესაბამისად, ქართლის ეკლესიის მიერ, ავტოკეფალიის მოპოვებას მეცნიერები ათარიღებენ V, VIII თუ XI საუკუნეებით.

ავტოკეფალიის შესახებ არსებული წყაროებისადმი თ. ჟორდანიასეული მიდგომა, ვფიქრობ, მართებულია. ის, რომ ვახტანგ გორგასლის დროს საეკლესიო რეფორმა ჩატარდა, რაც გამოიხატა ავტოკეფალიის მიღებით დღეს მეცნიერთა დიდ ნაწილში ეჭვს აღარ იწვევს, თუნდაც გამომდინარე იქიდან, რომ ბოლოდროინდელ ისტორიოგრაფიაში "მოქცევაჲ ქართლისაჲ"-ს და ჯუანშერის, როგორც საისტორიო წყაროს მიმართ, ნდობის ფაქტორი გაიზარდა (იხ. თვ. II). ისიც კი, ვინც ჯუანშერის ცნობებს დღესაც მკაცრად აკრიტიკებს, ვახტანგ I-ის საეკლესიო რეფორმას რეალობად თვლის.[330] აღნიშნული წყაროების ცნობათა გააზრება, თანამედროვე ისტორიოგრაფიაში, უპირველეს ყოვლისა საქართველოს პოლიტიკური მდგომარეობისა და ირან-ბიზანტიის ურთიერთობათა განხილვის ფონზე მიმდინარეობს.[331]

---

[327] ლომინაძე ბ. საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ადმინისტრაციული ორგანიზაცია V ს-ში, კრ. საქართველოს ფეოდალური ხანის ისტორიის საკითხები, VII. თბ. 1999წ. გვ.41. ლომოური ნ. "ქართული ეკლესია და მისი ავტოკეფალია", ჟურნ. "ჯვარი ვაზისა", N3. 1990წ.

[328] ნიკოლაძე ევ. "საქართველოს ეკლესიის ისტორია", თბ. 1918წ., ნ.პაპუაშვილი "რელიგიის კარიბჭე", თბ. 1996წ., ს.გორგაძე, "საქართველოს ძველი ისტორია", ქუთაისი 1920წ. და სხვ.

[329] Цинцадзе К. «Историческія справка по вопросу об автокефалии Грузинской церкви». Тиф.1906г. კ. კეკელიძე, "კანონიკური წყობილება ძველ საქართველოში", ეტიუდები, IV, თბ.1957. ბოგვერაძე ა. "ქართლის პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური განვითარება IV-VIII ს.ს." თბ.1979წ.

[330] ლომოური ნ. "საქართველოს და ბიზანტიის ურთიერთობა V საუკუნეში", თბ.1989წ.

[331] ლორთქიფანიძე მ. "ქართლი V-ს-ის მეორე ნახევარში", თბ. 1979 წ., გოილაძე ვ. "ქართული ეკლესიის სათავეებთან", თბ.1991წ. და სხვ.

აგრეთვე, ყურადღება მიაქციეს წყაროებში (ჯუანშერი) კანონიკური ხასიათის ამსახველი ფაქტების გამოვლენას, რაც გამოყენებული იქნა V საუკუნეში ავტოკეფალიის დამადასტურებლად.[332] ამავე აზრის სასარგებლოდ მეტყველებს "ეპისტოლეთა წიგნის" შესწავლის შედეგად ზ. ალექსიძის მიერ მიღებული დასკვნებიც.[333]

ამრიგად, აზრმა _ V საუკუნეში ქართლის ეკლესიის მიერ ავტოკეფალიის მოპოვების შესახებ _ მყარი საფუძველი შეიძინა. სადავოა მხოლოდ ის, თუ რას გულისხმობდა ვახტანგისეული "ავტოკეფალია".

სამეცნიერო ლიტერატურაში ლოგიკურად გაჩნდა კითხვა: როგორი სახის იყო V საუკუნეში "ავტოკეფალია", რადგან არსებობს წყაროები, რომელთა უგულვებელყოფა არ შეიძლება. აქ მოთხრობილია იუსტინიანე პირველისაგან (527-565 წ.) ქართლის ეკლესიის ავტოკეფალიის დადასტურებისა და მისგან ფარსმან მეფის (VI ს. 30-იანი წლები) მიერ ეკლესიისათვის გარკვეული პრივილეგიების გამოთხოვის შესახებ, (იხ. ზემოთ). თუ ამ ცნობებს გავითვალისწინებთ, მაშინ უნდა ვიფიქროთ, რომ V საუკუნეში ქართლის ეკლესიის დამოუკიდებლობა არასრული იყო, როგორც ეს თ. ჟორდანიას მიაჩნია. ალბათ, სწორია აზრი იმის თაობაზე, რომ ვახტანგ I-ის დროს ჩამოყალიბდა სრულყოფილი საეკლესიო ორგანიზაცია, მაგრამ ვფიქრობ, ამის საფუძველზე V საუკუნეში ქართლის ეკლესიის სრულ დამოუკიდებლად მიჩნევა, როგორც ბ. ლომინაძე თვლის, არასწორია, რადგან ძნელია უარყო ბერძნული (შიო-მღვიმელის ცხოვრება), ქართული (მოქცევაჲ ქართლისაჲ, ჯუანშერი) და სომხური (მხითარ აირვანელი) წყაროების მონაცემები მასზედ, რომ ქართლის ეკლესიამ იუსტინიანე I-საგან მიიიღო ადგილობრივი კათალიკოსის ხელდასხმის უფლება და ავტოკეფალიის დადასტურება,

---

[332] ლომინაძე ბ. "საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ადმინისტრაციული ორგანიზაცია V ს-ში, კრ. საქართველოს ფეოდალური ხანის ისტორიის საკითხები, VII. თბ. 1999წ.

[333] ეპისტოლეთა წიგნი. გამოსცა ზ. ალექსიძემ, თბ.1968წ.

რომელიც თ. ბალსამონის ცნობითაც დასტურდება. ეს ცნობა, როგორც უკვე ითქვა, თ. ჟორდანიას მ. ბროსეზე დაყრდნობით აქვს გამოყენებული. თ. ბალსამონის განმარტება, (იხ ზემოთ), მ. ბროსემ, 1620 წელს პარიზში ლათინურ ენაზე გამოცემულ "წმინდა მოციქულთა კანონებისადმი" დართულ კომენტარებში მიაკვლია და იგი "ქართლის ცხოვრების" ფრანგულ თარგმანს შენიშვნაში დაურთო. სამწუხაროდ, თ. ბალსამონის უაღრესად მნიშვნელოვანი განმარტების ქართული თარგმანი დღემდე არა გვაქვს, ამიტომ იგი სამეცნიერო ბრუნვაში არ შემოვიდა.

ზემოჩამოთვლილი წყაროებისადმი თ. ჟორდანიასეული დამოკიდებულება და დასკვნა, რომ V საუკუნეში ნიკეის საეკლესიო კრებაზე მიღებული ავტოკეფალია დადასტურებული იქნა იუსტინიანე პირველისა და VI მსოფლიო საეკლესიო კრების მიერ, თანამედროვე ლიტერატურაში გაიზიარა და თავის მხრივ განამტკიცა ვ. გოილაძემ, რომელმაც ავტოკეფალიის საკითხს ვრცელი მონოგრაფია მიუძღვნა.[334]

თუ ეს დასკვნა მისაღებია, მაშინ რას გულისხმობს ეფრემ მცირის ცნობა VIII საუკუნემდე ანტიოქიის ეკლესიისადმი ქართლის ეკლესიის დამოკიდებულებაში. (იხ. ზემოთ). მეცნიერთა უმრავლესობა თვლის, რომ იგი ეწინააღმდეგება აზრს V საუკუნეში ავტოკეფალიის არსებობის შესახებ. საერთოდ, საინტერესოა საკითხი: შესაძლებელია თუ არა ეკლესია, რომელიც ხანგრძლივი დროის მანძილზე (V-VIII სს.), ამა თუ იმ ფორმით დამოკიდებულია სხვა ეკლესიაზე, იყოს ავტოკეფალიური, როგორც ეს ჩვენ მიერ ზემომოხმობილი წყაროებიდან ჩანს და როგორადაც იგი თ. ჟორდანიას წარმოუდგენია. ამავე საკითხს დაუინტერესებია ზ. აბაშიძე[335] და ჩემი აზრით, სრულიად დამაჯერებელ განმარტებას იძლევა, რადგან განმარტება მდიდარი

---

[334] გოილაძე ვ. "ქართული ეკლესიის სათავეებთან", თბ. 1991წ. გვ. 187-188.

[335] აბაშიძე ზ. "სერგი გორგაძე - საქართველოს ეკლესიის მკვლევარი", დისერტაცია ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად, 1997წ. ინახება ეროვნულ ბიბლიოთეკაში.

კანონიკური ხასიათის ლიტერატურის განხილვის შედეგად არის მოცემული. იგი მოკლედ შემდეგნაირად გამოიყურება: კანონიკური თვალსაზრისით ეკლესიის ავტოკეფალიაში იგულისხმება საშინაო და საგარეო, ადმინისტრაციული და სასამართლო დამოუკიდებლობა; წმინდა მირონის ადგილზე მოხარშვა, საკუთარი წმინდანების ადგილობრივი საეკლესიო კრების მიერ კანონიზაცია, საკუთარი ეკლესიის საჭეთმპყრობლისა და მსოფლიო მართლმადიდებელი ეპისკოპატის ღვთისმსახურების დროს მოხსენიება და უმთავრესი _ ადგილობრივი ავტოკეფალიური ეკლესიის მეთაურის და ყველა მღვდელმთავრის ადგილზე, სხვა ეკლესიის ჩარევის გარეშე, დადგინება და კურთხევა. შუა საუკუნეებში ანიჭებდნენ რა საპატრიარქოები თავის იურისდიქციაში მყოფ ეკლესიებს დამოუკიდებლობას, ისინი ზემოთ მოყვანილი ყველა უფლებით არ სარგებლობდნენ, გარკვეული ფორმით დამოკიდებულნი იყვნენ დედა-ეკლესიაზე, მაგრამ ავტოკეფალიურად ითვლებოდნენ, რადგან ტერმინი "ავტოკეფალია" ძველ დროში არ გულისხმობდა "სრულ" დამოუკიდებლობას, არ ატარებდა იმ შინაარსს, რომელიც ზემოთ იქნა წარმოდგენილი. XX საუკუნეშიც კი ეკლესიის ნებისმიერი ფორმის თვითმმართველობას აღნიშნავდნენ ტერმინით-ავტოკეფალია. მართალია, ამ ფორმის (ე.ი. არასრული, შეზღუდული) ავტოკეფალიის არსებობას კანონიკური საფუძველი არ გააჩნდა, მაგრამ ამგვარი პოლიტიკა მაინც წარმოებდა, რათა მსოფლიო საპატრიარქოებს, როგორმე გარკვეული გავლენა შეენარჩუნებინათ და მატერიალური დახმარება მიეღოთ იმ ეკლესიებისგან, რომლებიც წინათ მათ იურისდიქციაში შედიოდნენ. ამის მრავალი მაგალითი არსებობს: სერბეთის ეკლესიას კონსტანტინოპოლმა ორჯერ მიანიჭა ავტოკეფალია (1219, 1879 წწ.), ცნო "სრულიად დამოუკიდებელ და თავისუფალ ეკლესიად", მაგრამ წმ. მირონს დედა-ეკლესიისგან იღებდა. ბიზანტიის იმპერატორ ბასილი II-ის მიერ ბულგარეთის დაპყრობის შემდეგ, ქვეყნის საპატრიარქო, მართალია, გადაიქცა ოხრიდის სამთავარეპისკოპოსად,

მაგრამ შეუნარჩუნდა ავტოკეფალური სტატუსი. მიუხედავად ამისა, პირველი მთავარეპისკოპოსის გარდა, ყველა დანარჩენი საბერძნეთიდან იგზავნებოდა. ამავე დროს მთავარეპისკოპოსს ევალებოდა წირვა-ლოცვის დროს მსოფლიო პატრიარქის მოხსენიება.[336] კონსტანტინოპოლის მსოფლიო საპატრიარქოს სინოდის 1697 წლის ერთ-ერთ სიგელში, რომელიც აღიარებს ოხრიდის, პეჩის და კვიპროსის ეკლესიების ავტოკეფალიურ სტატუსს, აღნიშნულია: "…над всеми стоит божественная четверица патриархов: Константинопольского, Александрийского, Антиохиского и Иерусалимского, как звезды из которых произашел первый свет"[337] და სხვა.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ ქართლის ავტოკეფალიასთან დაკავშირებულ წყაროებში გადმოცემული ცნობები რეალურ სურათს უნდა წარმოადგენდეს. თავად ზ. აბაშიძე მიდის დასკვნამდე, რომ ანტიოქიის მიერ ქართველი კათალიკოსების დამტკიცება (VIII ს. 40-იან წლებამდე) ან ანტიოქიის პატრიარქის მოხსენიება კათალიკოსის წირვა-ლოცვაში, სრულიად არ ეწინააღმდეგება ქართლში ავტოკეფალიის არსებობას.[338] ეპისკოპოსი ზოსიმე კი თვლის, რომ ანტიოქიის პატრიარქის მიერ ქართლის კათალიკოსის კურთხევა ან ანტიოქიელის სახელის მოხსენიება "არ უნდა იქნეს გაგებული, როგორც ქართული ეკლესიის ანტიოქიისადმი დამოკიდებულება. ჩვენ არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ანტიოქიის ეკლესია სულიერი მშობელია ქართული ეკლესიისა... როგორც შვილი ვერ მოწყდება უცებ მშობელ დედას და მასთან მშობლიური ძაფები აკავშირებს მუდამ, ასევე უცებ არ შეიძლებოდა ქართლის ეკლესია მოწყეტილიყო ანტიოქიას."[339] ასეთივე აზრს ატარებს კათალიკოს-პატრიარქი ილია მეორე, ისტორიკოსს კ.

---

[336] Скурат К, «История поместных православных церквей» Т.I. М.1994. ст. 149-150.
[337] Никодим, епископ, «Православное церковное право» СПб. 1897, ст.309.
[338] აბაშიძე ზ. "სერგი გორგაძე - საქართველოს ეკლესიის მკვლევარი", გვ.134.
[339] ზოსიმე შიოშვილი, (ეპისკოპოსი), "საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიისათვის", ჟ."ჯვარი ვაზისა" N3, 1990წ. გვ.37.

სკურატისადმი გაგზავნილ წერილობით პასუხში ჩვენი ეკლესიის ავტოკეფალიასთან დაკავშირებით.[340]

ამრიგად, შესაძლებელია თამამად ითქვას, რომ თ. ჟორდანიას ჩვენ მიერ წარმოდგენილ დასკვნას, ქართლის ეკლესიის ავტოკეფალიის სტატუსის განსაზღვრის შესახებ, მეცნიერული საფუძველი გააჩნია, რომელსაც უახლეს ისტორიოგრაფიაშიც ჰყავს მხარდამჭერები.[341]

თ. ჟორდანია მ. ბროსეს[342] შემდეგ იყო პირველი, რომელმაც ცალკე ნაშრომი მიუძღვნა აფხაზთა (დასავლეთ საქართველოს) საკათალიკოსოს საკითხს, რომელიც 1893 წელს წიგნად გამოსცა, სტავროპოლში სათაურით «Абхазскіе Католикосы». თემა დღესაც მნიშვნელოვანია, როგორც მეცნიერული, ასევე პოლიტიკური თვალსაზრისით. მიუხედავად იმისა, რომ დასავლეთ საქართველოს საეკლესიო მდგომარეობას არაერთი მკვლევარი შეეხო, დღემდე აფხაზეთის დასავლეთ საქართველოს საკათალიკოსოს ისტორია მონოგრაფიულად შესწავლილი არ არის. მრავალი კითხვაა დასმული ამ პრობლემის ირგვლივ და მათზე ისტორიოგრაფიაში ერთმნიშვნელოვანი პასუხი არ არსებობს. ამგვარი ვითარება კიდევ უფრო მეტად განაპირობებს თ. ჟორდანიას ნაშრომისადმი ინტერესს.

გამოკვლევაში გადმოცემულია აფხაზთა საკათალიკოსოს წარმოქმნის მოკლე ისტორია, შედგენილია XIII-XVIII ს.ს. აფხაზეთის კათალიკოსების ქრონოლოგიური რიგი, მოკლე ანოტაციებით. ნაშრომში წარმოდგენილი ქრონოლოგიური რიგი, მართალია, ძირითადად ემთხვევა მ. ბროსეს კათალიკოსთა სიას, მაგრამ აქ თავმოყრილი და გაანალიზებულია ახალი მონაცემები, (ძირითადად წიგნის მინაწერები), რის საფუძველზეც მკვლევარი კათალიკოსთა ზეობის წლების დაზუსტებას ახდენს. მან მოძიებული

---

[340] Скурат К, «История поместных православных церквей» Т.I. М.1994. ст. 41.

[341] თავის დროზე ასევე ფიქრობდნენ ისტორიკოსები ნ.დურნოვო, ევ.ნიკოლაძე, ს.გორგაძე და სხვები.

[342] ბროსე მ. “Essai chronologiquue sur la serie des catholicos d’Aphkhazeth”, 1857წ.

საბუთების მიხედვით დაადგინა სამი მანამდე უცნობი კათალიკოსის სახელი და მოღვაწეობის პერიოდი. ესენი არიან სვიმეონი (XI-XII ს. მიჯნა), ნიკოლოზი (XIII ს. 80-იანი წლები) და ეფთვიმე (XVI-XVII ს. მიჯნა).

საერთოდ, აფხაზეთის (დასავლეთ საქართველო) კათალიკოსთა სიის შედგენასა და სრულყოფას დიდი მნიშვნელობა ენიჭება, რადგან დასავლეთ საქართველოში კათალიკოსთა არსებობის დადასტურება არის ერთ-ერთი მტკიცებულება, რომ აქ არსებობდა საკათალიკოსო მმართველობა. ხოლო, რაც უფრო ადრეულ ხანაში იქნება მათი მოღვაწეობა მითითებული, მით უფრო ადრეული ხანით განისაზღვრება აფხაზეთის (დასავლეთ საქართველოს) საკათალიკოსოს ჩამოყალიბების თარიღი. რა მნიშვნელობა აქვს ამ თარიღის განსაზღვრას?

საქართველოს ტერიტორიაზე სამეფო-სამთავროების ჩამოყალიბების პროცესი VIII საუკუნიდან დაიწყო. აფხაზეთის სამეფოს (დასვლეთ საქართველო) ორგანიზაცია სხვა ქართული სამეფო-სამთავროებისაგან განსხვავებულ ვითარებაში მიმდინარეობდა. აქ გარეშე ძალას ბიზანტიის იმპერია წარმოადგენდა, რომელიც ძალიან ღრმად იყო შეჭრილი დასავლეთ საქართველოს პოლიტიკასა და იდეოლოგიაში. მას ექვემდებარებოდა დასავლურქართული ეკლესიაც, სადაც წირვა-ლოცვა ბერძნულ ენაზე ტარდებოდა. როდესაც აფხაზთა სამეფომ (დასავლეთ საქართველო) პოლიტიკური დამოუკიდებლობა მოიპოვა, მისი საბოლოო მიზანი იყო ერთიანი სახელმწიფოს შექმნა. ამისათვის კი გარდაუვალ აუცილებლობას წარმოადგენდა ეკლესიის ბიზანტიის გავლენისაგან გათავისუფლება და მისი "გაქართულება", რაშიც უპირველესად იგულისხმებოდა ქართულ ენაზე წირვა-ლოცვის აღსრულება და ეკლესიის ქართული ინტერესების სამსახურში ჩაყენება. "აფხაზთა მეფეთა" მისწრაფებები, საეკლესიო პოლიტიკის წარმოებაში, შემდეგნაირად გამოიყურება: კონსტანტინოპოლისაგან კათედრების გამოთავისუფლება და აფხაზეთის (დასავლეთ საქართველოს)

საკათალიკოსოს შექმნა, ძველი ბიზანტიური ტრადიციების მქონე კათედრების შეცვლა ახალი, ქართული საეპისკოპოსოებით და ქართული საკათალიკოსოს გაერთიანება, ცენტრით მცხეთაში. ყველაფერი ეს, რაღა თქმა უნდა, ემსახურებოდა ერთიანი ქართული ეკლესიის შექმნას, რაც ერთ-ერთი საფუძველი უნდა გამხდარიყო სახელმწიფო "საქართველოს" ჩამოყალიბებისათვის. რადგან წყაროებში აფხაზთა საკათალიკოსოს წარმოქმნის თარიღი პირდაპირ მითიებული არ არის, ხოლო არსებული მონაცემები ძალიან მწირია და მხოლოდ ვარაუდების გაკეთების საშუალებას იძლევა, აფხაზთა საკათალიკოსოს (დასავლეთ საქართველოს) დაარსების დრო მკვლევართა მიერ VIII, IX, X თუ XII-XIII საუკუნეებით განისაზღვრება. ამ საკითხისადმი აზრის სიჭრელეს კიდევ უფრო მეტად განაპირობებს ის ფაქტი, რომ კათალიკოსთა სიები არსენით იწყებოდა, რომლის მოღვაწეობის პერიოდი XIV ს. 90-იანი წლებით თარიღდება (მ. ბროსე, პ. კარბელაშვილი, მ. თამარაშვილი).[343] მეცნიერები, მონაცემების უქონლობის გამო, უფრო ადრეულ ხანაში მოღვაწე კათალიკოსებს ვერ ასახელებდნენ.

პირველად თ. ჟორდანიამ[344] მიაკვლია ახალციხური ტყავის სახარებას, რომლის მინაწერებშიც იხსენიება "სვიმონ აფხაზეთის კათალიკოსი."[345] მინაწერებიდან ირკვევა, რომ სახარების გადამწერია ვინმე საბა, ხოლო "მომგებელი" გიორგი ხუცესმონაზონი, აფხაზეთის კათალიკოსის _ სვიმეონის გაზრდილი. პალეოგრაფიული ნიშნების შესწავლის საფუძველზე, თ. ჟორდანია მივიდა დასკვნამდე, რომ აღნიშნული სახარება "ყოველ ეჭვს გარეშე

---

[343] თამარაშვილი მ. "ქართული ეკლესია დასაბამიდან დღემდე", რედაქცია გაუკეთეს, წინასიტყვაობა დაურთეს და გამოსაცემად მოამზადეს ზ.ალექსიძემ და ჯ.ოდიშელმა თბ. 1995წ.

[344] კათოლიკოსი სვიმეონი თ. ჟორდანიას ნაშრომში "Абхазскіе каталикоси" შეტანილი არა აქვს. როგორც ჩანს, საბუთი, მისი არსებობის შესახებ, მერე აღმოაჩინა და "ქრონიკების" II წიგნში (1897) შეიტანა.

[345] ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა და მწერლობისა, შეკრებილი ქრონოლოგიურად დაწყობილი და ახსნილი თ.ჟორდანიას მიერ, წგნ II. ტფ.1897წ. გვ.90.

გადაწერილია XI საუკუნის დამლევს ანუ XII საუკუნის დამდეგს."[346] მისი აზრით, სახარების ტექსტი, თავისი მინაწერებითურთ, ერთი და იმავე ხელით არის დაწერილი და მისი ავტორია საბა მწერალი და არა მერმინდელი გადამწერი, რის გამოც, მას ამ მინაწერებში მოხსენიებული პირები - კათალიკოსი სვიმეონი, სახარების მომგებელი გიორგი და მისი მოძღვარი დემეტრე, საბა მწერლის თანამედროვეებად მიაჩნდა, რომლებიც ერთსა და იმავე დროს, დაახლოებით 1080-1119 წლებში ცხოვრობდნენ.[347] აღნიშნული მინაწერი, IX-XII საუკუნეების ჩვენამდე მოღწეულ საკათალიკოსოს წყაროებს შორის, ერთადერთია, რომელშიც პირდაპირ არის მითითებული "აფხაზეთის კათალიკოსის" შესახებ და ერთმნიშვნელოვნად ამტკიცებს დასავლეთ საქართველოს საკათალიკოსოს არსებობას XI-XII საუკუნეთა მიჯნაზე.

სამწუხაროდ, ამ ცნობამ სამეცნიერო ლიტერატურაში ადგილი ვერ დაიმკვიდრა, რადგან ნ. ბერძენიშვილმა თ. ჟორდანიასეული დათარიღება ეჭვქვეშ დააყენა და მიიჩნია, რომ იგი მეტ საბუთიანობას მოითხოვდა.[348] მართალია, მოგვიანებით მან ახალციხური ტყავის სახარების ტექსტისა და მისი მინაწერების გულდასმით შესწავლის საფუძველზე ჟორდანიასეული დათარიღება გაიზიარა,[349] მაგრამ ილ. აბულაძემ სახარების მინაწერი, კერძოდ კი, აფხაზეთის კათალიკოსის სვიმეონის მოსახსენიებელი XII-XIII საუკუნეებით დაათარიღა და დიდხანს აღნიშნულ ცნობას ყურადღება არ ექცეოდა. თანამედროვე ისტორიოგრაფიაში "ტყავის ახალციხური სახარება" მინაწერებით კვლავ შეისწავლა პალეოგრაფმა ვ. სილოგავამ და უკვე

---

[346] "ქრონიკები", ნაწ.II. ტფ.1897წ. გვ.90.
[347] "ქრონიკები", ნაწ.II. ტფ.1897წ. გვ.90.
[348] ბერძენიშვილი ნ, დასავლეთ საქართველოს საეკლესიო წესწყობილება, აფხაზეთის კათოლიკოსი XIII-XV საუკუნეებში, მიმომხილველი, 1926, წ.I. გვ.99.
[349] ბერძენიშვილი ნ. სავაზირო ფეოდალურ საქართველოში, საქართველოს ისტორიის საკითხები, ტ.III. თბ. 1966 წ. გვ. 47.

გადაჭრით, იგი XI-XII საუკუნეების მიჯნით დაათარიღა.[350] დაინტერესებული იყო რა აფხაზთა კათალიკოსების ქრონოლოგიური რიგის შედგენით, თ. ქორიძე, ტყავის სახარების შესახებ არსებული მოსაზრებების გაცნობის შემდეგ, მივიდა დასკვნამდე, რომ აფხაზთა კათალიკოსთა ჩამონათვალი აუცილებლად სვიმეონით უნდა დაწყებულიყო. ასევე, ქორიძის მიერ შედგენილ სიაში შეტანილი იქნა კათალიკოსი ნიკოლოზი, მისი ზეობის ჟორდანიასეული დათარიღებით,[351] რადგან ახლად მოძიებული ცნობების საფუძველზე მკვლევრის მოსაზრება დადასტურდა. ამ ფაქტით ეს ორი კათალიკოსი სამეცნიერო ბრუნვაში შემოვიდა. ამან, კი, აფხაზთა საკათალიკოსოს ისტორიით დაინტერესებულ მკვლევრებს მნიშვნელოვანი დასაყრდენი შესძინა. სწორედ აღნიშნული ცნობის საფუძველზე ბ. კუდავა წერს: "გადაჭარბების გარეშე შეიძლება ითქვას, რომ "ახალციხური ტყავის სახარების" მინაწერები უნიკალური წყაროა აფხაზეთის საკათალისკოსოს ადრეული პერიოდის ისტორიის შესასწავლად, სახარების ანდერძის მიხედვით უკვე დოკუმენტურად დასტურდება, რომ აფხაზეთის საკათალიკოსო მართლაც არსებობს XIII საუკუნემდე, კერძოდ კი XI-XII საუკუნეთა მიჯნაზე."[352]

ამრიგად, თ. ჟორდანიამ პირველმა მოგვცა აფხაზეთის კათალიკოსთა ზეობის დაზუსტებული წლები, მოკლე ანოტაციებით, მიაკვლია ქართულ წყაროებში XI და XIII საუკუნეებში მოღვაწე აფხაზეთის (დასავლეთ საქართველოს) კათალიკოსების არსებობის დამადასტურებელ ცნობებს, რასაც თანამედროვე სამეცნიერო კვლევებში დიდი მნიშვნელობა ენიჭებათ.

---

[350] ქორიძე თ. "XI-XVI საუკუნეების აფხაზეთის (დასავლეთ საქართველოს) კათოლიკოსთა ქრონოლოგია", ჟ. "კლიო", N15, 2002 წ. გვ. 5.

[351] ქორიძე თ. "აფხაზეთის (დასავლეთ საქართველოს) კათოლიკოსები და კათოლიკოს-პატრიარქები", თავი IV, წგნ. "საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქები", 2000 წ. რედ. რ. მეტრეველი, გვ. 134.

[352] კუდავა ბ. "აფხაზეთის საკათალიკოსოს ისტორიიდან (IX-XIIIს.ს.)", ქართული დიპლომატია, წელიწდეული, ტ.9. 2002. გვ.4.

ჩვენ მიერ განხილული საკითხების გათვალისწინებით, თ. ჟორდანიას, როგორც ეკლესიის ისტორიის მკვლევრის, შესახებ შეიძლება ვთქვათ: მეცნიერი საეკლესიო ისტორიის წყაროთმცოდნეობითი ბაზის ერთ-ერთი ფუძემდებელია. მან შესასწავლად ეკლესიის ისტორიის ისეთი საკითხები აირჩია, რომლებიც თანამედროვე ისტორიოგრაფიისთვისაც ფრიად აქტუალურია. ამ საკითხების ირგვლივ მის მიერ გამოთქმული მოსაზრებები თანამედროვე ისტორიოგრაფიაში მიღებულ დასკვნებს კიდევ უფრო მეტად ეხმიანება, ვიდრე თ. ჟორდანიას შემდგომი პერიოდის ისტორიკოსთა ნააზრევს, რაც მისი კვლევის მეთოდების სისწორესა და მეცნიერულ ალღოზე მიგვითითებს.

თავი მეოთხე

XVIII საუკუნის ქართველი მოღვაწეები თედო ჟორდანიას შემოქმედებაში

XIX საუკუნის ქართულ ისტორიოგრაფიაში თ. ჟორდანია, შეიძლება ითქვას, იყო პირველი ისტორიკოსი, ვინც დაინტერესდა ქართველ მოღვაწეთა ცხოვრებისა და შემოქმედების შესწავლით, რომელთაც მნიშვნელოვანი როლი ითამაშეს ქართული კულტურისა და ეროვნული აზროვნების განვითარებასა და ჩამოყალიბებაში. ეს ბუნებრივიცაა, რადგან თ. ჟორდანიას მიაჩნია, რომ ხელოვნება, განათლება და მეცნიერება არის ერის წინსვლისა და საზოგადოებრივი პროგრესის აუცილებელი პირობა და ცდილობს ეს მკითხველსაც დაანახოს. მისი მიზანია, წარმოაჩინოს თუ რა მძიმე პოლიტიკურ და სოციალურ პირობებში უხდებოდათ მათ მოღვაწეობა და მაინც, როგორი თავდადებით იღწვოდნენ საკუთარი ქვეყნის საკეთილდღეოდ. მკვლევარი თვლის, რომ პიროვნების პორტრეტის სრულად წარმოდგენისათვის აუცილებელია იმ ეპოქის პოლიტიკური ვითარების გათვალისწინება, რომელ

ეპოქასაც იგი ეკუთვნის. ამდენად, ის თავის ნაშრომებში დავით გურამიშვილის, იოსებ სამებელისა და ანტონ პირველის შესახებ გვევლინება, როგორც XVIII საუკუნის პოლიტიკური საკითხებით დაინტერესებული მკვლევარი, რადგან მისი "პერსონაჟების" უმეტესობამ ცხოვრების გარკვეული ნაწილი ემიგრაციაში გაატარა. თ. ჟორდანია განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს საქართველოს საგარეო-პოლიტიკური ურთიერთობის ისტორიის შესწავლას. მის ნაშრომებში ნაჩვენებია ჩვენი ქვეყნის სამხრეთ-აღმოსავლეთ მეზობლებთან და რუსეთთან ურთიერთობები, წამოყენებულია არა ერთი საინტერესო დებულება.

ორ ქვეყანას შორის ურთიერთობა ორმხრივი მოვლენაა და ორივე მხარის ინტერესთა ობიექტურ შეფასებას მოითხოვს. თ. ჟორდანიაც ცდილობს ქართველი და რუსი პოლიტიკოსების ურთიერთდაინტერესების მიზეზების გარკვევას, ცდილობს გაანალიზოს ამ პერიოდის რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის მიზნები და შედეგები. ნაშრომებში მკაფიოდ არის დახასიათებული ქართველ პოლიტიკოსთა გეგმები ამ დროის რუსეთთან მიმართებაში. ამდენად, ჩვენ ვერ დავეთანხმებით ისტორიოგრაფიაში გაბატონებულ მოსაზრებას, თითქოს XIXს. მე-2 ნახევრის და XXს. I ნახევრის ისტორიკოსები აღნიშნულ პრობლემას ცალმხრივად აშუქებდნენ; რომ რუსეთ-საქართველოს ურთიერთობები უმთავრესად რუსეთის ფეოდალური სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკის შუქზე განიხილებოდა და საქართველოს ინტერესები უგულველყოფილი იყო.[353] მისი წინამორბედი ისტორიკოსის, პ. იოსელიანისგან განსხვავებით, რომელიც ნაშრომს "ცხოვრება გიორგი მეცამეტისა", მეფის რუსეთის ოფიციალური ისტორიოგრაფიის მოთხოვნებს უხამებს და საქართველოს ხსნას რუსეთთან შეერთებაში ხედავს,[354] თ.

---

[353] მაჭარაძე ვ., მასალები XVIII საუკუნის II ნახევრის რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიისათვის" ტ. II. თბ. 1968წ. შესავალი.

[354] იოსელიანი პ., "ცხოვრება გიორგი მეცამეტისა", ა. გაწერელიას შესავალი წერილით, რედაქციითა და შენიშვნებით. თბ. 1936წ. გვ. X.

ჟორდანია საქართველოს რუსეთთან პოლიტიკურ კავშირს უარყოფითად აფასებს და მიაჩნია, რომ რუსეთის პოლიტიკამ საქართველოს მომავალზე დამღუპველი ზეგავლენა იქონია.

თ. ჟორდანიას, როგორც ისტორიკოსს, ხშირ შემთხვევაში ობიექტურობა ახასითებს. მაგ. მიუხედავად იმისა, რომ ის ღრმა პატივისცემასა და სიყვარულს უცხადებს ვახტანგ მეექვსეს, მის პოლიტიკურ მოღვაწეობას საკმაოდ მკაცრად აკრიტიკებს. ეს თვისება საგანგებოდ აღნიშვნის ღირსია, რადგან პ. იოსელიანი გიორგი XIII აშკარა აპოლოგეტად გვევლინება, რაც ისტორიკოსის ნაკლად შეიძლება ჩაითვალოს.[355]

თამამად შეიძლება განვაცხადოთ, რომ თ. ჟორდანია, როგორც მკვლევარი, არ იზღუდება მხოლოდ ფაქტების აღწერით, ცდილობს მოვლენათა შორის მიზეზ-შედეგობრივი კავშირის მოძებნას და ხშირ შემთხვევაში ახერხებს კიდეც, რის ჩვენებასაც ქვემოთ შევეცდებით. შეიძლება ითქვას, რომ თ. ჟორდანიას კვლევის მეთოდები კიდევ ერთი წინ გადადგმული ნაბიჯია დ. ბაქრაძის შემდეგ, რომელიც პირველი ეცადა არ დარჩენილიყო ემპირისტ-ისტორიკოსად და თავის კვლევებში მოვლენების მიზეზ-შედეგობრივი ახსნის სურვილი აჩვენა.[356]

თ. ჟორდანიას გამოკვლევა _ "დავით გურამიშვილი და მისი დრო"[357] _ ვფიქრობ, იმდროინდელ ქართველოლოგიაში მნიშვნელოვან მოვლენას წარმოადგენს. ძველი ქართული მწერლობის მკვლევრები ამ ნაშრომს განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობენ. აი, რას წერს XXს. 40-იან წლებში ალ. ბარამიძე: დავით გურამიშვილის შესახებ "გვაკლია ცოტად თუ ბევრად სრული მონოგრაფიული გამოკვლევა. ამ მხრით საპატიო გამონაკლისს წარმოადგენს თავის დროისათვის ჩინებულად შესრულებული შრომა თედო ჟორდანიასი:

---

[355] იოსელიანი პ., "ცხოვრება გიორგი მეცამეტისა", ა. გაწერელიას შესავალი წერილით, რედაქციითა და შენიშვნებით. თბ. 1936 წ. გვ. XI.

[356] დუმბაძე მ., "ისტორიკოსი დიმიტრი ბაქრაძე", 1950წ. (ასს.), გვ. 139.

[357] ჟორდანია თ., "დავით გურამიშვილი და მისი დრო", ჟ. "ივერია", 1880 N1, 1880 N2, 1882 N1, 1882 N2.

“დავით გურამიშვილი და მისი დრო”.[358] სამწუხაროდ, ისტორიკოსთა მიერ რატომღაც ეს ნაშრომი ჯეროვნად არ არის დაფასებული, არადა ვფიქრობ, იგი ახალი მიგნებაა საქართველოს ისტორიის კვლევის მეთოდოლოგიაში (პოემის ისტორიულ წყაროდ გამოყენება) და ანგარიშგასაწევი შრომა XVIIIს. ისტორიით დაინტერესებული მეცნიერებისთვის. ვეცდები აღნიშნული ნაშრომი ამ კუთხით წარმოვაჩინო.

თ. ჟორდანიამ ერთ-ერთმა პირველმა გამოიყენა დავით გურამიშვილის შემოქმედება, როგორც მატიანე და ბევრი მართებული დასკვნა გააკეთა მე-XVIIIს. საქართველოს პოლიტიკური ისტორიისა და ამ პერიოდში მოღვაწე პოლიტიკოსების შესახებ. დავით გურამიშვილის შემოქმედებას, როგორც ისტორიული ფაქტების დადასტურებას, საბჭოთა პერიოდის ისტორიოგრაფიაში ფართო გამოყენება მიეცა. ვ. დონდუა წერს: “...როგორც ლიტერატურათმცოდნეს მოეპოვება საბუთი “დავითიანი” რეალიზმის პოზიციებიდან შეაფასოს, ისე ისტორიკოსს საფუძველი აქვს ამ ნაწარმოების გარკვეული ნაწილი, ეგრეთ წოდებული “ქართლის ჭირი” განიხილოს ისტორიოგრაფიული ინტერესების თვალსაზრისით”.[359] დ. გვრიტიშვილი ისტორიკოსის პოზიციიდან ასე უდგება დავით გურამიშვილის შემოქმედებას: “ჩვენი ინტერესი დავით გურამიშვილისადმი განსაზღვრულია: რა ადგილი უნდა მივუჩინოთ მას ქართული საზოგადოებრივი აზრის განვითარებაში ან როგორ აისახა მის ნაწარმოებებში იმდროინდელი მოვლენები: რამ გამოიწვია “ჟამთა სიავე”, “ძნელბედობა” ანუ “ქართლის ჭირი”, ქვეყნის ხსნისათვის რა იყო საჭირო, აი საკითხები, რომელიც ჩვენ გვაინტერესებს.”[360] ხოლო გ. ჯამბურია XXI საუკუნის დასაწყისში წერს: “ფაქტების სიზუსტით, ანალიზის სიღრმითა და მხატვრული განზოგადებით ბრწყინავს დავით გურამიშვილის “ქართლის

---

[358] ბარამიძე ალ., “ნარკვევები ქართული ლიტერატურის ისტორიიდან”, თბ. 1940წ. ტ II, გვ. 276.

[359] დონდუა ვ., “დავით გურამიშვილი და საქართველოს ისტორია”, თბ. 1959წ. გვ 6.

[360] გვრიტიშვილი დ. “ნარკვევები საქართველოს ისტორიიდან”, ტ. III, თბ. 1968, გვ. 87.

ჭირი”... “ქართლის ჭირი” დღესაც ინარჩუნებს პირველხარისხოვანი პირველწყაროს მნიშვნელობას. მნიშვნელობა არ დაუკარგავს იმდროინდელი მოღვაწეებისა და მოვლენების მისეულ შეფასებასაც.”[361]

თ. ჟორდანიამ “დავითიანის” ამგვარი მნიშვნელობა ჯერ კიდევ XIX ს. 80-იან წლებში დაინახა და გადაწყვიტა XVIIIს. საქართველოს ისტორიის მოვლენების შესახებ კვლევა ამ პოემის შინაარსის გათვალისწინებითაც ეწარმოებინა.

თ. ჟორდანიას მოთხრობილი აქვს XVIII ს. 20-იანი წლების ვითარება ქართლში, რუსეთ-საქართველოს ურთიერთდაინტერესების მიზეზები, ვახტანგ მეექვსის პოლიტიკური საქმიანობის შესახე რუსეთში, ქართლისა და კახეთის ურთიერთობა, ვახტანგ მეფის შთამომავლების _ ბაქარისა და ალექსანდრეს ბრძოლა ქართლის ტახტის დასაბრუნებლად, თეიმურაზ-ერეკლეს მოღვაწეობა და ყველაფერი ამის ფონზე დავით გურამიშვილის ბიოგრაფიის თანმიმდევრული აღწერა. ბუნებრივია, თ. ჟორდანია დასმულ ამოცანას მხოლოდ დავით გურამიშვილის პოემაზე დაყრდნობით ვერ გადაწყვეტდა. მას გამოყენებული აქვს იმდროისათვის გამოქვეყნებული მნიშვნელოვანი მასალები: “Переписка Грузинских царей с Росс. гос. ми” (1861), Бутков “Материали для новой истории Кавказа с 1722-1802”,б“Полное собр. законов россоиской имп.”, “справочник энциклопедической словарь Старчевского.” (СПБ.1855) და ვახუშტი ბატონიშვილი.

ჩვენ შორს ვართ იმ აზრისგან, რომ აქ ჩამოთვლილი საკითხები მკვლევარმა სრულყოფილად გამოიკვლია. ზოგჯერ მის მიერ გამოტანილი დასკვნები ერთი შეხედვით მართებულია, მაგრამ ზედაპირული, ზოგჯერ წყაროთა უკმარისობის გამო მცდარ მოსაზრებებს გამოთქვამს. მიუხედავად ამისა, ერთი უდავოა, თ. ჟორდანია, რადგან უპირატესობას პირველწყაროს

[361] ჯამბურია გ. “ზოგი რამ დავით გურამიშვილის საისტორიო პოემის შესახებ” კრებული Dedicatio, ისტორიულ-ფილოლოგიური ძიებანი, რედ. ნ. ვაჩნაძე, თბ. 2001. გვ.311, 317.

ანიჭებს, მათზე დაყრდნობით არაჩვეულებრივად საინტერესოს ხდის კვლევის საგანს და ხშირ შემთხვევაში ისეთ დებულებას წარმოადგენს, რომელიც თანამედროვე სამეცნიერო ლიტერატურაში მიღებული და გაზიარებულია.

თ. ჟორდანია აღწერს რა XVIIIს. 20-იანი წლების ქართლის უმძიმეს პოლიტიკურ მდგომარეობას მიაჩნია, რომ ეს იყო ვახტანგ VI მიერ წარმოებული არასწორი პოლიტიკის შედეგი. თავის მოსაზრებას იგი შემდეგი ფაქტებით ასაბუთებს: ამ დროისათვის რუსეთის ინტერესს კასპიის ზღვაზე გაბატონება წარმოადგენდა "აღებ-მიცემობის ასაღორძინებლად". ამის სისრულეში მოსაყვანად კი საჭირო იყო ირანის წინააღმდეგ ლაშქრობა. ამ ლაშქრობაში პეტრე I მოკავშირედ ვახტანგ VI სჭირდებოდა, ითვალისწინებდა რა იმ როლს, რომელიც შეეძლო შეესრულებინათ ქართველებს რუსეთ-ირანის მოსალოდნელ ომში. მან "გამართა მიწერ-მოწერა მაშინდელი ქართლის მეფე ვახტანგ VI-სთან, რუსის ხელმწიფე აქეზებდა ვახტანგს საომრად ლეკებთან და სპარსელებთან და მასთან იმედს აძლევდა, რომ რუსის ჯარით გარდმოვა საქართველოში დასახმარებლად. იმპერატორი წერდა (1722წ.) ვახტანგს აეღო განჯა და შემახია, მიემხრო სომხები და შეერთებულიყო რუსის ჯარს ბაქოსა და დერბენდს შუა."[362] ვახტანგი კი მუსულმანებისგან თავის დაღწევას რუსეთის დახმარებით აპირებდა; ამიტომ მან მიიღო წინადადება და 40-ათასიანი ჯარით განჯისკენ გაემართა. რუსეთმა პირობა დაარღვია, ხოლო მასთან კავშირმა ქართლს უმძიმესი შედეგები მოუტანა: ირანთან მდგომარეობის გართულება, ლეკთა შემოსევები, კახეთის მეფის კონსტანტინეს გააფთრებული ბრძოლა თბილისის ასაღებად და საბოლოოდ, ოსმალეთის მიერ ქართლის დაპყრობა. თურქებმა ქართლში ვახტანგის ძმა, იესე, გაამეფეს, ხოლო იმედგაცრუებული ვახტანგ VI 1724 წელს დიდი ამალით რუსეთს გადაიხვეწა.

---

[362] ჟორდანია თ. "დავით გურამიშვილი და მისი დრო", ჟ. "ივერია", თბ. 1880წ. N1, გვ. 235-236.

თ. ჟორდანია, ითვალისწინებს რა იმდროინდელ საერთაშორისო ვითარებას, რუსეთის დაინტერესებას საქართველოსადმი უფრო ღრმა მიზეზითაც ხსნის, ვიდრე იმპ. პეტრესთვის ვახტანგ მეექვსესგან ირანის წინააღმდეგ თანადგომის საჭიროება იყო: "რუსეთს ეშინოდა თურქეთის გაძლიერების სპარსეთსა და ამიერკავკასიაში, ამიტომ რუსის მთავრობა ყოველგვარ საშუალებას ეძებდა და ხმარობდა... დაეშორებინა იმ ადგილებიდან, რომელთა დაპყრობა გულში ჰქონდა... ამის გამო უმთავრესი ძალა რუსის პოლიტიკისა მიმართული იყო ოსმალეთის ძლიერების შესამუსვრელად. ამ მიზნისათვის რუსის პოლიტიკამ საჭიროდ დაინახა ჩვენს მეფეებთან და ერისთავებთან დაახლოება... ოსმალოსაც თავისი მხრით, არ მოსწონდა რუსის გაძლიერება კასპიის ზღვის ნაპირებზე და კავკასიელ ხალხთა შუა... ჰმტრობდა ყველას ვინც რუსეთთან კავშირს იკეთებდა"[363] _ წერს იგი.

იგივე აზრს იზიარებს ივ. ჯავახიშვილიც, რომელიც პეტრეს პოლიტიკას საქართველოსადმი ოსმალეთის წინააღმდეგ გადადგმულ ნაბიჯად მიიჩნევს, ხოლო საქართველოს მიმართ ოსმალეთის აგრესიას შემდეგი მიზეზით ხსნის: ვინაიდან ოსმალეთმა დაინახა, რომ რუსეთი ირანის დაკავებას ლამობდა და ქართველები მათი მოკავშირეები იყვნენ, მთელი საქართველო დაიპყრო.[364] ვფიქრობ თ. ჟორდანია სწორად მიუთითებს იმ უარყოფით შედეგებზე, რაც რუსეთთან კავშირმა საქართველოს მოუტანა.

თ. ჟორდანია მოგვითხრობს რა, 1724 წელს ვახტანგ მეექვსის რუსეთში გამგზავრებისა და ცხოვრების შესახებ, მეფის ემიგრაციაში წასვლის ერთ-ერთ ძირითად პირობად პეტრე პირველის მიწვევასა და დაპირებებს ასახელებს. ამ დაპირებებით ვახტანგს საქართველოში კვლავ მეფედ დაბრუნების იმედი ჰქონდა. "რუსეთის მეფის მოწვევის ამბავი ზარივით დაეცა ქართველ ხალხს.

---

[363] ჟორდანია თ. "დავით გურამიშვილი და მისი დრო", ჟ. "ივერია", თბ. 1880წ. NII, გვ. 121.
[364] ჯავახიშვილი ივ. "დამოკიდებულება რუსეთსა და საქართველოს შორის XVIII ს.", თბ. 1919წ. გვ. 7.

არავის მოსწონდა, რომ მეფე ამისთანა გაჭირვებულ დროს სამშობლოს ტოვებდა, ეხვეწებოდნენ დარჩენას ან შვილის ბაქარის დატოვებას."[365]

თ. ჟორდანია, როგორც ისტორიკოსი უსაფუძვლოდ თვლის ვახტანგის ვარაუდებს რუსეთთან დაკავშირებით და მეფის საქციელს არასწორ პოლიტიკურ ნაბიჯად მიიჩნევს. ჯერ ერთი, მან ქართლის მოწინავე საზოგადოების უმეტეს ნაწილს სამშობლო დაატოვებინა, რითაც დაასუსტა ქვეყნის კულტურული ცხოვრება და მეორე, "თათრებმან უფრო მაგრა მოიდგეს ფეხი საქართველოში",[366] ხოლო მდ. ალაზნის გაღმა მდებარე რაიონები ლეკებმა დაიკავეს _ მიაჩნია მკვლევარს.

ვფიქრობ, ვახტანგ მეფის საქციელის ამგვარი შეფასებაც გასაზიარებელია, რადგან 1724 წ. ივნისში რუსეთმა სტამბულში შეკრა ზავი და ზავის ერთ-ერთ მუხლში, საქართველო თურქეთის დაპყრობილ ქვეყნად აღიარა. ბუნებრივია, რუსეთის იმპერია საქართველოს გამო ხელშეკრულებას არ დაარღვევდა. ვახტანგის ემიგრაციაში წასვლამ კი უფრო მეტად დაამძიმა ქართლის მდგომარეობა.

თ. ჟორდანია ცნობებს გვაწვდის ვახტანგის პოლიტიკური საქმიანობის შესახებ რუსეთში. იგი ყურადღებას ამახვილებს 1727 წელს მეფის გილანში ელჩად გაგზავნის თაობაზე, თამაზ-ხანთან მოსალაპარაკებლად: "მეფეს უნდა მოეგვარებინა სპარსეთის მმართველობა რუსეთის ტახტთან. გაეჩინათ მათ სახელმწიფოში ძლიერი რუსეთის მომხრე დასი და წაექეზებინა სპარსელები თურქებთან საომრად. მაგრამ სრული რწმენა მაინც არ მისცეს მეფე ვახტანგს. მასთან ერთად გააგზავნეს დოლგორუკოვი, რომლის უკითხავად და შეუთანხმებლად მეფეს ნება არ ეძლეოდა რაიმე მოქმედებისა სპარსეთში. მეფემ სიხარულით მიიღო ეს მონდომება, რადგან ვგონებ იმედი ჰქონდა, რომ ის დააწყობდა თავისსა და საქართველოს საქმესაც შახის სასახლეში. რუსეთის

[365] ჟორდანია თ. "დავით გურამიშვილი და მისი დრო", ჟ. "ივერია", თბ. 1880წ. N1, გვ.242.
[366] ჟორდანია თ. "დავით გურამიშვილი და მისი დრო", ჟ. "ივერია", თბ. 1880წ. N1, გვ.246.

მინდობილობა ჩინებულად აღასრულა მეფემ, მაგრამ თავისი ქვეყნისთვის კი ვერა გააკეთა რა.”[367]

სწორად გადმოგვცემს შექმნილ ვითარებას თ. ჟორდანია: რუსეთი დიდი ყოყმანის შემდეგ ენდო ვახტანგ VI-ეს იმ გამოცდილების გამო, რომელიც მას აღმოსავლურ დიპლომატიაში გააჩნდა. მან რუსეთის დავალება შეასრულა, ხოლო მცდელობა სამეფოს ტახტის დაბრუნებისთვის უშედეგოდ დამთავრდა.[368]

1734 წელს ვახტანგ მეექვსე და ბატონიშვილი ბაქარი რუსეთმა კასპიისპირეთში გააგზავნა. ვახტანგ VI შემახიაში მიავლინეს დავალებით, ეწარმოებინა საომარი მოქმედებები კასპიის სანაპიროზე. თ. ჟორდანია აღნიშნავს, რომ მეფეს საქართველოში დაბრუნების იმედი გაუჩნდა, რადგან ამ დროისათვის ირანი (ნადირ-შაჰი) გაძლიერდა, რაც შეიძლება ოსმალეთის საქართველოდან განდევნის დასაწყისი გამხდარიყო. რუსეთმა ვახტანგს რთული დავალება მისცა. როგორც თ. ჟორდანია აღნიშნავს: “ვახტანგ მეფე ვალდებული გახადეს იდუმალი მისვლა-მოსვლა გაემართა სომხობის პატრიარქთან და ხალხთან, დაეიმედოვნებინა ისინი რუსების შემწეობაში, მოეყვანა რუსეთის ხელქვეშ და აეჯანყებინა ოსმალოს წინააღმდეგ. აგრეთვე აეჯანყებინა იმერეთი, გურია და სამეგრელო თურქებზე, დაეპყრო შემახია.”[369]

აქ მოყვანილი ინფორმაცია XXს. 70-იანი წლების ლიტერატურაში ახალ მიგნებად ითვლება. გ. პაიჭაძე თავის მონოგრაფიაში აქვეყნებს (როგორც თავად მიუთითებს) უცნობ დოკუმენტს, რომლის შინაარსის მიხედვით მიდის შემდეგ დასკვნამდე: რუსეთის მთავრობას განზრახული ჰქონდა ვახტანგი და ბაქარი გამოეყენებინა, როგორც ამიერკავკასიის ხალხთა გამოსვლების

---

[367] ჟორდანია თ. “დავით გურამიშვილი და მისი დრო”, ჟ. “ივერია”, თბ. 1880წ. NII, გვ.120.
[368] ქიქოძე მ. “ვახტანგ VI-ის სახელმწიფოებრივი პოლიტიკა”, თბ. 1988წ. გვ 45.
[369] ჟორდანია თ. “დავით გურამიშვილი და მისი დრო”, ჟ. “ივერია”, თბ. 1880წ. NII, გვ. 127-128.

ორგანიზატორები რუსეთის მხარეს, რუსეთ-თურქეთის ურთიერთობათა გამწვავების შემთხვევაში.[370] თ. ჟორდანია ამ დასკვნამდე ბევრად ადრე მივიდა.

სამწუხაროდ, ვახტანგ VI-ის იმედები ამ შემთხვევაშიც არ გამართლდა. 1734წ. დეკემბერს ნადირ-შაჰთან გაგზავნილმა რუსეთის ელჩობამ რეტიშის ზავის შედეგები აღიარა, რისი მიხედვითაც საქართველო და სომხეთი სპარსეთის დაპყრობილ ქვეყანათა სფეროში მოექცა. რუსეთმა მთელი კასპიისპირეთი ირანს დაუთმო და ვახტანგი უკან გამოიწვია. ვახტანგ მეექვსეს მოლოდინი კიდევ ერთხელ გაუცრუვდა.

განხილული მასალიდან კარგად ჩანს, რომ რუსეთის დიპლომატიის მესვეურნი ვახტანგ მეექვსეს და მის ამალას ბრმა იარაღად იყენებდნენ საკუთარი ინტერესების განხორციელებისათვის, ითვალისწინებდნენ რა მათ გამოუვალ მდგომარეობას, რომლის შექმნაშიც, ვფიქრობ, სერიოზული როლი თავად რუსეთს ეკუთვნოდა. ამგვარი პოლიტიკის წარმატებას, თავისთავად ხელი შეუწყო ვახტანგ მეფის მცდარმა პოლიტიკამ. ვახტანგმა შექმნილი რთული სიტუაციიდან მხოლოდ ერთი გამოსავალი დაინახა, რუსეთთან კავშირი. რეალური საერთაშორისო პოლიტიკური მდგომარეობის გათვალისწინების გარეშე უკეთესი მომავლის იმედით, რუსეთის ყველა მოთხოვნა შეასრულა, სანაცვლოდ კი ვერაფერი მიიღო, რაც რუსეთის ინტერესებიდან გამომდინარე, ვფიქრობ, ლოგიკურ შედეგს წარმოადგენდა; და არა იმას, რომ რუსეთმა უბრალოდ ვერ შესძლო, დიდი სურვილის მიუხედავად, საქართველოს დახმარება და ვახტანგის ინტერესების გათვალისწინება, როგორც ეს ხანგრძლივი დროის მანძილზე, როგორც რუსულ, ასევე ხშირ შემთხვევაში ქართულ საბჭოთა ისტორიოგრაფიაში მიღებული და გაზიარებული იყო.

ამ საკითხებისადმი მიძღვნილ მონოგრაფიებში ვკითხულობთ: “პეტრე I ითვალისწინებდა საქართველოს და სომხეთის მნიშვნელობას დასახული

---

[370] Паичадзе Г. “Русско-Грузинский отношения в 1726-35 г.г.” 1965г. стр. 148-49.

მიზნების განხორციელებისათვის ბრძოლაში (კასპიისპირეთის დაკავება და თურქეთის წინააღმდეგ პლაცდარმის შექმნა _ ქ.ნ.) და გამოთქვამდა მზადყოფნას გაეთავისუფლებინა საქართველო და სომხეთი ირანის ბატონობისაგან და მიეღო თავისი მფარველობის ქვეშ: "საქართველოს პროგრესულმა პოლიტიკურმა მოღვაწეებმა კასპიისპირეთში ლაშქრობისათვის პეტრე I-ის სამზადისის დროს სწორად განჭვრიტეს სანუკვარი ოცნებისათვის ხელსაყრელი მომენტის დადგომა."[371] "პეტრე ცდილობდა გაეთვალისწინებინა ამიერკავკასიის ქრისტიანები, თავის მფარველობაში შეეყვანა ისინი და მათზე ძალაუფლება ვახტანგისათვის მიეცა. მაგრამ სხვადასხვა გარემოებამ _ სპარსეთში ლაშქრობის წარუმატებლობამ და პეტრეს სიკვდილმა ხელი შეუშალა მისი სურვილების განხორციელებას." ეს რომ არა, "მაშინ კი პეტრე პირველის გაბედული გეგმა და ვახტანგ VI სანუკვარი ოცნება რეალურ სინამდვილედ იქცეოდა"[372] და ა.შ.

რუსული ისტორიოგრაფია ამ მხრივ უფრო შორს წავიდა. იგი კასპიისპირეთში რუსეთის წარუმატებლობას ამიერკავკასიის დაუხმარებლობით ხსნიდა: "ქართლის მეფე ვახტანგ VI-მ, რომელმაც სპარსეთის იძულებით მაჰმადიანობა მიიღო, უშუალოდ დაუკავშირდა პეტრე I-ს და დაჰპირდა 40-ათასიან ჯარს რუსეთს მიაშველებდა, მაგრამ საქართველოს და სომხეთის დახმარებით სარგებლობა რუსეთს ვერ მოუხერხდა" _ ვკითხულობთ სსრკ ისტორიის პირველ ტომში.[373]

ისტორიული სინამდვილის ამგვარი ინტერპრეტაციის წინააღმდეგ აკადემიკოს ს. ჯანაშიას ახსნა-განმარტება დასჭირდა: "მცდარადაა წარმოდგენილი პეტრე I-ისა და ვახტანგი VI-ის ურთიერთდამოკიდებულების ისტორია: არა ვახტანგმა მიმართა დახმარებისათვის პეტრე I-ს, არამედ პეტრემ

---

[371] პაიჭაძე გ. "რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიისათვის", თბ. 1960წ. გვ. 161, 162, 164.

[372] ფირცხალაიშვილი ალ. "საქართველო-რუსეთ-ირან-თურქეთის ურთიერთობანი XVIIIს. პირველ ნახევარში", "თსუ გ." თბ. 2000 (ხელახალი გამოცემა), გვ. 172.

[373] История СССР, т. I. 1940г. стр. 621-622

ჩაითრია ვახტანგი სპარსეთის ლაშქრობაში. არ არის სწორი იმის მტკიცება, რომ თითქოს საქართველოსგან რუსულ ჯარს დახმარების მიღება ვერ მოუხერხდა"[374] _ წერდა იგი.

მხოლოდ XXს. 90-იანი წლების ისტორიოგრაფიაში მოხერხდა რუსეთ-საქართველოს ურთიერთობათა გადაფასება. მ. ქიქოძის ვახტანგ მეექვსისადმი მიძღვნილ მონოგრაფიაში, პირველად იქნა წარმოჩენილი ვახტანგის პოლიტიკისადმი უარყოფითი დამოკიდებულება.[375] "არჩევანი თითქოს ბუნებრივი იყო (ვახტანგ VI-ის რუსეთთან კავშირი იგულისხმება _ ქ. ნ.), მაგრამ თუ იმას გავითვალისწინებთ, რა საშინელი პოლიტიკური და სოციალური უკუღმართობა მოჰყვა ამ არჩევანს "ოსმალობისა" და შემდეგ "ყიზილბაშობის" სახით, რამაც ქართული სახელმწიფოებრივი წყობა თითქმის კატასტროფის წინაშე დააყენა, მაშინ ვახტანგ VI-ის პოლიტიკა უმართებულოდ უნდა ჩაითვალოს"[376] _ წერს მკვლევარი. მოგვიანებით კი ვახტანგის პოლიტიკის მიმართ უფრო მკვეთრი განცხადებები გაკეთდა: "ვახტანგის საგარეო პოლიტიკურმა კურსმა ქვეყანა კატასტროფამდე მიიყვანა... განსაკუთრებით საბედისწერო შეცდომები დაუშვა ვახტანგმა პეტრე პირველთან ურთიერთობის დროს. მხედველობაში გვაქვს პეტრე პირველის ლაშქრობა კასპიისპირეთში და სამხედრო-პოლიტიკური კავშირი პეტრესა და ვახტანგს შორის... პეტრე არ აპირებდა თავის დაპირების ასრულებას. მისთვის მთავარი იყო ჩაეთრია ვახტანგი ლაშქრობაში"[377] _ ვკითხულობთ დ. კაჭარავას გამოკვლევაში.

---

[374] Джанашия С. И. "Историк марксист", 1940г. №12 стр. 141-143.

[375] ბუნებრივია, არ ვგულისხმობთ ივ. ჯავახიშვილის ჩვენ მიერ აქ დასახელებულ ნაშრომს "დამოკიდებულება რუსეთსა და საქართველოს შორის XVIIIს." (თბ. 1919წ.), სადაც აკადემიკოსი, არასწორად მიიჩნევს ვახტანგ VI-ის საგარეო პოლიტიკურ კურსს, აღნიშნავს, რომ ვახტანგმა ვერ გამოიცნო პეტრე I-ის ნამდვილი მიზნები და ვახტანგის წინდაუხედავმა პოლიტიკამ ქვეყანა კატასტროფამდე მიიყვანა.

[376] ქიქოძე მ. "ვახტანგ VI სახელმწიფოებრივი პოლიტიკა", თბ. 1988წ. გვ. 45.

[377] კაჭარავა დ. "საქართველო-რუსეთის ურთიერთობის ხასიათი (XVII-XVIIIს.ს.), თბ. 1977წ. გვ. 10, 12.

ამრიგად, XIXს. 80-იან წლებში თ. ჟორდანიას მიერ მიღებული დასკვნები ბევრად სიცოცხლისუნარიანი და ჩემი აზრით, მართებული აღმოჩნდა, ვიდრე საბჭოთა პერიოდის ისტორიოგრაფიაში გამოთქმული დებულებები. ეს მით უფრო დასაფასებელია, რადგან 120 წლის წინ, როდესაც მკვლევარი ამ ნაშრომს წერდა, მას ხელთ ჰქონდა საქართველო-რუსეთის ურთიერთობის ამსახველი მწირი მასალა. ვფიქრობ, ამ საკითხთან დაკავშირებით შეიძლება გამოითქვას ერთი მოსაზრებაც: იმ დროს, როდესაც საქართველო საბჭოთა რუსეთის მკაცრი რეჟიმის პირობებში იმყოფებოდა, მეტად საფრთხილო იყო ამგვარ პოლიტიკურ საკითხებზე თამამად საუბარი. მაშინ, მით უფრო გასათვალისწინებელია თ. ჟორდანიას მდგომარეობა "დეისტვიტელნი სტატსკი სოვეტნიკის" თანამდებობით, ცარისტული რუსეთის ბატონობის დროს. მიუხედავად ამისა, იგი საკითხისადმი თავის დამოკიდებულებას თამამად გამოხატავს.

მართალია, თ. ჟორდანია ვახტანგ მეფის რუსულ ორიენტაციას მეფისა და ქვეყნის ტრაგედიის მიზეზად ასახელებს, რაც თავისთავად გულისხმობს ისტორიკოსის მიერ, მისი, როგორც პოლიტიკური მოღვაწის უარყოფითად შეფასებას, მაგრამ მკვლევრისათვის ამ მეფის მნიშვნელობა საქართველოს ისტორიაში განუსაზღვრელია: "ვახტანგ მეფე იყო მძებნელი განათლებისა თავისა და თავისის ერისათვის. ნაყოფი მისის გონების წარმოებისა დაუჭკნობელ საუნჯედ დარჩება ჩვენ ერს, სანამდის ქართველთ სახელი არ წაიშლება დედა-მიწის ზურგიდამ. მან დასვა მტკიცე საფუძველი ჩვენის ისტორიისა, მან შემოიღო სტამბა,[378] სადაც ბეჭდავდა საეკლესიო და საერო წიგნებს და ცდილობდა გადმოეტანა და განევრცელებინა თავისს ხალხში ის განათლება, რომელმაც აგრე წინ წასწია ევროპა ყოველის მხრით."[379] ვახტანგ VI

[378] ვახტანგ VI საგანნმანათლებლო მოღვაწეობის შესახებ მოთხრობილია თ. ჟორდანიას ნარკვევები _ "მოკლე ისტორიული გამოკვლევა ქართული სტამბის დაარსებისა და მოქმედებისა XVIII ს. და XIX ს. პირველი წლის განმავლობაში", ჟ. "ივერია".

[379] ჟორდანია თ. "დავით გურამიშვილი და მისი დრო", ჟ. "ივერია", თბ. 1882 N2, გვ. 37.

თავისი კულტურულ-საგანმანათლებლო მოღვაწეობით ჭეშმარიტად იმსახურებს ამგვრად შეფასებას.

თ. ჟორდანია ზედმიწევნით გადმოგვცემს დავით გურამიშვილის ცხოვრებას სამშობლოში, ტყვეობაში, რუსეთსა და უკრაინაში. იგი ვრცლად მოგვითხრობს პოეტის სამსახურს ქართველ ჰუსართა პოლკში. საკმაოდ საინტერესო ინფორმაციას გვაწვდის ამ პოლკის ჩამოყალიბების, დანიშნულებისა და შემადგენლობის შესახებ. თ. ჟორდანიას მიერ დადგენილი ზოგი თარიღი პოეტის ცხოვრებიდან დღესაც მიღებულია. ჩვენ ამ საკითხზე აღარ შევჩერდებით, რადგან თ. ჟორდანიას მიერ პოეტ დავით გურამიშვილის სახის წარმოჩენის შესახებ ფილოლოგთა შრომებში ბევრჯერ დაიწერა.

“პოეტური საღებავით აქვს აღწერილი თ. ჟორდანიას სხვის ქვეყანაში გადახვეწილი პოეტის სულიერი განწყობილება, მისი სულის სიმტკიცე და შეუნელებელი სიყვარული სამშობლოსადმი... თ. ჟორდანიამ კარგად დაინახა ის ახალი, რაც გურამიშვილმა შემოიტანა ენისა და იდეოლოგიის სფეროში ქართულ პოეზიაში.”[380] ასეთია მოკლედ მათი შეფასება.

ქართული წიგნის ბეჭდვის ისტორიის შესწავლას ქართულ ისტორიოგრაფიაში პირველად თ. ჟორდანიამ მიაქცია ყურადღება. მან ამ საკითხს ორი გამოკვლევა მიუძღვნა. უნდა აღინიშნოს, რომ XXს. 30-იან წლებამდე ეს საკითხი საგანგებო კვლევის საგნად თ. ჟორდანიასა და ზ. ჭიჭინაძის გარდა არავის გაუხდია. ბუნებრივია, თ. ჟორდანიას ნაშრომები ნაკლისაგან დაზღვეული ვერ იქნება, მაგრამ მათ მრავალი ღირსება გააჩნიათ. ამ ნაშრომებით მკვლევარმა ისტორიოგრაფიის წინაშე დააყენა საკითხი ქართული სტამბის ისტორიისა და მისი მოღვაწეების ცხოვრების შესწავლის აუცილებლობაზე. იგი ნაშრომში “მთავარეპისკოპოსი იოსებ სამებელი და ქართული სტამბის საქმე XVIII ს-ში წერს: “საინტერესო ისტორია ბეჭვდის

---

[380] ძოწენიძე ლ. “თედო ჟორდანია და ძველი ქართული მწერლობა”, ძველი მწერლობის საკითხები, კრ. I, თბ. 1962წ. გვ. 182.

საქმისა სიბნელით მოცულია განათლების მძებნელ ქართველთა საზოგადოებისთვის, და სასურველია, რომ ეს წყვდიადი, რომელიც გვიფარავს ჩვენ წარჩინებულის ჩვენის წარსულის უწარჩინებულეს მოღვაწეთა, რაოდენიმედ მაინც განიბნეოდეს."[381] თ. ჟორდანია კვლევის დროს იყენებს წმინდა სინოდის საარქივო მასალას, მის მიერ მოძიებული ნაბეჭდი წიგნების მინაწერებს, ბოლოსიტყვაობებს და აღადგენს მოსკოვის ახლოს მდებარე დაბა ვსეხსვიატსკოეში მოქმედი ქართული სტამბის ისტორიას და წარმოაჩენს მისი დამაარსებლის იოსებ სამებელის პიროვნებას. იგი ცდილობს მის ხელთ არსებული მონაცემებით დაადგინოს იოსებ სამებელის სტამბაში დაბეჭდილი წიგნების სახელწოდებები. ნაშრომში გამორკვეულია ქართული შრიფტის ჩამომსხმელის და იოსებ სამებელის "მარჯვენა ხელის" _ ქრისტეფორე გურამიშვილის (დავით გურამიშვილის ძმა _ ქ.ნ.) მოღვაწეობის გარკვეული ფრაგმენტები. თანამედროვე ლიტერატურაში ვკითხულობთ: "სამწუხაროდ ქრისტეფორე გურამიშვილის საქართველოში ცხოვრება-მოღვაწეობის პერიოდზე თითქმის არაფერი არ ვიცით. ამ მხრივ შედარებით უკეთესი მდგომარეობა გვაქვს მისი ცხოვრების მეორე პერიოდზე. მოსკოვ-პეტერბურგში გატარებული წლების შესახებ."[382] ქრისტეფორე გურამიშვილის მოღვაწეობა რუსეთში, სწორედ თ. ჟორდანიას კვლევაში წარმოჩინდა პირველად. მოგვითხრობს რა იგი, იოსებ სამებელის ცხოვრების ბოლო წლებში მის მეგობრობასა და თანამშრომლობაზე, ცნობილ ქართველ მისიონერთან, იოანე მანგლელთან, წერს: "რადგან იოანე მანგლელი, გამოჩენილი პირია, როგორც გამავრცელებელი და დამფუძვნებელი ქრისტიანობისა და ქართველთაგანცა პატივცემული, ჩვენ მოვიყვანთ ცნობებს მასზედ";[383] და საინტერესოდ გადმოგვცემს მისი მოღაწეობის შესახებ დაღესტანში, დარუბანდსა და

---

[381] ჟორდანია თ. "მთავარ-ეპისკოპოსი იოსებ სამებელი და ქართული სტამბის საქმე მე-XVIIIს-ში", ჟურნალი "ივერია", 1884წ. N2, გვ. 31, 1884წ. N3, გვ. 61-93).

[382] კასრაძე ო. "ძველი ქართული ნაბეჭდი წიგნი", თბ. 1973, გვ. 245.

[383] ჟორდანია თ. "მთავარ-ეპისკოპოსი იოსებ სამებელი და ..." ჟ. "ივერია", 1884წ. N3, გვ.82.

ასტრახანში. თ. ჟორდანიასგან ვიგებთ, რომ იოსებ სამებელისა და იოანე მანგლელის პროექტის საფუძველზე წმინდა სინოდმა 1746 წელს შეადგინა კომისია "ქრისტიანობის აღსადგენად კავკასიელ ხალხთა შორის", რომელიც შემდეგ საკმაოდ ძლიერ ორგანიზაციად გადაიქცა და მნიშვნელოვანი როლი შეასრულა კავკასიაში ქრისტიანობის გავრცელება-აღდგენის საქმეში.

თ. ჟორდანია, წმ. სინოდის არქივის დოკუმენტებზე დაყრდნობით, იოსებ სამებელის ბიოგრაფიის ფონზე გვაწვდის ცნობებს ქართველი სამღვდელოების რუსეთში ყოფნის შესახებ. იმ ეკონომიკურ პირობებზე, რომელშიც ისინი ცხოვრობდნენ რუსეთის იმპერიის მიერ საკმაოდ სოლიდური თანხის გამოყოფის შედეგად, რაც გახდა ერთ-ერთი მიზეზი ქართველი სამღვდელოების გადასახლებისა რუსეთში. თ.ჟორდანიას კარგად აქვს დანახული იმპერიის შორს მიმავალი მიზნები: "ამ გარემოებას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა რუსეთსა და საქართველოს პოლიტიკური შეკავშირებისათვის. რუსეთში გადასულნი სამღვდელო პირნი ნებით თუ უნებლიეთ ხდებოდნენ მქადაგებლად იმ პოლიტიკური მოსაზრებისა, რომელიც ჰქონდა მთავრობას კავკასიის დაპყრობაზედ"[384] წერს იგი.

იმდროინდელ სამეცნიერო ლიტერატურაში (პ. იოსელიანი, ბუტკოვი) დამკვიდრებული იყო აზრი, რომ მოსკოვში ქართული სტამბა 1740-1741 წლებში დააარსა ვახტანგ მეექვსის ძემ ბაქარმა. თ. ჟორდანიამ მის მიერ ნიქოზის ღვთაების ეკლესიაში ნაპოვნი წიგნის (ზატიკი _ დაიბეჭდა იოსებ სამებელის სტამბაში) ბოლოსიტყვაობიდან (ეს ბოლოსიტყვაობა, რომლის ტექსტი ნაშრომშია მოყვანილი ძვირფას ინფორმაციას შეიცავს) და იოსებ სამებელის 1737 წელს წმ. სინოდის სახელზე დაწერილი მიმართვიდან გამოარკვია შემდეგი: იოსებ სამებელმა საკუთარი თანხებით სტამბის დაარსება გადაწყვიტა. დახმარებისთვის ამ საქმის საუკეთესო მცოდნეს, ქრისტეფორე გურამიშვილს მიმართა, რომელმაც ბატონიშვილის, დარეჯან არჩილის

[384] ჟორდანია თ. "მთავარ-ეპისკოპოსი იოსებ სამებელი და ..." ჟ. "ივერია", 1884წ. N2, გვ.40

ასულისაგან იყიდა სტამბა. შეავსო, გაზარდა და გამართა ნოვგოროდში, იურევის მონასტერთან, სადაც 1737 წლისთვის მრავალი წიგნი იქნა დაბეჭდილი. ამ ფაქტმა დიდი ინტერესი გამოიწვია მოსკოვში მყოფ ქართულ სამღვდელოებას შორის. განსაკუთრებით დაინტერესდა ბაქარ ვახტანგის ძე, რომელმაც, სინოდის თანხმობით, იოსები მოსკოვში გადაიყვანა და თავის სასახლეში, ვსეხსტვიატსკოეში სტამბას ადგილი გამოუყო. თ. ჟორდანია შემდეგ დაწვრილებით აღწერს სტამბის საქმიანობას ბაქარის ხელმძღვანელობით.

თ. ჟორდანიას გამოკვლევის შედეგად მიღებული დასკვნები გაიზიარეს ალ. ხახანაშვილმა, ეპისკ. კირიონმა, კ. კეკელიძემ, პ. გუგუშვილმა. დ. კარიჭაშვილმა გარკვეული შესწორება შეიტანა თ. ჟორდანიას ცნობებში და მიუთითა, რომ სამებელის სტამბა თავიდანვე მოსკოვში დაარსდა. ეს მოსაზრება გაიაზრეს დ. კასრაძემ და ავთ. იოსელიანმა.[385] საინტერესოა ერთი ფაქტი, რომელსაც ყურადღება თავის დროზე არ მიექცა. მოგვიანებით თავად თ. ჟორდანიამ შეასწორა თავისი მოსაზრება და დაწერა, რომ იოსებ სამებელმა სტამბა 1837 წელს თავიდანვე მოსკოვში გამართა.[386]

თ. ჟორდანიას ვერსიით სტამბა ბაქარისა და იოსების გარდაცვალების (1750) შემდეგ საქართველოში ჩამოიტანეს და დავით გარეჯის ნათლისმცემლის მონასტერს გადაეცა. ამ აზრს ადგას მკვლევართა გარკვეული ნაწილიც.

თ. ჟორდანია ნაშრომში განიხილავს, აგრეთვე, ე.წ. ბაქარის ბიბლიას, რომელიც ზემოთ მოხსენიებულ სტამბაში დაიბეჭდა 1743 წელს; იგი მოგვითხრობს "დაბადების" ქართული თარგმანისა და ბეჭვდის ისტორიის შესახებ; გამოთქვამს საინტერესო შეხედულებებს.

---

[385] იოსელიანი ავ. "ქართული მწიგნობრობის წიგნისა და სტამბის საკითხები", თბ. 1990წ.

[386] ჟორდანია თ. "მოკლე ისტორიული გამოკვლევა ქართლის სტამბის დაარსებისა და მოქმედებისა XVIII საუკუნეში და XIX საუკუნის პირველი წლის განმავლობაში", ჟ. "ივერია", 1885წ. N10, გვ. 101-116.

ამრიგად, კახელი დიდებულის, სამების ეპისკოპოსის, წილკნის არქიეპისკოპოსის, ნოვგოროდის მიტროპოლიტის თანაშემწის _ იოსებ თამაზის ძე ქვაბულისძის _ ბიოგრაფიისა და მოღვაწეობის პირველი მკვლევარია თედო ჟორდანია. მან პირველმა წარმოაჩინა და დააფასა ის ღვაწლი, რომელიც იოსებ სამებელმა ქართული სტამბის დაარსებისთვის გასწია. მიუხედავად იმისა, რომ ამ პიროვნებით დღესაც ინტერესდებიან, სამწუხაროდ, ვერ ვიტყვით, რომ თ. ჟორდანიას შემდეგ, კვლევა მის შესახებ წარმატებულად შეიძლება ჩაითვალოს.[387]

თ. ჟორდანიას ნაშრომთა შორის განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს გამოკვლევა ანტონ I კათალიკოსზე. ანტონ კათალიკოსის პიროვნება, მისი შემოქმედება და საზოგადოებრივი მოღვაწეობა ქართული სულიერი კულტურისა და საქართველოს ისტორიის მნიშვნელოვანი ნაწილია: "კაცი ღვთისმეტყველ, ფილოსოფოსი, საღმრთოთა წერილთა შინა გამოცდილი და დიდი დიალექტიკოსი და დოღმატიკოსი, რიტორი მშვენიერი, ვითარცა წერასა შინა, ეგრეთვე უბნობასა შინა." ასე აფასებს ანტონ პირველს იოანე ბატონიშვილი. თუმცა თანამედროვეთაგან არ დაჰკლებია შური, მტრობა, ცილისწამება და ორგულობა.

ანტონი დაგმობილი და განდევნილი იქნა სამშობლოდან. მის ცხოვრებას წარმართავდა ახლისა და ჭეშმარიტების შემეცნების დაუოკებელი ჟინი. იგი რთული პიროვნება იყო. მისი შემოქმედება და მოღვაწეობა წინააღმდეგობებით არის სავსე, ამიტომაც ეჭვის თვალით უყურებდნენ, აკრიტიკებდნენ და მიუღებლად მიაჩნდათ. მის ცხოვრებას, მოღვაწეობას და შემოქმედებას ყოველთვის განსაკუთრებული ადგილი ეჭირა ფილოსოფოსთა, ისტორიკოსთა და ფილოლოგთა შრომებში. თანამედროვე მეცნიერებაც დიდად დაინტერესებულია ანტონ კათალიკოსის შემოქმედებით. მრავალი გამოკვლევა

---

[387] ქარუმიძე ვ. "იოსებ-სამებელი _ ბიბლიის ქართულ ენაზე გამომცემელი", თსუ შრომები, ისტორიის სერია, N 338, 2001წ, გვ. 170-182

დაიწერა მის მოღვაწეობაზე, ბიოგრაფიის ცალკეულ მონაკვეთებზე. გადაჭრით შეიძლება ითქვას, მკვლევარი, ვინც კი შეეხო XVIII საუკუნის ქართული აზროვნების ისტორიას, გვერდი ვერ აუარა ანტონ I ფენომენს. რაღა თქმა, უნდა გასაკვირი არ არის, რომ ისეთი ფართო ინტერესების მკვლევარი, როგორიც თ. ჟორდანია იყო, დაინტერესდა ანტონის პიროვნებით. ძნელად ხელმისაწვდომი დოკუმენტების საფუძველზე მან პირველმა[388] წარმოგვიდგინა და ისტორიულ ჭრილში გააშუქა ანტონის ბიოგრაფიის ძირითადი ეტაპები. თუ გავითვალისწინებთ იმასაც, რომ ჟორდანიას მიერ მრავალწლიანი არქეოგრაფიული ძიების შედეგად, საქართველოს ეკლესიის ამ უდიდესი მოღვაწის შესახებ გამოვლენილი დოკუმენტების უმეტესი ნაწილი, მხოლოდ ჩვენ მიერ განსახილველ ნარკვევშია შემორჩენილი და თ. ჟორდანიას მიერ მიღებული დასკვნებიდან ზოგს დღესაც არ დაუკარგავს ფასი, გასაგები გახდება ამ ნაშრომის ფართოდ განხილვის სურვილი.

ამავე დროს, მიმაჩნია, რომ სწორედ აღნიშნული ნაშრომის განხილვით შეიძლება საუკეთესოდ წარმოჩინდეს თუ როგორ იყენებს თ. ჟორდანია ისტორიულ ფაქტს და როგორ ახდენს მის ინტერპრეტაციას. ვფიქრობ, ამის ჩვენება აუცილებელია, რადგან ისტორიული მეცნიერების ამ ორი ძირითადი პოსტულატისადმი მკვლევრის დამოკიდებულება განსაზღვრავს მის პროფესიულ დონეს.

თ. ჟორდანიას ნაშრომი _ “Антони I, католикос грузии и архиепыскоп Владимирскии и Яропольский” _ დაიბეჭდა რუსულად, ჟურნალში _ “Духовный вестник грузинского экзархата,”[389] სადაც თხრობა მთავრდება XVIIIს. 60-იანი

---

[388] ჟორდანიამდე ანტონ კათალიკოსის ბიოგრაფიის გარკვეული ფრაგმენტები განხილული იყო ნიკოლოზ მთვარელიშვილის სტატიაში “ანტონ I, საქართველოს კათალიკოსი”. აქ ყურადღებას იქცევს ავტორის კეთილსინდისიერი დამოკიდებულება წყაროებისადმი, მაგრამ სტატია მცირე მოცულობისაა.

[389] “Духовный вестник грузинского экзархоса”. 1891წ. N 1, 2, 5, 6, 8, 10, 11, 14, 15, 16, 19. 1892წ. N 1, 2, 4, 6.

წლებით. საქართველოს მწყემსმთავრის, ანტონის, რუსეთის ეკლესიაში მოღვაწეობით.

ნაშრომის გადმოქართულების იდეა სწავლულთა შორის იმთავითვე გაჩნდა. იგი თარგმნა ცნობილმა მწერალმა და საზოგადო მოღვაწემ, მღვდელმა, კონსტანტინე ანთაძემ (1870-1933). მართალია, თარგმანი მშვენიერი ქართულით არის შესრულებული, მაგრამ ტექსტი არასრულია.[390] ამიტომ 1991 წელს ხელმეორედ შეასრულა თარგმანი ივანე ამირხანაშვილმა.[391] ჩვენ, ბუნებრივია, ვიხელმძღვანელეთ ორიგინალით, მაგრამ ციტატები მოყვანილი გვაქვს ამირხანაშვილის თარგმანიდან, რადგან ნაშრომის XIXს. რუსული ტექსტით გადატვირთვას მოვერიდეთ.

აქვე მინდა აღვნიშნო ერთი გარემოება: თ. ჟორდანიას არქივში მოვიძიე ნაშრომის ხელნაწერი და აღმოჩნდა, რომ მასში მოთხრობილია ანტონის მოღვაწეობა არა მხოლოდ 60-იან წლებამდე, არამედ მის გარდაცვალებამდე. გადავწყვიტე დარჩენილი ნაწილი მეთარგმნა და დასაბეჭდად მომემზადებინა. იგი გამოქვეყნდა ჩემი წინასიტყვაობითა და კომენტარებით ჟურნალში "საისტორიო მოამბე."[392]

ანტონ პირველისადმი მიძღვნილი პირველი მეცნიერული შრომა: "ანტონ I საქართველოს კათალიკოსი და მთავარეპისკოპოსი ვლადიმირისა და იეროპოლისა" _ იმ თვალსაზრისითაც საყურადღებოა, რომ მასზე დაყრდნობით ბევრს ვგებულობთ კათალიკოსის პიროვნული ვინაობის შესახებ, რაზედაც არც თუ იშვიათად რამდენადმე დამოკიდებულია ინდივიდის ფილოსოფიური აზროვნების მიმართულება. თ.ჟორდანია საინტერესოდ მოგვითხრობს XVIII საუკუნის საქართველოს სამეფო კარის ინტრიგების შესახებ, კარგად წარმოაჩენს ანტონ პირველის მამის, მაჰმადიანი მეფის, იესეს უარყოფით პიროვნებას, იმდროინდელ საზოგადოებრივ-

[390] ჟ. "მოგზაური", 1901წ. N 6, 7, 8, 9, 11, 12. 1902წ. N 2, 5. 1903წ. N 11, 12.
[391] ჟ. "საღვთისმეტყველო კრებული", 1991წ. N 1.
[392] ჟ. "საისტორიო მოამბე", 1997წ. N 69-70 (გვ. 149-166).

პოლიტიკურ მანკიერ ცხოვრებას და ამბობს: “ასეთ ოჯახურ და საზოგადოებრივ პირობებში იზრდებოდა უფლისწული თეიმურაზი (ანტონ _ ქ.ნ.). აღნიშნული პირობები ფრიად არასახარბიელო იყო საამისოდ, რომ მოზარდში განვითარებულიყო ის სულიერი თვისებები, რითაც გამოირჩეოდა ივერიის ეკლესიის სახელოვანი იერარქი. ეს მოვლენა მეტად უცნაური და გაუგებარი დარჩება, თუკი მხედველობაში არ მივიღებთ იმ უდიდეს გავლენას, რაც ყრმა უფლისწულზე იქონია მისმა ღვთისმოშიშმა დედამ. კათალიკოსი დედას უნდა უმადლოდეს ბრწყინვალე აღზრდას, რამაც გადაარჩინა იგი უღვთო და გარყვნილი მამის გავლენისაგან.”[393]

როგორც ცნობილია, ანტონის დედა იყო კახეთის ტახტის კანონიერი მემკვიდრის, ერეკლე I ასული; მეფეების კონსტანტინეს და თეიმურაზის[394] ღვიძლი და. სხვათა შორის თ. ჟორდანია ანტონის დედის სახელის თაობაზე გვთავაზობს საინტერესო მოსაზრებას, რაც გამოწვეულია საკითხის შესახებ სხვადასხვა აზრის არსებობით. “ქრისტიანულია მისი სახელი _ ელენე, მაგრამ აქტებში იგი “ბეგუმის” სახელითაც იხსენიება. ცნობილი მოგზაური გულდენშტედიც მოწმობს, რომ თათრები მას ელენესაც უხმობდნენ და ბეგუმსაც. თბილისის მთავარეპისკოპოსი ტიმოთე ელენესაც უწოდებს (“მზამეტყველების” წინასიტყვაობაში), მაგრამ რუსულ წყაროებში იგი ელისაბედადაც იხსენიება. ამავე სახელით მიმართავს დედას თვით ანტონიც. ეს ვითარება უხერხულობაში აყენებს ისტორიკოსებს, რომლებმაც არ იციან, როგორ შეათავსონ წყაროებიდან მიღებული ურთიერთსაწინააღმდეგო ცნობები. ჩვენი აზრით, ამ წინააღმდეგობების მოგვარება მარტივად შეიძლება. ერობაში ანტონის დედას ელენე (ქრისტიანული სახელი) და “ბეგუმი” (მეორე სახელი, რომელსაც საქ-ში ხშირად არქმევდნენ ქრისტიანულ სახელთან ერთად) ერქვა, ხოლო როცა მონაზვნად აღიკვეცა, წესისამებრ საერო სახელი

[393] ჟორდანია თ. “ანტონ I”, ჟ. “საღვთისმეტყველო კრებული”, 1991წ. N 1, გვ. 36.
[394] ერეკლე I _ ქართლის მეფე 1688-1703წ., კონსტანტინე II _ კახეთის მეფე 1722-1732წ., თეიმურაზ II კახეთის მეფე 1733-1744წ., ქართლის მეფე 1744-1762წ.

გადაირქვა და ელისაბედად იწოდა."[395] იგი თავისი აზრის დასადასტურებლად იყენებს სავსებით სანდო წყაროებს: "ქართლის ცხოვრებას", "წყობილსიტყვაობას", "Переписка Груз. царей сь Рос. Государством."

თ. ჟორდანია აკრიტიკებს პ. იოსელიანს, რომელიც ანტონის დედას მხოლოდ ელენედ მოიხსენიებს[396] და ნ. მთვარელიშვილს, რომელსაც მიაჩნია, რომ პატრიარქის დედას ელისაბედი ერქვა, რადგან შვილი მას ამ სახელით მიმართვადა.[397] ჩემი აზრით, ამ საკითხის ჟორდანიასეული ახსნა სავსებით მისაღები და გასაზიარებელია. როგორც ზემოთ მოყვანილი სათანადო ამონაწერი მოწმობს, თ. ჟორდანია ანტონ პირველის ზნეობრივი ჩამოყალიბებისათვის სავსებით სამართლიანად დიდ მნიშვნელობას ანიჭებს, დედის, ელენე ბაგრატიონის როლს, რომელიც ფრიად განათლებული, ღვთისმოშიში, კეთილი, სათნო და შვილების დიდად მოამაგე ქალბატონი ყოფილა. იგი ყველანაირად ცდილობდა შვილებისათვის მრავალმხრივი განათლება მიეცა. როგორც მკვლევარი აღნიშნავს, ასეთი მიზნის მისაღწევად დედოფალ ელენეს, საკმაო ნივთიერი შესაძლებლობებიც გააჩნდა. ახალგაზრდა თეიმურაზი დედას დავით გარეჯის მონასტერში გაუბარებია. "ეს მონასტერი განთქმული იყო მდიდარი ბიბლიოთეკითა და უმაღლესი სკოლით, რომელშიც თავის დროზე სწავლობდა აღმოსავლეთ საქართველოს თითქმის ყველა მღვდელთმთავარი".

თ. ჟორდანიამ ყურადღება მიაქცია იმ გარემოებას, რომ ანტონ პირველის დაბადების თარიღი ქართულ ისტორიოგრაფიაში ჯერ კიდევ არ იყო მტკიცედ დადგენილი და ზოგიერთ მკვლევარს მიაჩნდა, რომ იგი 1714 წელს დაიბადა. მკვლევარი საკითხთან დაკავშირებით საგანგებოდ აღნიშნავდა: "პატივცემულმა ისტორიკოსმა პლატონ იოსელიანმა თვითნებურად მიუთითა

---

[395] ჟორდანია თ. "ანტონ I", ჟ. "საღვთისმეტყველო კრებული", 1991წ. N 1, გვ. 37.

[396] "წყობილსიტყვაობა ქმნილი ანტონისაგან პირველისა კათალიკოს-პატრიარქისა ყოვლისა საქართველოსა" _ პ. იოსელიანის კომენტარებითა და წინასიტყვაობით, თბ. 1853წ.

[397] მთვარელიშვილი მ. "ანტონ I საქართველოს კათალიკოსი", "საღვთისმ. კრ." 1991, N1.

მისი დაბადების წელი 1714. თუმცა ამ დროს ანტონის დედა ჯერ გათხოვილიც არ არის (იგი გათხოვდა 1715წ.) ამით მან შეცდომაში შეიყვანა სხვა მკვლევრები. ერთ რუსულ დოკუმენტში (Переписка Грузинских царей с рассискими государями. е. L XVIII) 1738 წელს თეიმურაზი იხსენიება 18 წლის ჭაბუკად. აქედან ჩანს, რომ ის 1720 წელს დაბადებულა. ამავე დასკვნამდე მივყავართ თეიმურაზ მეორის ლექსს, რომელშიც ავტორი მოგვითხრობს, რომ მან თავისი ვაჟი, ოცი წლის ერეკლე, კახეთის ტახტზე დასვა, ხოლო ასევე ოცი წლის დისწული _ კათალიკოსის ტახტზე. ხოლო თბილისის საეკლესიო მუზეუმის ერთი ხელნაწერის მინაწერი ([1]123) საბოლოოდ წყვეტს დავას. "დაიბადა თეიმურაზ-ანტონი დასაბამითგან წელთა ფსკთ, ქრისტეს აქათ ჩღკ, თვესა ოტომბერსა იზ, დღესა კვირიკესა ჟამსა ღამისა მესამე." (1720 წ. 17 ოქტომბერი, ღამის 3სთ. _ ქ.ნ.).[398] მოხმობილ ტექსტში ერთი აუხსნელი გაუგებრობაა. თ. ჟორდანიას საბუთად მოჰყავს თეიმურაზ მეორის ლექსის ერთი ადგილი და არ უარყოფს ცნობას, რომ თეიმურაზ II თავისი 20 წლის დისწული ანტონი "კათალიკოსად განაწესა." თ. ჟორდანიას მიერ ასეთი ცნობისათვის ყურის არიდება მით უფრო აუხსნელად მიმაჩნია, რომ მან კარგად იცის, ანტონ პირველმა კათალიკოსობა 1744 წელს მიიღო ე.ი. 24 წლის ასაკში, რასაც საგანგებოდ აღნიშნავს თავის ნაშრომში.

როგორც ზემოთ მოტანილი საბუთებიდან ჩანს, თ. ჟორდანიას თვალსაზრისი ანტონის დაბადების თარიღის თაობაზე ეჭვს არ იწვევს. ასეთი აზრის სისწორეს საკმაოდ ნათლად ადასტურებს თბილისის საეკლესიო მუზეუმის ხელნაწერი, სადაც განსაკუთრებული სკრუპულოზურობით არის მითითებული ანტონის დაბადების თაობაზე 1720 წ.

ნაკლებ დასაშვებია, რომ პლატონ იოსელიანმა არაფერი იცოდა, თ. ჟორდანიას მიერ მოყვანილი საბუთების შესახებ და მაინც, ანტონ პირველის

[398] ჟორდანია თ. "ანტონ I", ჟ. "საღვთისმეტყველო კრებული", 1991წ. N1, გვ. 40.

დაბადების თარიღად 1714წ. დაასახელა.[399] ასეთ შემთხვევაში აუცილებლად დაისმის კითხვა, რატომ არ მიიღო მან 1720წ. ამ კითხვას თ. ჟორდანიაც დაუინტერესებია და გამოთქვამს ნამდვილად გასაზიარებელ მოსაზრებას: "შესაძლებელია იოსელიანი მის მიერ გამოცემული ანტონის თხზულების "წყობილსიტყვაობის" (გვ. V.) წინასიტყვაობაში გულისხმობდა იმას, რომ საქართველოში კათალიკოსად კურთხევა 30 წლის ასაკამდე არ შეიძლებოდა. თუ 1744 წელს, როცა ანტონი გახდა კათალიკოსი, ის 30 წლის იყო, მაშინ გამოდის, რომ იგი მართლაც 1714 წელს დაბადებულა."[400] ასეთი განმარტება, ვფიქრობ, საკმაო საფუძველია, რათა გავიგოთ პ. იოსელიანისგან აღნიშნული თარიღის მიუღებლობა. შემდგომში ანტონის დაბადების თარიღად მიჩნეულია 1720 წელი.

საკითხის შესახებ მსჯელობის აქ დამთავრება უხერხულად მიმაჩნია, რადგან ხელუხლებელი რჩება ერთი მნიშვნელოვანი მხარე. თ. ჟორდანია სავსებით სამართლიანად აღნიშნავს, რომ "საქართველოში კათალიკოსობას არ აძლევდნენ 30 წლამდის." და მხოლოდ ამ განცხადებით კმაყოფილდება. იგი არ გამოთქვამს არავითარ პირდაპირ ვარაუდს იმის თაობაზე, რას უნდა გამოეწვია გამონაკლისი, რისი მიხედვითაც 24 წლის თეიმურაზ ბაგრატიონი კათალიკოსად ეკურთხა. ამ კითხვის პასუხის გასაცემად უნდა გავიხსენოთ შემდეგი გარემოება: თეიმურაზ ბაგრატიონმა, სანამ უმაღლესი სამღვდელო პირი გახდებოდა, ფრიად შთამბეჭდავი გზა გაიარა, 18 წლისა გარეჯის სკოლა გამოვლილი, უკვე ცნობილი ღვთისმეტყველია, ამის შემდეგ 1738 წ. ბერად აღიკვეცა; 19 წლისამ გელათის წინამძღვრობა მიიღო; 20 წლის ქუთაისის მიტროპოლიტი გახდა, ხოლო 24 წლის კათალიკოსი; იყო სამეფო საგვარეულოს წევრი, მეფის ძლიერი ხელისუფლების მომხრე, მეფეების _

[399] "წყობილსიტყვაობა ქმნილი ანტონისაგან პირველისა კათალიკოს-პატრიარქისა ყოვლისა საქართველოსა", ტფ. 1853 წ. პ.იოსელიანის წინასიტყვაობითა და კომენტარებით, გვ. V.

[400] ჟორდანია თ. "ანტონ I", ჟ. "საღვთისმეტყველო კრებული", 1991წ. N1, გვ. 40.

თეიმურაზისა და ერეკლეს ახლო ნათესავი. ჩანს, ყველაფერმა ამან განაპირობა ანტონის კათალიკოსად ადრეული აღზევება.

მამა-შვილი მეფეების ანტონისადმი ლოიალური განწყობილება იმითაც შეიძლება აიხსნას, რომ მათ ყავდათ ძლიერი პოლიტიკური ოპონენტები, ანტონის ახლო ნათესავები, ვახტანგ VI ძენი _ ბაქარი და ალექსანდრე, რომლებიც ყოველი ღონით ცდილობდნენ ტახტის დაბრუნებას და ბოლოს, ტახტის კიდევ ერთი პრედენდენტი, თვით ანტონ პირველი[401], რომლის შესახებ, როგორც ტახტის მემკვიდრისა საინტერესო მოსაზრებას გამოთქვამს თ. ჟორდანია: "შეიძლება მოვიყვანოთ ზოგიერთი მოსაზრებანი, რამაც შეიძლება გარკვეულ წილად ახსნას ელენე დედოფლის ანგარიშები. როგორც ცნობილია, თეიმურაზის უფროსი ძმა არჩილი იესეს ჰყავდა სხვა ცოლისაგან, რომელიც მან ერთ ქართველ თავადს წაჰგვარა. ელენეს აზრით, უკანონოდ შობილი, ხალხის თვალში სახელშელახული არჩილის ჩამოცილება ძნელი არ იყო. რაც შეეხება ვახტანგ მეფის შთამომავლებს, იგი უსათუოდ ფიქრობდა, რომ ისინი როგორც სამშობლოსა და ხალხს დიდი ხნით მოწყვეტილები, ვერ ჰპოვებდნენ მხარდაჭერას ტახტისათვის ბრძოლაში. მითუმეტეს, რუსეთის მთავრობა მათ ზრახვებს არ იზიარებდა. ხოლო მისი შვილი საქართველოში, ხალხში ტრიალებდა, თანაც მამის კანონიერი შვილი და მემკვიდრე იყო. ამის გარდა, მას თურქების დახმარების იმედიც უნდა ჰქონოდა. როგოც ჩვენთვის ცნობილია, თურქები მფარველობდნენ მაჰმადიანი მეფის _ იესეს შთამომავლებს. თავის დროზე იესე ხომ ეხმარებოდა თურქებს სპარსეთის მოკავშირე კახეთის მეფეების, აგრეთვე რუსეთის დახმარების მოიმედე ვახტანგ VI მემკვიდრეების წინააღმდეგ ბრძოლაში. ყოველ შემთხვევაში, დედოფლის ვარაუდები არ ემყარებოდა მხოლოდ და მხოლოდ ოცნებას, ეხილა შვილი ქართლის ტახტზე. ამას ადასტურებს თუნდაც ის ფაქტი, რომ შემდგომში

[401] როგორც ცნობილია კახეთის მეფემ თეიმურაზ II, ქართლის ტახტი, მეუღლის, ვახტანგ VI-ის ასულის თამარის დახმარებით დაიკავა.

(1736წ.) იესეს უკანონო ვაჟმა არჩილმა (აბდულ ბეგმა)... მოახერხა (თუმცა დროებით) ხელთ ეგდო მამისეული ტახტი და გაემართა შეუპოვარი ბრძოლა საქართველოს მძლავრი მეფეების _ თეიმურაზ მეორისა და ერეკლე მეორის წინააღმდეგ."[402]

როგორც ვიცით, ქართლში, თეიმურაზ მეორის და კახეთში _ ერეკლე მეორის გამეფების შემდეგ, აბდულ-ბეგმა საუფლიწულოდ ქვემო ქართლი მიიღო. 1744 წელს თეიმურაზ მეორე ირანს გაემგზავრა და ერეკლე მეორეს დამხმარედ აბდულ-ბეგი დაუტოვა, რომელიც თავის რეზიდენციაში, სამშვილდის ციხეში გამაგრდა და მეფობა მოიწადინა. მთელი წელიწადი ებრძოდა ერეკლეს, მაგრამ ბრძოლა მისი დამარცხებით დამთავრდა.[403] გასაგებია, რომ გარეშე ძალების ჩაურევლად მეფე იესეს უკანონო შვილს არც ერეკლე მეორეს დამხმარედ დატოვებდა თეიმურაზი და ვერც ერეკლეს წინააღმდეგ ბრძოლას გაბედავდა იგი. აბდულ-ბეგის წარმატებათა წარმოჩენა, საკმაოდ კარგად ადასტურებს იმ მოსაზრებას, რომ პოლიტიკურ სარბიელზე უფრო მეტის "მიღწევა" შეეძლო იესე მეფის განათლებულ, გონიერ და კანონიერ შვილს, თეიმურაზს. იმ გარემოებაზე, თუ რატომ იყვნენ მეფეები _ ერეკლე და თეიმურაზი _ ანტონისადმი განსაკუთრებულად ლოიალურნი, თედო ჟორდანიას ზემოთ მოყვანილი მსჯელობიდან ერთი დასკვნის გაკეთება შეიძლება: მეფეების სურვილი იყო თეიმურაზ იესეს ძე სამეფო ტახტის მაძიებელი კი არა, საქართველოს კათალიკოსი ყოფილიყო. ასეთ ვითარებაში, სავსებით ბუნებრივია, მამა-შვილს ეზრუნა თეიმურაზ იესეს ძის კათალიკოსის ტახტზე ასაყვანად. მეფეთა სურვილი და ზრუნვა კი ცოტას არ ნიშნავდა, იმისთვის, რომ საქართველოს ეკლესიის ისტორიაში მომხდარიყო კანონით დაუდგენელი შემთხვევა და კათალიკოსად 24 წლის უფლისწული აერჩიათ.

---

[402] ჟორდანია თ. "ანტონ I ..." ჟ. "საღვთისმეტყველო კრ.", 1991, N1 გვ. 40.
[403] ქსე, ტ. I, 1975 წ. გვ. 23.

მინდა ხაზი გავუსვა ერთ გარემოებასაც: სამეცნიერო ლიტერატურაში მიღებულია აზრი, რომ თეიმურაზის (ანტონი) ბერად აღკვეცა განაპირობა მისი საცოლის (თუ ცოლის), გივი ამილახვრის ასულის, შაჰის ბრძანებით ჰარამხანაში წაყვანამ. და კიდევ "იმერეთს გადასული ანტონი დარწმუნებული იყო რუსეთის საიმპერატორო კარისაგან დახმარების მიუღებლობაში, მან ისიც კარგად იცოდა, რომ ქართლის სამეფო ტახტს არ დაუთმობდნენ. რთული სიტუაციიდან უფლისწულმა სწორი გამოსავალი იპოვა, ერისკაცის სამოსელი გაიხადა და სამონაზვნოთი შეიმოსა."[404]

ჩემი აზრით, როდესაც ლაპარაკია რთულ, მიზანსწრაფულ და დიდი ენერგიის მქონე პიროვნების, თეიმურაზ იესეს ძე ბაგრატიონის ღვთისმსახურების თაობაზე, არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ იგი არ იყო ის პიროვნება, ვინც მხოლოდ ვინმეს, თუნდაც მეფეთა ნება-სურვილის ან კიდევ ტრაგიკული შემთხვევის გამო (საცოლის წართმევა), თავისი განზრახვის წინააღმდეგ წავიდოდა; მიზნის მისაღწევად (გამეფება) არ იბრძოლებდა და ბერად აღკვეცას გადაწყვეტდა. ეს ნაბიჯი არა მხოლოდ ამ ფაქტებით, არამედ უფრო ღრმა მიზეზით უნდა ყოფილიყო გამოწვეული. მისწრაფებით, რომელიც შემდეგ მისი ზნეობრივი და შემოქმედებითი ცხოვრების ქვაკუთხედი გახდა. ამავე აზრის დამადასტურებელია ანტონ კათალიკოსის მისწრაფება ძლიერი სამეფო ხელისუფლების შესაქმნელად. სწორედ ამასვე ფიქრობდა თ. ჟორდანია: "თეიმურაზის მდიდარი სული მიილტვის იქით, საითაც მუდამ ეზიდებოდა შემეცნების წყურვილი. ამ გზას იგი მიჰყავდა არა მიწიერი სამეფოს ტახტისკენ, არამედ წყნარი და მშვიდი ნავთსაყუდარისაკენ, ჭეშმარიტების ტრაპეზისკენ... ძნელია წარმოვიდგინოთ ის არაჩვეულებრივი წყურვილი შემეცნებისა, რაც სავსებით დაუფლებოდა ახალგაზრდა უფლისწულს და სიბრძნის წყაროსკენ ეზიდებოდა". ამასვე წერდა

[404] სიხარულიძე ფრ. "ანტონ პირველის ცხოვრება და მოღვაწეობა რუსეთში", ჟ. "საღვთის-მეტყველო კრებული". 1991, N1, გვ. 150.

მთავარეპისკოპოსი ტიმოთე: “ანთებული იყო ღვთის სიყვარულით და ეძებდა სამონაზვნო, მშვიდ სავანეს; სწყუროდა და ისწრაფოდა გონებით მიეღწია ღვთის სამკვიდრებლამდე.”[405]

თ. ჟორდანისეული მიმართულება ვფიქრობ იმსახურებს მხარდაჭერას და ყურადღებას. მართალია, იგი ერთ ადგილას ლაპარაკობს, ანტონის მიდრეკილებაზე, გამხდარიყო ქართლის მეფე და სწორედ ამ მიზნით დაწინდულა ქართლის ძლიერი ფეოდალის გივია მილახვრის ასულზე, მაგრამ თ. ჟორდანია, არც თუ უსაბუთოდ, მის ამგვარ მიდრეკილებას დედის გავლენით ხსნის, რომელსაც სურდა მისი შვილი მეფე ყოფილიყო და არა სამღვდელო პირი.

თ. ჟორდანიას აზრს საკითხის შესახებ სავსებით ადასტურებს თეიმურაზის დედის შვილისადმი მოსკოვიდან მიწერილი ბარათი. “რად, შვილო ჩემო, მახვილი ეც გულსა ჩემსა, მწუხარესა უცხოებით. ახლა დაიკარგა ყოველი იმედი ქვეყნად ჩვენსა მოქცევისა. ძმა შენ არ გყავს და რად დაჰკარგე სამეფო და იმედი მეფობისა... მხოლოდ შენ უნდა გეზრუნა ჩვენს დაკარგულ ტახტზე.”[406] მოყვანილი ამონარიდიდან კარგად ჩანს, თეიმურაზის როგორი მომავალი ყოფილა დედისთვის სასურველი.

აქვე გვინდა აღვნიშნოთ ერთი დეტალი: თ. ჟორდანია ადგენს ანტონის ეპისკოპოსად კურთხევისა და მიტროპოლიტის ხარისხში აღზევების თარიღს. იგი აკრიტიკებს პ. იოსელიანს, ა. ცაგარელს, ლ. ჩუბინაშვილს. მათ მიერ აღიარებული 1738 წლის ნაცვლად _ ანტონის გამიტროპოლიტების თარიღად 1740 წელს მიიჩნევს. დღეს ეს თარიღი საყოველთაოდ გაზიარებულია, მაგრამ არა როგორც ჟორდანიასეული მიგნება.

---

[405] ჟორდანია თ. “ანტონ I ...” ჟ. საღვთისმეტყველო კრ. 1991 N1. გვ. 46.

[406] “წყობილსიტყვაობა ქმნილი ანტონისათვის პირველსა კათალიკოს-პატრიარქისა ყოვლისა საქართველოსა”, ტფ. 1853 წ. პ. იოსელიანის წინასიტყვაობითა და კომენტარებით, გვ. 6.

თ. ჟორდანიას მშვენივრად ესმის ერთიანი, მთლიანი ეკლესიის როლი საქართველოს გაერთიანებისათვის. იგი შესანიშნავად ახასიათებს თეიმურაზის კათალიკოსად აღსაყდრებამდე საქართველოს საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების წინა პერიოდს. საკითხის თედო ჟორდანიასეული კვლევა დღესაც იმსახურებს ყურადღებას და დაფასებას. იგი ქართული ეკლესიის დაღმავლობას საქართველოს პოლიტიკური ცხოვრების პირობებს უკავშირებს. განსაკუთრებით ხაზს უსვამს იმ გარემოებას, თუ რა მძიმე შედეგები მოჰყვა საქართველოს კულტურულ-პოლიტიკური ცხოვრებისთვის ვახტანგ VI-ის რუსეთში წასვლას, რომლის მოღვაწეობამაც საქართველო კულტურული აღმავლობის გზაზე დააყენა. მკვლევარი წერს: "ბევრი გაჩანაგებული ეპარქია გაუქმდა... ვახტანგის დროს დაწყებული გონებრივი მოძრაობა შეჩერდა... დაეცა საეკლესიო დისციპლინა. საეკლესიო ადმინისტრაცია დასუსტდა. ქვეყნის სამეფოებად, სათავადოებად და საერისთავოებად დაქუცმაცების გამო. საჭირო იყო შეუპოვარი შრომა, მრავალმხრივი და გონიერი მოღვაწეობა, რათა გამთელებულიყო ივერიის ეკლესიის ჭრილობები და დაბრუნებოდა მას ძველი ბრწყინვალება."[407] მისი მცდელობა, წარმოადგინოს საქართველოს ეკლესიის მეტად რთული მდგომარეობა, გამიზნულია იმის დასამტკიცებლადაც, თუ რა დიდ საქმეს შეება ჯერ კიდევ სავსებით ახალგაზრდა პატრიარქი, 24 წლის ანტონ პირველი. თ. ჟორდანიას კარგად ესმის, რომ ქართული ეკლესიის ერთიანობა საქართველოს ერთიანობასაც ნიშნავდა და პირიქით. მას მიაჩნია, რომ საეკლესიო სეპარატიზმის მიზეზი სამოქალაქო სეპარატიზმია. ამავე დროს, თავისთავად, რომელიმე სამთავროში ეკლესიის მიერ ერთიანი ეკლესიიდან გამოყოფისაკენ სწრაფვა, ძირს უთხრის სახელმწიფო ერთიანობას. ისიც ცნობილია, რომ კახეთის ცალკე სამეფოდ აღიარების პირობებში, ალავერდელი ეპისკოპოსები აღარ ემორჩილებიან მცხეთის კათალიკოსს და მიტრის

[407] ჟორდანია თ. "ანტონ I ..." ჟ. საღვთისმეტყველო კრ. 1991 N1. გვ. 55.

მაგივრად თავზე გვირგვინს იდგამენ. ბუნებრივია, ცალკე სამეფოების ეკლესიის წინამძღვრები იცავდნენ "თავიანთი" მეფის ინტერესებს, რითაც ხელს უწყობდნენ საქართველოს სამეფო-სამთავროებად დაშლას. ქართული ეკლესია აუცილებლად საჭიროებდა სამშობლოსათვის თავდადებულ, ნიჭიერ და დიდ ორგანიზატორ საეკლესიო ხელმძღვანელს. სწორედ ასეთ პიროვნებად მიაჩნია თ. ჟორდანიას კათალიკოსი ანტონ პირველი ბაგრატიონი "სიკვდილის შემდეგ მან (ანტონმა – ქ.ნ.) დასტოვა ეკლესია ყველაფრით სავსე და უნაკლო" _ წერს იგი.

თ. ჟორდანია განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს მეფეების თეიმურაზ მეორისა და ერეკლე მეორისადმი ანტონ პირველის დამოკიდებულებას. ყურადღებას მიაქცევს იმ გარემოებას, რომ თეიმურაზ მეორის ტახტზე ასვლის დღე ანტონმა დიდ ზეიმად გადააქცია. მოძებნა და ხელახლა გამოსცა მეფის კურთხევის წესი და კურთხევა საგანგებოდ სვეტიცხოვლობას დაამთხვია. რადგან ამ დღეს (1 ოქტომბერი) დიდძალი ხალხი იყრიდა თავს მცხეთაში. "ორი დღე ამზადებდა ანტონი სამღვდელოებას საზეიმო კორონაციის რთული რიტუალის ჩატარებისთვის... კორონაციამ ქართლელებზე ძლიერი შთაბეჭდილება მოახდინა. ყველა აქებდა ღმერთს, ამბობს მემატიანე, რომელმაც ხალხს თეიმურაზის სახით მხსნელი მოუვლინა"[408] _ წერს მკვლევარი. მას მიაჩნია, რომ ანტონ პირველს ყველა შემთხვევაში ამოძრავებდა მამულიშვილური გრძნობა. მისთვის მთავარი კარგი მეფე, ქვეყნის კარგი წინამძღოლი იყო და არა მეფისადმი ნათესაური დამოკიდებულება. როცა ანტონ პირველის ძმა, აბდულ-ბეგი, ერეკლე მეორეს აუჯანყდა, კათალიკოსმა მეფის მხარე დაიჭირა და "როგორც ღირსეულმა მწყემსთმთავარმა, მიუხედავად იმისა, რომ ძმა იყო, მკაცრად დაგმო აბდულ-ბეგი".[409] ასეთი

[408] ჟორდანია თ. "ანტონ I ..." ჟ. საღვთისმეტყველო კრ. 1991 N1. გვ. 58.
[409] ჟორდანია თ. "ანტონ I ..." ჟ. საღვთისმეტყველო კრ. 1991 N1. გვ. 58.

არგუმენტიც ადასტურებს თ. ჟორდანიას იმ მოსაზრებას, რომ ანტონ პირველი სამშობლოსადმი თავდადებული მოღვაწე იყო.

განსაკუთრებით საინტერესოა თ. ჟორდანიასეული აზრი ანტონ პირველის გაკათოლიკების თაობაზე. თემა მართლაც მნიშვნელოვანია. ის იმსახურებს დიდ ყურადღებას. არა მარტო იმიტომ, რომ უპირველეს ყოვლისა ჩვენთვის საინტერესოა საკითხისადმი თ. ჟორდანიასეული მიდგომა, არამედ იმიტომაც, რომ ვიცოდეთ _ რა მოტივები ამოძრავებდა საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის კათალიკოსს მხარი დაეჭირა კათოლიკე ბერების განწყობილებისათვის, რაც სულაც არ იყო ქართული ეკლესიისთვის სასარგებლო. საინტერესოა საკითხიც, თუ რატომ იქნა გადაყენებული ანტონ პირველი კათალიკოსობიდან. რატომ გამოუცხადეს ქართველმა მეფეებმა ბრძოლა კათოლიკეებს და დაარბიეს ისინი, როდესაც მოყოლებული 1229 წლიდან, ვიდრე 1755 წლამდე, თეიმურაზ მეორის მეფობამდე, კათოლიკობის წინააღმდეგ არცერთ მეფეს არ გაულაშქრია.[410]

ამ საკითხების შესახებ სამეცნიერო ლიტერატურაში ბევრი მსჯელობა და აზრთა სხვადასხვაობაა. როგორც ცნობილია, ანტონ კათალიკოსი კათოლიციზმისადმი მიდრეკილების ბრალდებით 1755 წელს გადაყენებულ იქნა. ამ საქმის მოთავე და სულის ჩამდგმელი იყო თეიმურაზ მეორის მოძღვარი ზაქარია გაბაშვილი, სასულიერო პირთა გარკვეული ჯგუფით. ზაქარია ანტონს ხანგრძლივად და შეუპოვრად ებრძოდა. მას შემდეგაც კი, როდესაც იგი 1762 წელს აღდგენილ იქნა ერეკლე მეორის მიერ თავის რეგალიებში.

ანტონის ტახტიდან გადაყენების ზემოთ მოყვანილი საფუძველი არის დოკუმენტაციით დადასტურებული ოფიციალური მოტივი. სამეცნიერო ლიტერატურაში კი გამოთქმულია მოსაზრება, რომ ანტონის გადაყენების

[410] როგავა რ. “საქართველოს ეკლესიის ისტორია”, თბ. 1996 წ. გვ. 132

ნამდვილი მიზეზი ლეგიტიმისტური იყო, ხოლო საბაბად მოძებნილი იქნა სარწმუნოებრივი საფუძველი.

მ. ქავთარიას მიაჩნია, რომ ანტონისა და ზ. გაბაშვილის ბრძოლა მხოლოდ "რელიგიური ფანატიზმით არ შეიძლება აიხსნას".[411] ეს იყო ბრძოლა ორ პოლიტიკურ ორიენტაციას შორის. ერთ მხარეს თეიმურაზ მეორე აღმოჩნდა, ხოლო მეორე მხარეს (ანტონის – ქ.ნ.) ერეკლე მეორე. თავისი აზრის გასამყარებლად მიხ. ქავთარია იძლევა ირან-საქართველოს ურთიერთობის ისტორიულ მიმოხილვას. იგი წერს, რომ თეიმურაზი თავისი მოღვაწეობის პირველ ნახევარში ირანის პოლიტიკის მომხრეა, რადგან მან ირანის მეშვეობით დაიკავა ქართლის ტახტი. მისი ახლობელთა წრეც, ბუნებრივია, (ზ. გაბაშვილის ხელმძღ.), თეიმურაზს უჭერს მხარს, რადგან სწორედ ეს ტენდენცია უზრუნველყოფდა მათთვის სასურველი პიროვნების მეფობას".[412] თეიმურაზს არ სურს ირანის განაწყენება. "თეიმურაზი შეგნებული მოწინააღმდეგეა პოლიტიკური ორიენტაციის შეცვლისა. შესაბამისად, ზაქარია გაბაშვილი ტრადიციული ორთოდოქსალური თვალსაზრისის გულმოდგინე მქადაგებელია. ირანი ამ პოზიციებს უკვე შერიგებულია, მისთვის ქრისტიანი თეიმურაზის, მაგრამ მისი ერთგულის მეფობა მისაღებია, ხოლო ახალი გეზი (ევროპული თუ რუსული) ახალი სიძნელეების წინაშე აყენებს. ამიტომ, არ არის გამორიცხული, რომ თეიმურაზმა კათოლიკეთა დარბევა მარტო ქართველ ორთოდოქსთა რჩევით კი არ მოაწყო, არამედ პროირანულად განწყობილ ადამიანთა წაქეზებითაც";[413] შემდეგ აგრძელებს მსჯელობას და ასკვნის, რომ ამ ფაქტს სხვა მნიშვნელობაც ჰქონდა. თეიმურაზს არასოდეს ავიწყდებოდა, რომ ანტონი ქართლის კანონიერი მემკვიდრე იყო და მის ლეგიტიმისტურ

---

[411] ქავთარია მიხ. "XVIII ს. ქართული საზოგადოებრივი აზრის ისტორიიდან", თბ. 1977 წ. გვ. 6.

[412] ქავთარია მიხ. "XVIII ს. ქართული საზოგადოებრივი აზრის ისტორიიდან", თბ. 1977 წ. გვ. 12.

[413] ქავთარია მიხ. "XVIII ს. ქართული საზოგადოებრივი აზრის ისტორიიდან", თბ. 1977 წ. გვ. 14.

უფლებებს ბევრი უჭერდა მხარს. “თეიმურაზიც ყოველთვის სიფრთხილით უყურებდა ანტონს, როგორც ტახტის მოცილეს. ანტონის პოზიციების შეცვლა ირანთან გართულებების პირველი მანიშნებელი იყო. ამიტომ საფიქრებელია, რომ თეიმურაზმა შეგნებულად გადაიტანა ბრძოლა რელიგიურ ასპექტში და ანტონს საკუთარი სულიერი მოძღვარი დაუპირისპირა”.[414]

ს. ავალიანი იზიარებს აზრს თეიმურაზის ანტონისადმი უარყოფითი დამოკიდებულების შესახებ და წერს: “ანტონი ქართლის ტახტის კანონიერი მემკვიდრე იყო, იმ ტახტისა, რომელიც მაშინ თეიმურაზს ეჭირა. ამის გამო თეიმურაზი ყოველთვის სიფრთხილით უყურებდა ანტონს და წინააღმდეგი არ იყო მისი თავიდან ჩამოცილებისა”.[415] დისშვილმა ბიძას თანხმობა მოსთხოვა ექსორიის შემდეგ რუსეთში გასამგზავრებლად: “იგი აწყობდა მეფე თეიმურაზსაც, რომელმაც ქართლის ტახტის შესაძლებელი პრეტენდენტი მძიმე ბრალდებით სამშობლოდან შორს გაისტუმრა”.[416]

სამეცნიერო ლიტერატურაში გაზიარებულია ის აზრიც, რომ ერეკლე მეორეს არ ეყო ძალა, მამის წინააღმდეგ წასულიყო და ანტონი საკათალიკოსო ტახტზე დაეტოვებინა. მან წადილი აისრულა, მხოლოდ თეიმურაზის გარდაცვალების შემდეგ და მამიდაშვილი 1762 წელს საქართველოში დააბრუნა და თავის რეგალიებში აღადგინა.[417]

ანტონ კათალიკოსის ტახტიდან გადაყენების მიზეზთა შესახებ ზემოთმოყვანილი მსჯელობებიდან შეიძლება გავაკეთოთ დასკვნები:

1. მოხდა ორი პოლიტიკური ორიენტაციის დაპირისპირება თეიმურაზ მეორესა (ირანი) და ერეკლე მეორეს (ევროპა, რუსეთი) შორის.

---

[414] ქავთარია მიხ. “XVIII ს. ქართული საზოგადოებრივი აზრის ისტორიიდან”, თბ. 1977 წ. გვ. 40.

[415] ავალიანი ს. “ანტონ პირველი”, თბ. 1987 წ. გვ. 37.

[416] ავალიანი ს. “ანტონ პირველი”, თბ. 1987 წ. გვ. 37.

[417] როგავა გ., ქავთარია მიხ., ავალიანი ს., თამარაშვილი მიხ. – აქ დასახელებული ნაშრომები.

2. ანტონ კათალიკოსი გაკათოლიკების ბრალდებით თეიმურაზ მეორემ გადააყენა ტახტიდან, ირანის ანგარიშის გაწევის მიზნით, რადგან იგი ირანის მხარდაჭერით იჯდა ქართლის ტახტზე და მის განაწყენებას ერიდებოდა.

3. თეიმურაზ მეორეს არ ავიწყდება, რომ ანტონი ქართლის მეფის შთამომავალია და მისი თავიდან მოშორება სურს. ამიტომაც ანტონს საქართველოდან შორს, რუსეთში აგზავნის.

ასეთი დასკვნების გაკეთება, ჩემი აზრით, არ უნდა იყოს მართებული. მე მიმაჩნია, რომ ანტონ კათალიკოსის ასეთი უკიდურესი ფორმით დასჯა იძულებითი აქტი იყო, როგორც ერეკლეს, ასევე თეიმურაზის მხრიდან. ძირითადად ეს მოხდა კონსერვატიული ფრთის დაჟინებით (გამორიცხული არ არის, გარდა რელიგიური მოტივებისა მათ, როგორც თ. ჟორდანია მიიჩნევს, პირადი ინტერესები ამოძრავებდათ. ანტონი იბრძოდა, რათა შეეზღუდა მაღალი წოდების სასულიერო პირთა უფლებები), რომელთაც მეფეებმა წინააღმდეგობა ვერ გაუწიეს და საფიქრებელია, რომ გარკვეული ანგარიში გაწეული იქნა რუსეთისადმი. რუსეთი, რომელიც გააქტიურებულად ებრძოდა კათოლიციზმს. ამავე აზრს ატარებს თ. ჟორდანია ჩვენ მიერ განსახილველ ნაშრომში. შევეცდები ქვემოთ ვაჩვენო ამ აზრის მართებულობა.

ამისთვის საჭიროდ მიმაჩნია მივმართო ისტორიულ ექსკურსს, იმის თაობაზე, თუ როგორი მოქნილი პოლიტიკის გატარებით აღწევს თეიმურაზი ქართლ-კახეთის კახელი ბაგრატიონების ხელში გაერთიანებას და ამ პოლიტიკის წარმოებაში, როგორ ეხმარება მას ერეკლე მეორე, რაც თავისთავად გამორიცხავს აზრს თეიმურაზ-ერეკლეს პოლიტიკური ორიენტაციის დაპირისპირების შესახებ.

მამა-შვილის პოლიტიკური მოღვაწეობისა და ინტერესის სფეროს საქართველოს დამოუკიდებლობა და ერთიანობა წარმოადგენდა. ამდენად, მათი პოლიტიკაც ამ მიზნისკენ იყო მიმართული.

კახეთის მეფეს კონსტანტინეს (1731 წელს ოსმალებმა მოკლეს) შვილი არ დარჩენია. კახეთის ტახტი მემკვიდრეობით მის უმცროსს ძმას, თეიმურაზს (ვახტანგ VI-ის სიძე) ერგებოდა. 1732 წელს ისაყ-ფაშამ თეიმურაზს კახეთის გამგებლობა უბოძა.

ამ დროიდან მოყოლებული ეს ნიჭიერი პოლიტიკოსი იბრძვის საკუთარი ქვეყნის კეთილდღეობისათვის. მისი პოლიტიკური ორიენტაცია საქართველოს ინტერესთა შესაბამისად იცვლება. რელიგიური მომენტი მის საგარეო პოლიტიკაში უდაოდ მეორეხარისხოვანია. იგი ხან ირანის გამოყენებით იბრძვის ოსმალთა წინააღმდეგ, ხან კი ნადირ-შაჰის ოპოზიციაში აღმოჩნდება, ხოლო, როცა სჭირდება, ირანშიც კი ეახლება დამპყრობელს. ნადირის სახელმწიფოს დამხობის შემდეგ კი მეფის რუსეთის იმპერიასთან მომგებიანი ურთიერთობის დამყარებას ცდილობს. კეთილგანწყობას იჩენს კათოლიკეების მიმართაც, რადგან ბოლომდე არ კარგავს ევროპის დახმარების იმედს, მუსულმანური სამყაროს წინააღმდეგ.[418] ყიზილბაშების წინააღმდეგ აჯანყებულმა თეიმურაზმა, რომელმაც რუსეთისგან დახმარება ვერ მიიღო, გადაწყვიტა ნადირს შერიგებოდა. ირანის ხელმწიფეს კი იმ დროს სერიოზული მხარდაჭერა სჭირდებოდა აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში, რადგან იგი ქვეყნის მიწა-წყლის შემოკრებას ამთავრებდა და აღმოსავლეთში დიდ ლაშქრობათა გეგმას აწყობდა. თეიმურაზმა და მისმა მეუღლემ, თამარმა, თავიანთი ასული ქეთევანი, ნადირის ძმისშვილს, ალი-ყული-ხანს მიათხოვეს, ხოლო ტახტის მემკვიდრე ერეკლე, შაჰს ინდოეთის ლაშქრობაში შველოდა. შაჰმა, თავის მხრივ, თეიმურაზი "ქრისტიანობით" შეიწყნარა, რადგან მიხვდა, რომ ბატონობის შენარჩუნება საქართველოში ქრისტიანი მეფეების საშუალებით უფრო იოლი იყო და თანაც ეს იქნებოდა გარკვეული გარანტია, რათა ირანს ჩაეშალა ქართველ პოლიტიკოსთა კავშირი ქრისტიანულ რუსეთთან.

---

[418] დუმბაძე მ. "ბრძოლა დამოუკიდებლობის განმტკიცებისათვის", საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. IV. თბ. 1973 წ. გვ. 612-629.

თეიმურაზმა კახეთი “იხსნა” მძიმე ხარკისგან, ხოლო ნადირმა ბობოქარი ქართლი თეიმურაზის მეშვეობით “დაამშვიდა”.[419]

თეიმურაზი შაჰისადმი “ერთგულებაში” უფრო შორს წავიდა. 1742 წ. აჯანყებას გივი ამილახორის მეთაურობით, რომელიც ნადირის მიერ შემოღებული აუტანელი გადასახადებით იყო გამოწვეული, არამც თუ მხარი არ დაუჭირა, არამედ ყიზილბაშებთან ერთად დაუპირისპირდა. ამილახორს ოსმალეთთან ჰქონდა კავშირი. თეიმურაზისთვის იმ დროს ეს აჯანყება არაფრის მომცემი იყო, რადგან ირანი დაღესტანთან ომს აწარმოებდა, ხოლო დაღესტნელი ფეოდალები პერმანენტული ბრძოლებით აჩანაგებდნენ საქართველოს და მის დოვლათს ითვისებდნენ. მართალია ნადირი დაღესტანში დამარცხდა, მაგრამ, 1743 წელს დაწყებულ ომში ოსმალეთთან იმარჯვებდა. ასე, რომ ამილახორის კავშირს ოსმალეთთან პერსპექტივები არ ჰქონდა, ხოლო თეიმურაზის ავტორიტეტი თანმიმდევრულად იზრდებოდა.[420]

ნადირ-შაჰს ერეკლემაც დიდი სამსახური გაუწია. მან შეიპყრო პიროვნება, რომელიც თამაზ-შაჰის შვილად აცხადებდა თავს და ნადირ-შაჰის ტახტიდან გადაგდება სურდა. ყოველივე ამისათვის, როგორც პაპუნა ორბელიანი გვაუწყებს შაჰი “თეიმურაზს დაპირებოდა მიცემასა ქართლისასა”.[421]

ქართლის ტახტზე კახეთის ბაგრატიონების ასვლა რთული საქმე იყო. რადგან ეს უკვე ქართლის მემკვიდრეებისთვის (ვახტანგ VI შვილები რუსეთში იმყოფებოდნენ) ტახტის დაკარგვის ტოლფასი იქნებოდა. ეს სირთულე თეიმურაზის მეუღლემ და ვახტანგ VI-ის ასულმა, თამარ ბაგრატიონმა მოაგვარა. ქართლის თავადები დაითანხმა მისი ქმრისთვის წინააღმდეგობა არ გაეწიათ და თეიმურაზი ქართლის ტახტზე დაესვათ.[422]

---

[419] დუმბაძე მ. “ქართლ-კახეთის განთავისუფლება ირანის ბატონობისაგან”, სინ, ტ. IV. 1973 წ. გვ. 602.

[420] დუმბაძე მ. “ქართლ-კახეთის განთავისუფლება ირანის ბატონობისაგან”, სინ, ტ. IV. 1973 წ. გვ. 603.

[421] ორბელიანი პ. “ამბავი ქართლისანი”, თბ. 1981 წ. გვ. 73.

[422] ქიქოძე გ. “ერეკლე მეორე”, თბ. 1941 წ. გვ. 45.

ამრიგად, 1744 წ. ივლისში ნადირ-შაჰმა ქართლის ბატონობა თეიმურაზს უბოძა, ხოლო კახეთისა ერეკლეს.

მართალია, ირანული ორიენტაციის პოლიტიკის წარმოებით 1744 წელს ქართლი და კახეთი ფაქტობრივად გაერთანდა, მაგრამ იურიდიულად ისინი ცალკე სამეფოებად დარჩნენ მთელი თავისი სამოხელეო აპარატითა და სხვა ატრიბუტებით. ირანის შაჰმა იცოდა, რასაც აკეთებდა. ქართლისა და კახეთის გაძლიერება მას მხოლოდ გარკვეულ ფარგლებსა და გარკვეულ პერიოდში აინტერესებდა.[423] თეიმურაზის ქართლ-კახეთის გაერთიანების გეგმა კი, ბუნებრივია, მარტო მამა-შვილს შორის მეფობის განაწილებას არ გულისხმობდა. ქართლის ტახტის მემკვიდრეობით თეიმურაზიდან ერეკლეზე გადაცემის იურიდიული გარანტიები უნდა ჰქონოდათ. ამ პრობლემის გადაჭრისათვის კი დიდ ბარიერს წარმოადგენდნენ ქართლის ტახტის კანონიერი მემკვიდრეები, რომელთა გარკვეული ნაწილი რუსეთში იმყოფებოდა. ისინი არასოდეს კარგავდნენ ტახტის დაბრუნების იმედს, ამისათვის კი სხვადასხვა ხერხს მიმართავდნენ.

მაგ. აბდულ-ბეგმა მიიმხრო ქართლის თავადები, დაღესტნელი ფეოდალები, მომთაბარე ელები და ტახტზე მემკვიდრეობითი პრეტენზია განაცხადა. ეს პრობლემა ერეკლემ ადვილად გადაჭრა, რადგან მას აღმოსავლეთში პოლიტიკურად მყარი პოზიციები ჰქონდა, თეიმურაზი კი ამ დროს ირანს იმყოფებოდა (1747 წ.) და იქ თავიანთთვის სასარგებლო საქმიანობას ეწეოდა.

ბევრად რთულად იყო საქმე რუსეთში მყოფ მემკვიდრეთა მიმართ. მართალია, როდესაც ბაქარ ვახტანგის ძემ 1748 წელს ტახტისთვის ბრძოლა რუსეთის მხარდაჭერის იმედით დაიწყო, რუსეთი ბაქარის წინააღმდეგი წავიდა, რადგან ამ დროისათვის საქართველოსადმი ჩაურევლობის პოლიტიკას

---

[423] სამსონაძე მ. "საქართველოს გაერთიანების პრობლემა და საგარეო ორიენტაცია XVIII ს-ში", თბ. 1988 წ. გვ. 90.

ადგა, მაგრამ, მომავალში იგი თავისი პოლიტიკური ამბიციების დასაკმაყოფილებლად, იქ მყოფ ქართლის მემკვიდრეებს რა მიზნით გამოიყენებდა საქართველოს წინააღმდეგ, საფიქრალი იყო. 1750 წელს ტახტის კიდევ ერთი პრეტენდენტი, რუსეთში გაზრდილი, ვახტანგ VI უკანონო შვილი, პაატა ბატონიშვილი გამოჩნდა, რომელსაც თეიმურაზ-ერეკლეს წინააღმდეგ შეთქმულების მოწყობა სურდა.

ბუნებრივია, ასეთ ვითარებაში გაჭირდა ქართლისა და კახეთის იურიდიული გაერთიანების ცხოვრებაში გატარება, რაც მომავალში მთელი საქართველოს გაერთიანების საფუძველი შეიძლება გამხდარიყო. საჭირო იყო გარეშე ძალა, დიდი ავტორიტეტული სახელმწიფო, რომელიც ქართლ-კახეთის გაერთიანების ფაქტს ცნობდა და შესაბამისად, ქართლის ტახტზე ვახტანგის სახლისშვილთა პრეტენზიებს მოხსნიდა. შესაძლებელ კანდიდატურას ირანი და რუსეთი წარმოადგენდა. ირანში შექმნილი ვითარება (ირანი დასუსტდა და 50-იანი წ. დასაწყისში ცალკეულ ფეოდალურ-პოლიტიკურ ერთეულებად დაიშალა – ქ.ნ.) რეშიტისა და განჯის ხელშეკრულებები, რომელთა ძალითაც ირანმა ქართლის ტახტის მემკვიდრედ ვახტანგი და მისი შთამომავლები აღიარა, ირანის საკითხს ხსნიდა და ერთადერთ სასურველ ვარიანტად ზემოხსენებული აქტის, რაღაც ფორმით, რუსეთის მიერ ცნობა და მტკიცება რჩებოდა. მით უმეტეს, რომ ქართლის ტახტის ძირითადი პრეტენდენტები რუსეთში ცხოვრობდნენ.

სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრება, რომ 1752 წლისა და 1760 წლის ელჩობის ერთ-ერთი ძირითადი მიზანი ქართლ-კახეთის გაერთიანების აღიარება იყო რუსეთის მხრიდან, მისაღებად მიგვაჩნია.[424] მართალია ამ ელჩობებმა მიზანს ვერ მიაღწიეს, მაგრამ მეორე ელჩობას ერთი არსებითი შედეგი მაინც ჰქონდა: კანცლერმა ვორონცოვმა, წერილში, ერეკლე

[424] სამსონაძე მ. "საქართველოს გაერთიანების პრობლემა და საგარეო ორიენტაცია XVIII ს-ში". თბ. 1988 წ. გვ. 132.

მეორეს იმპერატორის წყალობა და მფარველობა დაუდასტურა, და რაც მთავარია, იგი ქართლ-კახეთის მეფედ მოიხსენია («Светлейщему царю грузинскому и кахетинскому Ираклию»). ქართველმა საზოგადოებრივმა აზრმა ეს ფაქტი დიდ წარმატებად მიიჩნია. აქვე მინდა, აღვნიშნო, რომ ემიგრაციაში მყოფმა ანტონ კათალიკოსმა მის მიერ თარგმნილი კვინტოს კურციუსის "ალექსანდრე მაკედონელის" ისტორიის წინასიტყვაობაში ერეკლე მეორეს მხურვალედ მიულოცა ეს გამარჯვება. "მოგილოცავ ახალსა წინა-პართა ჩუენთა ადრით განჭრილისა საყდრისა შეერთებულად მიღებასა, შენ გონიერსა მხნესა მეფესა ვითა კვიროსს და მემკუიდრესა ვითა ქსერქსისს".[425]

ზემოთქმულიდან კარგად ჩანს თეიმურაზ-ერეკლეს დაინტერესება რუსეთით. რუსეთში კი ამ დროს სასტიკი ბრძოლა გამოუცხადეს კათოლიციზმს. 1735 წ. რუსეთის იმპერიაში აიკრძალა მართლმადიდებლის კათოლიკობაზე მიქცევა.[426]

გასაგებია, რომ გარეგნულად კონფესიური ბრძოლა სახელმწიფო პოლიტიკის სამსახურში იდგა და პოლიტიკური გავლენის სფეროების მოპოვებას გულისხმობდა. რუსული ადმინისტრაცია, საიდანაც შეეძლო მისიონერ ბერებს უცერემონიოდ აძევებდა, როგორც თ. ჟორდანია აღნიშნავს: მისიონერი ბერები "მიდიოდნენ კავკასიონის მთებში, ყიზლარში, ქისტეთში, ოსებში (მაგ. მარია და საიტენი), მაგრამ აქედან განიდევნებოდნენ რუსეთის მთავრობისაგან". რუსეთის მთავრობას გასაგები მიზეზების გამო არ შეეძლო ასე აშკარად ემოქმედა საქართველოში, მაგრამ მისი ინტერესები აუცილებლად უნდა გაეთვალისწინებინათ რუსეთით დაინტერესებულ ქართლ-კახეთის მეფეებს, რომლებსაც ძალა შესწევდათ, წინ აღსდგომოდნენ თავიანთ სამეფოში დასავლეთ ევროპის გავლენის გაძლიერებას. ამ პერიოდისათვის ქართველი პოლიტიკოსები დარწმუნდნენ, რომ ვატიკანი არ გამოადგა მათ მუსულმანთა

---

[425] ჟორდანია თ. "ქრონიკები", ტ. III. თბ. 1967 წ. გვ. 273.
[426] როგავა გ. "საქართველოს ეკლესიის ისტორია", თბ. 1996 წ. გვ. 144.

წინააღმდეგ ბრძოლაში თავისუფლების მოსაპოვებლად. ვატიკანის ინტერესები მხოლოდ საქართველოს გაკათოლიკებით შემოიფარგლებოდა. დასავლეთ ევროპის სახელმწიფოებსა და კათოლიკეთა ეკლესიის ცენტრს _ ვატიკანს, საქართველოსთან ერთობა ირანთან და ოსმალეთთან განუყოფელ ნაწილად მიაჩნდათ. ხოლო აღმოსავლეთის მუდმივი ბატონობით შეწუხებული ქართველი ხელისუფალნი ძლიერ ქრისტიანულ სახელმწიფოს ეძებდნენ. ასეთად მათ რუსეთი მიიჩნიეს, და ბუნებრივია, მისთვის ანგარიში უნდა გაეწიათ.[427] ამდენად, არაფერია მოულოდნელი თეიმურაზის მოქმედებაში, როცა ის ოფიციალურად ილაშქრებს საქართველოში კათოლიკობის გავრცელების წინააღმდეგ, თუმცა პაპის წარმომადგენელი მისიონერების მიმართ ლოიალობას იჩენს. ამ აზრის სასარგებლოდ მეტყველებს მიხეილ თამარაშვილის ცნობა თეიმურაზის მისიონერთა დახმარების შესახებ. თამარაშვილის აზრით, მეფემ სომეხთა და კონსტანტინოპოლის პატრიარქის წაქეზებით დაიწყო კათოლიკეთა რბევა, და ამდენად გაკვირვებულია თეიმურაზის საქციელით; "თეიმურაზ მეფის საკვირველ საქციელს უნდა მივაწეროთ შემდეგი ამბავიც, რომელიც მართლაც გასაკვირველია... ეს საკვირველი ამბავი ისაა, რომ თავის მიერ წინეთ დევნულს კათოლიკეებისათვის ისევ თავს იდო შემწეობის აღმოჩენა, როცა დაინახა კათოლიკების სულიერად გაჭირვება, თვითონვე მიმართა თავისაგან გაძევებულ კაპუცინებს და სთხოვა, მათთვის შემწეობა აღმოეჩინათ"; და იქვე მოჰყავს პროპაგანდის არქივიდან ამოღებული წერილის ტექსტი კათოლიკეთა დახმარების შესახებ. თეიმურაზისა და ერეკლეს ხელმოწერით.[428]

ეს მაშინ, როდესაც მეფეებმა კარგად იციან ბერების საქართველოში ჩამოსვლის ნამდვილი განზრახვა. ბუნებრივია ვიფიქროთ, რომ რუსეთის მთავრობა ინფორმირებული იყო საქართველოში კათოლიკური მოძრაობის

---

[427] პავლიაშვილი ქ. "კათოლიკური ეკლესია და საქართველო". თბ. 1994 წ. გვ. 5.
[428] თამარაშვილი მიხ. "ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის", თბ. 1902 წ. გვ. 375.

თაობაზე და როცა ამ მოძრაობას მხარს უჭერს ოფიციალური პირი (ანტონ I), თეიმურაზ მეორე ან ერეკლე მეორე იძულებული ხდება მკაცრი ზომები გაატაროს კათოლიკობის თანამგრძნობთა წინააღმდეგ. მით უმეტეს, როდესაც თანამგრძნობთა შორის, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის კათალიკოსი არის, რომელსაც უამრავი კონფესიური ოპონენტი ჰყავდა. მათ შორის იყო ჩვენ მიერ უკვე ზემოთ ნახსენები უკომპრომისობით ცნობილი თეიმურაზის მოძღვარი ზაქარია გაბაშვილი. სწორედ ეს გარემოება აიძულებდა მეფეს მკაცრ ღონისძიებას. კათალიკოსი ანტონ პირველი სასტიკად დაისაჯა, მაგრამ სასჯელი თავისთავად უფრო რუსეთთან პოლიტიკური კავშირისთვის ანგარიშის გაწევა იყო და არა, ვთქვათ ირანის[429] ზეგავლენით განპირობებული ან კიდევ თეიმურაზის ანტონისადმი პირადი მტრობით გამოწვეული, როგორც ეს სამეცნიერო ლიტერატურაში არის მიღებული (ამის შესახებ ჩვენ საუბარი უკვე გვქონდა – ქ.ნ.).

ჩანს ასე ფიქრობდა თ. ჟორდანიაც, რომელსაც საგანგებოდ მოჰყავს ადგილი, საქმის თაობაზე საქართველოს ეკლესიის მესამე კრების "განჩინებიდან". "ესოდენ ჩვენი დაგეყვანეს განდრეკილებასა შინა ლათინთა მიმართსა და კუალად შემდგომად თოვეთა სამთა განაცხადნა ფრიადი სინანული შენი და ყოვლითურთ უცხო ყოფა წვალებისაგან პაპის მოსავთა ლათინთასა და სრულიად აღმოსავლეთის ეკლესიის სარწმუნოება იპოვებოდა შენთანა, თვინიერ ყოვლისა იჭვისა.

---

[429] ირანში კათოლიკობა არ იდევნებოდა. მის გავრცელებასაც კი უწყობდნენ ხელს და დიდი სიმპათიით უყურებდნენ. XVII ს. დასაწყისში ვატიკანი საქართველოსა და ირანის ურთიერთობაში ერთ-ერთ მნიშვნელოვან როლსაც კი ასრულებდა. ამას, ბუნებრივია, პოლიტიკური საფუძვლები ჰქონდა. ირანის სამეფოს დაინტერესება ვატიკანისადმი გამოწვეული იყო სურვილით, შეექმნა ანტიოსმალური კოალიცია რომის პაპის ხელმძღვანელობით, სადაც გაერთიანებული იქნებოდა ევროპის ქვეყნები და თვით ირანი. საქართველოს ინტერესი ვატიკანისადმი გამოწვეული იყო იმ დახმარების იმედით, რომელიც შეაძლებინებდა მას მუსულმანთა ბატონობისაგან განთავისუფლებას. თავად ვატიკანის ძირითადი მიზანი ამ ურთიერთობებიდან იყო ერთი მხრივ, კათოლიციზმის გავრცელება აღმოსავლეთის ქვეყნებში, ხოლო, მეორე მხრივ, ქრისტიანულ-მართლმადიდებელი საქართველოს გაკათოლიკება და პლაცდარმად გამოყენება ამ ქვეყნებში თავისი მიზნების განხორციელებისათვის; (ქ. პავლიაშვილი. "კათოლიკური ეკლესია და საქართველო". "მეც", თბ. 1994 წ. გვ. 3-4). ჩვენთვის საინტერესო პერიოდში კი საქართველოს კათოლიკეთა მისია ისპაჰანის საეპისკოპოსო კათედრას ექვემდებარებოდა.

და ფრიად წადიერ იქმენ ყოვლითურთ კეთილმსახურსა და ყოვლითურთ მართლმადიდებელსა იმპერიასა რუსეთისასა წარსვლად, რომელიცა უმეტეს გულსავსე გვყოფდა მართლმადიდებლობასა შენსა. ამას ზედა ყოველთავე ერთობით მეფეთა და კრებამან შევამოკლეთ კანონი. ღირს არს შეწყნარება შენი მღვდელმთავრად მართლმადიდებლად და სადაცა მიხვიდე დაუყოვნებლად ხელყოფად საღმრთოსა ლიტურღიისა ყოვლისა სამღვდელმთავროსა მოქმედებისა, ვითარცა მღვდელმთავარი".[430] მგონი ცხადი უნდა იყოს, რომ ტექსტში რუსეთის ხსენება პოლიტიკური მოსაზრებით არის განპირობებული. ამასთანავე იგი თავისებური "ვიზაა" რუსეთში წამსვლელი ანტონისათვის. ეს აუცილებელი იყო, რითიც ანტონის მოქმედება პოლიტიკურ კონტროლს დაექვემდებარებოდა. საქმის ასეთი მიმართულება ხელს აძლევდა ქართლის მეფესაც. თეიმურაზი, ბუნებრივია, დაინტერესებული იყო რუსეთში მიმავალ ანტონთან კეთილგანწყობა შეენარჩუნებინა. ხაზი გაესვა თავისი პირადი სიმპათიებისათვის ანტონისადმი. ამიტომაც მან ყველაფერი გააკეთა დისშვილისათვის. როგორც თ. ჟორდანია აღნიშნავს: "1756 წლის 4 აპრილს თბილისში ჩატარდა მესამე საეკლესიო კრება, ცხადია თეიმურაზის ინიციატივით და კიდევ იმის გამოც, რომ მღვდელმთავრებმა შეიწყნარეს ანტონის გულწრფელი მონანიება. კრებამ ანტონის ყველა თხოვნა დააკმაყოფილა: ა) ნება დართეს რუსეთში გამგზავრებულიყო; ბ) მოეხსნა სასჯელი, რომელიც თვრამეტი თვის მანძილზე უკრძალავდა მღვდელმსახურებას, გ) ანტონის თანამზრახველებსაც, ვინც მოინანია, მიეცა მღვდელმსახურების უფლება".[431]

მეფის ასეთი მცდელობა სავსებით ბუნებრივი იყო. მას არ სურდა ჭკვიანი, გამჭრიახი და ავტორიტეტიანი ანტონი რუსეთში ქართლის მეფის ბაგრატიონ

---

[430] ქავთარია მიხ. "XVIII ს. ქართული საზოგადოებრივი აზრის ისტორიიდან", 1977 წ. გვ. 21. ტექსტი მოგვყავს აღნიშნული წიგნიდან, რადგან თ. ჟორდანია მის ზუსტ ციტირებას არ ახდენს.

[431] ჟორდანია თ. "ანტონ I ..." ჟ. საღვთისმეტყველო კრ. თბ. 1991 წ. N1. გვ. 89.

ოპონენტებს მიმხრობოდა. ქვემოთ დავინახავთ, თუ რამდენად რეალურ საშიშროებას წარმოადგენდა ეს. ამიტომაც არ მიმაჩნია ის აზრი მართებულად, რომ თეიმურაზმა ანტონი კათალიკოსობიდან ლეგიტიმურ საფუძველზე გადააყენა და ამით ქართლის ტახტის კიდევ ერთი პრედენტენტი მოიშორა. კიდევ ვიმეორებთ, ანტონის საკათალიკოსო ტახტზე ჯდომა ბევრად უფრო მომგებიანი იყო პოლიტიკური თვალსაზრისით თეიმურაზ-ერეკლესათვის, ვიდრე რუსეთში მისი ექსორია. ამის შესახებ ზემოთ უკვე გვქონდა მსჯელობა და აღარ გავიმეორებთ. ვიტყვით მხოლოდ ერთს: ამ აზრის სასრგებლოდ მეტყველებს, ანტონის მხარდაჭერა სამეფო ხელისუფლების პოლიტიკისადმი, როგორც ექსორიამდე, ასევე ხელმეორედ საკათალიკოსო ტახტზე ასვლის შემდეგაც. ხოლო რუსეთში ყოფნის დროს თავდაპირველად იგი თეიმურაზ-ერეკლეს მოწინააღმდეგეთა ბანაკის გავლენის ქვეშ მოექცა. ჩვენ მიერ გამოთქმული ვარაუდი, ვფიქრობთ, მისაღებია თ. ჟორდანიასთვისაც, რადგან წერს: "კათალიკოსის საქართველოდან გაძევება ხელს აძლევდა ვახტანგის მემკვიდრეებს და ამიტომაც შეხვდნენ ანტონს გულთბილად".[432]

ვფიქრობთ აქ შეიძლება გამოითქვას კიდევ ერთი მოსაზრება თეიმურაზ-ერეკლეს პრორუსულ პოლიტიკასთან დაკავშირებით. ასეთი პოლიტიკა ნაწილობრივ მაინც განპირობებული იყო ვახტანგ VI-ის მემკვიდრეების მოსკოვში ყოფნით. რუსეთის მეფის მთავრობას, ყოველთვის შეეძლო ტახტის მაძიებელი ბაგრატიონები საქართველოს მეფის წინააღმდეგ გამოეყენებინა. ზემოთ ჩვენ ამ საკითხს გაკვრით შევეხეთ, როდესაც ლაპარაკი გვქონდა მამა-შვილის რუსეთით დაინტერესების საფუძვლების შესახებ. ასეთ აზრს სავსებით ეთანხმება თ. ჟორდანიაც, როდესაც აღწერს ბაქარის ძის ალექსანდრეს საქმიანობას რუსეთის სამეფო კარზე. ალექსანდრე ცდილობს პეტრე მესამის და ელისაბედ დედოფლის კეთილგანწყობის მოპოვებას და მფარველობს ქართლის მეფეებზე განაწყენებულ რუსეთში ჩასულ ქართველებს; როგორც

[432] ჟორდანია თ. "ანტონ I ..." ჟ. საღვთისმეტყველო კრ. თბ. 1991 წ. N1. გვ. 89.

ვხედავთ და როგორც თ. ჟორდანიას მიაჩნია, მოცემულ პირობებში დიდი, ძალიან დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა ვის მხარეს იქნებოდა რუსეთში ჩასული ყოფილი კათალიკოსი ანტონ ბაგრატიონი. ამდენად, ყურადღებას იმსახურებს მეფე თეიმურაზის ანტონისადმი მიწერილი ბარათი, რომლის ტექსტის ფრაგმენტსაც საგანგებოდ მოვიყვანთ: "ბატონის მეფისაგან კათალიკოსთან მიწერილი. მაგათის ჯეროვან გონებიან გაბრწყინვებულის, თავის გვერთ-ხლების დიდად-უზომო მონატრე, ბიძა თქვენი – მეფე თეიმურაზ მოგახსენებთ, ჩვენო ღმრთის წყალობავ დისწულო და მეფის ძევ, ბატონო კათალიკოზ-პატრიარქო, მრავალ მაგათის მსასოებლის და ორისავე სოფლის დიდად სიქადულის და ქრისტეს მეუფისაგან სამართალად შეყვარებულის თავისი საკადრისი მოკითხვა და ნათლით შემოსილის მარჯვენეს მთხვევა მოგვიხსენებია".[433]

თ. ჟორდანია აღნიშნული საკითხის შესახებ წერს: "ძნელი წარმოსადგენი არ არის, როგორ გაუხარდებოდა ბატონიშვილს (ალექსანდრეს – ქ.ნ.) საქართველოდან გაძევებული პატრიარქის ავტორიტეტული პიროვნების ხილვა მოსკოვში. მითუმეტეს, ანტონი ხომ მისი ნათესავი და სამეფო გვარის წარმომადგენელი იყო. ბატონიშვილი შეეცადა, რაც შეიძლება მეტი სარგებლობა მიეღო გაძევებული პატრიარქისაგან".[434] სავსებით სამართლიანია თ. ჟორდანიას აზრი.

თ. ჟორდანია არა მარტო იზიარებს აზრს, რომ მეფეებს _ ერეკლესა და თეიმურაზს _ პრორუსული პოლიტიკის წარმოებას აიძულებდა სამეფო გვარის რუსეთში მყოფი ტახტის მაძიებელი დიასპორის, საქართველოს მეფეებისადმი მტრული განწყობილება, არამედ იგი ფიქრობს, რომ ამ გარემოებამ დააჩქარა გეორგიევსკის ტრაქტატის დადება: "რუსეთის სამეფო კარის დიდი პარტიის დახმარებით შეიჭრა ალექსანდრე საქართველოში. ბატონიშვილმა ერეკლეს

---

[433] ქავთარია მიხ. "XVIII ს. ქართული საზოგადოებრივი აზრის ისტორიიდან", 1977წ. გვ.45.
[434] ჟორდანია თ. "ანტონ I ..." ჟ. საღვთისმეტყველო კრ., 1991 წ. გვ. 13.

წინააღმდეგ ბრძოლაში მოიმხრო კახეთის თავადები, იმერეთის მეფე, ახალციხისა და დაღესტნის ხანები, სპარსელები და მთიელები, რითაც დიდი ზარალი მიაყენა საქართველოს, მხოლოდ 1783 წლის ტრაქტატის შემდეგ შეიპყრო რუსეთის მთავრობამ მოუსვენარი მეამბოხე" _ წერს თ.ჟორდანია.

რა თქმა უნდა, ალექსანდრე ბატონიშვილისა და ქართლის ტახტის შენარჩუნების საკითხი ერეკლეს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებაში ერთადერთი არ ყოფილა და იგი მრავალი მოვლენით იყო განპირობებული; მაგრამ ამ ფაქტმაც გარკვეული როლი შეასრულა და ერეკლეს რუსეთის საიმპერატორო კარის მიერ შემოთავაზებული მფარველობის ოფიციალურად თხოვნა გადააწყვეტინა. ეს, რომ ასეა, იქიდანაც ჩანს, რომ ქართლ-კახეთის კარზე შემუშავებული და 1782 წ. 21 დეკემბრით დათარიღებულ შესაბამის დოკუმენტში, ქართლის ტახტისა და ალექსანდრე ბაქარის ძის საკითხს ერთ-ერთი ცენტრალური ადგილი უკავია. ერეკლეს მიერ ხელმოწერილ თხოვნაში, ერთი მხრივ, დასაბუთებულია ერეკლეს ოჯახის კანონიერი უფლებები ქართლის ტახტზე, ხოლო მეორე მხრივ, დასმულია აღნიშნული პრობლემის საბოლოოდ გადაწყვეტის საკითხი.[435]

ანტონ პირველი არ იყო მხოლოდ კათალიკოსი ან ყოფილი კათალიკოსი. იგი ამავე დროს იყო მნიშვნელოვანი პოლიტიკური ფიგურა. ვფიქრობთ, სწორედ ეს ფაქტი განსაზღვრავდა მის სამსახურეობრივ კარიერას თუ პირად ცხოვრებას. მისადმი საქართველოს მეფის ტახტის მაძიებელი მემკვიდრეების თუ რუსეთის ხელისუფლების დამოკიდებულებას. მიუხედავად იმისა, რომ რუსეთის დაინტერესებულმა წრეებმა კარგად იცოდნენ ანტონის "კათოლიკობის" შესახებ, იგი რუსეთში მაინც პატივით მიიღეს: თ. ჟორდანიას აზრით, ეს მოხდა ალექსანდრე ბაგრატიონის შუამდგომლობით, რომელსაც დიდი გავლენა ჰქონდა სასახლეში". "ანტონი ადვილად აღმოჩნდა

[435] სამსონაძე მ. "საქართველოს გაერთიანების პრობლემა და საგარეო ორიენტაცია XVIII ს-ში", თბ. 1988, გვ. 22.

ალექსანდრეს ხელში..., ვინაიდან მხოლოდ ასეთი გავლენიანი პირის მეშვეობით შეეძლო დამხობილ პატრიარქს თავისი საქმეების მოგვარება”.[436] ამგვარი თვალსაზრისი მიუღებელია. საქმე უფრო რთულ პოლიტიკურ ვითარებასთან გვაქვს, ვიდრე ეს მეტად მარტივად წარმოუდგენია თ. ჟორდანიას.

რუსეთის მთავრობას ალექსანდე ბატონიშვილი თავისი მიზნებისათვის ესაჭიროებოდა (რაზედაც უკვე გვქონდა საუბარი). რუსულმა დიპლომატიამ ჯერჯერობით არჩია ანტონი ალექსანდრე ბატონიშვილის ბანაკში ყოფილიყო. ასეთი გაერთიანებით სურდა ზემოქმედება მოეხდინა ქართველ მეფეებზე, თუ ისინი საქართველოში რუსეთის პოლიტიკის გატარებას არ შეეცდებოდნენ. რუსეთის მთავრობას ანტონის სახით ხელს აძლევდა მორჩილი ქართველი საეკლესიო მოღვაწე, მითუმეტეს თუ ანტონი შემდგომში კვლავ კათალიკოსად დაბრუნდებოდა საქართველოში, რაც მართლაც მოხდა.

კვლავ გვინდა გავიმეოროთ, რომ პატრიარქი ქვეყნის ცხოვრებაში პოლიტიკური ფიგურა იყო და მის პოლიტიკურ ორიენტაციას, საგარეო თუ საშინაო პოლიტიკაში, საკმაოდ დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა. შემთხვევით ხომ არ მომხდარა, როცა ნადირ-შაჰმა ანტონ პირველს საპატრიარქო ტახტზე დამტკიცებისას საგანგებო სიგელი გამოუგზავნა, სადაც წერდა: «... каталикось Грузои скончался и народъ въ общемъ собранои удостоиваеть въ этотъ санъ. Первопреосвященного Антоноя, племянника по сестре его высочества, которымъ, по познаноямъ всехъ догматовъ, христоанской религои и по первенству между духовенствомъ, все довольны и благодарны и просять за него ходайства, почему, согласно просьбе помянутаго хана и всехъ жителей Грузои, возводя преосвященнаго Антоноя, съ первой половины сего Мышинаго года, въ высокои санъ католикоса, назначиль я ему, по примеру прежнихъ католикосов ежегодно по 1,000 монеть надирскихъ... По возведенои его въ настоящой сань,

[436] ჟორდანია თ. “ანტონ I ...” ჟ. საღვთისმეტყველო კრ., 1991 წ. N1, გვ. 93.

онъ долженъ приличнымъ образомъ пасти свое стадо, по тамошнимъ обрядамъ и обыкновеноямъ, къ общему удовольствою жителей, а о благоденствои и вечности двора нашего молитъся».[437]

გასაგებია, რომ სპარსეთის შაჰს არ აინტერესებდა ანტონის მიერ არც დოგმატების ცოდნა და არც მისდამი ვინმეს შუამდგომლობა. შაჰს სურდა ქართველი პატრიარქი ქვეყნის იმ პოლიტიკური ხაზის გამტარებელი ყოფილიყო, რაც გულისხმობდა საქართველოს ქვეშევრდომულ დამოკიდებულებას სპარსეთის სახელმწიფოსადმი. ამიტომ უნიშნავდა ჯამაგირს. სიგელის ბოლო სტრიქონი უფრო შეფარული ბრძანებაა, ვიდრე სურვილი. შაჰი მიმართავს ახლად არჩეულს ღირსეულად მწყსოს სამწყსო, როგორც ამას მოითხოვს წესი და ჩვეულება. წესში, ჩვეულებაში ნამდვილად იგულისხმება სპარსეთთან საქართველოს დამოკიდებულების "ტრადიციის" დაცვა და ავალებს «а о благоденствой и вечности двора нашего молиться». ბუნებრივია, საქართველოთი დაინტერესებული რუსეთის მთავრობა ისეთივე ინტერესს გამოიჩენდა ანტონის მიმართ, როგორსაც სპარსეთის შაჰი. რუსეთში ყოფილი ქართველი პატრიარქის მდგომარეობას უფრო მეტად განაპირობებდა რუსეთის პოლიტიკური ინტერესები და არა ბატონიშვილი ალექსანდრეს წარდგინება რუსეთის მთავრობის წინაშე. ასე, რომ თ. ჟორდანიას აზრი თითქოს ალექსანდრე ბატონიშვილი "თავისის გავლენით სასახლეში და უფრო სახელმწიფო კაცებთან, ყოველთვის მეფეების მოციქულებს სხვაგვარ მიმართულებას აძლევდა" _ ერთი შეხედვით მართებულია, მაგრამ ზედაპირული. თვით ალექსანდრეც იმდენად იყო მიღებული და დაფასებული რუსეთის დიპლომატიური წრეების მიერ, რამდენადაც იგი გამოსადეგი იქნებოდა საქართველოში რუსული პოლიტიკის გატარებისათვის. ასეთივე კრიტერიუმით ფასდებოდა რუსეთის საგანგებო წრეების ყურადღება ანტონის მიმართაც. ჟორდანიას კი მიაჩნია, რომ სწორედ ალექსანდრეს წარდგინებით,

---

[437] Акты собранные Кавказскою Археографическою коммиссіею, томъ I, подъ редакціею Ад. Берже; Тифлись, 1866 г., томъ I., gv. 74.

ანტონი “სათნოყოფით” მიიღო დედოფალმა და სინოდმა. მართლაც, არც ერთს და არც მეორეს საგანგებო ყურადღება არ გაუმახვილებია, მართლმადიდებლობისათვის მის მიერ ღალატის თაობაზე. თუ საქართველოს მეფე (იგულისხმება ქართლ-კახეთი – ქ.ნ.) თანხმობას განაცხადებდა რუსეთის მიერ შეთავაზებულ ურთიერთობაზე, მაშინ ალექსანდრეს და მისი გარემოცვის პოლიტიკური მნიშვნელობაც ფასს კარგავდა რუსული დიპლომატიისათვის. რაც, როგორც ზემოთ მოვიხსენიეთ, ალექსანდრეს მიმართ სავსებით დაადასტურა რუსეთ-საქართველოს შორის 1783 წლის გეორგიევსკის ტრაქტატის გაფორმების შემდგომმა მოვლენებმა. სამეცნიერო ლიტერატურაში ცნობილია, რომ ანტონმა მოახერხა თავი ემართლებინა რუსეთის სინოდის წინაშე, რადგან დიდი თანადგომა ალექსანდრე ბატონიშვილმა გაუწია. ნამდვილად კი, აუცილებლად გასათვალისწინებელია ერთი გარემოება. ანტონ პირველი, როგორც მნიშვნელოვანი პოლიტიკური ფიგურა სჭირდებოდა რუსულ დიპლომატიას; ამიტომ სინოდმა თვალი აარიდა მის “მწვალებლობას”. უფრო მეტიც, იგი 1757 წელს ვლადიმირის ეპარქიის არქიეპისკოპოსად დაინიშნა. ეს დიდი თანამდებობა იყო. რუსეთში 1759 წლის ცნობით მხოლოდ ოთხი არქიეპისკოპოსია.

ანტონმა ამ თანამდებობაზე 1762 წლამდე დაჰყო, რის შემდეგაც ერეკლე მეორის მოწვევით საქართველოში საკათალიკოსო ტახტზე დაბრუნდა. სამეცნიერო ლიტერატურაში (ამის შესახებ გვქონდა საუბარი – ქ.ნ.) მიღებულია აზრი, რომ ანტონი თეიმურაზის პირად ინტერესებს შეეწირა, ხოლო ერეკლეს არ ეყო ძალა მამიდაშვილი დაეცვა. ერეკლემ წადილი მამის გარდაცვალების შემდეგ აისრულა. არის მოსაზრებაც, რომ “ანას (ბატონიშვილი – ქ.ნ.) დიდი ღვაწლითა და სურვილით დააბრუნა ერეკლემ ანტონი საქართველოში”.[438]

---

[438] ძოწენიძე ლ. გუგუშვილი მ. ანტონ კათალიკოსის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ზოგიერთი საკითხი”, ჟ. “საღვთისმეტყველო კრ.” თბ. 1991 წ. N1. გვ. 135.

ჩვენ ზემოთ უკვე აღვნიშნეთ და ახლაც ვიმეორებთ, რომ კათალიკოსი იმდენად მნიშვნელოვანი პოლიტიკური ფიგურაა ქვეყნის ცხოვრებაში, რომ მისი გადაყენება ან დანიშვნა არ შეიძლება გამოწვეული იყოს, მხოლოდ პიროვნების ნება-სურვილით, თუნდაც ეს პიროვნება მეფე ან სამეფო კარის წარმომადგენელი იყოს. მით უფრო, როდესაც საქმე ანტონ ბაგრატიონისნაირ რთული ბიოგრაფიის მქონე პიროვნებას ეხება. ამდენად, ჩემი აზრით ანტონის დაბრუნება საკათალიკოსო ტახტზე უნდა მომხდარიყო რუსეთ-საქართველოს სათანადო უწყებების თანხმობის საფუძველზე. ანტონი სასურველი პიროვნება იყო ერეკლე მეორესათვის (ამას ადასტურებს ეპისტოლარული მემკვიდრეობაც), ხოლო რუსეთი საქართველოს კათალიკოსის ტახტზე ვლადიმირის ეპარქიის არქიეპისკოპოსს აგზავნიდა.

როგორც ჩანს, რუსეთში ანტონი დარწმუნდა, რომ მის ევროპულ ორიენტაციას პოლიტიკური მომავალი არ გააჩნდა, რამაც აიძულა პრორუსული მსოფლმხედველობა გაეზიარებინა. ანტონის შემდგომი მოღვაწეობა (1762 წლიდან) სწორედ ამის დამადასტურებელია.[439]

1772 წელს ერეკლე მეორემ ანტონი საგანგებო მისიით გააგზავნა რუსეთში, სადაც მისი მონაწილეობით მომზადდა ნიადაგი 1783 წლის ტრაქტატისათვის. ვფიქრობ, ზედმეტი არ იქნება ასეთი დასკვნა: რუსული პოლიტიკური სინამდვილის გაცნობის შემდეგ ანტონი იძულებული გახდა უარი ეთქვა ევროპულ ორიენტაციაზე, რამაც მას კვლავ გაუხსნა გზა, როგორც კათალიკოსის ტახტისკენ, ისე რუსეთ-საქართველოს შორის წარმოებულ დიდ პოლიტიკაში მონაწილეობისათვის... ეს თეზისი ყრუდ, მაგრამ მაინც ისმის თ. ჟორდანიას ნააზრევში. ასეთი ფაქტის მიზეზი სავსებით გასაგებია. თ. ჟორდანიას სურს მკითხველს მიახვედროს თავისი აზრი, მაგრამ ცენზურის მკაცრ პირობებში არ შეუძლია პოლიტიკური თემების აშკარა წარმოჩენა, მით უფრო რომ ნაშრომი რუსულ ენაზე დაისტამბა.

---

[439] ჟორდანია თ. "ანტონ პირველი საქართველოს კათალიკოსი და მთავარეპისკოპოსი ვლადიმირისა და იეროპოლისა". ჟ. "საისტორიო მოამბე" (გაგრძელება) 1997წ. N69-70.

გარდა ზემოთქმულისა, თ. ჟორდანიას ნაშრომში აღწერილი აქვს ანტონ ბაგრატიონის წარმატებული მოღვაწეობა საეკლესიო მმართველობის სფეროში, მისი ზრუნვა ქრისტიანობის გასავრცელებლად საქართველოს საზღვრებს გარეთ, ნაჩვენები აქვს თავდაუზოგავი შრომა და კათალიკოსის დიდი მისწრაფება ქართული სასულიერო განათლების განვითარებისთვის. საერთოდ, მკვლევარი ანტონ პირველის მოღვაწეობის შესახებ აღფრთოვანებით საუბრობს. მიაჩნია, რომ მან საქართველოს ეკლესიის ხანგრძლივი წინამძღვრობის პერიოდში ღრმა კვალი დატოვა ერის სულიერი ცხოვრების ყველა სფეროში. "ქართული ეკლესია დავალებულია ანტონ პირველისგან იმ უდიდესი ლიტერატურული და სამეცნიერო შემოქმედებით, რომელიც მან შთამომავლობას დაუტოვა. ანტონის შემოქმედებითი მოღვაწეობა მოიცავდა სხვადასხვა სფეროს. კათალიკოსი წერდა და თარგმნიდა ფილოსოფიურ ტრაქტატებს, საღვთისმეტყველო სისტემებს, საეკლესიო ისტორიულ გამოკვლევებს, გეოგრაფიას, ფიზიკას, ლოგიკას. მისი შრომების ერთი ნაწილი ემსახურებოდა სემინარიის დაარსებას, მეორე კი, მიზანს, შეევსო და გაეძლიერებინა სასულიერო ლიტერატურა. ანტონის ორიგინალურ და ნათარგმნ ლიტერატურაზე ხანგრძლივად შეიძლება საუბარი... ანტონი დიდ ენერგიას ხარჯავდა ეკლესიის მართვაში და ეწეოდა პედაგოგიურ მოღვაწეობას. მას უდიდესი ღვაწლი მიუძღვის ქრისტიანობის გავრცელებასა და განმტკიცებაში, როგორც საქართველოში, ისე მის ფარგლებს გარეთ. ტაძრების გამრავლებასა და ეკლესიების გამდიდრებაში; ღვთისმსახურების სწორად დამკვიდრებაში, სტამბის გახსნასა და სასულიერო წიგნების ბეჭდვის საქმეში...

ყოველივე ამის გათვალისწინებით, ანტონ კათალიკოსის პიროვნება უფრო მეტი სიდიადითა და ბრწყინვალებით ჩანს ჩვენს წინაშე" _ წერს იგი.[440]

---

[440] ჟორდანია თ. "ანტონ I ..." (გაგრძელება) ჟ. "საისტორიო მოამბე" თბ. 1997 წ. N69-70. გვ. 153-154.

ანტონ კათალიკოსის ცხოვრებისა და მოღვაწეობისადმი მიძღვნილი პირველი ნაშრომი, თ. ჟორდანიას მიერ სანდო წყაროებზე დაყრდნობით არის შესრულებული. გამოყენებულია საქართველო _ იმერეთის სინოდალური კანტორის გუჯრები, თბილისის საეკლესიო მუზეუმის ხელნაწერები, ამავე მუზეუმის ბიბლიოთეკის ხელნაწერთა კატალოგი, ძველი თბილისის აღწერილობა, «переписка иностран. государ. съ Рос. Государством», Бутков «Матероалы для новой исторои Кавказа», Акты кавказской Арх. комиссии, წმინდა სინოდის არქივი და სხვ. ნაშრომში თეიმურაზ-ერეკლეს მოღვაწეობის პერიოდის მრავალი საკითხია წინ წამოწეული. ბუნებრივია, ყველაფრის განხილვა ჩვენ ვერ შევძელით, მაგრამ გვინდა აღვნიშნოთ, რომ მკვლევრები, რომლებიც XVIII ს. 50-60ანი წლების საქართველოს ისტორიას იკვლევენ, სასურველი იქნება გაეცნონ აღნიშნულ ნაშრომს.[441]

ზემოთ წარმოდგენილი მასალის მიხედვით შეიძლება გაკეთდეს დასკვნა: თ.ჟორდანია არის ისტორიკოსი, რომელიც ხედავს საკითხის მონოგრაფიულად შესწავლის აუცილებლობას და ცდილობს ამ ჩანაფიქრის განხორციელებას. მართალია, მისი მიზანი კონკრეტულია, გადმოსცეს ერთი ისტორიული პირის ცხოვრება და მოღვაწეობა, მაგრამ თხრობას ზედმეტად მრავალფეროვანს ხდის: მას იტაცებს ეპოქის სხვადასხვა პრობლემები, დიდ ადგილს უთმობს იმ პირთა დახასიათებას, რომელთა მოღვაწეობაც გარკვეული კუთხით დაკავშირებულია მთავარ "პერსონაჟთან". ამის გამო კი, ვფიქრობ, ნაშრომში ძირითადი შედარებით უფერულდება და მას მონოგრაფიისთვის დამახასიათებელი სიღრმე აკლდება. თუმცა უნდა აღინიშნოს ერთი: რადგან მკვლევრის სამივე ნაშრომი XVIII საუკუნის საქართველოს ისტორიის განსხვავებული პერიოდების გადმოცემას ემსახურება, სახეზეა ავტორის მიერ ეპოქის მონოგრაფიულად შესწავლის მცდელობაც. აგრეთვე, თხრობის ამგვარი

---

[441] მაგ. თ. ჟორდანიას ძალიან საინტერესო მასალა აქვს მოცემული ზ. გაბაშვილისა და მისი ჯგუფის ბრძოლის შესახებ ანტონის წინააღმდეგ 1762 წლის შემდგომ პერიოდში. იხ. "საისტორიო მოამბე", 1997 წ. N69-70.

მეთოდის გამო ნაშრომები სხვადასხვა საკითხების შესახებ, მრავალ საინტერესო ცნობას შეიცავს.

გარდა ამისა, ვფიქრობ ჩემ მიერ ზემოთ წარმოჩენილი თ. ჟორდანიასეული დამოკიდებულება განსახილველი საკითხებისადმი, გვაძლევს უფლებას ვთქვათ: თ. ჟორდანია, როგორც ისტორიკოსი არა მხოლოდ აღწერს, მოგვითხრობს ისტორიას, არამედ ფაქტებზე დაყრდნობით ერკვევა მოვლენებში, მათ შორის ეძებს მიზეზ-შედეგობრივ კავშირებს, ახდენს მის ხელთ არსებული წყაროების გაანალიზებით ფაქტების დაზუსტებას და იმდროინდელი პოლიტიკური გადაწყვეტილებების რეკონსტრუირებას. ყველაფერი ეს კი მას XIX საუკუნის ახალი თაობის იმ ისტორიკოსთა რიგში აყენებს, რომელთაც ხელი შეუწყვეს ისტორიის, როგორც მეცნიერების წინსვლასა და განვითარებას.

დასკვნა

XIX საუკუნის მეორე ნახევრის ქართველ ისტორიკოსთა შორის მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს თევდორე დავითის ძე ჟორდანიას (1853-1916 წ.წ.). მისი, როგორც მეცნიერის, ვინაობა დღემდე საქართველოს ისტორიის მკვლევართა ვიწრო წრისათვის არის ცნობილი, რადგან თ. ჟორდანიას ცხოვრებისა და შემოქმედების შესახებ პერიოდულ პრესაში, მხოლოდ მოკლე ინფორმაციის შემცველი სტატიებია დაბეჭდილი.

თ. ჟორდანიამ თბილისის სასულიერო სასწავლებლის ზედამხედველად მუშაობის დროს, 1882 წელს შეადგინა პროექტი, რის საფუძველზეც ყველა სასულიერო სასწავლებელში ქართული ენის კათედრა გაიხსნა. ამ ფაქტს დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, რადგან სასწავლებლებში სწავლება რუსულ ენაზე მიმდინარეობდა და მშობლიური ენა და ლიტერატურა შტატგარეშე დისციპლინებად ითვლებოდა. კათედრის გახსნით კი მათი სწავლება გაფართოვდა. ამის სანაცვლოდ პროექტის ავტორმა თანამდებობა დაკარგა. იგი თბილისის სასულიერო სემინარიაში მასწავლებლად გადაიყვანეს. მისი ძალისხმევის შედეგად სემინარიაში 1885 წელს ქართული ენისა და ქართული ეკლესიის ისტორიის კათედრა დაარსდა, რომლის ხელმძღვანელიც თვითონვე გახდა. ამის მიღწევა საკმაოდ რთული და მნიშვნელოვანი მოვლენა იყო, რადგან სამინისტროს სისტემის სასწავლებლებში იგივე უფლებების მოპოვებისათვის თბილისის გუბერნიის თავადაზნაურობის კრებამ იშუამდგომლა მთავრობის წინაშე, მაგრამ უშედეგოდ. თ. ჟორდანიამ დაწერა ქართული ენის გრამატიკა, რის საფუძველზეც სემინარიაში ქართული ენის სრული კურსით სწავლება და პროგრამის გაფართოება შესძლო. იგი, 1894 წელს დაინიშნა კომისიის წევრად, რომელსაც საეკლესიო-სამრევლო სკოლებისათვის სასწავლო პროგრამები უნდა შეემუშავებინა. მან შეადგინა გეგმა, რომელშიც ქართულ ენას თვითოეულ განყოფილებაში დათმობილი ჰქონდა 12 გაკვეთილი, რუსულ ენას 6. მისი მონდომებით სინოდმა აღნიშნული გეგმა დაამტკიცა. შესაბამისად, ეს სასწავლო გეგმა სამეგრელოს რეგიონზეც გავრცელდა, რაც ასევე ძალიან მნიშვნელოვანია. იმერეთის ეპარქიის სამრევლო სკოლების ზედამხედველად მუშაობის პერიოდში, 1905 წელს დანიშნეს კომისიის თავმჯდომარედ, რომელსაც დაევალა საეგზარქოსოს სკოლების გარდაქმნისათვის ახალი პროექტის შემუშავება. თ. ჟორდანიამ წარადგინა გეგმა, რომლის მიხედვით იმერეთის სამრევლო სკოლებში მშობლიურ ენას სრული პროგრამით ასწავლიდნენ, ხოლო სვანეთის სკოლებში აღსდგა ქართული ენის სწავლება (გაუქმეს 1903 წ.).

თ.ჟორდანია თავისი მოღვაწეობით ხელს უწყობდა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის აღორძინებას. ილია ჭავჭავაძე დიდად აფასებდა მის თავდადებულ შრომას. იგი აქტიურად თანამშრომლობდა "ივერიაში". "ეგრის" ფსევდონიმით აქვეყნებდა წერილებს ისტორიულ თემებზე. ქვეყნის ისტორიის შესწავლაში ხედავდა ახალი თაობის პატრიოტული სულისკვეთებით აღზრდის საუკეთესო საშუალებას. ქვეყნის ისტორიის გაცნობა კი იმდროინდელი ახალგაზრდობისათვის დიდ ფუფუნებას წარმოადგენდა, ქვეყანაში არსებული კოლონიური რეჟიმის გამო. თ. ჟორდანიას წერილებს მხატვრულობის ელფერი დაკრავთ და მათში ჰეროიზმის ნოტები ისმის. ეს გასაგებია, რადგან ავტორის მიზანია ფართო საზოგადოებას გააცნოს და შეაყვაროს სამშობლოს ისტორია.

თ. ჟორდანიას მსოფლმხედველობის განმსაზღვრელი მშობლიური ნიადაგია. მის ნაღვაწს დიდ ზემოქმედებით ძალას ანიჭებს სამშობლოს წარსული ისტორიის, თავისი ხალხის ტრადიციების ცოდნა. მისთვის უცხოა პარტიულობა. მისი ყველაზე მაღალი იდეალი სამშობლოს ინტერესებია, რომლის დასაცავად საკუთარი პროგრამაც გააჩნია.

თ. ჟორდანია ეროვნული თვითშეგნების, ეროვნული კულტურის შესანარჩუნებლად, ერთ-ერთ უპირველეს პირობად ზნე-ჩვეულებების დაცვა-გაფრთხილებას მიიჩნევს. იგი წინააღმდეგია უცხოურიდან საქართველოს სინამდვილისათვის შეუფერებელი საზოგადოებრივი მოვლენების მექანიკურად გადმოტანა-"შემოღებისა".

თ. ჟორდანიას თავისი სამეცნიერო მოღვაწეობის უპირველეს მიზნად, ქართული წყაროთმცოდნეობითი ბაზის შექმნა მიაჩნდა, რადგან კარგად იცოდა, რომ საისტორიო მეცნიერების ძირითად დასაყრდენს წყაროდან ამოკრეფილი ფაქტები წარმოადგენს. მან ამ მიმართულებით დიდი მუშაობა გასწია და მნიშვნელოვანი შრომები დატოვა, მრავალი ისტორიული ძეგლი გამოსცა პირველად.

თ. ჟორდანია სამსახურეობრივი მოვალეობის შესრულების გამო საქართველოს სხვადასხვა კუთხეში მოგზაურობის დროს აგროვებდა ხელნაწერებს, იწერდა ლაპიდარულ, ჭედურ და ფრესკულ წარწერებს. ეძებდა მივიწყებულ და უცნობ ეკლესიებს, აღწერდა მათ. ამის დამადასტურებელია მოგროვებული მასალების შესახებ იმდროინდელი პერიოდული პრესის ფურცლებზე დაბეჭდილი წერილები. მის პირად არქივში ინახება უბის წიგნაკები, სადაც აღწერილია მისი "არქეოლოგიური მოგზაურობანი" ქართლში, გურიაში, იმერეთში, სამეგრელოსა და კახეთში. უბის წიგნაკებში შეტანილია ხელნაწერები, ხელნაწერების ქრონიკალური მინაწერები, გენეალოგიური ცნობები, გუჯრები, ეკლესიების სიძველეთა აღწერილობები, საფლავის ქვების წარწერები და სხვ. ჩამოთვლილი მასალა მას შესწავლილი აქვს ეკლესია-მონასტრებში, ოჯახებში, წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებასა და თბილისის საეკლესიო მუზეუმის საცავებში.

სწორედ ამგვარმა სამუშაომ დაუდო საფუძველი იმ დიდი და შრომატევადი საქმის შესრულებას, რასაც "ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა და მწერლობისა" (სამ წიგნად) გამოცემა ჰქვია. აღნიშნული შრომა დღესაც ფასდაუდებელ სამსახურს უწევს ქართულ ისტორიოგრაფიას.

თ.ჟორდანია გარდა არქეოგრაფიული საქმიანობისა, წყაროთმცოდნეობითი კვლევითაც იყო დაკავებული. დიდ ინტერესს იწვევს მეცნიერის წყაროზე მუშაობის მეთოდი, რომელიც კარგად ვლინდება მისი გამოკვლევის განხილვის შედეგად, "ქართლის ცხოვრების" შესახებ: რადგან ისტორიკოსმა საგანგებო ყურადღება დაუთმო "ქართლის ცხოვრებაში" აღწერილი მოვლენების შესწავლას, გამოიყენა სხვადასხვა წყაროები აქ აღნიშნული ფაქტების დასაზუსტებლად, ეცადა თვითოეული მატიანის დათარიღებას და სანდოობის წარმოჩენას, იზრუნა მატიანეთა ჟანრობრივი ხასიათის განსაზღვრაზე და მათი ავტორების ვინაობის დადგენაზე, იმსჯელა მატიანეების კრებულში შეტანის დროის შესახებ და შეეცადა დაედგინა

კრებულის შედგენის დრო, თამამად შეიძლება ითქვას: თ.ჟორდანია, როგორც წყაროთმცოდნე არ კმაყოფილდება ძეგლის გარეგანი კრიტიკით. იგი იყენებს მეთოდებს, რომლებიც საშუალებას აძლევს ჩაატაროს წყაროს შინაგანი ანუ ანალიზური კრიტიკა.

ამრიგად, თ.ჟორდანიას მოღვაწეობის პერიოდში, როდესაც შემუშავებული არ იყო წერილობითი წყაროების მეცნიერული ანალიზის მეთოდიკა, ძეგლის შესწავლისათვის ამგვარი ხერხების გამოყენება უდაოდ წინ გადადგმულ ნაბიჯად უნდა მივიჩნიოთ.

საგანგებო ყურადღების საგანია ის ფაქტი, რომ თ. ჟორდანიას საქართველოს ისტორიის რიგი საკითხების კვლევისას, ბევრი ისეთი რამ აქვს შენიშნული, რის თაობაზეც მანამდე არც ერთი მკვლევარი არ დაფიქრებულა. დღევანდელი ქართული ისტორიოგრაფია იზიარებს თ. ჟორდანიასეულ მეცნიერულ დასკვნებს, მაგრამ მის დამსახურებას ხშირ შემთხვევაში არ აღნიშნავენ.

თ. ჟორდანიამ პირველმა ქართულ ისტორიოგრაფიაში, შეისწავლა "ქართლის ცხოვრების" სტრუქტურული შემადგენლობა და ბევრი გასაზიარებელი მოსაზრება გამოთქვა. მან პირველად დასვა საკითხი იმის თაობაზე, თუ რა ეკუთვნის "ქართლის ცხოვრების" ბიბლიოგრაფიულ მინაწერებში დასახელებულ ჯუანშერს და რა ლეონტი მროველს. მისთვის ლეონტი მროველი გადამწერი, რედაქტორ ან რედაქტორ-გადამკეთებელია. ამავე აზრისანი არიან ისტორიკოსები: ს. კაკაბაძე, ვ. გოილაძე, შ. ბადრიძე; ხოლო ჯუანშერი VIII საუკუნის მოღვაწედ მიიჩნია. ასევე ფიქრობენ გ. ანჩაბაძე, ს. კაკაბაძე, მ. სანაძე, ნ. ჯანაშია. იგი თვლის, რომ ვახტანგ გორგასლის ცხოვრება და დაჩიდან-არჩილამდე პერიოდი სხვადასხვა ავტორის მიერ არის დაწერილი. ამ თვალსაზრისზე დგას დღეს ე. ხოშტარია-ბროსე.

ტექსტოლოგიური შედარების საფუძველზე თ. ჟორდანიამ პირველად გამოთქვა მოსაზრება "მატიანე ქართლისაჲ"-ს (თ. ჟორდანიას მიხედვით მეშვიდე მატიანე) და "ცხოვრება და უწყება ბაგრატონიანთას" მსგავსების

შესახებ. ეს უკანასკნელი მან “მატიანე ქართლისაჲ”-ს წყაროდ მიიჩნია. მისგან დამოუკიდებლად ამავე დასკვნამდე მივიდა გ. გელაშვილი. ჟორდანიასეული დავით აღმაშენებლის ისტორიის დაწერის თარიღი, გაიზიარეს და თავის მხრივ განამტკიცეს ა. ბოგვერაძემ და რ. მეტრეველმა.

თ. ჟორდანიამ ისტორიოგრაფაში პირველმა შეისწავლა მონღოლთა პერიოდის ამსახველი მემატიანის თხზულება და მას “ასწლოვანი მატიანე” უწოდა. სწორედ ამ სათაურით იქნა გამოცემული თხზულება ცალკე წიგნად რ. კიკნაძის მიერ.

თ. ჟორდანიამ ქართული ეკლესიის ისტორიის შესწავლისათვის საკმაოდ სერიოზული შრომა გასწია. შექმნა, როგორც წყაროთმცოდნეობითი ბაზა, ასევე საყურადღებო ნაშრომები ავტოკეფალიისა და აფხაზთა კათალიკოსების შესახებ. მას გამოქვეყნებული აქვს ჯრუჭის, მღვიმევის, კაცხის, მარტვილის, შიომღვიმის მონასტრების; გელათის, ხონის, ქვათახევის, ცაიშის ეკლესიების ბიბლიოთეკებისა და სიძველეთა საცავების, სიწმინდეების აღწერილობები. ბევრი სიგელ-გუჯარი, სახარება, გულანი და სხვა ხელნაწერები მის მიერ არის შესწავლილი და დათარიღებული.

მეცნიერმა საინტერესო მოსაზრებები გამოთქვა ქართლის გაქრისტიანების, ქართლის ეკლესიის იერარქიული მდგომარეობისა და ავტოკეფალიის მოპოვების შესახებ, რომლებიც თავმოყრილია ნაშრომში “Краткія историческія сведенія об автокефалии Грузинской церкви” (1905 г.). თ. ჟორდანია თვლის, რომ ქრისტიანობის გამოცხადება სახელმწიფო რელიგიად, განპირობებული იყო საგარეო-პოლიტიკური ორიენტაციითაც. ეს თვალსაზრისი გაზიარებულია ქართულ ისტორიოგრაფიაში. ქართულ ისტორიულ წყაროებში არსებული ცნობებისა და მსოფლიო ისტორიაში დადგენილი ფაქტების ურთიერთშეჯერებით მკვლევარმა მეფისა და ხალხის მოქცევა ქრისტეს სჯულზე განსაზღვრა 323 წლით, ხოლო სამღვდელოების ჩამოსვლა იმპერიიდან საეკლესიო მმართველობის ჩამოსაყალიბებლად 326

წლით. ეს თარიღები ინარჩუნებენ არსებობის უფლებას, რადგან ისტორიოგრაფიაში მათ დღემდე ჰყავს მხარდამჭერები.

თ. ჟორდანიამ წყაროთა ანალიზის საფუძველზე აჩვენა, რომ დღიდან დაარსებისა ქართული ეკლესია იერარქიულად ექვემდებარებოდა ანტიოქიის საპატრიარქოს და შემდეგ ამ უკანასკნელისაგან მიიღო ავტოკეფალია. ეს თვალსაზრისი დღეს ქართველ და უცხოელ ისტორიკოსთა უმრავლესობის მიერ გაზიარებულია.

თ. ჟორდანია ავტოკეფალიის საკითხთან დაკავშირებით არსებული წყაროების განხილვის საფუძველზე მივიდა დასკვნამდე, რომ ქართლის ეკლესიამ V საუკუნეში (488 წ.) მოიპოვა არასრული ავტოკეფალია, ხოლო VIII საუკუნეში სრული დამოუკიდებლობა, ნომინალური ვალდებულებების შენარჩუნებით XI საუკუნემდე, ანტიოქიის საპატრიარქოს მიმართ. ასეთივე დამოკიდებულების არიან საკითხის შესახებ ისტორიკოსთა გარკვეული ჯგუფი (ევ. ნიკოლაძე, ს. გორგაძე, ეპისკოპოსი ზოსიმე და სხვ.).

XIX საკუნის ქართულ ისტორიოგრაფიაში თ . ჟორდანია შეიძლება ითქვას, იყო პირველი ისტორიკოსი, ვინც დაინტერესდა ქართველ მოღვაწეთა ცხოვრებისა და შემოქმედების შესწავლით, რომელთაც მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს ქართული კულტურისა და ეროვნული აზროვნების განვითარებასა და ჩამოყალიბებაში. მისი მიზანია წარმოაჩინოს თუ რა მძიმე პოლიტიკურ და სოციალურ პირობებში უხდებოდათ მათ მოღვაწეობა და მაინც, როგორი თავდადებით იღვწოდნენ საკუთარი ქვეყნის საკეთილდღეოდ. მკვლევარი თვლის, რომ პიროვნების პორტრეტის სრულად წარმოდგენისთვის აუცილებელია იმ ეპოქის პოლიტიკური ვითარების გათვალისწინება, რომელ ეპოქასაც იგი ეკუთვნის. ამდენად, ის თავის ნაშრომებში დავით გურამიშვილის, იოსებ სამებელისა და ანტონ პირველის შესახებ გვევლინება, როგორც XVIII საუკუნის პოლიტიკური ისტორიის საკითხებით დაინტერესებული მკვლევარი. რადგან მისი “პერსონაჟების” უმეტესობამ ცხოვრების გარკვეული ნაწილი ემიგრაციაში გაატარა, თ. ჟორდანია

განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს საქართველოს საგარეო-პოლიტიკური ურთიერთობის ისტორიის შესწავლას. მის ნაშრომებში ნაჩვენებია ჩვენი ქვეყნის სამხრეთ-აღმოსავლეთ მეზობლებთან და რუსეთთან ურთიერთობები, წამოყენებულია არა ერთი საინტერესო დებულება.

თ. ჟორდანია თავისი თაობის ისტორიკოსებს შორის იყო ერთ-ერთი პირველი, რომელმაც საქართველოს რუსეთთან პოლიტიკური კავშირი (XVIII ს.) უარყოფილად შეაფასა და მიიჩნია, რომ რუსეთის პოლიტიკამ საქართველოს მომავალზე დამღუპველი ზეგავლენა იქონია.

თ. ჟორდანიამ ქართულ ისტორიოგრაფიაში პირველად შეისწავლა დავით გურამიშვილის, იოსებ სამებელის, ანტონ I კათალიკოსის ცხოვრება და მოღვაწეობა. მის მიერ გამოტანილი დასკვნები ხშირ შემთხვევაში დღესაც გაზიარებულია, მაგრამ მათ როგორც ჟორდანიასეულმა შეხედულებებმა ქართულ ისტორიოგრაფიაში ადგილი ვერ დაიმკვიდრეს. იგი იყო პირველი ისტორიკოსი, რომელმაც დააყენა საკითხი ქართული წიგნის ბეჭდვის ისტორიის შესწავლის აუცილებლობის შესახებ.

თ. ჟორდანიას მემკვიდრეობის შესწავლის შედეგად შეიძლება გაკეთდეს დასკვნა: იგი, როგორც ისტორიკოსი არა მხოლოდ აღწერს, მოგვითხრობს ისტორიას, არამედ ფაქტებზე დაყრდნობით ერკვევა მოვლენებში, მათ შორის ეძებს მიზეზ-შედეგობრივ კავშირებს, ახდენს მის ხელთ არსებული წყაროების გაანალიზებით ფაქტების დაზუსტებას და იმდროინდელი პოლიტიკური გადაწყვეტილებების რეკონსტრუირებას. ყველაფერი ეს კი მას XIX საუკუნის ახალი თაობის იმ ისტორიკოსთა რიგში აყენებს, რომელთაც ხელი შეუწყვეს ისტორიის, როგორც მეცნიერების წინსვლასა და განვითარებას.